# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით ფასი 1,50 ლარი 11 დეკემბერი 2009 №25(103)

1516
2009





ლალი ავალიანი ვალერიან გაფრინდაშვილზე

ფრაგმენტები დაუწერელი წიგნიდან

გაორებული საქართველოს ტრაგედია

ანდრე ვიურმსერის ალალმართალი

ზურაბ ლავრელაშვილის ლექსები

ლაშა იმედაშვილის დეტექტივი

პაატა ჩხეიძე ჯონ ადამსზე

# წიგნის თარო


ლირიკა
მზე და ღრუბელი


ბედის მდინარე




ნაცვლიშვილი
ბიბლიოთეკა


გოგი მაისურაძე
ყუდიერა
ციხური ჩანაწერები


ელდარ მამისთვალიშვილი
საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია
I
(XV-XVI სს.)


ლიტერატურული შედევრები
ქართული


ვახტანგ ამაღლობელი
ნარკვევები ამერიკულ ლიტერატურაზე


ლიტერატურული შედევრები
უცხოური

## შინაარსი


| | | |
|---|---|---|
| კავკასია გუშინ. დღეს. ხვალ | 2 | შორენა ლებანიძე **კამანის ალყა** |
| შტრიხები პორტრეტისათვის | 8 | ზაზა აბზიანიძე **ერთი თარგმანის ისტორია...** (ალექსანდრე ებანოიძე) |
| გამოხმაურება | 9 | ინგა მილორავა **ფიქრები ქარში** (ზურაბ კანდელაკის რომანი „უძრავი ქარი“) |
| ექსპრეს-ინტერვიუ | 11 | გია ხოფერია **„ვიზრუნო შემდეგი მოსვლისთვის“** (მომზადა ნატა ვარადამ) |
| დეტექტივი | 12 | ლაშა იმედაშვილი **ბოზოიანის დღიური** |
| ეპისტოლე | 22 | უშანგი კახაბრიშვილი **პლუტარქეს გახსენება** (ნანა ტონიას ახალი თარგმანის გამო) |
| მარადი ხელოვნება | 23 | თამარ ლონლაძე **„მისვე ხმისა სიტკბოსაგან...“** (ნოდარ ანდღულაძის ვარსკვლავის გახსნა) |
| პოეზია | 24 | ზურაბ ლავრელაშვილი **ომოფონები** |
| | 28 | მაია ჯოლბორდი **გუშინდელი სიზმარი და სხვა ლექსები** |
| პირველი შთაბეჭდილება | 31 | მაკა ჯოხაძე **დანომრილი ბავშვები** |
| უცხოეთის ცხოვრებიდან | 32 | პაატა ჩხეიძე **ჯონ ადამსის „ახირებული“ აზრები** |
| პოეტის ერთი ლექსი | 34 | დოდონა კიზირია **გარდაცვლილ პოეტს** (ვიქტორ გაბესკირიას) |
| დიალოგი | 35 | **„საკუთარ თავში მოგზაურობა ყველაფერს მირჩევნია...“** (თამარ შაიშმელაშვილს ესაუბრება ნინო ჩხიკვიშვილი) |
| დაუვიწყარი სახელები | 37 | ლალი ავალიანი **ვალერიან გაფრინდაშვილი — „პოეზიის მთრთოლვარე მონა“** |
| ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ | 42 | რაინერ მარია რილკე **ლომის გალია** |
| რეპორტაჟი | 43 | რიტა ბაინდურაშვილი **განგაშით აღვსილი წიგნი** (გურამ ოდიშარიას „სათვალიანი ბომბი“ კავკასიურ სახლში) |
| კრიტიკა | 46 | დოდო ჭუმბურიძე **გაორებული საქართველოს ტრაგედია** (ბიოგრაფიული რომანი იასე ფალავანდიშვილზე) |
| პირველი შთაბეჭდილება | 52 | გივი ალხაზიშვილი **დაუწერელი წიგნის კონტურული რუკა** |
| ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ | 52 | ნანა ტრაპაიძე **ფრაგმენტები დაუწერელი წიგნიდან** |
| უცხოური ნოველა | 58 | ანდრე ვიურმსერი **ალალმართალი** |
| ისტორიის თეთრი ლაქები | 62 | რევაზ კვერენჩხილაძე **ქალები, როგორც პოლიტიკური პატიმრები** |
| მოზაიკა | 63 | **დიდხანს გაჰყვება ვალი** |



ორკვირეული ჟურნალი
დამფუძნებელი „ილიონი“
მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41
რედაქცია – (995 32) 96_20_62
რეკლამა – (995 93) 65_93_68
გავრცელება – (995 77) 11_24_30
ფაქსი: (995 32) 96_20_62
E_mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – **როსტომ ჩხეიძე**
პროზის რედაქტორი – **ივანე ამირხანაშვილი**
პოეზიის რედაქტორი – **მაკა ჯოხაძე**
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – **თამაზ ნატროშვილი**
მხატვრული რედაქტორი – **კარლო ფაჩულია** დიზაინერი – **მალხაზ იაშვილი**
სტილისტ—კორექტორი – **ნინო დეკანოიძე** დაკაბადონება – **თენგიზ რობიტაშვილი**
ოპერატორი – **თამარ ჩიხლაძე** სარეკლამო მენეჯერი – **ეკა ბუჯიაშვილი**
გავრცელების სამსახური – **ლევან კიკნაძე**

დაბეჭდილია სასამბამი "ომეგა თეგი"
საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17
ტელეფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE +995 32 53 03 62


გარეკანზე: **ანრი რუსო, ლუქსემბურგის ბაღი**
**ნინო ჩხიკვიშვილი, ნათელა გრიგალაშვილის ფოტოეტიუდი**

**„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 25 დეკემბერს**

შორენა ლებანიძე

# კამანის ალყა

**აფხაზეთი, სოფელი კამანი.
1993 წლის 4 ივლისი, ღამის 10 საათი.**

ტყიანი ფერდობებიდან ხეობის სიღრმემდე სროლის ხმა აღწევს. ახალშენის მხარეს ცა წითლად ნათდება და ჰორიზონტზე რუხი, მოძრავი წერტილები მოჩანს. ისინი ეშერას დასტრიალებენ, მერე დაბლა მოიწევენ, ამზარას უახლოვდებიან.

გუმისთის პირას ჩასაფრებულ გურამ გვიჩიანს, ავტომატების უწყვეტ კაკანთან ერთად, ახლა უკვე ძრავების ყრუ, დახშული გუგუნი ესმის. ღამის სიბნელეში რუსული სამხედრო ვერტმფრენების სილუეტები იკვეთება. გურამი ბინოკლს ჩაჰყურებს.

მის წინ ამზარაა, მოშორებით — ტყე, ზემოთ — ვერტმფრენი, საიდანაც თოკი ეშვება. დაჭიმულ ბაგირზე ერთმანეთის მიყოლებით მოცოცავენ თავიდან ფეხებამდე შეჭურვილი მეომრები და ხშირ წიწვნარში უჩინარდებიან. ახლა მეორე ვერტმფრენიდან უშვებენ თოკს, მესამედან... „დესანტი ჩამოსხეს“, — რაციით გადასცემს შტაბს ბოლო, საგანგაშო ინფორმაციას გვიჩიანი.

შტაბში უკვე იციან, რომ: ბომბორას სამხედრო ბაზაზე დისლოცირებული სადესანტო-იერიშმიმტანი ბრიგადა შეტევაზე გადასვლას აპირებს. კამანი ალყაშია. გენერალ ლებედის სპეცდანიშნულების 500-კაციანი ბატალიონი ეშერა-ამზარადან მოიწევს, ჩეჩნურ-სომხური და აფხაზური შენაერთები — შუბარი-ახალშენიდან და აჩადარა-ზეგანიდან. ანუ მოსალოდნელია სამმხრივი შტურმი აფხაზეთის მთებში ჩაკარგულ პატარა სვანურ სოფელზე, რომელსაც 32 ადგილობრივი მებრძოლი იცავს...

კამანელთა ტრაგიკულ-ჰეროიკული ისტორიის დაწყებამდე უკანასკნელი წუთებიღა რჩება. სოფელი ელის თავდასხმას. მას ტყეში გახიზვნა შეუძლია, მაგრამ არავინ არსად მიდის. პაკელიანები, გერლიანები, გვიჩიანები, კახიანები უთანასწორო, თავგანწირული წინააღმდეგობისთვის ემზადებიან.

პირველი გასროლის მოლოდინში კამანი დაძაბულ, სამარისებურ სიჩუმეს მოუცავს. სიცოცხლის ნიშანწყალი მხოლოდ გუმისთისპირა პოზიციებზე იგრძნობა. სანგრებიდან ფეხის ხმა და ფრთხილი გადალაპარაკება ისმის. მებრძოლები საგუშაგოებზე ნაწილდებიან...

შტურმამდე დარჩენილი უკანასკნელი წუთების ათვლა იწყება. დილის 5 საათია.

* * *

1993 წლის ივლისის დამდეგს, როდესაც კამანზე თავდასხმა გადაწყდა, გუდაუთის დაჯგუფებები ფრონტის გუმისთისპირა ზოლს თითქმის მთლიანად აკონტროლებდნენ. სოხუმის მიმდებარე დასახლებები — ეშერა, ამზარა, შუბარი, ახალშენი, ზეგანი — აფხაზების ხელში იყო.

სოხუმამდე ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა. ქართული სამხედრო ძალებისგან გაწმენდილ ტერიტორიაზე უკანასკნელ წინაღობას 42-კომლიანი სვანური სოფელი — კამანი — ქმნიდა. ის გუდაუთადან ყველა მიმართულებით დაძრულ შენაერთებს გზას ზედ ქალაქის მისადგომებთან, 15-იოდე კილომეტრის მანძილზე, უკეტავდა.

კამანის აღება სოხუმის გარდაუვალ დაცემას ნიშნავდა...

* * *

სროლის ხმა კამანში პირველად გაგრის დაცემის შემდეგ, 1992 წლის 3 ნოემბერს, გაისმა.

სულ მალე ტყვიის წუილი, ჭურვის აფეთქება, გვამები — სანგრებში, მდინარის ზედაპირზე, გზებზე, ეზოებში ყოველდღიურობად იქცა.

სოფელი სამხედრო ბანაკს დაემსგავსა. ფრონტის წინა ხაზი მის სახლებზე, მის უბნებზე, მის ხეობაზე გადიოდა.

ბრძოლები წელიწადზე მეტხანს გაგრძელდა.

ერთი წლის შემდეგ კამანს 65-ის ნაცვლად 32 ადგილობრივი ჯარისკაციღა ჰყავდა. დანარჩენები დაიღუპნენ. სახლები დაინგრა, ხოლო მათ ადგილას ზოგან უშველებელი ღრმულები დარჩა. გაუქმებული წყალსაცავები, მიტოვებული ბუნკერები და სარდაფები სანგრებად, ბლინდაჟებად იქცა.

მშვიდობის ხანა, სამოქალაქო ცხოვრების რიტმი თითქოს სამუდამოდ დასრულდა.

კამანმა თავდასხმებს გაუძლო. ის ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამაც იხსნა. სოფელი მიუდგომელი იყო. მის დასაბომბად უახლესი ტიპის საარტილერიო დანადგარების გამოყენებაც ვერ ხერხდებოდა...

და მოწინააღმდეგე ეშერადან კამანისკენ მიმავალი საცალფეხო ბილიკის გაფართოებას შეუდგა. ამ გზაზე სამხედრო ტექნიკას უნდა ევლო, თანაც გუდაუთა-ამზარას ტრასას შრომის ხიდამდე შეერთებოდა. კამანი ალყაში ექცეოდა. სამმხრივი შტურმის დღე ახლოვდებოდა...

**5 ივლისი. 5 საათი და 10 წუთი.**

ცა იქუფრება. წინწკლავს. სოფლის თავში, ხიდთან მოწყობილ პირველ საგუშაგოზე, 28 წლის ადამ გვიჩიანი ექვს თანამოსანგრეს საბრძოლო მითითებებს აძლევს. ის ოცმეთაურია, ლეიტენანტი, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ყოფილი ოფიცერი, სპორტსმენი, ძიუდოისტი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი...

„მოემზადეთ,“ — სიტყვის დასრულებას ვერც ასწრებს, მის ხმას ნაღმსატყორცნების მოულოდნელი გრუხუნი ფარავს, — „ჯანდაბა, უკვე დაიწყო... ამზარადან გვბომბავენ... მალე სოფელს მოადგებიან...“

სოფელში შეჭრა ორი გზით შეიძლება — ხიდიდან და სანაპიროდან. ხიდი დანაღმულია. შვერილებიც გამოცლილი აქვს. ტექნიკის სიმძიმეს ვერ გაუძლებს. ჯარს გადაადგილების საშუალებას არ მისცემს. სანაპირო კლდოვანია, გუმისთა — ადიდებული. რელიეფი მხოლოდ

ერთგან მარტივდება. ციცაბო ფერდობებს ქვიშიანი დაბლობი ენაცვლება, კალაპოტი ვიწროვდება... აქ, საერთო საცხოვრებლის შენობაში, მეორე საგუშაგოა. საგუშაგოზე ცხრანი არიან — შვიდი მამაკაცი და ორი ქალი.

* * *

35 წლის მერი პაკელიანმა გუშინ დილას დატოვა სოფელი, შვილები დასთან, გალში გახიზნა და უკან სასწრაფოდ გამობრუნდა.

სოფელი საბრძოლო მზადყოფნაში დახვდა. ერთ-ერთი შეტევისას აფხაზებისთვის წართმეული ტყვიამფრქვევი ინვალიდთა თავშესაფრის — ე.წ. წითელი კორპუსის — მესამე სართულზე აეტანათ. გუმისთის გაღმა, ტყეში ქვეითთა და ტანკსაწინააღმდეგო ნაღმები ჩაემარხათ. ხიდის ბურჯი მოერყიათ. სანგრები გაეთხარათ...

სახლები ცარიელი იყო. დიდ-პატარიანად, ქალიან-კაციანად ყველა პოზიციებზე გაკრეფილიყო.

ქმარი, საშა გამსახურდია, მეორე საგუშაგოზე მოძებნა. ახლაც გვერდით უზის. მერი მჭიდებს ამოწმებს, ავტომატს ტენის. წუთით ჩერდება, ფიქრობს. მერე ჯგუფის მწირი არსენალიდან ხელყუმბარას იღებს და ჯიბეში მალავს...

* * *

ახალშენისკენ მიმავალი გზის დასაწყისში, მესამე საგუშაგოზე, სოფლის შტაბიდან მამა-შვილს — ვლადიმერ და მალხაზ კახიანებს — აგზავნიან.

მალხაზი დაზვერვის ათმეთაურია. რამდენიმე თვის წინ ეშერას ქვემოთ, სოფელ დიმიტროვკაში ჩასაფრებულ სნაიპერებს, რომლებმაც კამანს მოსვენება დაუკარგეს, თავს დაესხა. ორი მოკლა, ერთი გაექცა, ერთიც ტყვედ ჩაიგდო. ის რუსი მაიორი, ფსკოვის სადესანტო ბატალიონის მეთაური აღმოჩნდა...

75 წლის ვლადიმერმა გუშინ დილას ახალშენიდან საგანგაშო ინფორმაცია ჩამოიტანა. სოფელი ალყაში იყო. სასწაულებრივად გადარჩენილი, ტყეს შეფარებული ქალები და ბავშვები კამანისკენ გზის გაგნებას ვერ ახერხებდნენ. კახიანმა ისინი შრომის ხიდამდე ჩააცილა. უკან დაღლილი, შეშფოთებული დაბრუნდა:

„ყოველი მხრიდან მოიწევენ... ვერ შევაჩერებთ... ცოტანი ვართ... თითზე ჩამოსათვლელნიღა დავრჩით... უნდა წავიდეთ... სოფელი უნდა გაიხიზნოს," — ამაოდ ცდილობდა ადგილობრივი შენაერთის მეთაურის, მაიორ ზაზა პაკელიანის დარწმუნებას. პაკელიანი ჯიუტად დუმდა. ბოლოს თქვა:

„შრომაში ყველაფერი იციან. ხვალ დამხმარე ძალა მოვა."

* * *

შრომაში ყველაფერი იციან, მაგრამ დამხმარე ძალა არ მოდის... მსხვილკალიბრიანი ნაღმსატყორცნებით დაბომბვა გრძელდება. სადაც არის, ქვეითებიც გამოჩნდებიან. ტყვია-წამლის მარაგი ცოტაა, შეიარაღება — მწირი. ტექნიკა კი კამანელებს საერთოდ არ აქვთ.

სოფლის პრობლემები საქართველოს უმაღლეს მთავარსარდლობას კამანელმა პედაგოგმა, აფხაზეთის დემოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარემ, ელგუჯა გვიჩიანმა ორიოდე კვირის წინ შეატყობინა.

ვითარება არ შეცვლილა. დღეს 63 წლის გვიჩიანი სოფლის განაპირას, ფერმებთან მოწყობილ მეოთხე საგუშაგოზე, შვილის, გურამის გვერდით დგას. ის მოკლე სადესანტო ავტომატით არის შეიარაღებული. ბრეზენტის ძველებური ლაბადა მოუსხამს და, წვერმოშვებულს, სვანური ქუდი დაუხურავს. ერთი შეხედვით, რიგით მოქალაქეს, უწყინარ მოხუცს გავს, თუმცა პროფესიონალი სამხედროა, საბჭოთა ჯარის ყოფილი ოფიცერი...

* * *

ფერმისგან 200-იოდე მეტრის მოშორებით სოფელს წმინდა ვასილისკოს წყარო ჩამოუდის. წყაროსთან ეგნატე კვიციანის სახლი დგას. ეგნატე სახლის წინ, ხიდთან ზის. „გეკო" უჭირავს. ცნობილი მონადირეა. შინ შვილების დანატოვარი ავტომატები, ტყვია-წამლის მარაგი ეგულება. ეზოში, კაკლის ქვეშ, გაუქმებული წყალსაცავი შეუძლია, სანგრადაც გამოიყენოს.

შორს, გუმისთის გადაღმა, რუსი „ბოევიკების" პირველი ათეულები ფერდობებზე ეშვებიან. ნაღმსატყორცნების გუგუნი წყდება. გენერალ ლებედის სადესანტო-იერიშმიმტანი ბრიგადა თავდასხმისთვის ემზადება.

* * *

კამანის შუაგულში, პატარა გორაკზე, წმინდა იოანე ოქროპირის სახელობის ეკლესიაა.

სწორედ იმ დროს, როდესაც სოფლის განაპირას დენთის სუნი ტრიალებს, აქ საკმეველი იწვის. გარეთ სროლებია, აქ ლოცულობენ. ქართველები და აფხაზები ერთმანეთს ებრძვიან, აქ, საკურთხეველთან, მაცხოვრის ხატის წინ, აფხაზი იური ანუა და ქართველი მამა ანდრია გვერდიგვერდ ჩაჩოქილან.

„მაკურთხე, მამაო," — სთხოვს მოძღვარს იური ანუა.

„დარწმუნებული ხარ, რომ უფალს თავი სრულიად მიანდე?"

„დარწმუნებული ვარ."

„მაშ, არც ამქვეყნიური, არც მარადიული სატანჯველისა არ გეშინია?"

„არ მეშინია."

„გინდა, უფრო ღირსეულად წარსდგე უზენაესის წინაშე?"

„მინდა, მამაო."

„იყოს ნება ღვთისა..."

მამა ანდრიას მომცრო სათავსოდან სტიქარი გამოაქვს, ანუას აცმევს და იპოდიაკვნად აკურთხებს.

ამ წუთიდან იური ანუა, რომელმაც საერო ცხოვრება მთლიანად კამანის წმინდა ადგილების მოვლა-პატრონობას მიუძღვნა, სასულიერო პირია. მან აღადგინა კამანის ეკლესია და წმინდა ვასილისკოს წამების ადგილი, სოხუმის საკათედრო ტაძრიდან კვლავ სოფელს დაუბრუნა იოანე ოქროპირის ქვის სარკოფაგი, იოანე ნათლისმცემლის თავის მესამედ პოვნის ადგილამდე აღმართა 1500-საფეხურიანი კიბე...

იური ანუა ქველმოქმედია. მას სოფლისთვის კიდევ ბევრი რამის გაკეთება სურს, მაგრამ... სიცოცხლის ბოლომდე ძალიან ცოტა დრო რჩება... სულ რაღაც ათიოდე

საათის შემდეგ ანუასა და მამა ანდრიას ბედი სამუდამოდ გადაეჯაჭვება ერთმანეთს.

27 წლის ბაღდათელმა მამა ანდრიამ, პაატა ყურაშვილმა, აფხაზეთის ომის მსვლელობისას დატოვა სხალთის მონასტერი, რომ კამანის ტაძარში დიდი ხნის წინათ შეწყვეტილი საღმრთო ლიტურგია აღესრულებინა. ერთხელ, როდესაც ფრონტისპირა სოფლის დატოვება ურჩიეს, მშვიდად გაიღიმა და თქვა:

„განსაცდელი უფალმა სულის საცხოვნებლად მოგვივლინა... მხოლოდ ღვთის წმინდა ნებას ვემორჩილები...“

**5 საათი და 20 წუთი.**

პირველი საგუშაგო.

თენდება. წვიმს. სპეცდანიშნულების ბატალიონი სანაპირო ზოლისკენ მოიწევს. ის სოფელს ბრძოლის დაწყებას ყუმბარმტყორცნების გამაყრუებელი გრუხუნით ამცნობს.

ხიდთან, სანგარში ჭურვი ფეთქდება. ადამ გვიჩიანი ძლიერ დარტყმასა და აუტანელ ტკივილს გრძნობს. მარჯვენა ფეხი არ ემორჩილება. ძვალი გადამსხვრეული აქვს. დაფლეთილი შარვლიდან სისხლი სდის. წუთით გონს კარგავს. მომდევნო ჭურვის ხმა აფხიზლებს. ვიღაც განწირულად ყვირის. ორ ზურას — გიორხელიძესა და გურჩიანს — სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობა.

ეს პირველი მსხვერპლია.

პირველი მსხვერპლია მოწინააღმდეგის მხარესაც. საგუშაგოდან გახსნილი ცეცხლი „ბოევიკების“ რამდენიმე ათეულს ანადგურებს, მაგრამ 5 კამანელის პირისპირ, ხიდის თავში, ახლა სხვა, უფრო რიცხვმრავალი შენაერთი დგას. ხიდი არ ფეთქდება. ჩანს, განაღმეს.

**6 საათი და 35 წუთი.**

მეორე საგუშაგო.

საერთო საცხოვრებლიდან მოჩანს ადგილი, სადაც გუმისთა სოფლის გარშემო ნახევარრკალს ქმნის. მოჩანან ჯავშან-ჩაჩქანიანი ჯარისკაცებიც.

„დროა,“ — საშა გამსახურდია სანაპიროდან გამოყვანილ მავთულებს დენის წყაროს უერთებს. ტყეში ჩამარხული ქვეითთა და ტანკსაწინააღმდეგო 5 ნაღმიდან 3 სკდება. რუხ-მოყავისფრო ბული და ცეცხლის ენები, დალეწილი ტოტები, მიწის გორახები, ადამიანები ერთმანეთში ირევიან. აფეთქების ტალღა „ბოევიკების“ პირველ მწკრივს ადგილზე ცელავს. მათი დამწვარი, დასახიჩრებული, დანაწევრებული გვამები მდინარის ზედაპირზე ტივტივებს.

„ცეცხლი,“ — ყვირის ჯიმშერ გადრანი. 9 ავტომატის მჭიდები ელვისებურად იცლება. „ბოევიკების“ მომდევნო მწკრივი უკან, ტყისკენ იხევს.

„ტყვიამფრქვევის ჯერიც დადგა,“ — ამბობს ჯიმშერი და წითელი კორპუსისკენ მიხოხავს. სხვებიც მიჰყვებიან. ჭურვების ნამსხვრევები სეტყვასავით ცვივა. თანმხლებთაგან ერთი იღუპება, მეორე საგუშაგოზე ბრუნდება. გადრანი კორპუსში შერბის.

აი, აფხაზებისთვის წართმეული „დეშეკა“, 56-ვაზნიანი ლენტით. ჯიმშერი იარაღს ტენის და, სანამ ლულას სანაპიროსკენ მიმართავს, პირჯვარს იწერს:

„ღმერთო, მაპატიე კაცის კვლა, თან დამეხმარე, რომ ყოველი მეორე ტყვია მაინც არ ავაცდინო სამიზნეს...“

**8 საათი და 45 წუთი.**

პირველი საგუშაგო.

„ალყაში ვართ... აბა, ყველანი ჩქარა შტაბისკენ!“ — ბრძანებას გასცემს მარჯვენა ფეხში დაჭრილი ოცმეთაური, ადამ გვიჩიანი და თანამებრძოლებს, რომლებიც წამოყენებას უპირებენ, ხელით იშორებს, — „ნადით... სროლას არ შევწყვეტ... დაგიცავთ.“ „კი მაგრამ...“ „არავითარი მაგრამ... ყველანი მიდიხართ-მეთქი, გასაგებია?... მხოლოდ მე ვრჩები.“

თანამებრძოლები, ეკლესიის გავლით, სოფლის ცენტრისკენ გარბიან.

* * *

წმინდა ოქროპირის სახელობის ტაძარს მრევლი მისწყდომია. წინამძღვარი მამა ანდრია და იური ანუა ჭიშკარს აღებენ. ხალხი ეზოში, შემდეგ ტაძარში შერბის.

„ყველაფერი ღვთის ნებაა, — სიმშვიდეს ინარჩუნებს მამა ანდრია, — ღმერთს არ მივუტოვებივართ. ეცადეთ, ქრისტიანული ღირსებითა და მორჩილებით მიიღოთ ყველაზე მძიმე განსაცდელი.“

* * *

მეოთხე საგუშაგო.

ფერმებთან, სანგარში, ეთერ ჩხეტიანის ორივე ვაჟი იღუპება. უმცროსი — 15 წლის მერაბი — ზუსტად ერთი თვის წინ, 5 ივნისის შეტაკებისას, მოკლეს.

* * *

მეხუთე საგუშაგო.

წმინდა ვასილისკოს წყაროსთან ჩასაფრებული ეგნატე კვიციანი სნაიპერის სიზუსტით ისვრის. მისი საიმედო და მოხერხებული სამალავიდან მოწინააღმდეგის გუმისთისპირა, მოშიშვლებული პოზიციები ხელისგულივით მოჩანს. მიზანში ამოღებული ჯარისკაცები წყალში ცვივიან.

„ეს ოცდამეერთე... ესეც ოცდამეორე,“ — აზარტში შედის კვიციანი.

* * *

შეტევა 8 საათზე მეტხანს გაგრძელდა. დილის 5-დან შუადღის 2-ის ნახევრამდე სადესანტო-იერიშმიმტანმა ბრიგადამ გუმისთის გადალახვა და სოფელში შეღწევა ვერ შეძლო. ეშერას მთაზე განლაგებული რუსულ-აფხაზური ბატალიონების სარდლობამ ალყის მოხსნის გადაწყვეტილება მიიღო. მორიგი, უნაყოფო იერიშის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა: მნიშვნელოვანი სტრატე-

გიული ობიექტი — კამანი — კბილებამდე შეიარაღებული, რიცხვმრავალი შენაერთებით საიმედოდ დაცულს ჰგავდა...

ბრძოლის ბედი, ფაქტობრივად, უკვე გადაწყვეტილი იყო, მაგრამ მოულოდნელად ქართველების მხრიდან გახსნილი ინტენსიური ცეცხლი კანტი-კუნტმა სროლებმა შეცვალა...

რატომ? რა მოხდა კამანში?

**5 ივლისი, 13 საათი და 25 წუთი.**

შტაბი.

მაიორი ზაზა პაკელიანი შრომას რაციით უკავშირდება და, ვინ იცის, უკვე მერამდენედ, ერთსა და იმავეს იმეორებს:

„...ხალხი განწყდა... 20-იოდე კაციღა დავრჩით... ტყვია-წამალი ილევა... წინააღმდეგობას ველარ ვუწევთ... სადაც არის, სოფელში შემოვლენ... ვიხოცებით... სასწრაფოდ გამოგზავნეთ დამხმარე ძალა, შეიარაღება, ტყვია-წამალი...“

კავშირი წყდება. ზაზას შუბლზე ოფლს ასხამს, ღელავს, სახეზე უიმედობა ეტყობა, შტაბის წევრებს მაინც მტკიცე ხმით მიმართავს:

„გამაგრდით, ბიჭებო... დარწმუნებული ვარ, შევსება მოვა.“



კამანი

**13 საათი და 30 წუთი.**

პირველი საგუშაგო.

თავსხმა წვიმაა. ხიდქვეშ, სანგარი წყლით ივსება. ადამ გვიჩიანი, რომელმაც სროლა ყუმბარმტყორცნით აფეთქების შემდეგღა შეწყვიტა, უგრძნობლად წევს.

მოიერიშე ბრიგადა კამანში შედის. ბრძოლა უკვე სოფლის შუკებში, ლამის თითოეულ სახლთან მიმდინარეობს.

* * *

ტაძრის ეზოში ქალი შერბის. სამხედრო ფორმა აცვია. მდევარი გზას ულობავს. ქალი ხელიდან უსხლტება. ცდილობს, სამრეკლომდე მიაღწიოს. „მიშველეთ!“ — გული ყელში ებჯინება. „ბოევიკების“ ფეხის ხმა და ქოშინი გარკვევით ესმის. სამრეკლოსთან ძალა ელევა. გრძნობს, სადაც არის, მკლავში სწვდებიან... „ოღონდ ტყვეობა არა...“ ქალი ჯიბიდან ხელყუმბარას იღებს. სანამ მდევრები გონს მოსვლას მოასწრებენ, ყუმბარა სკდება. აფეთქების ადგილას ხუთი გვამია: „ბოევიკების“ და... მერი პაკელიანის.

* * *

გამაყრუებელი გრუხუნი, წივილ-კივილი ტაძარშიც აღწევს.

„მოემზადეთ ზიარებისთვის,“ — მამა ანდრიას საკურთხევლიდან ბარძიმი გამოაქვს და თითოეული მლოცველისგან აღსარებას იბარებს.

„ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს და ბნელი იგი მას ვერ ეწია,“ — კითხულობს იოანეს სახარებას იური ანუა.

„ღვთისმშობელო, ღვთისმშობელო,“ — ჩურჩულებს ანუას მეუღლე, ზოია ადამია.

„მეშინია, წმინდა გიორგი, დაგვეხმარე,“ — ცრემლმორეული იწერს პირჯვარს ანუას ქალიშვილი, მანანა.

კარზე ბრახუნია, — „გააღეთ!“ „ღმერთო, გვიშველე!“... „გააღეთ!“ — ბრძანებას ავტომატების ჯერი მოსდევს. ქვის იატაკს სარკმლიდან ზრიალით ჩამოცვენილი შუშის ნამსხვრევები ფარავს. ბრახუნი მეორდება. წუთიც და, მოშლილ საკეტს შემოლეწავენ.

იური ანუა მამა ანდრიას უხმოდ შეჰყურებს.

„გააღე,“ — ნებას რთავს წინამძღვარი და ორივენი გასასვლელისკენ მიემართებიან.

საკეტი იმტვრევა. მამა ანდრია მკერდზე მიკრული ღვთისმშობლის ხატით ცდილობს იარაღშემართული ბრბოს შეკავებას:

„ოღონდ ხალხს ნუ ესვრით!“

„ხმა გაკმინდე!...“ — ხატს ხელიდან გლეჯენ, გარეთ გაჰყავთ.

გვამებით მოფენილ, სასაკლაოდ ქცეულ ეზოში ათიოდე „ბოევიკი“ ანუას გარს შემორტყმია.

„ვინ ხარ?“ — უბღავიან, — „აფხაზი? მერე ქართველებთან რა გინდა? რაო? ძმები ვართო? რეებს ამბობ?...“

მამა ანდრიას ზურგში კონდახს ურტყამენ, — „დაიჩოქე, დაიჩოქე მეთქი!“

მოძღვარი ლოცვას იწყებს. ტყვია კეფაში ხვდება, მაგრამ პირქვე კი არა, გულაღმა ეცემა.

ტაძარში ვიღაც შერბის და გაჰყვირის, — „თქვენი მოძღვარი მოკლეეს...“

ჯარისკაცები კედლებს ცხრილავენ, იოანე ოქროპირის სარკოფაგს ძირს ანარცხებენ, ზედ ფეხით დგებიან, ლეწავენ: „განძი სად არის, თქვენი...“ სროლა-სროლით შერბიან სათავსოში. იქ მხოლოდ 12 მოხუცი ქალი და იური ანუას ცოლ-შვილია...

* * *

მეორე საგუშაგო.

საერთო საცხოვრებელში ექვსნილა დარჩნენ. გუნტერ გულედანი მოკლეს, მერი პაკელიანი ტაძარში უნდა იყოს, ჯიმშერ გადრანი — შტაბში.

შენობის სახურავს ცეცხლი ეკიდება. 27 წლის დათო გადრანი მეორე სართულზე ასვლას ამაოდ ცდილობს. კიბე ინვის. დანარჩენები ზემოთ არიან. გადრანი ფანჯრისკენ მიხოხავს. ფანჯრის წინ „ბოევიკთა“ ასეულია.

„რა ვქნა?“ — დათოს გონება გამალებით მუშაობს, — „სროლა განვაგრძო? უკანასკნელი „რაჟოკი“ დავცალო? რა აზრი აქვს? სიკვდილი ან ტყვედ აყვანა არ ამცდება...“ — სამალავს ეძებს და უეცრად მისი დაძაბული მზერა ძველთაძველ, ნესტიან, ჩრჩილისგან დაჭმულ ლეიბებზე ჩერდება...

მეორე სართულზე, ცოლ-ქმარი — ლოლა გერლიანი და ანატოლი ჩაჩხიანი — „არსენალის“ ნაშთს ამოწმებს. თითოოროლა ტყვია, რამდენიმე ხელყუმბარა და ერთი ტანკსაწინაალმდეგო ჭურვილა დარჩენიათ. იარაღს ძირს დებენ, ცეცხლმოდებული სარკმლიდან შენობისკენ მწყობრი ნაბიჯით დაძრულ „ბოევიკებს“ გაჰყურებენ, სდუმან.

„გავიდეთ?“ — გაუბედავად კითხულობს ანატოლი.

„რას ამბობ?“ — არ ეთანხმება ლოლა.

გარეთ შეტევისწინა დაძაბული სიჩუმეა. შენობის ირგვლივ კედელივით აღმართული ასეული გადამწყვეტი თავდასხმისთვის ემზადება.

* * *

შტაბი.

ე.წ. თეთრი კორპუსის მარცხენა ფლიგელში, პირველ სართულზე ჩასაფრებულ მებრძოლებს ჯიმშერ გადრანი და მამა-შვილი კახიანები შეერთებიან. ჯიმშერი ჭიშკრიდან შემოჭრილ მოწინააღმდეგეს ცეცხლს უხსნის. ტყვია ზუსტად ხვდება სამიზნეს, მაგრამ „ბოევიკი“ ერთს ჩაიჩოქებს, მერე კვლავ ფეხზე დგება და წინ შეუფერხებლად მიიწევს.

„ჯანდაბა,“ — ამბობს გამწარებული გადრანი, — „ჯავშანჟილეტები აცვიათ. თავსა და ფეხებში ესროლეთ!“

გარეთ ყურისწამლები გრუხუნია. ერთდროულად რამდენიმე ტყვიამფრქვევი კაკანებს, ერთდროულად რამდენიმე ნაღმი და ყუმბარა სკდება, მაგრამ ქვით ნაგები თეთრი კორპუსის სქელ, მყარ კედლებს ვერაფერი ანგრევს.

ზაზა პაკელიანი კვლავ შრომას უკავშირდება, მერე ტყვია-წამლის ნაშთს თანაბრად ანაწილებს: „ორ-ორი მჭიდი — შეტევის მოსაგერიებლად, თითო ხელყუმბარა — ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში, თავის ასაფეთქებლად.“

* * *

მეოთხე საგუშაგო.

ელგუჯა გვიჩიანს შვილი და დისშვილი სამშვიდობოზე გაჰყავს. თვითონ უკან ბრუნდება. სოფლის განაპირას, გვამებით სავსე დიდ თხრილთან, აფხაზ მეომრებს ხედავს. იქვე, კამანელი მოხუცი ნიჩბის ტარს დაყრდნობია.

„რა ხდება?“ — კითხულობს ელგუჯა. ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, სვანურქუდიანი, წვერმოშვებული, უწყინარ ბერიკაცს ჰგავს, თუმცა არავინ იცის, რომ ბრეზენტის საწვიმარქვეშ უკვე გადატენილ და ჩახმახშეყენებულ მოკლე სადესანტო ავტომატს მალავს.

„ქართველებისთვის საფლავს ვთხრით,“ — უდარდელად პასუხობს ერთ-ერთი მეომარი და უეცრად პირზე ღიმილი ეყინება: ლაბადის კალთიდან შავად მოლაპლაპე ლულა მოჩანს, — „ჰეი, ვინ ხარ?“ — ყვირის გონსმოსული, თავზარდაცემული და სანამ მხარზე გადაკიდებული იარაღისკენ ხელის წაღებას მოასწრებს, ქალაახდილი, თხრილში ვარდება.

„ჯანდაბამდის გზა გქონიათ!“ — ავტომატის მჭიდს ელვისებურად ცლის და აყაყანებულ აფხაზთა მთელ ათეულს ადგილზე ცელავს ელგუჯა გვიჩიანი.

* * *

მეხუთე საგუშაგო.

ეგნატე კვიციანი მეზობელი სახლებიდან გამოცვენილ ქალებს ტყისკენ სროლა-სროლით მიუძღვის.

„კამანი უკვე აღებულია... მარტოდმარტო რას გახდები?. . წამოგვყევი, ეგნატე.“

„ჰო, კარგი... იარეთ... მალე შემოგიერთდებით,“ — ჰპირდება მეზობლებს და შინისკენ გარბის. შვილების დანატოვარ ავტომატებს პოულობს, კაკლის ხის ქვეშ სახელდახელოდ მოწყობილ სანგარში ჩააქვს, სხვადასხვა ადგილას ათავსებს და მონაცვლეობით ისვრის, რომ მოწინააღმდეგეს შენაერთთან ბრძოლის შთაბეჭდილება შეუქმნას. მიზანს ერთხელაც არ აცილებს.

**13 საათი და 40 წუთი.**

მეორე საგუშაგო.

საერთო საცხოვრებლის წინ გამწკრივებული ასეული ბრძანებას ელის. არცერთი სიტყვა, არავითარი მოძრაობა. მხოლოდ ლოდინი. გაქვავებული სახეები, მკვდრული მდუმარება და უეცრად — „ცეცხლი!“

ოთახში, რომელსაც 5 კამანელი შეხიზვნია, ფანჯრის მინები ზრიალით იმსხვრევა და აფეთქებების ტალღას ტყვიების, ჭურვის ნამსხვრევების ნიაღვარი შემოაქვს.

ცეცხლი დაბლა მოიწევს, კედლებს მოჰყვება, დერეფანში გიზგიზებს. აალებული იატაკი ტკაცუნობს. ჩამონგრეული ჭერიდან ბათქაში ცვივა. ირგვლივ საშინელი მხუთრი და ბულია. სუნთქვა ჭირს.

... უეცრად სროლა წყდება. „ბოევიკები“ ავტომატების, ტყვიამფრქვევების, ნაღმსატყორცნების ლულებს ძირს ხრიან. ერთხანს კვლავ უძრავად დგანან, მერე კი... მიდიან.

„დახოცილები ვგონივართ,“ — ამბობს ანატოლი.

„გადავრჩით,“ — შვებით იღიმება ლოლა.

**13 საათი და 50 წუთი.**

მეორე საგუშაგო.

პირველ სართულზე ვიღაც დააბიჯებს. სუნთქვაშეკრული დათო გადრანი სამალავიდან იხედება. ორ „ბოევიკს“ აფხაზი მეგზური ახლავს. ჩამწვარ კიბეს უახლოვ-

დებიან. მეორე სართულზე ასვლას ცდილობენ. ამაოდ. აქეთ-იქით იხედებიან, შენობას ზვერავენ, ხმადაბლა საუბრობენ, იცინიან.

მეგზური ძველთაძველ, ჭუჭყიან, ჩრჩილისგან დაჭმულ ლეიბებთან ჩერდება. ზედ ძაღლი წევს. აფხაზი ძაღლს დაჰყურებს, მერე ჯიბიდან სიგარეტს იღებს, უკიდებს, მშვიდად აბოლებს, ნამწვს იატაკზე აგდებს, გარეთ გადის და „ბოევიკებს" სოფლის ცენტრისკენ მიუძღვის.

იმავე წუთს ლეიბქვემოდან ვილაც გამოდის... ეს დათო გადრანია.

**14 საათი.**

მეხუთე საგუშაგო.

„ორმოცდამეთხუთმეტე, ორმოცდამეთექვსმეტე..." — აზარტში შესული ეგნატე კვიციანი საფრთხეს ვერ გრძნობს... მაგრამ ვაზნები ილევა. ეგნატე უკანასკნელ მჭიდს დებს ავტომატში. ისვრის და... ლულიდან ტრასირებული, მანათობელი, ტყვიები ცეცხლოვანი ნაკადივით იფრქვევა...

„ჯანდაბა, ნუთუ სამალავი გავეცი?" — ფიქრობს თავზარდაცემული კვიციანი და იმავე წამს ყუმბარმტყორცნის გრუხუნიც ისმის.

* * *

შტაბი.

ზაზა პაკელიანი საბოლოოდ უკავშირდება შრომას:

„ისინი უკვე შტაბში არიან... ბარემ ჩვენთან ერთად დაიხოცონ... ჩაინიშნეთ კოორდინატები და დაუყოვნებლივ დაგვარტყით!.."

**14 საათი და 10 წუთი.**

„ლოდინს აზრი აღარ აქვს..." — ამბობს ჯიმშერ გადრანი.

„რა ვქნათ?"

„ფანჯრიდან გადავხტეთ."

ფანჯრის წინ, 20-იოდე მეტრში, ძველი შენობის ნანგრევებია. მერე ტყე იწყება.

„ნანგრევებამდე თუ მივაღწევთ, აღარაფერი გვიშავს..."

ზაზა ფიქრობს:

„კარგი..."

ორ-ორად ხტებიან. წელში მოხრილნი გარბიან. ნანგრევებთან ჩერდებიან. დანარჩენებს უცდიან. ისვრიან.

რვა მებრძოლი სამშვიდობოზეა. ბოლოს მალხაზ კახიანი ხტება. გარბის. ტყვიები ფეხდაფეხ მისდევს. ტყის პირამდე სამიოდე ნაბიჯილა რჩება. ერთი, ორი...

მამა — ვლადიმერი — ხედავს, უეცარი ტკივილისგან ადგილზე როგორ შეშდება და შემდეგ, ხელგაშლილი, პირაღმა, მოწყვეტით როგორ ეცემა კეფაში სასიკვდილოდ დაჭრილი მისი შვილი ...

ყველაფერი დამთავრდა.

* * *

სროლა დღის ბოლოს შეწყდა. მეორე დილას სოფელში ჩეჩნურ-სომხური ბატალიონები გამოჩნდნენ.

6 ივლისს, სამშვიდობოზე გასულმა ჯიმშერ გადრანმა შრომის მთიდან გარკვევით დაინახა სამი თვითმცლელი, რომლითაც სადესანტო-იერიშმიმტანი ბრიგადის მებრძოლთა გვამებს ეშერისაკენ მიასვენებდნენ. მსხვერპლი დიდი იყო.

დაახლოებით თვენახევრის შემდეგ, 1993 წლის 15 აგვისტოს, კამანის გმირები სოხუმთან ახლოს, სოფელ მაჭარაში დაკრძალეს.

5 ივლისს 32 კამანელი მებრძოლიდან 23 დაიღუპა.

დასახიჩრებული, გონდაკარგული ადამ გვიჩიანი ტყვედ ჩაიგდეს და წამებით მოკლეს.

ადამის ბიძა, ელგუჯა გვიჩიანი, აფხაზთა დაჯგუფების გაჟლეტის გამო, დახვრიტეს და დაწვეს.

ეგნატე კვიციანი, რომელიც მოწინააღმდეგეს ცხრა საათის განმავლობაში მარტოდმარტო იგერიებდა, ყუმბარმტყორცნით ააფეთქეს.

დაჭრილი ვლადიმერ კახიანი ჯერ ანამეს, მერე თავი მოკვეთეს.

ზაზა პაკელიანი, 5 ივლისსვე, მესამე საგუშაგოსთან მოკლეს.

საშა გამსახურდია, მერი პაკელიანის მეუღლე, სოფლის ალებიდან ერთი კვირის თავზე დახვრიტეს.

ქართველთა გვამები ადგილობრივ მოხუცებს დაამარხვინეს და შემდეგ ისინიც ჩახოცეს.

ტაძარს შეფარებული 12 ხანდაზმული ქალი კი დაინდეს.

ანუას ცოლ-შვილმა ტყვეობაში 52 დღე დაჰყო. მხოლოდ გათავისუფლების შემდეგ შეიტყვეს, რომ იური ანუა „ბოევიკებმა" წმინდა ვასილისკოს წყაროსთან სასტიკად სცემეს, ფეხები გადაუმსხვრიეს, ბოლოს ხეზე დაჰკიდეს და დაცხრილეს, თუმცა მის გვამს ჭირისუფლებმა ვერსად მიაგნეს.

მამა ანდრია, რომლის სისხლი თურმე სამი დღე-ღამის განმავლობაში არ შედედდა, ხოლო სხეული მწველი მზის ქვეშ არ გაიხრწნა, ტაძრის კედელთან დაკრძალეს.

ანატოლი ჩაჩხიანი და ლოლა გერლიანი გადარჩნენ. მათ 5 ივლისის ღამე ინვალიდთა საერთო საცხოვრებლის ბუნკერში გაათიეს, ხოლო გამთენიისას გუმისთის დინებას შრომისკენ დაუყვნენ. შრომაში ელგუჯა გვიჩიანის ვაჟი, გურამი, დათო და ჯიმშერ გადრანები დახვდნენ.

კამანის ალებიდან ზუსტად 22 დღის შემდეგ, 1993 წლის 27 ივლისს, მეორე სამშვიდობო — რუსულ-ქართულ-აფხაზური — ხელშეკრულება დაიდო, მაგრამ სროლები მხოლოდ თვენახევრით შეწყდა. 16 სექტემბერს სოხუმის შტურმი დაიწყო. 27-ში ქალაქი დაეცა.

30 სექტემბერს გუმისთის გაერთიანებული ფრონტების მთელი შემადგენლობა მდინარე ენგურს მიადგა. ხიდზე რუსული საგუშაგო გაიხსნა და ზედ აფხაზეთის დროშა აფრიალდა.

ამ დღიდან მეოცე საუკუნის მიწურულის საქართველოში ტერიტორია ფსოუდან ენგურამდე სიმბოლურად ახალ სახელმწიფოებრივ საზღვრებში მოექცა. ორი ერის თანაცხოვრება შეწყდა. საქართველომ აფხაზეთი დაკარგა...

ზაზა აბზიანიძე

# ერთი თარგმანის ისტორია...

2003 წლის ნოემბერში ალექსანდრე ებანოიძემ ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ (რომელსაც იგი აგერ უკვე თხუთმეტი წელია რაც რედაქტორობს) ავტორები და მთარგმნელები მიიწვია შემოქმედებით სემინარზე პერედელკინოში, მოსკოვის სიახლოვეს. ვიცოდი, რომ ქართული მწერლობის რუსულ ენაზე ჯეროვანი თარგმნა და წარმოჩენა ამ სემინარის ერთ-ერთი ძირითადი თემა უნდა ყოფილიყო და ნამდვილად მესიამოვნა, როდესაც ქართული პოეზიის რუსულენოვანი თარგმანის მასტერ-კლასის წარმართვა შემთავაზა. ღვთის მადლით, ბორის პასტერნაკის აგარაკი ასიოდე მეტრის დაშორებით იდგა, შორიახლოს იყო მისი საფლავიც და ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ქართული პოეზიით გატაცებულ რუსი პოეტების ახალთაობას მისი სული თავს დასტრიალებდა... იმ უამრავ ღირსშესანიშნავ წამოწყებათა შორის, რომელნიც ალექსანდრე ებანოიძის სახელს უკავშირდება – და რომელთა მიზანი ქართული მწერლობის მსოფლიო (და არა ოდენ რუსულენოვან) ასპარეზზე წარმოჩენაა – პერედელკინოს სემინარი მხოლოდ ერთ–ერთი იყო, მაგრამ ჩემთვის რამდენიმე გარემოებით მეხსიერებაში სამუდამოდ ჩარჩენილი.



ალექსანდრე ებანოიძე

დავიწყებ იმ ატმოსფეროთი, რომელსაც ჩვენი მასპინძლის უცთომელი ალღო წარმართავდა; ერთი შეხედვით, ყურადღებას იგი ყველას თანაბრად უნაწილებდა... და მაინც – ბოლო დღეს აღმოვაჩინე, რომ ჩვენმა საშამ (ასე მიმართავენ ალექსანდრე ებანოიძეს მეგობრები, თუ მაინცადამაინც ოფიციალური სიტუაცია არაა) იშვიათი დელიკატურობით მოახერხა მთელი სემინარის მონაწილეთა ინტერესების ფოკუსში სწორედაც რომ მშობლიური მწერლობა მოექცია. „მშობლიურს“ ხაზგასმით ვწერ – არა მხოლოდ იმიტომ, რომ საშას ზემოიმერული კილო ყურთასმენას მიტკბობს, უფრო იმიტომ, რომ მსოფლიოს მრავალ ენაზე თარგმნილმა მისმა იშვიათად თბილმა, ნოსტალგიურმა რომანმა „იმერული ქორწილი“, მისივე იმერული სოფელი ათასობით ადამიანს შეაყვარა. საშამ მოსკოვის ლიტერატურული ინსტიტუტი დაამთავრა და, ეტყობა, განგებას განზრახული ჰქონდა, იგი მოსკოვში დარჩენილიყო და იქ ქართული კულტურის დესპანის მისია ეკისრა. ახლა, როცა მოსკოვში ოფიციალური ელჩიც აღარა გვყავს, ალექსანდრე ებანოიძის მისია ათმაგად რთული, მაგრამ ასევე ათმაგად მნიშვნელოვანი შეიქნა და გარდა კულტურისა, უკვე ჩვენი ეროვნული ინტერესების დაცვაც შეითავსა (ინტერნეტში შეგიძლიათ იხილოთ მისი უმძაფრესი სტატიები და სატელევიზიო გამოსვლები ამ თემაზე ).

ზემოხსენებულმა „იმერულმა ქორწილმა“, რომელიც 1976 წელს გამოქვეყნდა (სხვათაშორის, სწორედ „დრუჟბა ნაროდოვის“ ფურცლებზე) საშას საყოველთაო აღიარება მოუტანა, უკვე როგორც რუსულენოვან მწერალს, თუმცა ქართული სოფლისა და, საზოგადოდ, ქართული სინამდვილის ლაღი იუმორით აღსავსე ფაქიზ მხატვარს. აქვე დავძენ, რომ მისი პირველი მოთხრობა 1965 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიაში“ (ეს ეკვე ჩემთვისაა სიმბოლური!), ხოლო მისმა ბოლო რომანმა (1996 წლით დათარიღებულმა – „შენდობა შენდა...“) იმავ „დრუჟბა ნაროდოვის“ მკითხველს უკვე საქართველოს ბოლოდროინდელი, დრამატიზმით აღბეჭდილი მოვლენების ჩაკვირვებული და გულმტკივანი ჟამთააღმწერელი დაანახა.

საშას ერთ-ერთი ბოლოდროინდელი პროზაული ჩანახატი სწორედ იმ, 2003 წლის გვიან შემოდგომაზე წავიკითხე პერედელკინოში. ცრემლნარევი სიცილით ვკითხულობდი: სიტუაცია მართლაც კომიკური გახლდათ, მაგრამ თვით ინსპირატორი ამ კოლიზიისა, ჩემთვის (და ბევრი ჩვენგანისათვის) საყვარელი და პატივსაცემი პოეტი, ცოცხალი აღარ იყო... სემინარის დამთავრების შემდეგ, რამდენიმე დღით დავრჩი პერედელკინოში. გადაუღებლად თოვდა. ვიჯექი მარტოდმარტო მწერალთა სახლის ჩათბუნებულ ოთახში და მოსკოვში შეძენილ ახალ წიგნებს ვათვალიერებდი. მერე საშას მოთხრობას მივუბრუნდი, გადავიკითხე და მივხვდი, რომ სწორედ ახლა – ამ განწყობაზე და ამ გარემოცვაში (ფანჯრიდან უზარმაზარი დათოვლილი ნაძვები მოჩანდა) შემეძლო ერთი, მოულოდნელი საჩუქარი გამეკეთებინა ქართველი მკითხველისთვისაც და თვით საშასთვისაც – ქართულად მეთარგმნა მისი მოთხრობა.

მოსკოვიდან დაბრუნებულმა თარგმანი ჩვენს გაზეთში კი მივიტანე, მაგრამ „ძარცვა ჩვენებურად“ ასევე ჩვენებური „ვარდების რევოლუციის“ აკომპანიმენტქვეშ გამოქვეყნდა და ჩვენ ხომ კარგად ვიცით, როგორ მკრთალდება და უჩინარდება ყოველივე პოლიტიკურ ვნებათაღელვათა ფონზე...

ისევ მასტერ-კლასმა შეგვახვედრა – უკვე ექვსი წლის შემდეგ — და ახლა სულ სხვა გარემოში: პალმების, შავი ზღვისა და ივნისის მცხუნვარე მზისა. გრიგოლეთში თბილისის „რუსულმა კლუბმა“ პოეზიის საერთაშორისო ფესტივალი მოაწყო (ფირმა „ენისელისა“ და „ქართუ“–ბანკის ხელშეწყობით – უმადურობა იქნებოდა, არ აღმენიშნა). აქაც თითქოს საშა დირიჟორობდა სიტუაციას, ისე წარიმართა ლექსების კითხვაც, ჩემი მასტერ-კლასიც, სტიქი-

## შტრიხები პორტრეტისათვის

ური დისკუსიებიც... ნებისმიერ ფესტივალზე სხვადასხვა ჯურის ხალხი ირევა, მერე ხდება ხოლმე რალაც „ბუნებრივი შერჩევა“ და ამბიციურ, თავშეყვარებულ, ენამოჩლექილ თუ პირიქით – დაბოლმილ „მოფესტივალეებისაგან“ გამოარჩევთ იმათ, რომელთა გამოც ნამდვილად ღირდა თქვენი იქ ჩასვლა, სადაც აღმოჩნდით... თუ გრიგოლეთზეა ლაპარაკი – „ჩემი ნაკრებიდან“ კიდევ სამ ადამიანს გამოვყოფდი ცალკე: ერთი გახლდათ ანნელიზა ალლევა, იტალიელი პოეტი და მთარგმნელი, ცნობილი მეცნიერი–სლავისტი (აქვე, ვერ მოვითმენ, რომ არ დავუმატო – იოსიფ ბროდსკის მუზა!); მეორე და მესამე კი – მამა–შვილი ებანოიძეები.

სასტუმროს ერთ ნომერში თანაცხოვრება, ოთახების რაოდენობისა თუ ინტერიერის „ევროსტანდარტებთან შესატყვისობის“ მიუხედავად, ერთგვარი ტესტია – შეიძლება საერთოდ დაკარგო ადამიანი, თან სრულიად უმიზეზოდ... ესაა „თავსებადობის“ უცნაური ეფექტი... ჰოდა, თუ „თავსებადობაზეა“ ლაპარაკი, შემიძლია ვთქვა, რომ, ჩემი საცხოვრისიდან გასულს, ცოტა მქონია ცხოვრებაში ისეთი სულიერი კომფორტით სავსე ათი დღე, როგორიც ალექსანდრე და იგორ ებანოიძეებთან გრიგოლეთის სასტუმრო „ანდამატში“...

თბილისში დაბრუნებისას, იგორის მიერ რუსულად თარგმნილი, კომენტირებული და ბრწყინვალე წინათქმით თანდართული ფრიდრიხ ნიცშეს ეპისტოლური მემკვიდროების ერთტომეული თაროზე შემოვდე მამამისის წიგნების გვერდით და ყოველთვის, როცა თვალს შევავლებ „ებანოიძეების კუთხეს“, მახსენდება ჩვენი ღამეული საუბრები გრიგოლეთის სასტუმროს მყუდრო აივანზე და ის ჩუმი ბედნიერების განცდა, რომელიც ეუფლებათ ხოლმე ერთნაირი ინტერესებითა და წარმოდგენებით მცხოვრებ, სულიერად მონათესავე ადამიანებს...

ალექსანდრე ებანოიძეს 26 აგვისტოს 70 წელი შეუსრულდა. დარწმუნებული ვარ, ჩვენს სახელოვან თანამემამულეს, კოლეგები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან შესატყვისი პათოსითა და მჭევრმეტყველებით მიულოცავდნენ ღირსშესანიშნავ თარიღს. მაგრამ, რატომღაც მგონია, რომ იუბილარის გულს ყველაზე უფრო სწორედ ეს უპრეტენზიო მოგონება გაათბობს...

ამ „საიუბილეო მასალის“ სწორედ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე გამოქვეყნებას ერთი „ნოსტალგიური მიზეზიც“ აქვს: საშა გვიან მოინათლა და ნათლია უკვე თვითონ უნდა აერჩია. ამ იშვიათი სისადავითა და თავმდაბლობით გამორჩეულ კაცს მთელი ჩვენი ათდღიანი თანაცხოვრების განმავლობაში, მხოლოდ ერთხელ შევნიშნე ინტონაციაში რალაც ზეაწეულობა და ხაზგასმული სიამაყე – ეს მაშინ, როდესაც მითხრა, რომ მისი ნათლია ოთარ ჩხეიძე იყო...

## გამოხმაურება

ინგა მილორავა

# ფიქრები ქარში

*

### ზურაბ კანდელაკის რომანი „უძრავი ქარი“

მართლაც ძნელია მიხვდე, საიდან ან როდის დაიწყო ყველაფერი, მაშინ, როცა ადამიანი გზის გასაყართან დადგა, თუ იმ წუთას, როცა ქარმა, ყოვლისმომცველმა და შეუკავებელმა, დაუნდობელმა და გარდაუვალმა, შემოანგრია სულის დაგმანული სარკმელი და იწყო თარეში, შიგნით, სიღრმეში. ყველაზე დაფარულ და დაცულ შრეებამდე ჩააღწია და აშალა ადამიანის არსებობის ყველაზე დიდი გამართლება — მისი ფიქრები. ან სულაც იმიტომ დაიწყო და ხდება ის ამბავი, რომელიც ზურაბ კანდელაკის რომანში — „უძრავი ქარი“ არის მოთხრობილი, რომ როგორც ერთი გმირი, სოფრომი, ამბობს: „ცოდვილების ქვეყანაში ცოდვას ვერ გაექცევიო!“

„ჟამთა სიავე“ ადამიანის ისედაც ცოდვილ ბუნებას უფრო ამძიმებს, ტკივილები მძაფრდება და მერე, შესაძლოა, სოფრომის საერთოდ არსებობაც ეჭვქვეშ დადგეს. სამაგიეროდ, რჩება უსასრულო ხილვები, ზღვა, რომელიც სულის სიღრმეშია, „ათასგვარი ნათურებით გაჩირაღდნებული თეთრი ხომალდი, ნისლიდან მოულოდნელად ამობრწყინებული და უმალ ნისლში გაუჩინარებული...“, სურნელი, უხილავის წამიერი შეცნობა ნისლში, ტკივილი...

და, რაც მთავარია, ქარი ცოდვილების ქვეყანაში...

სიტყვიერ ქარში ერთმანეთის მიყოლებით იშლება სხვა სიტყვები და ფიქრები. ეს ის სამყაროა, სადაც „ცოდვილებს უნდათ, რომ რაც შეიძლება მეტი ცოდვილი იყოს მათ გვერდით“, და ასე და ამგვარად მოწყობილ სივრცეში ჩვენ ყველას, მწერალსაც და მკითხველსაც, გვრჩება ერთადერთი რამ — სიტყვაში გაცოცხლებული ფიქრი, რომელიც ჯერჯერობით ისევ ჩვენ გვეკუთვნის, განუყოფლად და შეუცილებლად.

ფიქრის დინება, მისი ერთი დაუბრკოლებელი ნაკადია ეს რომანი, რომელიც, ჩემი აზრით, თანადროული სინამდვილის ერთ-ერთ თვალსაჩინო შემოქმედს, ზურაბ კანდელაკს, ეკუთვნის. რომანის კითხვისას სულ თან მდევდა სურვილი, რომ მთლიანად გავმიჯნოდი მის რადიოპიესებს, მის რეჟისორულ ნამუშევრებს, იმ ხმებს და ხილვებს, რომლებიც ცნობიერებაში დარჩა, რადგან აშკარად იგრძნობა, რომ ეს ტექსტი სრულიად დამოუკიდებელია, სხვა საფეხურია და ასევე განსხვავებული მხატვრულ-ემოციური მიზანდასახულობა გააჩნია. თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ ბევრი მხატვრული სახის გასაღები მომცა სწორედ იმ გამოცდილებამ, რომელიც შემოქმედის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთლიან, დაუნაწევრებელ დრო-სივრცეში მოგზაურობამ დატოვა. მიუხედავად ამისა, ეს ტექსტი-ხილვა, ტექსტი-აღსარება მაინც სრულიად ავტონომიურად უნდა განვიხილოთ. ამ თვალსაწიერიდან შეაფასებს მას თანამედროვე და, იმედია, მომავლის მკითხველიც.

მკითხველი... რა დღეშია მკითხველი დღეს? მას ყოველი მხრიდან უტევს ფსევდოღირებულებები, სულის გამყინავი სიმარტივე, თან ყალბი, თან გრძნობიდან დაცლილი და თანაც ეპატაჟით დაღდასმული იოლად აღსაქმელი ფრაზები, რომ აღარაფერი ვთქვათ ყოველდღიურობაზე, რომელიც ნამდვილად არ უწყობს ხელს ფიქრს, სიტყვის სიღრმეში ჩაძირვის სურვილის აღძვრას. ზედაპირზე ტივტივით კი ამგვარი ტექსტის შეცნობა და შეგრძნება თითქმის შეუძლებელია. რა თქმა უნდა, ჯოისის, კაფკას, ფრიშის, დიურენმატის ან თუნდაც ამ რომანის — „უძრავი ქარი“ — აღქმა რთულია და დიდ ძალისხმევას, სულიერ „თანამშრომლობას“ მოითხოვს და ამ შემთხვევაში ე.წ. ლიტერატურის ელიტურობის კონტრარგუმენტიც რეალურ ძალასა და სიმყარეს იძენს, მაგრამ, ვფიქრობ, ჩვენს სინამდვილეში ბევრად უფრო რთულადაა საქმე.

ჩვენს ლიტერატურას, ზოგადად კულტურას არასდროს ჰქონია ელიტურობის ფუფუნება, მეტიც, უფლება. დღეს კი თითქმის სიცოცხლის, სისხლის ფასად ვეჭიდებით იმ ერთადერთს, რაც ჯერ კიდევ ჩვენია — სიტყვას. მთელი ძალით ვცდილობთ ხელი არ გავუშვათ სიტყვას და ფიქრს, როგორც ხავსს, მაგრამ უსახურობის ნაკადი სულ უფრო ძლიერია. შეიძლება გადაჭარბებადაც ჩაითვალოს და არც შავბნელი აზრების გადმოფრქვევაა მთლად მართებული (მითუმეტეს, ასეთი მშვენიერი რომანის კონტექსტში), თანაც ისიც არ ვიცი, რა ეშველება ყველაფერ ამას... მაგრამ რომელ ნისლში გახვეულ ელიტაზეა საუბარი, როცა ამდენი პიროვნული, ზნეობრივი და ესთეტიკური კომპრომისისა და უძლურების შემდეგ სავალალო ვითარებაა შექმნილი და წინ კიდევ ისეთი ვითარება გველოდება, როცა ელვარე, გონებამახვილური, ტრაგიზმითა და შინაგანი სიმდიდრით მიმზიდველი ტექსტის აღქმას კი არა, კომიქსებზე მიწერილი ტექსტის წაკითხვასაც კი ბევრი ვერ შეძლებს.

ამ პასუხისმგებლობას ვერც შემოქმედი გაექცევა და ვერც მკითხველი.

თუმცა, როცა მწერალი წერს, ის პასუხისმგებლობაზე არ ფიქრობს და არც უნდა ფიქრობდეს. მისი ნააზრევი თავისთავად გასაგებს ხდის მისი სულის მოძრაობას, ესთეტიკურ მრწამსს, ღირებულებათა სისტემას. ზურაბ კანდელაკის რომანი თავისთავად გულისხმობს აღქმის და შემეცნების, ემოციების სიმძაფრისა და ესთეტიკური ღირებულების შეგრძნების მაღალ დონეს. ის შეღავათს არ აძლევს მკითხველს, პირიქით, იწვევს ერთგვარ „კეთილმოსურნე“ ორთაბრძოლაში, ინტელექტუალურ თამაშსა და მოგზაურობაში, გაჰყავს გზაზე,

სამშაბათს, 15 დეკემბერს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში გაიმართება

**ნონა კუპრეიშვილის**

საჯარო ლექცია

**„60-80-იანი წლების
ქართული სალიტერატურო
კრიტიკის ნოვაციები“**

დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41

რომელიც მხოლოდდამხოლოდ ადამიანის სულის სიღრმეში გადის და არსად სხვაგან.

ეს სამყარო მრავალპლანიანი და მოუხელთებელია. მწერალმა თანამედროვე რომანის ფორმას მიმართა და ერთ-ერთი მთავარი ხერხი — შესუსტებული ფაბულა — გამოიყენა. მას არ სურს მიიზიდოს მეორე ადამიანი მხოლოდ ამბით, არამედ, პირიქით, მას მიანდობს, ერთმანეთში თითქმის შეუმჩნევლად გადასული გამჭვირვალე გრძნობიერი სფეროებიდან (თითეულს თავისი არქიტექტონიკა, ფერი, რაც მთავარია, უმწვავესი გრძნობიერი ველი აქვს) შექმნას ამბავი.

ამ რომანს ჰყავს გმირი — ადამიანის შინაგანი ხმა — რომელიც ჰყვება „ცოდვილ მიწაზე“, „ცოდვილთა ქვეყანაში“, „ცოდვილ ჟამს“, „ცოდვილი ისტორიის“, „ცოდვილი აწმყოს“ გავლით შემდგარი ერთადერთი რეალობის — ადამიანის სულის — სიცოცხლის ამბავს. გადმოსცემს აღსარებას, ტკივილს, შიშს, ოცნებას, სიყვარულს, მიდის სიგიჟის ზღვრამდე და ისევ უბრუნდება საკუთარ თავს ამ სამყაროში, როგორც მის ნაწილს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის მინიშნებანი, რომლებიც უხვადაა მიმოფანტული ტექსტში და ერთგვარ საყრდენ წერტილებადაც კი წარმოსდგებიან, რომელსაც ეფუძნება მოუხელთებელი სუბსტანციის — სულის — მრავალწახნაგიანი ისტორია. ზოგჯერ თხრობის ნაკადი რეალურამდე, ხელშესახებამდე მოდის, მაგრამ შემდეგ ისევ გასხლტება და ეფემერული მოქმედების თავბრუდამხვევ მორევში გაიტაცებს უკვე თანამოაზრედ ქცეულ მკითხველს... რომანის კითხვა ნამდვილად მოითხოვს სულიერ ძალისხმევას და თავისთავად გულისხმობს თანაგანცდის უნარის არსებობას. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება გახდეს გასაგები, რა არის სიცოცხლე ამ სულისთვის — გილიოტინის დანა? თუმცა როგორი დანა, ნამდვილი თუ ბუტაფორული? და როგორია თავისთავად ის, რაც გარს ახვევია საკუთარ სიღრმეებში თვალჩაბრუნებულ სულს — ნამდვილი თუ ბუტაფორული?

მართლაც ძნელია მიხვდე, საიდან და როდის იწყება ყველაფერი. იქნებ მაშინ, როცა გზის გასაყარზე დგება ადამიანი, ან როცა სისხლიან გზებზე ცოცხალს ტოვებენ ერთს, სისხლისგან დაუცლელს, ექსპერიმენტისთვის, ან როცა თეთრი გემი შეცურდება მოციმციმე ხილვაში — ზღვაში, როცა იელვებს გილიოტინის ნაჯახი და ძმა ძმას მოეხვევა უკანასკნელად. ან იქიდან იწყება ყველაფერი, როგორც ყოველთვის და ყველგან იწყებოდა, ერთი სული ვერ დაიტევს ფიქრის სიუხვეს, გრძნობის სიმძაფრეს, ქარი, შეუკავებელი ქარი გამოანგრევს ჩაკეტილ სარკმელს და სიტყვებად გადმოსკდება.

ფურცლის აქეთ კი რომანს, მის სიტყვას მკითხველი დახვდება. ახლა სიტყვა მისია. ახლა მასზეა, როგორ მიიღებს და როგორ უერთგულებს სიტყვას, რომელიც მისია.

გია ხოფერია

# „ვიზრუნო შემდეგი მოსვლისთვის“

**— თქვენი აზრით რა არის უკიდურესად გაჭირვებული მდგომარეობა?**

— როცა არც შენი ესმით და არც შენ გესმის მათი.

**— სად ისურვებდით ცხოვრებას?**

— სადაც ვცხოვრობ (სან-ფარცხანაყანევში)

**— რა არის უმაღლესი ბედნიერება?**

— მაგი ვიცოდე?!

**— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟი**

— აიმანო, ქშიონა, ბებია კარნავალა, ბორო, ახალთახალი კოკორია...

**— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟი?**

— გუბაზ II, აშოტ კურაპალატი, დავით ალმაშენებელი

**— თქვენი საყვარელი მხატვარი?**

— სალვადორ დალი, ფიროსმანი

**— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?**

— ზაქარია ფალიაშვილი.

**— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?**

— ულალატობას, თანადგომას.

**— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?**

— თავის მშვენიერებას რომ არ გაიუფერულებს

**— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბვლელი?**

— ძალიან ცუდ ადამიანშიც კი ოდნავი კეთილშობილების ამოძებნა.

**— თქვენი საყვარელი საქმიანობა?**

— წერა, კითხვა, მორწყვა—გახმობის პირას მისული მცენარეებისათვის სულზე მისწრება.

**— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ რომ ყოფილიყავით?**

— მამაჩემი.

**— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?**

— უპერსპექტივო ოცნება, ბრძოლა ათასგვარი წვრილმანისთვის, სინანული...

**— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?**

— სწორად ურთიერთწაკითხვას.

**— თქვენი მთავარი ნაკლი?**

— მოუზომავად აჩქარება

**— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?**

— მხოლოდ წარმოდგენა.

**— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?**

— გაჩერება.

**— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?**

— ჩემნაირი.



**— თქვენი საყვარელი ფერი?**

— სულ ბოლოს რომაა, ის.

**— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?**

— რომელსაც ვუყვარვარ.

**— თქვენი საყვარელი ფრინველი?**

— არწივი.

**— თქვენი საყვარელი მწერალი?**

— სერვანტესი, მარკესი, ბულგაკოვი, გრიგოლ რობაქიძე, გურამ დოჩანაშვილი, ოთარ ჩხეიძე...

**— თქვენი საყვარელი პოეტი?**

— დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონი, ტერენტი გრანელი, ნიკო სამადაშვილი, ალექსანდრ ბლოკი...

**— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალი?**

— ანა კარენინა, ოთარაანთ ქვრივი, ალაზა...

**— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?**

— ზვიად გამსახურდია.

**— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?**

— ქართლ-კახეთის უკანასკნელი დედოფალი მარიამი.

**— საყვარელი სახელი?**

— თეო, ზაზა, დარინა, იამზე, ნინო, ზეზვა, ბაკური...

**— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?**

— უნიჭობის ზეიმს, კუდბათქუნა პროფესიონალს, სერიოზულად მოსაუბრე იდიოტს.

**— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?**

— სერგო ორჯონიკიძე.

**— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?**

— “ძლევაი საკვირველი”, ასპინძისა და ხრესილის ბრძოლები.

**— რეფორმა, რომელსაც განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?**

— ვგიჟდები “განათლების რეფორმაზე” საქართველოში!

**— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?**

— რაც მაქვს, თუ მოვერიე, მერე ვნახოთ...

**— როგორი გინდოდათ რომ მომკვდარიყავით?**

— ეს კი, ნამდვილად, კაი სალაპარაკო თემაა!

**— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?**

— “ელვარე და ლომფერი”.

**— ქმედებანი, რომელიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?**

— მინუს ადამიანურ ქმედებებზე ვწყრები.

**— თქვენი დევიზი?**

— ვიზრუნო შემდეგი მოსვლისთვის.

**— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?**

— დიდი ხანია გალვიძებული ვარ შენში...

ლაშა იმედაშვილი

# ბოზოიანის დღიური

მას შემდეგ, რაც შემთხვევითი მგზავრის წყალობით, გერმანელი მწერლის ნაწარმოების შინაარსი ტარიელ ბოზოიანისთვის ცნობილი შეიქნა, თბილისის მკვიდრმა გადაწყვიტა ეშმაკს გარიგებოდა და საკუთარი სულის სანაცვლოდ კერძო სახლი მოეთხოვა ქალაქის ცენტრში, რა თქმა უნდა, საშუალო ზომის ბაღით და ყველა იმ სიკეთით, რომელიც ამგვარ სახლს ახლავს ხოლმე თან.

ეშმაკმა, როგორც სჩვევია, ყურადღებით მოუსმინა რიგით მოქალაქეს, თუმცა მალევე განუმარტა, რომ უძრავ ქონებაზე თბილისში ამგვარი ფასები უკვე დიდი ხანია აღარ მოქმედებს და ერთადერთი, რისი შემოთავაზებაც შეუძლია, მხოლოდ და მხოლოდ ტარიელის უკვდავება გახლავთ.

საქმის ამგვარი შემობრუნება მოქალაქე ბოზოიანს ნამდვილად არ აძლევდა ხელს, რადგან მისი უკვდავება იმის მანიშნებელი იყო, რომ იტალიურ ეზოს, სადაც ცხოვრობდა, თავს ვერასოდეს დააღწევდა და მეუღლეც, გარკვეული დროის განმავლობაში მაინც, გვერდით უნდა ჰყოლოდა. არადა, ტარიელი სრულიად ახალი ცხოვრების დაწყებას გეგმავდა, ახალი ბინითა და, სავარაუდოდ, ცხოვრების ახალი თანამგზავრით.

მოკლედ, შეკამათდნენ.

აღარც ეშმაკმა დათმო და საქმე ხელის გარტყმამდეც მივიდა. ვინ იცის, რა უბედურება დატრიალდებოდა, ამ შეხლა-შემოხლისას ოთახში რომ ტარიელის ცოლი არ შემოსულიყო და ლოგინზე წამომჯდარი მეუღლისთვის მზრუნველი ხმით არ ეკითხა.

— მეძახდი თუ სხვა რამე?

— შარვალი მომიტანე. – ძლივს ამოთქვა ნაბრძოლმა ტარიელმა და მეუღლის ჯანმრთელ სხეულს თვალი შეავლო.

— რომელი? – დააზუსტა ცოლმა.

— გუშინდელი. – თქვა ტარიელმა, რომელიც ამ სიტყვაში ტაქსის მძღოლისთვის საჭირო სამუშაო სამოსს გულისხმობდა.

აფსუსი არ არის, ფიქრობდა ჭერს მიშტერებული ტარიელი, იმის იმედით, რომ არსებულ ნაპრალებს, დღეს მაინც ახალი ბზარი აღარ შეემატებოდა. მართლაც აფსუსი არ არის, ომარ ბოზოიანის შვილი ორ ოთახში ბერდებოდეს, თანაც რიჟა სუსანას სამეზობლოში. არადა, ომარ ბოზოიანს მთელი ქალაქი თუ არა, თბილისის ცენტრი მაინც იცნობდა. ჯერ ერთი, დაუზარლობისა და კარგი ბუნების გამო, მეორეც კიდევ იმ გახმაურებული ამბის წყალობით, რომელიც მომხდარა კიდეც ქალაქში გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში.

იმ წელს ომარს, სრულიად შემთხვევით, ქუჩის დალაგება-დასუფთავების დროს, მეტეხის ხიდთან, მეჩეთის ნანგრევებში, ვერცხლის მონეტებისთვის მოუკრავს თვალი.



მარტო რომ ყოფილიყო, ალბათ დამალავდა კიდეც, მაგრამ ჯერ კიდევ დღე იყო და ქუჩას გამვლელ-გამომვლელი არ აკლდა. ამტყდარა ერთი გნიასი და მიდი-მოდი, როგორც მაშინ მიღებული იყო, საქმეში უშიშროება და პარტიული ორგანოები ჩარეულან. მეცნიერთა შესწავლა-გამოკვლევის შემდეგ განძის მესაკუთრეც დაუდგენიათ. ეს ყოფილა ვინმე შაჰ ისმაილი, რომელიც კარგა ხნის გარდაცვლილი ბრძანდებოდა და რომელსაც, სავარაუდოდ, საგულდაგულოდ ჰქონდა კიდეც გადამალულული 434 ხსენებული ვერცხლის მონეტა. იმდროინდელი წესის თანახმად, განძის გარკვეული ნაწილი მპოვნელს უნდა რგებოდა წილად, მაგრამ ომარისთვის სამადლობელი წერილის მეტი არაფერი მიუციათ.

ამ ამბიდან ორიოდე თვეში ქართული წარმოშობის დიდი ბელადი გარდაიცვალა და ქალაქში ისეთი ამბები დაიწყო, საეჭვოა, შაჰ ისმაილის მონეტები და მისი მპოვნელი ვინმეს გახსენებოდა. ერთადერთი, რასაც ბოზოიანები ამ შემთხვევიდან გამორჩენილან, სწორედ ის ოროთახიანი მიწისპირა სათავსო ყოფილა ჭონქაძის ქუჩაზე, რომელსაც ბინას დიდი ხათრით დაარქმევდა ადამიანი.

ტარიელ ბოზოიანი სომეხი არავის ეგონოს, თბილისელი ქურთია.

მისი გვარი ჯერ კიდევ იქიდან იღებდა სათავეს, როდესაც ჩვენს ქალაქში ქურთების მხოლოდ სამი ოჯახი ცხოვრობდა და ისინი, ქართველებთან ერთად, ორბელიანის, მოგვიანებით კი გენერალ მადათოვის კუნძულიდან მთელი თბილისისთვის რამე-რუმეებს ეზიდებოდნენ. ტარიელის დიდ პაპას, ისო ბოზოიანსაც ამ თრევა-თრევაში გაუცვნია თავისი მომავალი მეუღლე, ხაზალა მოსესტოვა. თავად ხაზალას, მცირე ხნით, ვიდრე მამამისი წელში გაიმართებოდა, ადელხანოვის ტყავის ქარხანაში უმუშავია. ეს ქარხანა ადგილობრივ ნედლეულს ამუშავებდა და ტყავის ნანარმითა თუ ფეხსაცმელებით მთელი კავკასიის ჯარებს ამარაგებდა.

იმ დროისთვის ხაზალას მამას გაჭირვებული კაცი აღარ ეთქმოდა, თბილისში განთქმული ბაზაზი ყოფილა, იგივე ფართლეულის ვაჭარი, რომელიც ლილასაც ჰყიდდა, რაზეც დიდი მოთხოვნა ყოფილა იმდროინდელ სამღებროებში, ანუ ლილახანებში. ამიტომაც წასულა ქორწილის წინააღმდეგი, უქონელი სიძე ვის უნდა, მოსესტოვს რომ სდომებოდა, მაგრამ ახალგაზრდებს აღარ მოუშლიათ და რაზმიკ მოსესტოვიც დათანხმებულა. ასე შექმნილა ბოზოიანების ოჯახი, რომელიც დასახლებულა მოსესტოვის ნაბოძებ ერთ უფანჯრო ოთახში, ვორონცოვის მოედანზე, ხოლო შემდეგ, აღნიშნული განძის წყალობით, გადმოსახლებულა მთაწმინდაზე.

ისიც უნდა ითქვას, რომ თვით ტარიელს სიამაყის, ნაღდ თბილისელ წინაპართა ხსოვნისა და სხვა წვრილმან მიზეზთა გამო, რომელთა ჩამოთვლა არც კი ღირს, ტაქსის მძღო-

ლობაზე არასოდეს უოცნებია, მაგრამ მხოლოდ ოცნება რა ბედენაა, როდესაც ცხოვრება ისეთია, როგორიც არის, და საკუთარი წესებით თამაშს გაიძულებს.

მშობლებსა და პრეზიდენტებს არ ირჩევენ — თავისთვის წარმოთქვა ძველი, ბელგიური ანდაზა მოწიფულ ასაკში ნასწავლი ინგლისურით თბილისის სტუმარმა, ერკიულ პუარომ, და მანქანაში მჯდარმა მზერა აეროპორტის გზაზე გამოკიდული უამრავი ბანერიდან ერთ-ერთს გააყოლა.

მამოწმებს თუ რა უნდა იყოს, გაიფიქრა ტაქსის მძღოლმა ტარიელ ბოზოიანმა, რომელსაც ამგვარი შემმოწმებლების შესახებ ბევრი რამ ჰქონდა გაგონილი, თუმცა საკუთარი თვალით არასოდეს ენახა. ამბობდნენ, თითქოსდა ეს გადაცმულ-დაგრიმული კონტროლიორები ჩვეულებრივ მოქალაქეს, მათთვის დამახასიათებელი თავაზიანობით, საუბარში იწვევდნენ, მერე კი საუბრის შინაარსსა და მოსაუბრის განწყობას ზედმიწევნით ზუსტად აღწერდნენ, ასევე მხოლოდ მათთვის ნაცნობ მისამართზე, რითაც მოსახლეობის ზრახვებისა თუ გუნება-განწყობის ამოცნობის საქმეს ხელისუფლებისთვის გვარიანად აადვილებდნენ.

შესაძლოა ასეც იყო, ანდა სულაც სხვაგვარად, მაგრამ ტარიელ ბოზოიანი, რომელსაც სხვისი მანქანა ნაქირავები ჰქონდა და ამაში მანქანის პატრონს დღეში ოცდახუთ ლარს უხდიდა, ასეთი არასერიოზული რამეებისთვის ვერ იცლიდა სწორედ იმ მარტივი მიზეზზით, რასაც ოჯახის რჩენა ჰქვია.

— ინგლისელი? – იკითხა ტარიელმა, თუმცა იმთავითვე გრძნობდა, რომ — აქცენტიდან გამომდინარე — შუახნის მამაკაცი ინგლისელი ვერ იქნებოდა.

— არა, ბელგიელი! – მიუგო სტუმარმა.

— ფრანგი მეგონეთ.

— ყველას ეგრე ჰგონია. – დააწყნარა სტუმარმა და იქვე, საუბარი შუაში რომ არ გაწყვეტილიყო, დაამატა. – თქვენს ინგლისურს არაფერი დაეწუნება, ოღონდ ეგაა, ჩემი არ იყოს, თქვენც აქცენტზე უნდა იმუშაოთ.

— სულ ტაქსის მძღოლი კი არ ვიყავი, ამ ცხოვრებას რა ვუთხრა, თორემ მე მთელი დღე ამას უნდა ვატრიალებდე?! – თავი გადააქნია მძღოლმა და საჭეს მოზომილად, მაგრამ მაინც დაჰკრა ხელი.

— თქვენთან მძღოლობა სირცხვილია? – გაიკვირვა სტუმარმა.

— არა, მაგიტომ კი არ მითქვამს ... – უკან დაიხია მძღოლმა და წამსვე ეს უსიამოვნო საუბარი სხვა მიმართულებით წაიყვანა. – მე ტარიელი მქვია.

— თარიელი ... – გაჭირვებით გაიმეორა სტუმარმა.

— ტარიელი ... თ კი არა ტ. – შეუსწორა მძღოლმა

— თარიელი ... – ისევ გაიმეორა სტუმარმა, თუმცა, გარკვეული მცდელობის მიუხედავად, ნათლად ჩანდა, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა და, დროებით მაინც, ქართული სტუმართმოყვარეობიდან გამომდინარე, თბილისელი მძღოლი საკუთარი სახელის დამახინჯებას უნდა შეგუებოდა.

— ჩვენთან საქმეზე თუ ისე?

— საქმეზე.

— დიდი ხნით?

— როგორც ძიება მოითხოვს.

— ინტერპოლი?

— არა, კერძო დეტექტივი ერკიულ პუარო.

— პუარო?! – ტარიელმა სარკეს თვალი მოაცილა და სტუმრისკენ სანახევროდ შემოტრიალდა.

სტუმარი ნასიამოვნები დარჩა და ინგლისური გაზონივით მოწესრიგებულ ულვაშებს ღიმილი ოდნავ შეახო.

— ეგ ისეთი ამბავია, თითო ჭიქა კარგი ღვინო მოუხდება... ისე მაგარი დასაყენებელი ჩაიც მაქვს, თინას უგზავნიან თურქეთიდან, თინა ჩემი ცოლია, თინას მე ვეძახი, თორემ თინათინი ჰქვია, ორივეს წიგნის ხათრით დაგვარქვეს სახელები.

— ვეფხისტყაოსნის, არა?

— ვა?! – გაიკვირვა მძღოლმა.

— წაკითხული მაქვს.

— ისე რა გასაკვირია, ფრანგულადაც ნათარგმნია და ინგლისურადაც.

— როგორც კი დავბრუნდები, აუცილებლად გადავიკითხავ კიდევ ერთხელ, – პირობა დადო სტუმარმა, რითიც საბოლოოდ მოიგო ბოზოიანის გული.

— თინა რომ დაგინახავთ, გადაირევა სიხარულით, დიდი ხანია თქვენი თაყვანისმცემელია.

— გმადლობთ.

— აუ, ის რა მაგარი კინოა, ვასტოჩნი ექსპრეს.

— რა ბრძანეთ?

— აღმოსავლეთის ექსპრესი. – უმალ მიხვდა საკუთარ შეცდომას ტარიელი და რუსული ინგლისურად გადააკეთა. – როგორ გამოიძიეთ, როგორ გახსენით ყველა საიდუმლო, თვითონაც ვერ მიხვდნენ, ისე აღმოჩნდნენ თქვენს ხაფანგში, მაინც რანაირად მოახერხეთ?

— პატარა, ნაცრისფერი უჯრედების დამსახურებაა. – თქვა პუარომ და, როგორც ჩვევად ჰქონდა, საფეთქელთან თითი მიიდო.

— ჩვენთანაც არ იქნება იოლი საქმე, აბა, ტყუილად ხომ არ ჩამოხვიდოდით ამოდენა გზაზე.

ტარიელის გასაკვირად პუარო გულღია ადამიანი აღმოჩნდა.

— მეორე პირის საქმე უნდა გამოვიძიო.

— პირველი ... მეორე ... იმისი?! – ტარიელს ხმაში ბზარი შეეპარა, სტუმრის შინ მიპატიჟება წამსვე გადაიფიქრა და პუაროს ოფიციალური ვერსია შეახსენა – ეგ ხომ ცეომ მოკლა.

— ცეომ?

— გაზმა მოწამლა.

— დოკუმენტებში ზუსტად ასე წერია. – დაადასტურა პუარომ.

— ჩვენმა მთავრობამ მოგიწვიათ?

— არა, კერძო პირმა, უფრო ზუსტად, მადლიერმა მკითხველმა.

ტარიელი გაჩუმდა.

მისი სიჩუმის მიზეზი გაცილებით ადვილი გასაგები გახდება, თუ წიგნის მოყვარულს ანუ მკითხველს, დღევანდელი გადმოსახედიდან შევხედავთ. იმას ნურავინ წარმოიდგენს, თითქოს ტარიელმა ამ სიტყვის მნიშვნელობა არ იცოდა, თუმცა იყვნენ ასეთებიც და უცნაური ბგერათშეთანხმების გამო მკითხველი გვარი ეგონათ, როგორც, მაგალითად, მკურნალი. ნურც იმას იფიქრებთ, თითქოს ტარიელი ისე ვერ ერკვეოდა რელიგიაში, რომ მკითხველი იელოველი ანუ სექტანტი ჰგონებოდა ისევ და ისევ ჟღერა-

დობის გამო, თუმცა ასეთებიც მრავლად იყვნენ. ვერც მშფოთვარე დროს, დღევანდელობას დაბრალდება ყოველივე, რადგან ტარიელის ეჭვი ჯერ კიდევ იქიდან იღებდა სათავეს, როდესაც სკოლაში ქართულის მასწავლებელმა მოზრდილი წიგნის წაკითხვა მოსთხოვა. ტარიელი იქნებოდა ასე თოთხმეტი წლის, როცა თავისდაუნებურად, ორიოდე გვერდის წაკითხვის შემდეგ, ტექსტების მსგავსების თეორია აღმოაჩინა და დაასკვნა, რომ ყველა წიგნი, დიდიცა და პატარაც, მხატვრული თუ არამხატვრული, ტელეფონის წიგნიც კი, ერთნაირად უინტერესოდ იკითხებოდა და ენით აუწერელ ტანჯვა-წამებას ჰგვრიდა მოუმზადებელ ადამიანს.

ერკიულ პუაროს გაჩუმების სულ სხვა მიზეზი ჰქონდა.

ძალიანაც რომ სდომოდა, მაინც ვერ გადმოსცემდა ორიოდე თვის წინათ მიღებული წერილის შინაარსს, რადგან სხვისი პირადი ამბის გაზიარება უცხოსთვის ცუდ ტონად მიაჩნდა.

არადა, ყველაფერი ამ ბარათით დაიწო.

ერთ დილით, მაძებრის ლონდონურ ბინაში, პუაროს საქმისმწარმოებელი, მის ლემანი, როგორც ჩვევად ჰქონდა, ახალმიღებულ კორესპონდენციას ყურადღებით არჩევდა და ახარისხებდა. მოზრდილმა კონვერტმა თავიდანვე მიიქცია მისი ყურადღება. კონვერტს საფოსტო მარკა, რომელზეც დედოფალი იყო გამოსახული, თავდაყირა ჰქონდა დაკრული, რაც — გარკვეული უხერხულობის გარდა — ინგლისში კანონითაც ისჯებოდა და სამშობლოს ღალატს უტოლდებოდა. აქედანვე ჩანდა, კონვერტი უცხოელის გამოგზავნილი უნდა ყოფილიყო, რადგან თავმოყვარე ინგლისელი ამ ყოველივეს, იგულისხმება დედოფლის საფოსტო მარკის ამბავი, არაფრისდიდებით არ იკადრებდა. ის იყო მის ლემანს საკუთარი აღშფოთება უნდა გამოეხატა და პუაროს მეგობარ-კოლეგისთვის, კაპიტან ჰასტინგისთვის გაეზიარებინა, რომ ტელეფონის ზარიც გაისმა. კაპიტანი ყურმილს დასწვდა, ერთხანს ილაპარაკა, შემდეგ ყველას მოუბოდიშა და სავარაუდოდ პაემანზე გაეშურა. მის ლემანმა საფოსტო მარკა გადმოაბრუნა, როგორც წესია, ისე დააწება, და კონვერტი ერკიულ პუაროს აახლა.

*ღრმად პატივცემულო, მუსიე პუარო!*

*სერ!*

*ამ წერილს გწერთ პატარა საქართველოდან.*

*ვიცით რა თქვენი გულისხმიერებისა და დამნაშვეებთან წარმატებული, დაუნდობელი ბრძოლის შესახებ, ვბედავთ მოგმართოთ თხოვნით, რათა, როგორც გჩვევიათ, ისე გამოიძიოთ ერთი სამწუხარო ფაქტი, რა თქმა უნდა, თქვენთვის შესაფერისი სათანადო ანაზღაურებით.*

*საქმე იმაში გახლავთ, რომ არც ისე დიდი ხნის წინათ, ტრაგიკულად დაიღუპა ჩვენი მეორე პირი. ზოგი იმასაც ამტკიცებს, მეორე არ ყოფილა, პირველი იყოო, სხვები ამბობენ, მეორე მეტისმეტია, მესამე უფრო შეეფერებოდაო, მაგრამ ერთ რამეში ყველა თანხმდება, სამეულში ნამდვილად შედიოდა. ასეა თუ ისე, ამ ამბავს დიდი გამოხმაურება მოჰყვა და თქვენც გექნებათ გაგონილი.*

*ყველა სიკვდილის შვილები ვართ და, რა გასაკვირია, ერთ დღეს ეს სამწუხარო ამბავი მასაც გადახდომოდა თავს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უამრავი კითხვა მაინც უპასუხოდ რჩება.*

*როგორც გვაცნობეს, მეორე პირი ცეომ მოჰკლა, ანუ გაზმა გაგუდა. ცივი ზამთრისა და უხარისხო გამათბობლების წყალობით საქართველოში არაერთი ადამიანი დაიღუპა. ყოველივე ამას ყოველგვარი ეჭვის საბაბი უნდა მოესპო, მაგრამ პირიქით კი მოხდა, რადგან სწორედ იმ დროს, როდესაც ეს ამბები ხდებოდა, ხსენებულ ბინაში და, ვგონებ, მთელ კორპუსში, გაზი გათიშული უნდა ყოფილიყო. ეს ერთი ფაქტიც საკმარისია იმისთვის, რომ გამოძიება ხელახლა დაიწყოს, თუმცა ამას არავინ ჩქარობს, ასე რომ, თქვენი იმედიღა დაგვრჩა.*

*აქვე გაწვდით ყველა იმ ოფიციალურ დოკუმენტს, რომლის მოპოვებაც ჩვენ შევძელით, რა თქმა უნდა ინგლისურ ენაზე.*

*წინასწარ გიხდით მადლობას.*

*მადლიერი მკითხველი*

პუაროს უყვარდა ასეთი საქმეები.

სწორედ ისეთი, ერთი რომ გგონია და მეორე აღმოჩნდება, მესამეს რომ მოუფიქრებია და მეოთხე მართავს იმ დანარჩენ სამს. არც დოკუმენტების სიმწირე აშინებდა დიდად, რადგან გაცილებით რთული მდგომარეობიდანაც სრულიად იოლად გამოსულა. ერთხელ, რა თქმა უნდა, გვარიანი სანაძლეოს ხათრით, საქმე სამ დღეში მოამთავრა, ისე, რომ საკუთარი ბინიდან ფეხიც არ გაუდგამს, თუმცა მაშინ მის ლემანი, კაპიტანი ჰასტინგსი და სკოტლანდ იარდის უფროსი ინსპექტორი ჯეიმს ჯეპი უმართავდნენ ხელს, რაც ჩვენს შემთხვევაში სრულიად გამორიცხულ საქმეს წარმოადგენდა სხვადასხვა მიზეზთა გამო, იგულისხმება იურისდიქცია, კონფიდენციალურობა, კონვენცია და სხვა ამგვარ რთულ სიტყვათა ერთიანობა.

მაინც რა ჰქონდა ერკიულ პუაროს?

რამდენიმე ოფიციალური პირის შეფასება და ასევე რამდენიმე პოლიტიკოსის ბრალდება, რომელიც ძიებას ნაკლებად თუ გამოადგება და მხოლოდ სამზარეულოში საჭორაოდ ივარგებს, რაც თავისთავად ქართველების საყვარელი საქმეა და გულის მოფხანის უტყუარ საშუალებას წარმოადგენს.

ამის გარდა: მოწმეთა ჩვენება, მეორე პირის დაცვის წევრის ოჯახური დაკითხვის ფარული ჩანაწერი, ქართველ ექსპერტთა დასკვნა, ამერიკელ სპეციალისტთა მოსაზრება, რა თქმა უნდა ინგლისურ ენაზე შედგენილი, შემდეგ ქართულად თარგმნილი და პუაროსათვის ხელახლა ქართულიდან ინგლისურზე გადაყვანილი, გაზის გამათბობლის შემოწმების აქტი, ოჯახის წევრთა მოსაზრება და ერთი-ორი ჟურნალისტური გამოძიება, ისიც ზერელე თუ ზედაპირული.

ეს იყო და ეს.

მოკლედ, ეს სევდიანი ამბავი ასე გამოიყურებოდა, რა თქმა უნდა, ამ ყველაფრის გათვალისწინებით: უკვე ღამეა, სახლიდან გამოსული მეორე პირი მოძრაობის მარშრუტს ცვლის, ქალაქგარეთ აღარ მიემგზავრება, სადაც მას ოჯახი ელოდება, იქვე, სახლთან ახლოს, სხვა მანქანაში ჯდება, ცოტა ხნით მაღაზიასთან ჩერდება, ახლავს დაცვის მხოლოდ ერთი წევრი, რომელიც მისი დავალებით ამ მაღაზიაში, მარკეტს რომ ეძახიან, რაღაც-რაღაცეებს ყიდულობს, კაცმა რომ თქვას, ბევრს არაფერს, ცოტა საჭმელს, ერთ ბოთლ სასმელს და რამდენიმე კოლოფ სიგარეტს. ამის შემდეგ მიემართებიან კონსპირაციული ბინისკენ, სადაც საქ-

მიანი შეხვედრა უნდა შედგეს. მალე სტუმარიც გამოჩნდება, ისინი ბინაში მარტო რჩებიან. რამდენიმე საათის შემდეგ მობრუნებული დაცვის წევრები მათ გარდაცვლილებს პოულობენ, სავარაუდოდ გაზის უხარისხო გამათბობლის წყალობით, რაც მოგვიანებით ოფიციალური დასკვნით დასტურდება კიდეც.

კაცი რომ დაფიქრდეს, დაუჯერებელიც არაფერია, მითუმეტეს, რომ ხალხი ამ დაუჯერებელს მეტად ეტანება. დაუჯერებელი მხოლოდ იმათთვის იქნება, ვინც ორივე გარდაცვლილს კარგად იცნობდა, მათი ნაბიჯების ახსნა შეეძლო და მათი გულისთქმის ამოცნობა არ გაუჭირდებოდა. რას მიირთმევდნენ, თუკი მიირთმევდნენ საერთოდ, რას დალევდნენ, თუკი დალევდნენ, ანდა რას ითამაშებდნენ, თუკი რამის თამაშს მოინდომებდნენ, მაგრამ ასეთები ცოტანი იყვნენ, ზოგს დარდი სჭამდა, ზოგს შიში და უმცირესობაში დარჩენილთა ხმა არსებულ სურათს ვერ ცვლიდა. წყნარ საუბარში შესაძლოა უმცირესობასაც ემარჯვა, მაგრამ ხმაურში, სადაც ყვირილი ბატონობს, რიცხვით მცირეს გამარჯვება არ უწერია. ყოველივე ეს კიდევ უფრო სარწმუნოს ხდიდა გადმოცემულ ამბავს, რომელიც, დროთა განმავლობაში, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, დაიხვეწებოდა, მეტ სიმწყობრეს შეიძენდა, ადამიანთა მეხსიერებაში ფესვებს გაიდგამდა და ისტორიასაც ასევე შემორჩებოდა.

რომ არა ერკიულ პუარო.

— მის ლემან, საქართველოს შესახებ თუ გსმენიათ რამე? – იკითხა საღამოს პირზე ერკიულ პუარომ, როდესაც დოკუმენტების ზედაპირული გაცნობა დასრულებულად ჩათვალა.

— ვგონებ, ქვეყანა უნდა იყოს კავკასიაში.

— კავკასიაში? – გაიმეორა პუარომ.

— სადღაც მთებში იქნება ჩაკარგული.

— იმედია თვითმფრინავი მაინც დაფრინავს თქვენს კავკასიაში?

— დავაზუსტო, სერ? – იკითხა მის ლემანმა, რომელსაც ნამსახურობისა და გამოცდილების ხარჯზე თითქმის უშეცდომოდ შეეძლო უფროსის ჩანაფიქრის ამოცნობა.

— კარგი იქნება. – გაიღიმა პუარომ და ბარგის შეგროვებას შეუდგა.

ყველას გასაკვირად ლონდონიდან თბილისში პირდაპირი რეისი დაფრინავდა. ასე რომ, სულ რამდენიმე საათში ერკიულ პუარო საქართველოში, კერძოდ კი თბილისში, აღმოჩნდა, სადაც გადაეყარა კიდეც ტაქსის მძღოლ ტარიელ ბოზოიანს, რომელთანაც საუბარში აეროპორტის გზაზე განლაგებული უსახური შენობა-ნაგებობებისგან მიღებული შთაბეჭდილების გაქარვებას ცდილობდა.

ნაწილობრივ საუბარსა და ნაწილობრივ ფიქრში სოლოლაკიც გამოჩნდა, სადაც უნდა დაბანაკებულიყო კიდეც განთქმული მაძებარი, რა თქმა უნდა, კონსპირაციულ ბინაში, ისევ და ისევ მადლიერი მკითხველის დახმარებით.

— ქალაქს კარგად იცნობთ, თარიელ? – იკითხა პუარომ და მანქანიდან გადასასვლელად მოემზადა.

საწყენია ღმერთმანი, თბილისელი ქურთი და ქალაქი არ იცოდეს?!

ტარიელს, რა თქმა უნდა, ბევრი რამის მოყოლა შეეძლო, თუნდაც წინაპრების, ნახშირისა და მადათოვის კუნძულის ამბები, თუნდაც თბილისში ოპერას თეატრის გახსნის ისტორია, როდესაც ქართველებს ტალახიანი ქუჩის გასავლელად კურტნის მუშები დაუქირავებიათ, რათა წარმოდგენაზე მისვლა არ დაჰგვიანებოდათ, ხოლო ტარიელის დიდ პაპას ორბელიანის ქალი მოუგდია ზურგზე, რითაც სათაყვანებელი ქალბატონი ლაფში ამოთხვრისგან გადაურჩენია, თუნდაც ვარანცოვზე გატარებული ბავშვობის, ანდა სოლოლაკის სკოლისდროინდელი ოინბაზობის ამბები, მაგრამ, არა მგონია, ბელგიელ მაძებარს, მიუხედავად ჩაცმულობისა, რომელიც ძველ თბილისის სულს უფრო შეეფერებოდა, ამ საუბრიდან რამე გაეგო, ანდა რამის ფასი სცოდნოდა, ამიტომაც კონკრეტულ შეკითხვას ტარიელმა ასეთივე მოკლე პასუხი გასცა.

— ვიცნობ.

— ძალიან კარგი. – მაძებარი კმაყოფილი დარჩა. – ეს რამდენიმე დღე თქვენი სამსახური დამჭირდება, ძნელია უცხო ქალაქში გზის გაკვლევა.

— დილიდან აქა ვარ! – გაიჭიმა ტარიელი და მანქანიდან სხვადასხვა ზომისა და წონის ჩემოდნების გადმოლაგება დაიწყო.

— კეთილი. – პუარო შეტრიალდა, კარისკენ წავიდა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ისევ მძღოლისკენ შემობრუნდა. – საქონელმცოდნე რა პროფესიაა?

ნაღდად მამოწმებს, ისევ აეკვიატა ტარიელს.

— ჩემს ახალგაზრდობაში იყო ეგეთი ხელობა, საქონელს ახარისხებდა, აფასებდა ... ტავარავედ, აცენჩიკ. – ისევ რუსულზე გადავიდა ტარიელი. – შემფასებელი, ყველა საქონელს თავისი საქონელმცოდნე ჰყავდა, ხელფასსაც იღებდა და სხვა რაღაც-რაღაცეებიც მოსდიოდა.

ძნელი სათქმელია, რამდენად სწორად გაიგო ეს ყოველივე პუარომ, მაგრამ იმდენს კი მიხვდა, რომ ამ ყველაფერს ადამიანის დაცვასთან არაფერი აკავშირებდა. არადა, მეორე პირის მცველი, რომელიც მას იმ ღამით თან ახლდა, სწორედ რომ ამ პროფესიის ბრძანდებოდა.

ტარიელმა ამის შესახებ არაფერი იცოდა.

პუარომ რაც იცოდა, ჯერჯერობით, საქმის გასახსნელად საკმარისზე ნაკლები გახლდათ.

მოკლედ, ორივეს თავისი გზა ჰქონდა, რომელიც დილამდე არ გადაიკვეთებოდა.

თინა მეუღლეს ასე ადრე არ ელოდა

— მანქანა დაამტვრიე?

— რაღა მანქანას მიადექი?!

— აბა, ეგრე ადრე რატომ მოხვედი?!

— დილიდან საქმე მაქვს, უნდა გამოვიძინო.

— მაინც რა საქმეა ეგეთი?

— სერიოზულ კლიენტს ვემსახურები.

— ეგ რომელს?

— ერკიულ პუარო. – სიამაყით წარმოთქვა ტარიელმა.

— რას ბოდავ?! ერთი ახლოს მოიწი! – ბრძანა თინამ, ისედაც გრძელი ცხვირი კიდევ უფრო წაიგრძელა და მეუღლეს სახის გარშემო ყნოსვით ერთი წრე დაარტყა.

— აჰა! – მეუღლის დარწმუნება სცადა ტარიელმა და მაძებრის სავიზიტო ბარათი თინას მიაჩეჩა.

— ერკიულ პუარო, კერძო დეტექტივი. – დამარცვლა თინამ. – დიდი ამბავი, ამის დაბეჭდვას რაღა უნდა!

— აჰა, ესეც! – ტარიელმა ჯიბიდან რამდენიმე ინგლისური კუპიურა ამოიღო და მაგიდაზე დაყარა, ეს კიდევ არაფერი, მეუღლეს გამორკვევა არ აცალა და კუპიურას მობილური ტელეფონიც მიაყოლა, რომლის ეკრანზე ორივენი სანდომიანად ულიმოდნენ გამვლელ-გამომვლელებს, რა თქმა უნდა, პურის მოედნის ფონზე.

— მართლა პუაროა. – თინა სკამზე დაეშვა და მობილურს ჩააშტერდა. – ეგ ტყუილად არ იქნება აქ ჩამოსული.

— ეგ ისეთ საქმეზეა, ჩემს მტერს.

ტარიელი მაგიდას მოსცილდა, სარკმელთან მივიდა და თითქმის ქურდულად პატარა ეზოში გაიხედა, სადაც სკამზე მჯდარი, სიცხისგან შენუხებული ქალი მარაოს ქნევით საკუთარი სხეულის გაგრილებას ცდილობდა.

მნითური სუსანა, ხალხში რომ რიჟას ეძახიან, მთელი იტალიური ეზოს, ბოზოიანების და არა მარტო მათი, წლობით გადაულახავ პრობლემას წარმოადგენდა. უსაქმურობის, მეტად კი სხვისი ცხოვრების ინტერესის გამო, მთელი დღით ეზოში მჯდარ სუსანას ძნელად თუ ვინმე აუვლიდა გვერდს. არადა, რიჟამ თარსი იცის. ამის გამო მეზობლების თავს გადამხდარი ამბები გამუდმებით საბრალო ქალის თმის შეფერილობას ბრალდებოდა.

ამ საკითხთან დაკავშირებით ჯუმბერ ხარატიშვილის ოჯახში მეზობლების კონსპირაციული შეკრებაც გამართულა, რა თქმა უნდა, რიჟა სუსანას გარეშე. ორსაათიან კამათსა თუ მოსაზრების გაცვლა-გამოცვლას შედეგი მაინც გამოუღია და შეთქმულთა ფიციც მიუღიათ: შინიდან გასვლის წინ, სუსანას გასაგონად, ერთი რამ უნდა ეთქვათ, სინამდვილეში სხვა კი ეკეთებინათ.

უცნაურმა ჩვევამ ასეთივე უცნაური შედეგი გამოიღო, ტყუილ-მართალი ერთმანეთში ისე აირია, რომ ხშირ შემთხვევაში მეზობლები არარსებულ მისამართებსა თუ საქმეებზე ამოჰყოფდნენ ხოლმე თავს, რითაც წინა დღით შედგენილი გეგმა ირეოდა, დაგვიანების გამო საქმე ზარალდებოდა, რაც ისევ და ისევ სუსანას თმის შეფერილობას ბრალდებოდა. ამისდა მიუხედავად, მეზობლები უკან დახევას არ აპირებდნენ და ჯიუტად აგრძელებდნენ სუსანასა თუ ბედის გაცურების მცდელობას.

— ნათესავები ჰყოლია თბილისში. – სუსანას გასაგონად თქვა ტარიელმა, სარკმელს ფარდა ჩამოაფარა და მეუღლეს თითქმის ჩურჩულით მიუგო. – მეორე პირის საქმეს იძიებს.

— ეგ რომელია?

— პირველი არადა, მეორე.

— იმისი?! – ჩურჩულითვე შეიცხადა თინამ.

— ჰო, იმისი. – მოჭრა ტარიელმა.

— რამე შარში არ გაგხვიოს, მაგას რა ენაღვლება, დაკრავს ფეხს და წავა თავის ინგლისში.

— მეც რა, შოფერი ვარ, კლიენტი დამყავს, დანარჩენი ჩემი საქმე არ არის.

— ფულს რამდენს გადაგიხდის?

— როგორც მოვილაპარაკებთ, ისე იქნება.

— თავიდანვე უნდა გეკითხა, რამე არ მოგატყუოს, ხომ იცი, რა კრიჟანი ხალხია. – ჭკუა დაარიგა თინამ და მეუღლეს ძველი ამბები კვლავ შეახსენა. – გამოგადგა ინგლისური?! გახსოვს, სწავლა რომ არ გინდოდა?! სხვა რამეშიც რომ დაგეჯერებინა ჩემთვის, ეხლა, იცი, სად იქნებოდი?!

ნეტავ სადაცა ვარ, იქაც არ ვიყოო, გაიფიქრა ტარიელმა და მეუღლეს აღარ აჰყვა. არადა, ბევრი რამის პასუხი კი შეეძლო, თუმცა არც იმის გამხელა სურდა, რომ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშეც მოემსახურებოდა თბილისის სტუმარს. ხუმრობა ამბავი ხომ არ იყო, ერკიულ პუაროსთან ერთად საქმე უნდა გამოეძიებინა, თანაც რა საქმე. ისტორიაში მოხვედრა თუ არა, გაზეთი ან ჟურნალი ნამდვილად არ ასცდებოდა: ტარიელ ბოზოიანი, პატარა ერის დიდი მაძებარი და დიდი ადამიანი!

იკითხება თუ არა?

იკითხება და მერე როგორ.

მართლაც ფულით ხომ არ იზომება ყველაფერი.

ტარიელისგან განსხვავებით ერკიულ პუარომ, ასეულობით ბოლომდე მიყვანილი საქმეების გამო, კარგად იცოდა, რომ ყველაფერი ფულით იზომება, ამის გამო საკუთარი მძღოლის გვარიან პატივისცემასაც აპირებდა, თუკი ტარიელი სათანადო მონდომებასა თუ მოთმინებას გამოიჩენდა.

მეორე დილით ტარიელი, სახლის კართან, ზუსტად დათქმულ დროს გამოცხადდა.

— დღეს ჩვენი გამოძიების პირველი დღეა, ამიტომაც შემთხვევის ადგილი უნდა მოვინახულოთ. – თქვა პუარომ და მძღოლს ლათინური ასოებით ამონერილი ქართული ქუჩის დასახელება გადასცა.

მანქანა დაიძრა.

ჯერ დალმართს ჩაუყვა, მარჯვნივ ჩაუხვია და, როგორც ჩვენში იტყვიან, ნაბერეჟნზე გავიდა, აქედან ათიოდე წუთში გმირთა მოედანს მიაღწია, თერთმეტსართულიანს ჩაუარა, აღმართი აიარა, პეკინიდან ბახტრიონზე გადაუხვია და მალევე აღმოჩნდა საჭირო ქუჩაზე.

ამ მგზავრობას, თბილისური საცობებისა და კიდევ იმის გამო, რომ მთავარი პროსპექტი გადაკეტილი გახლდათ რკინის გალიებით, რომლებსაც გულჩვილი მოქალაქეები მოფერებით საკნებს ეძახდნენ, ჩვეულებრივზე მეტი დრო დასჭირდა. ერკიულ პუაროს ეს დრო უქმად არ დაუკარგავს. მას მოსწონდა კონტრასტული ქალაქის შეფერილობა, ძველისა და ახლის ჭიდილი, სადაც არც ძველი მარცხდებოდა ბოლომდე და ვერც ახალი იმარჯვებდა საბოლოოდ.

— მოვედით. – თქვა ტარიელმა და მანქანა ჩრდილში გააჩერა.

ესა და ეს ქუჩა, ესა და ეს ნომერი — ასეთი შელახული აბრა ამშვენებდა იმ სახლს, რომლის ერთ-ერთ ბინაში, როგორც ამბობენ, მეორე პირი გარდაიცვალა და რომლის სტილის, იერის თუ ეპოქის დადგენა პუაროს კი არა, გამოცდილ არქიტექტორსაც გვარიანად გაუჭირდებოდა.

პუარო მანქანიდან გადმოვიდა და, როგორც ჩვევად ჰქონდა, სახლის წინ ჩქარი ნაბიჯით სიარული მოჰყვა. გისოსებიანი ფანჯარა მალევე აღმოაჩინა, შესამონმებლად რკინას საკუთარი ტროსტიც შემოჰკრა და იმაში დარწმუნდა, რაც ამ შემოწმების გარეშეც გადასარევად იცოდა. გისოსებს ზემოქმედების კვალი არსად ეტყობოდა, მხოლოდ რკინას შეპარულ ჟანგსა თუ სიძველეს შეამჩნევდა ზედმეტად დაკვირვებული ადამიანი.

ერთ ტყუილს მეორეს დასაფარად იგონებს კაცი, მეორის გადასარჩენად მესამე ხდება საჭირო, მესამეს მეოთხე წაეხმარება და სიცრუის ჯაჭვიც მზად არის. დაუჯერებლად კი ჟღერს, მაგრამ პუაროს თუ ვენდობით, ნამდვილად ასეა: რაც უფრო გრძელია ამგვარი ჯაჭვი, მით უფრო ადვილი ყოფილა მისი განყვეტა.

— აქ რას ეძებთ?! – მკაცრად იკითხა მამაკაცმა და პუარო ფიქრებიდან გამოარკვია.

— ბინის ქირაობა გვინდოდა, სტუმარი კაცია. – ჩაერია ტარიელი.

— უკვე გაქირავდა. – მოჭრა მამაკაცმა.

— გაქირავდა და გაქირავდა, შენ კარგად იყავი. – თქვა

ტარიელმა და პუაროს ინგლისურად გადაუთარგმნა. – ალარ აქირავებენ.

ორივენი მანქანისკენ წავიდნენ.

სახლთან მდგარი მამაკაცი არ განძრეულა, ბოლომდე მისდია მზერით უცნაურ წყვილს და მხოლოდ მაშინ დაწყნარდა, როცა ტაქსი ადგილიდან დაიძრა.

— გმადლობთ. – თქვა პუარომ და მძღოლს გაუღიმა.

— იარაღი თუ გაქვთ? – იკითხა ტარიელმა, რომელიც ამ შეხვედრის შემდეგ ოდნავ დაბნეული ჩანდა.

პუაროს იარაღი არასოდეს ჰქონია.

უფრო სწორად, ჰქონდა, მაგრამ არასოდეს უტარებია. არც მაშინ, როცა ბელგიის სამძებროში მუშაობდა, და არც მაშინ, როცა პირველი მსოფლიო ომით შეწუხებული ინგლისში გადმობარგდა საცხოვრებლად.

— იარაღი ჩემს საქმეში ზედმეტ ბარგად მიმაჩნია. – წყნარად თქვა პუარომ.

— ეგ როგორ? – გაიკვირვა ტარიელმა. – ათასი ხიფათია.

— ჩემს სიტყვას ზოგჯერ გაცილებით მეტი ზიანის მოტანა შეუძლია, ვიდრე გასროლას.

— კაცმა რომ თქვას, ეგეც მართალია.

— ეს ადამიანი უნდა მოვნახოთ, თარიელ. – თქვა პუარომ და მძღოლს ქაღალდზე ინგლისურად დაწერილი გვარ-სახელი გადააწოდა.

— რას წარმოადგენს? – დაინტერესდა ტარიელი.

— იმ ავბედით ღამეს სწორედ მაგას გადაუკეტავს გაზი სახლის სიახლოვეს.

— გაზში მუშაობს?

— ალბათ. – დაეთანხმა პუარო.

— ძნელი საქმეა. – შეწუხდა ტარიელი.

— სამსახურში მივაკითხოთ და იქ გავესაუბროთ. – ისე თქვა პუარომ, თითქოს დანაშაულს ინგლისში იძიებდა და არა საქართველოში.

— არა, ეგრე არ გამოვა, იქ არ დაგველაპარაკება, შეიძლება სამსახურიც დაატოვებინონ, ცალკე უნდა შევხვდეთ.

— როგორ?

— მაგას მე მოვაგვარებ, ჩემი ნათესავი მუშაობს მძღოლად, დაგვეხმარება.

— კეთილი. – პუარო დაწყნარდა და სავარძელს მოხერხებულად მოერგო.

ამ მძღოლში იგულისხმებოდა თენგო ჩოლოიანი.

თენგო იყო ლეგენდარული თბილისელი მეეზოვის, აბო ჩოლოიანის უმცროსი ვაჟი. აბოს ჰქონდა უხეში ცოცხი და ასეთივე გაშეშებული გრძელი ულვაში. სისხამ დილით, როცა იგვებოდა კიდეც ქალაქის ქუჩა-პროსპექტები, ვერა-ვაკის მოსახლეობას აბოს სევდანარევი ხმა აღვიძებდა, რომელიც აღმოსავლური ჰანგის თანხლებით ქართულ ენაზე საკუთარ ლექსს ღიღინებდა:

**ჩვენი ქურთის კასები**
**ყველა კარგი კასები,**
**დანარჩენი კასები**
**ყველა ფიდარასები.**

ამას მოჰყვებოდა გულიანი სიცილი, ქართული შეძახილი აივნიდან, ზოგჯერ მეორე ხმაც და ერთობლივი ღიღინი.

თქვენი დუხი ბაყაყური არ ვნახო აქა, ესეც აბოს საყვარელი სიტყვა იყო მაშინ, როდესაც ბავშვები ეზოს შესასვლელს სტაკანჩიკი ნაყინის ქაღალდებით ანაგვიანებდნენ. მოკლედ, ნაღდი კაცი იყო ეს ჩვენი აბო. ჰოდა, ნაღდი თუ იყო, ღმერთმა აცხონოს, გინდა ჩვენმა და გინდა თავისამ.



მხატვარი ინა ჭელიძე

თენგომ მამის ხელობაზე უარი განაცხადა და, როგორც ჩვენში მძღოლებზე იტყვიან, შოფრობა არჩია საგვარეულო საქმიანობას. აგერ უკვე რამდენიმე წელია დაწესებულების მესამე თუ მეოთხე პირს ერთგულად ემსახურებოდა. ძირითადად მისი ოჯახის წევრებს დაატარებდა აქეთ-იქით, თუმცა ეს ხელს არ უშლიდა, რომ თანამშრომლებთან მეგობრული ურთიერთობა შეენარჩუნებინა. მოკლედ, თენგო თითქმის ყველა გაზის კაცს იცნობდა, იმ მცირედი გამონაკლისის გარდა, რომელიც ასეთ სამსახურებს გამუდმებით ახლავს ხოლმე თან ხშირი როტაცია-ცვლილებების გამო.

გაზის კაცი იქნებ პუაროსთვის ყოფილიყო უცხო, თორემ ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქისთვის ნაცნობ სახეს წარმოადგენდა. გაზის კაცს ქართველები მოფერებით იმ ადამიანს ეძახდნენ, რომელიც მრიცხველის მაჩვენებელსაც ამოწერდა და ზომიერი გასამრჯელოს ფასად ამ მრიცხველის ციფრებსაც ისე დააყენებდა, რომ ორივე მხარე კმაყოფილი დარჩებოდა. მართალია, ასეთ საქმიანობას გარკვეული საფრთხე ახლდა თან, მაგრამ ჩვენი ხალხი ამას არ უშინდებოდა და გაზის კაცებთან ერთად გაფუჭება-მოპარვის ხერხებს გულმოდგინედ ხვეწდა.

რადგან სიტყვა ითქვა, უნდა შესრულდეს კიდეც. ასე ყოფილა დიდ ბრიტანეთში, ბელგიასა და იმ ქვეყნებშიც კი,

რომლებსაც ძველი თბილისური ტრადიციების არაფერი გაეგებოდათ. ამიტომაც შინ მისულმა ტარიელმა ჩვეულებას ულალატა და მეუღლეს ვახშმის მაგივრად თენგო ჩოლოიანის ბინის ნომერი მოსთხოვა.

— მობილურზე დაურეკე. — წყნარად თქვა თინამ.

— გამორთული აქვს.

— ეგ იმათ აგარაკზე იქნება წასული.

— სახლში უფრო არ ეცოდინებათ, სადაც არის?! – შეაწყვეტინა ტარიელმა მეუღლეს.

— მაგის ცოლმა რა იცის, ეგ რომ იცოდეს. – დაიფრუტუნა თინამ და ხელი გაიქნია

— რას გადაეკიდე, რა დაგიშავა? — იკითხა ტარიელმა, თუმცა ძალიან კარგად იცოდა ქალებს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების მიზეზი, რომელიც, როგორც ყოველთვის, უმნიშვნელო რამით გახლდათ დაწყებული. — ნომერი მომეცი, მე თვითონ დავურეკავ.

— დაურეკავ, თორემ რამე არ გაგიკეთოს, მეგობარი მაგათ არ იციან და ნათესავი, აღარავის ცნობენ, ჩემებმა მითხრეს, გვარის გადაკეთება ჰქონიათ ჩაფიქრებული. — განაგრძო თინამ.

— ჩემი საქმის მე ვიცი. – მოჭრა ტარიელმა.

— მაინც რა უნდა თხოვო?

— ერთ კაცს უნდა შემახვედროს.

— ვის?

— გაზის კაცს.

— რაღა დროს ეგენია, დაგავიწყდა, რამხელა ჯარიმებია მაგის გამო?! – დაფრთხა თინა.

— სულ ჯარიმა როგორ გელანდება, ადამიანო?! — ხმას აუწია ტარიელმა. – იმ კაცის ნახვა უნდა ჩვენს სტუმარს, ვინც მაშინ გაზი გადაკეტა.

— სად გადაკეტა? – საბოლოოდ დაიბნა თინა.

— იმ სახლში. — ხმას დაუწია ტარიელმა და საჩვენებელი თითი ჭერს მიაპყრო.

— უიმე! – შეჰკივლა თინამ და ხელისგული ტუჩებს მიაფარა.

— მიდი, ტელეფონი გამოიტანე. – თქვა ტარიელმა და ახალშეძენილი, საშუალო ზომის ბლოკნოტი გადაშალა, სადაც ვითომდა უნდა შეეტანა კიდეც აღნიშნული ტელეფონის ნომერი.

— ხუთი ლარი მაინც ეღირება ეგ რაღაც. — ბლოკნოტისკენ გაიხედა თინამ და ადგილიდან წამოდგა. — ეგეთი მაიმუნობისთვის კი არ დაინანებს ფულს.

— რა ვქნა, ადამიანო, ძველი სულ დაიხა და კლიენტების ნომრები აღარ გადავიტანო?! — თავი იმართლა ტარიელმა და იმავდროულად იცრუა კიდეც.

რამდენიმე დღეა ტარიელ ბოზოიანს საკუთარი საიდუმლო გაუჩნდა.

კაცმა რომ თქვას, ამ ამბავს საიდუმლოსაც ვერ დაარქმევდა ადამიანი, უფრო გამოჩენილი ბელგიელი მაძებრის სტუმრობის თაობებისთვის შემონახვის მცდელობას ჰგავდა. მოკლედ, ტარიელს დღიურის წარმოება ჰქონდა გადაწყვეტილი. სწორედ ამიტომ შეიძინა ახალი ბლოკნოტი და შიგ რამდენიმე დღის შთაბეჭდილებაც შეიტანა. რა თქმა უნდა, ტარიელს მწერლისა თუ მწერლობის პრეტენზია არ ჰქონდა და დიდად არც ჩანაწერის ენობრივ დახვეწაზე იწუხებდა თავს, თუმცა აზრის გამოტანას მაინც შეძლებდა დაინტერესებული ადამიანი.

ვიყავით შემთხვევის ადგილას.

ადვილად მივაგენით. ვითომ ბინის ქირაობა გვინდოდა, ეგ მე მოვიგონე, აბა პუარომ აქაური ამბები რა იცის. ვილაც კაცი გამოვიდა, მეზობელი ვარო, მაგრამ ეგ ისე იყო მეზობელი, როგორც მე ისა. მოკლედ, შიგნით არ შეგვიშვეს, მაგრამ პუარომ მაინც მოასწრო ფანჯრების დათვალიერება, ერთი-ორჯერ რკინის რეშოტკებს თავისი ტროსტი მიარტყა კიდეც. თვითონ არაფერი უთქვამს, მაგრამ ეგრევე მივხვდი, რატომაც გააკეთა, მცველების ამბავს ამოწმებდა.

ეგენი იძახდნენ, არადა ორნი ყოფილან, მაგ სახლში ფანჯრიდან შევძვერითო. ეხლა ეგ როგორ გამოდის, რეშოტკები? რეშოტკები ხელით გაუწევიათ, თვითონ ამბობდნენ. მოკლედ, საქმე ეგრე ყოფილა, ერთ მცველს დაურეკია მეორესთვის, ისიც მოსულა, თავიდან მაგრად უწვალიათ, გაღება უნდოდათ, მაგრამ ვერ გააღეს, მერე კუთხეში ის რეშოტკა ხელით გამოუგლეჯიათ და ის მეორე შემძვრალა ბინაში, მაგარი ჯანი კი ჰქონიათ.

ეხლა პროკურატურა რისი პროკურატურაა, სიტყვაზე დაგიჯეროს, ამდგარან და ექსპერიმენტი ჩაუტარებიათ, იმ მეორისთვის უთქვამთ, აბა, თუ მაგარი ბიჭი ხარ, ეხლა შეძვერი მაგ შენ გამონგრეულ რეშოტკაშიო. ჯერ დაუწყია, გაციებული ვარო, მერე ნეკნი მტკივაო, მერე კიდევ რაღაც, არაფერმა გაჭრა, გინდა თუ არა შეძვერიო, ეგრე უთქვამთ. ისიც ამდგარა და შემძვრალა, უფრო სწორედ ვერ შემძვრალა, დირკაში ვერ შეეტია.

ეხლა აქედან რა გამოდის?

ის გამოდის, რომ მცველებს მაგ ბინის გასაღები ჰქონიათ და კარიც გასაღებით გაუღიათ, ეგრე ჰგონია პუაროს და მეც მაგ აზრის ვარ.

შიგნითა ამბებიც კარგად ვიცით. მე რა ვიცი, ამ კაცმა მითხრა, ამას კიდევ დაეჯერება, ყველაფერი იცის, ისეთი კავშირები აქვს, ამათ არც დაესიზმრებათ, ასე რომ, რა დამალულა, ეგ რომ დაიმალოს.

ის მეორე პირი იმ სახლში მარტო არ ყოფილა, ერთი თათარი ბიჭი ახლდა. ორი კაცი რომ შეიყრება, თანაც რომ სალაპარაკო აქვთ, პურსაც გატეხავენ და ჭიქასაც ასწევენ. ეგ ყველაფერი გზაში უყიდია ამ ჩვენს მეორე პირს: ერთი ბოთლი კონიაკი, ერთიც შებოლილი ძეხვი, ერთიც ახოტნიჩი, ორი წვენი, სიგარეტი და საღეჭი რეზინა, ჩვენებურად ჟუვაჩკა. თითო ჭიქა დაულევიათ კიდეც, ნარდიც უთამაშიათ და კამათელიც გაუგორებიათ. ეს ყველაფერი ადგილზე დახვედრია ბინაში შესულ დაცვას და სხვა ბევრი რამეც უნახავთ: ის ჩვენი მეორე პირი სავარძელში ყოფილა, თათარი ბიჭი კიდევ სამზარეულოში. ორივე მკვდარი იყო. გაზის სუნი მდგარა ოთახში, ჩემს მტერს. იმათაც პირველად გაზი გადაუკეტავთ და მერე მიუხედიათ მიცვალებულებისთვის.

გასაკვირი სწორედ რომ მაგ გაზის ამბავი უნდა იყოს, მეც ეგრე მგონია და ჩვენს ბელგიელ სტუმარსაც...

ტარიელ ბოზოიანი სულ მთლად თუ არა, ნაწილობრივ მაინც, მართალი გახლდათ. გაზის დაკეტვა-გაღების ამბავი მართლაც ბევრ შეკითხვას ბადებდა. ამ უცნაურ ამბავს კი მხოლოდ თბილისელი გაზის კაცი თუ მოჰფენდა ნათელს, რა თქმა უნდა, თუ პირს გააღებდა და საუბარს მოისურვებდა. აქ კი ტარიელს პუაროს იმედი ჰქონდა, რომლის ადამიანთან მიდგომის ნიჭს საქვეყნოდ ჰქონდა სახელი გავარდნილი.

შეხვედრა შედგა პლეხანოვზე, ოტტო სიმონსენის აშენებული სახლის პირველ სართულზე, რომელიც, ჟამთა სვლის მიუხედავად, მაინც ინარჩუნებდა ძველ სიდიადეს.

გამზირების, სახლების, ქუჩების და სხვა, ძველი თბილისური ამბების დროდადრო გადმოცემას, მიუხედავად დატვირთული გრაფიკისა, ტარიელ ბოზოიანი მაინც ახერხებდა ხოლმე. ასე რომ, პუაროს საქმიანი ვიზიტი სასიამოვნო ფერებითაც გახლდათ შეზავებული, რაც თბილისის გაცნობა-შესწავლით გამოიხატებოდა. ტარიელ ბოზოიანზე უკეთეს მთხრობელს კი ვერც ინატრებდა ადამიანი.

ამ სახლის პირველ სართულზე ნამდვილი თბილისური მაღაზია იყო განთავსებული, სადაც თითქმის ყველაფერი იყიდებოდა. იქვე შაურმაც მზადდებოდა, რომელსაც გულმოდგინეთ თლიდა და შოთის პურში ალაგებდა ყოფილი გაზის კაცი ალმაატა საყვარელიძე.

— გამარჯობათ. – თქვა ტარიელმა და იქვე დაამატა. – ჩვენ...

— ორი შაურმა... კეტჩუპით თუ ისე? – დააზუსტა საყვარელიძემ.

— კეტჩუპი მწარეა თუ ტკბილი. – აჰყვა ტარიელი.

— ნორმალური...

— მაშინ კეტჩუპით. – თავი დააქნია ტარიელმა, ჯიბიდან ათლარიანი ამოაძვრინა და პუაროს გადაულაპარაკა. – უნდა ავილოთ, სხვანაირად არ გამოვა.

— გემრიელია? – იკითხა პუარომ.

— ბაზრობაზე უკეთესს აკეთებენ. – საქმის ცოდნით თქვა ტარიელმა.

— მზად არის. — თქვა ალმაატამ, რომელსაც ინგლისურის არაფერი გაეგებოდა და ამიტომაც მის ნახელავში ეჭვის შეტანაც კი გულს ვერ დასწყვეტდა.

— ჩვენ ... – ისევ დაიწყო ტარიელმა, თუმცა დასრულება არც ამჯერად დასცალდა.

— სახელები საჭირო არ არის. – მოჭრა ალმაატამ.

— გაგაფრთხილეს?!

— გელოდებოდით...

— ის დღე ხომ კარგად გახსოვთ?!

— რომელი დღე? – გაიკვირვა საყვარელიძემ, რომელსაც საკუთარი ხეირი არ ავიწყდებოდა. – ჭამეთ, თორემ გაცივდება და აღარ ივარგებს.

— აი, ის დღე, იმ სახლში, რომ გაზი გადაიკეტა, ისინი რომ...

— სახელები საჭირო არ არის. – ისევ გაიმეორა საყვარელიძემ, აქეთ-იქით გაიხედა და მხოლოდ ამის შემდეგ განაგრძო. – მახსოვს, ეგ დღე რომ არ ყოფილიყო, მე აქ არ ვიდგებოდი.

— მაინც როგორ იყო ეგ ამბავი? – არ მოეშვა ტარიელი.

— იმ ღამეს მორიგე ვიყავი, სამის ნახევარი იყო, ტელეფონმა რომ დარეკა.

— ქალმა დარეკა თუ კაცმა? – იკითხა პუარომ და ეს შეკითხვა წამსვე იყო გადათარგმნილი ტარიელ ბოზოიანის მიერ.

— ეგ არ ვიცი, ჟურნალში სხვამ გაატარა, იმას, ვისაც დაურეკავს, ჯერ გაზის გუგუნის ხმა გაუგია, გამათბობელთან მისულა და დაუწევია, ამან საქმეს ვერ უშველა, კიდევ დაუწევია, მაინც არაფერი გამოვიდა, ამდგარა და სულ გაუთიშია გამათბობელი, მხოლოდ ამის შემდეგ დაურეკავს ჩვენთან და ჩვენც მივედით.

— მერე რა მოხდა? – ჩაეძია ტარიელი.

— ეზოში გავედით, სახლთან ახლოს რეგულატორი დგას, რკინის კარადაში...

— მანდ რა გინდოდათ? – არ მოეშვა ტარიელი.

— გაზი უნდა გადაგვეკეტა.

— ის კარადა გატეხილი ხომ არ დაგხვდათ? – ხმა ამოიღო პუარომ.

— ეგრე იყო, ბოქლომი აღარ ჰქონდა, თუმცა სხვა რამ დაზიანებული არ ყოფილა, შეიძლება ღია დარჩა წინა ბრიგადას, ათასნაირი ხალხი მუშაობს, ხომ იცით...

— მერე?

— გაზი გადავკეტეთ, რამე რომ არ მომხდარიყო.

— რომელ საათზე მოხდა ეგ ამბავი?

— გადაკეტვა?

— ჰო, გადაკეტვა.

— ღამის სამი საათი იყო.

— ყველაფერი ნათელია. – ჩაილაპარაკა პუარომ.

მამაკაცები გაჩუმდნენ.

საუბარს ისეთი პირი უჩანდა, რომ აღარ გაგრძელდებოდა.

ამასობაში შაურმაც დასრულდა, რაც კიდევ უფრო ამყარებდა წასვლის აუცილებლობას, მითუმეტეს, რომ ეს რაღაც შაურმა არც ერთს მოსწონდა და არც მეორეს.

— ერთი რამე მინდოდა. – უხერხული სიჩუმე ისევ ტარიელმა დაარღვია.

— მოგეწონნათ? . . კიდევ ხომ არ გავაკეთო? – გაიხარა ალმაატამ.

— არა, ძალიან ნოყიერი საჭმელია, სხვა რამე მაინტერესებს ... გაზის ტარიფი ხომ არ მოიმატებს?

— თუ ობიექტური აუცილებლობა არ შეიქმნა, იგივე დარჩება.

ალმაატა საყვარელიძის პასუხში ნათლად ჩანდა პროფესიონალიზმი, საქმის სიყვარული და ძველი სამსახურის მონატრება, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებდა იმ ამბავს, რომ ბუნებაში ყოფილი გაზის კაცი არ უნდა არსებობდეს, ისევე როგორც ყოფილი ჩეკისტი.

ამ საუბრის შემდეგ ტარიელ ბოზოიანის დღიურში ახალი ჩანაწერი გაჩნდა.

ველაპარაკეთ გაზის კაცს.

შეშინებული ჩანს, ეტყობა რაღაცეები კიდევ იცის, მაგრამ არ ლაპარაკობს. ძველ სამსახურზე გაბრაზებულია, არც ერთგულება დაუფასეს და არც ამდენი წლის შრომა, შემოსავალიც დაჰკარგა, კარგი ხელფასი და ერთ-ორი კაპიკი აქეთ-იქიდან. მაგ საქმის ხათრით საშინელი შაურმაც ვაჭამე ამ პატიოსან კაცს. პუარო რისი პუაროა, ვინმე არ აალაპარაკოს, გასაღებს ყველას მოუნახავს.

გაზის ამბავი მართლაც უცნაურია. ალმაატა სხვა რამეს ყვება, მოწმეებიც ჰყავს და საბუთებიც ინახება მის ძველ სამსახურში. იმათ რომ კითხო, ბინაში ოთხ საათზე შევიდნენ, გაზის გუგუნის ხმა გაიგეს და გადაკეტეს.

ეხლა რა გამოდის?

ერთი საათის წინ დაკეტილი გაზი, კიდევ ერთხელ დაკეტეს, იმიტომ, რომ ხმა გაიგეს და სუნი იგრძნეს იმისი, რასაც ვერ გაიგებდნენ და ვერ იგრძნობდნენ.

პუარო იქით იყოს და ამ ამბავს ჩვენი დამწყები ოპერიც ადვილად მიხვდება...

— რა კარგი გემოვნება გქონია, თარიელ, რა ლამაზი უბის წიგნაკი შეგიძენია, ტყავის ყდით, სანიშნით, მოსახერხებელი ზომის, ჯიბეშიც არ შეაწუხებს ადამიანს. – თქვა პუარომ და

ხინკლის ქიპები ისე მოხერხებულად მოაგროვა თეფშის კუთხეში, კაცი იფიქრებდა, რომ საქვეყნოდ განთქმული მაძებარი შორეულ ინგლისში მხოლოდ ამ საქმით გახლდათ დაკავებული.

ამ ქმედებით გახალისებულმა ტარიელმა გაიფიქრა, ნიჭიერი კაცი ყველაფერში ნიჭიერიაო, მაგრამ ბელგიელ მაძებარს სულ სხვა რამ უპასუხა, რასაც სიმართლესთან საერთო არაფერი ჰქონდა.

— ჩემი კლიენტების ნომრები მიწერია...

— მობილურს არ ენდობი? – ჩაეძია პუარო, რომელიც, როგორც წესი, კარგად გრძნობდა მოსაუბრის გულწრფელობას.

— მობილურშიც მაქვს, მაგრამ ტელეფონი ჯდება, ზოგჯერ ურევს კიდეც, ერთხელ საერთოდ მომპარეს და მთელი ნომრები აღსადგენი გამიხდა, ბლოკნოტი რომ მქონოდა, წვალებაც აღარ დამჭირდებოდა.

— წინდახედული კაცი ყოფილხარ, თარიელ. – შეაქო მასპინძელი პუარომ და მორიგ ხინკალს დასწვდა. – მწვანილი მეტი მოსვლიათ, წინა პარტია ჯობდა.

ამ შეფასებამ ტარიელ ბოზოიანი გვარიანად დააბნია და ათასმა დაუჯერებელმა აზრმა გაჰკრა გონებაში, მაგრამ ამ აზრების დახარისხება აღარ დასცალდა, რადგან სტუმარმა ხინკლის გადასანსვლა მოასწრო და ახალი კითხვა შეაგება ტარიელს.

— თქვენი მეუღლე თუ აკეთებს ხინკალს?

— თინა? – გადაამოწმა ტარიელმა.

— სხვაც გყავთ? – იკითხა პუარომ ისე, თითქოს ტარიელის საიდუმლო უკვე ამოცნობილი ჰქონდა.

— როგორ შეიძლება. – იუკადრისა ტარიელმა. – კარგი დიასახლისია, საყვედურს ვერ ვიტყვი, მაგრამ ეს ხინკალი არ გამოსდის, ძალიან საწვალებელი რამეა.

— ეგრე ჩანს. – დაეთანხმა პუარო.

— რამე ხომ არ დაგველია. – ტარიელმა საჩოთირო თემიდან თავის დაღწევა სცადა.

— სანამ საქმეს არ მოვრჩები, სასმელს არ ვეკარები, ასეთი ჩვევა მაქვს.

— ლუდი? – არ მოეშვა ტარიელი.

— ლუდი შეიძლება. – დათანხმდა პუარო, თუმცა იქვე დაამატა. – საჭესთან როგორღა დაჯდებით?

— ლუდი რა სასმელია. – იუკადრისა ტარიელმა. – თანაც თუ საჭირო შეიქნა, ტაქსს გავაჩერებთ.

— მიყვარს იუმორიანი ხალხი, მათთან მუშაობას არაფერი სჯობს. – თქვა პუარომ და თეფშის გამოცვლა მოითხოვა.

რამდენიმე ჭიქა სრულიად საკმარისი აღმოჩნდა გულითადი საუბრის გასაგრძელებლად.

— თქვენ თუ გყავთ ოჯახი? – როგორც იქნა გაბედა ტარიელმა.

— ცოლი არასოდეს მყოლია.

— რაღაც მიზეზი გექნებათ აუცილებლად. – არ მოეშვა ტარიელი.

— მაქვს. — მოჭრა პუარომ და ტუჩებიდან თეთრი ქაფი მოიწმინდა, რომელსაც უხარისხო ლუდი ტოვებს ხოლმე. – ჩემს ქვეყანაში ასე ამბობენ: ცხოვრებაში მხოლოდ ორი არჩევანი გაქვს, ან იყო მარტოხელა და უბედური, ან იქორწინო და სიკვდილს ნატრობდე.

— მაინც რომ მოჰყავთ?

— რას იზამ, ადამიანს ვერც ფიქრს აუკრძალავ და ვერც წარმოსახვას.

— ეგ რაღა შუაშია? – დაიბნა ტარიელი.

— თავშია, ჩემო მეგობარო. – პუარომ საკუთარ ხმას სევდაც შეაპარა. – ქორწინება ხომ სწორედ წარმოსახვის გამარჯვებაა გონიერებაზე.

ასეთ სიტყვებსა და ასეთ განწყობას, რა თქმა უნდა, არაყი უფრო შეეფერებოდა საკუთარი სიმძიმითა და მწარე გემოთი, მაგრამ განთქმული მაძებარი კვლავ უარზე იდგა. კაცმა რომ თქვას, არც გაემტყუნებოდა, მაინც ევროპელად რჩებოდა და სხვაგვარ ცხოვრებას გახლდათ ჩვეული.

მოკლედ, საქმე არ ითმენდა.

— ერთი ეს მითხარი, თარიელ, ეს თქვენი მეორე პირი რა კაცი იყო?

— იყო რა...

— ვითომ ეგრეა საქმე?! – დაეჭვდა პუარო.

— არა, ეხლა, პირადად მე არ ვიცნობდი. – უკან დაიხია ტარიელმა.

— ხალხი რას ამბობს?

— ხან რას, ხან რას.

— მაინც?

— იმასაც, ამასაც ...

— უფრო იმას, არა?

— ეგეთი ჭორებიც დადიოდა... ცოტა ძნელი დასაჯერებელი კია, მაგრამ რა ვიცი, სხვაზე თავი როგორ დავდო?!. თბილისს უნდა იცნობდე და ბევრი რამე გასაგები გახდება, ამათ სულ კოჭი უნდა უგორო, თორემ ამოგიჩემებენ და რაღაცაში გაგსვრიან, ამ ქალაქში ყველას ყველაფერს აბრალებენ, შურიანები არიან, წარმატებული ხალხი ეზიზღებათ, თორემ დასაწუნი რა ჰქონდა? მცოდნეც იყო, განათლებულიც, გამოცდილიც, გავლენაც ჰქონდა და შეძლებაც, არც იუმორი დაეწუნებოდა, ბევრი კარგი საქმეც ჰქონდა გაკეთებული, ბოროტსაც არ ჰგავდა, უმეტესობას, მგონი, უყვარდა კიდეც, ვისაც არ უყვარდა, პატივს მაინც სცემდა.

— ბედნიერებაა, როცა შენი ყველას შურს, თანაც ვერაფერს გიშავებენ. – თავი დააქნია პუარომ.

— ვინ რას დაუშავებდა, პირიქით, ბაძავდნენ კიდეც ...

— როგორ?

— ხან ხმით, ხან მიხვრა-მოხვრით ...

— ბევრი ბაძავდა?

— ვისაც არ ეზარებოდა.

— ადვილი მისაბაძი ყოფილა. – დაასკვნა პუარომ.

— ძალიან.

— საინტერესოა ... – ჩაილაპარაკა პუარომ და ცხარე საჭმელს, ახლა უკვე, ბორჯომი მიაყოლა. – ის თათარი ბიჭი საიდან გაჩნდა?

— ადრე ერთად უმუშავიათ, გამოდის, რომ ერთმანეთს იცნობდნენ, თანაც კარგად, საქმიანი შეხვედრა უნდა ყოფილიყო იმ სახლში, რაღაც სალაპარაკო ჰქონიათ ...

— სამსახურში ვერ ილაპარაკებდნენ?

— ეგ კითხვა მეც გამიჩნდა. – თავი დააქნია ტარიელმა.

— იმ თათარი ბიჭის ოჯახს უნდა გავესაუბროთ.

— ეგ ცოტა რთული საქმეა, თბილისში არ ცხოვრობენ.

— შორს არის?

— არც ისე ...

— სადაც არიან, იქ ჩავიდეთ. – არ მოეშვა პუარო.

— არ დაგველაპარაკებიან, ისეთი კაცი უნდა ვიპოვოთ, ვისაც მიენდობიან, არ დაფრთხებიან, მათი ენა და წეს-ჩვეულება ეცოდინება, ჩვენთან ეგეთ რამეებს დიდი მნიშვნელობა აქვს.

— ეგეთ კაცს სად ვნახავთ?

— მე მყავს. – სიამაყით თქვა ტარიელმა, რითაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ჩვენი დედაქალაქის უცნაურ ბუნებას.

ამ სანდო ადამიანში ბოზოიანი გულისხმობდა საკუთარ კლასელს, ელდარ ციმაკურიძეს, რომელსაც დედა აზერბაიჯანელი ჰყავდა და ორივე ერის ენა თუ ჩვეულება მშობლიურად მიაჩნდა. მართალია, ტარიელს კლასელი რამდენიმე წლის უნახავი ჰყავდა, მაგრამ მისი უარის წარმოდგენაც კი ჭირდა, იმ ძველი დამსახურების გამო, რაც ერთად ათწლიან სწავლა-მეგობრობას ახლავს ხოლმე თან.

ტარიელს გუმანმა არ უმტყუნა.

მოკლედ, არ შემცდარა.

შევხვდი ელდარას.

მაგრად გაუხარდა. მაგასთან დასამალი რა მაქვს და ყველაფერი მოვუყევი, პუაროზეც ველაპარაკე. ჯერ არ დამიჯერა, ეგო კინოს გმირიაო, ცოცხალი როგორ იქნებაო, მე ვუთხარი, თავიდან მეც ეგრე მეგონა, თინასაც არ სჯეროდა, მაგრამ მერე კარგად დავაკვირდი და ნაღდად ეგ არის მეთქი, მაინც ეჭვის თვალით მიყურებდა. დავპირდი შეგახვედრებ მეთქი, მხოლოდ ამის შემდეგ დამიჯერა.

ჩასვლაზე დამთანხმდა, უარი ველარ თქვა, ანდა როგორ იტყოდა, რაც მაგას დედაჩემის გამომცხვარი პერაშკი უჭამია. ერთი კი მითხრა, მაგარი სახიფათო საქმე დაგიწყიათო, მაგის ქექვა არავის არ აწყობსო, თანაც, იქნებ მართლაც ეგრე იყო ყველაფერიო. თუ მართლა ეგრე იყო, ვინ მამაძაღლი მეთქი, წავა ეს კაცი თავის გზაზე და ყველაფერიც დამთავრდება, მაგრამ ხომ უნდა გავიგოთ, როგორ იყო, რა იყო, როდის იყო, საინტერესოა რა, შენ არ გაინტერესებს თქო, ისე რაო, ჩემი თავის ამბავი ვერ გამირკვევია, სხვისას რას გავიგებო, მაგრამ მაინც დამეთანხმა, თანაც იმ სოფელში ნათესავები ელდარასაც ჰყოლია, ასე რომ, წასასვლელი მიზეზიც აქვს. ეს ისე, ვინმე თუ უთვალთვალებს და მერე რამე კითხეს. მოკლედ, ხვალ დილით მიდის და ხვალვე დაბრუნდება უკან.

ვნახოთ რა ამბავს ჩამოიტანს ...

სანამ ელდარი აზერბაიჯანული სოფლისკენ მიმავალ გზას ადგა, ტარიელი და პუარო მეორე პირის სამოძრაო მარშრუტის შესწავლით იყვნენ დაკავებულები.

სახლიდან მოედნამდე მიმავალი გზა მალევე გაიარეს, მითუმეტეს რომ ბევრი გასავლელი არც არაფერი ყოფილა, იქნებოდა ასე სამასი მეტრი, შესაძლებელია ოდნავ ნაკლებიც კი.

ტარიელმა მშვიდი ადგილი შეარჩია მანქანის გასაჩერებლად.

— რა დრო მოვანდომეთ ამ გზის გავლას? – იკითხა პუარომ.

— ეხლა მე ზუსტად არ დამინიშნავს, მაგრამ სადღაც ორი წუთი იქნება, ღამით უფრო ცოტა დრო დასჭირდება. – მოიბოდიშა ტარიელმა და გულით ინანა, რომ არც მანძილი მონიშნა და არც დრო ჩაინიშნა, რითაც გამოძიების მსვლელობა ოდნავ, მაგრამ მაინც შეაფერხა.

— არა მგონია რამდენიმე წუთს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. – დააწყნარა პუარომ.

— არ ვიცი ... არ ვიცი ... – ჩაიბურდღუნა დამნაშავე ტარიელმა.

— ერთი ეს მითხარი, თარიელ, აქედან წასვლა სად შეიძლება?

— ქვევით ნაბერეჟნია. – დაიწყო ტარიელმა და საკუთარი სიტყვებისთვის მეტი დამაჯერებულობა რომ მიეცა, დაღმართისკენ ხელი გაიშვირა. – მარჯვნივ ორთაჭალაა, მარცხნივ დიღომი, ნაბერეჟნიდან ვარანცოვზეც მოხვდები და პლეხანოვზეც, დიღმიდან დიდუბეშიც შეიძლება გადასვლა, მაგრამ დიდუბე ამ ხიდიდან უფრო ახლოა, იქით საბურთალოა, მერე ვაკე და ვერა, ბოლოს რუსთაველი, მერე აღმართი და ავლაბარი, პირდაპირ ის ქუჩაა დილით რომ ვიყავით, მოკლედ, გზა ბევრია, გააჩნია ვინ საით მიდის ...

— როცა გზა ბევრია და მისასვლელის არჩევანიც გაქვს, იმ ერთადერთს ირჩევ, რომელსაც შეჩვეული ხარ. – თქვა პუარომ და საკუთარ უბის წიგნაკში რაღაც ჩაინიშნა.

მგონი, მართალი უნდა იყოს ეს კაცი, გაიფიქრა ტარიელ ბოზოიანმა და საბურთალოს ქუჩას გახედა, რომელიც ახლაც ისეთივე გადატვირთული იყო, როგორც სხვა ნებისმიერ დღეს.

ქალი რისი ქალია, რამით არ ისარგებლოს.

სანამ ტარიელი და პუარო მნიშვნელოვანი საქმეებით იყვნენ დაკავებულები, ბოზოიანის მეუღლე თინა, მეგობარ ნუნუსთან ერთად, ყავას სვამდა და საკუთარი ქალური პრობლემების შემსუბუქებას ცდილობდა.

ნუნუ და თინა ჯერ კიდევ სამედიცინო სასწავლებლიდან მეგობრობდნენ, სადაც მედდის საპატიო ხელობას ეუფლებოდნენ. მუშაობასაც ერთად განაგრძობდნენ პირველ კლინიკურ საავადმყოფოში, იგივე არამიანცში, რომელსაც საუკუნეების მანძილზე დასახელება ბევრჯერ ჰქონდა გამოცვლილი და ჩვენი წინაპრებისთვის ანდრია პირველწოდებულის სახელით იყო ცნობილი. რაღა დიდი ახსნა-განმარტება უნდა იმას, რომ მეგობრებს ერთმანეთისგან დასამალი თითქმის არაფერი ჰქონდათ და საკუთარ გულისნადებს კვირაში ერთხელ თუ არა, თვეში რამდენჯერმე მაინც უზიარებდნენ ერთმანეთს. ოღონდ ეგაა, ქალებმა მეუღლეები, მიუხედავად არაერთგზის შეხვედრისა, ვერაფრით დაამეგობრეს. არც ტარიელსა და არც შალვას ერთმანეთზე გული არ მისდიოდათ. რას იზამ, კაცია და გუნება. მიუხედავად მცირე უხერხულობისა, მანდილოსნების მეგობრობას, ანდა როგორც თბილისში იტყვიან, დაქალობას, ჩრდილი არ ადგებოდა და ჩვეული გზით მიედინებოდა.

ეს შეხვედრა, როგორც ასეთ შეხვედრებს შეეფერება, შედგა პატარა სამზარეულოში.

— ტარიელს ველარ ვცნობ. – ამოიოხრა თინამ.

— რას აშავებს? – დაინტერესდა ნუნუ.

— რას უნდა აშავებდეს? – გაიკვირვა თინამ.

— აბა, რას ერჩი? — კიდევ უფრო გაიკვირვა ნუნუმ.

— ჩემს ამბავს არ კითხულობს, ძალიან გამოცვლილია, ბავშვი რომ გვყავდეს, სულ სხვანაირად იქნებოდა ჩვენი საქმე.

— ქალი ყავს?

— ქალი არა ისა ... ერთისთვის ვერ მოუვლია, ორს გაწვდება, მაგის თავი აქვს?

— აბა, კაცი? – იხუმრა ნუნუმ.

— ეგღა მაკლია ... კლიენტი ყავს ...

— მაგას სულ კლიენტი ყავს, აბა, სხვანაირად როგორ იქნება, ოჯახი ხომ უნდა არჩინოს..

— კლიენტსაც ხომ გააჩნია?! ერკიულ პუაროს ატარებს.

— ეგ ვინ არის?

— ბელგიელი კერძო დეტექტივი, ინგლისში ცხოვრობს, მაგის გაუხსნელი საქმე არ არსებობს. მიწის გულში რა არის, ისიც კი იცის.

— აქ რა უნდა? – ნუნუმ, როგორც იქნა, რაღაც იგრძნო.
— იძიებს...
— რას?
— ნუ მკითხავ. – თინა გადაიხარა და მეგობარს ყურში რამდენიმე სიტყვა უჩურჩულა. – ეხლა ხომ მიხვდი, რატომაც ვნერვიულობ.
— უიმე! – მხოლოდ ესღა მოახერხა ნუნუმ.
— ღამე დარდისგან არა მძინავს ...
— კარგად უხდის მაინც?
— ჯერ არაფერი მიუცია, ისე კი პირდება ...
— ღმერთმა ქნას.
— ეჰ, არ ვიცი, არ ვიცი ... სიგარეტი გექნება.
— აბა, აღარ ვეწევიო?
— გაცლიან?!

არ გაცლიან, გაიფიქრა ნუნუმ, რომელმაც ამ ფიქრს საკუთარი ოჯახის სადარდებელიც მიაყოლა, თუმცა ამის შესახებ მეგობრისთვის არაფერი უთქვამს.

სახლში მობრუნებულ ტარიელს მეუღლე შინ არ დახვდა. დიდ უბედურებას ამას ვერ დაარქმევდა ადამიანი, მაგრამ გარკვეულ უხერხულობას მაინც უქმნიდა ჩვევის ტყვეობაში მოქცეულ კაცს. ერთი ხეირი მაინც ჰქონდა ტარიელის სიმარტოვეს, დღიურის წერაში ხელს აღარავინ შეუშლიდა და აღარც დამალვა დასჭირდებოდა.

დრო არ ითმენდა, არავინ იცის, როდის მობრუნდებოდა თინა და თავზე წაადგებოდა ტარიელს. ამას კი რაც მოყვებოდა, ძნელი წარმოსადგენი აღარ უნდა იყოს.

ტარიელმა, სანახევროდ შევსებული, უბის წიგნაკი გაშალა.

გავიარ-გამოვიარეთ.

ის გზა და ის ადგილები დავათვალიერეთ, სადაც იმ ღამით დაცვის მანქანები მოძრაობდნენ.

იმ ღამით მეორე პირი სახლიდან გასულა და იქვე ახლოს, სხვა მანქანაში გადამჯდარა, ეს მომხდარა თორმეტის ნახევარზე. დანარჩენი ისედაც ცნობილია, იგულისხმება პროდუქტის შეძენა და დანიშნულების ადგილზე მისვლა.

ამ უწყინარ ინფორმაციაში უცნაური თითქოს არაფერი უნდა იყოს, მაგრამ პუარო რისი პუაროა, რამე არ გამოჩხრიკოს. ოჯახის წევრებს უთქვამთ, ეგო სახლიდან თორმეტს რომ თხუთმეტი აკლდა, მაშინ გავიდაო, და თორმეტის ნახევარზე როგორღა გადაჯდებოდაო სხვა მანქანაშიო. საქმეს ისეთი პირი უჩანს, ოჯახის წევრები არ უნდა ტყუოდნენ, მატყუარებს დაცვის წევრები უფრო გვანან, რაც, როგორც პუაროს უყვარს თქმა, დასტურდება შემდეგი გარემოებით: ეს ბინა, კონსპირაციულს რომ ეძახიან, უქირავებია დაცვის წევრს საიდუმლო შეხვედრებისთვის. კაცს არ გაუჭირდება, ქალს კი გაცილებით გაუადვილდება იმის მიხვედრა, თუ რაში იყენებენ ასეთ ბინებს, მოკლედ, ეს ჩვენი დაცვის წევრი ცოლს ატყუებდა. აქედან დასკვნა: კაცი რომ ცოლს ატყუებს, სხვასაც მოატყუებს და მისი სიტყვის დაჯერებაც გაძნელდება. ცოტა საკამათო ამბავი კია, განსაკუთრებით ცოლის საკითხში, მაგრამ მთელ მსოფლიოში ასეთი მიდგომა ყოფილა და ჩვენც უნდა დავემორჩილოთ. ასეა თუ ისე, ბინის ამბავი უკვე დადასტურებულია, ეხლა მთავარი იმის დადგენაა, ეს ჩვენი მეორე პირი ნამდვილად იყო თუ არა ამ სახლში. თუ ანაბეჭდების ამბავს გავიხსენებთ, მგონი, ნამყოფი არ უნდა იყოს, მაგრამ პუაროს ამბავი რომ ვიცი, სხვა რამეს უნდა ფიქრობდეს, მაგის ხასიათისა და გამოცდილების კაცი ეგრე ადვილად არ დანებდება.

ხვალ ელდარს ველოდებით, ჩამოვა და ამბავსაც ჩამოიტანს. ვნახოთ...

**დასასრული შემდეგ ნომერში**

ეპისტოლე

# პლუტარქეს გახსენება

## (ნანა ტონიას ახალი თარგმანის გამო)

ძვირფასო რედაქცია!

ბევრი ვიფიქრე, როგორ დამეწყო წერილი. ვერაფრით მივაგენი საჭირო სიტყვებს. მინდა, რაც შეიძლება უბრალოდ და გასაგებად გამოვთქვა ჩემი აზრი თქვენს ჟურნალში გამოქვეყნებულ ერთ თარგმანზე. ეს არის პლუტარქოსის „შვიდი ბრძენკაცის ნადიმი“.

ჩვენი ჟურნალ-გაზეთები, სამწუხაროდ, არ გვანებივრებენ კლასიკური ლიტერატურის ნიმუშების ბეჭდვით. ბევრს დაავიწყდა კიდეც, თუ რა არის ძველი ბერძნული და რომაული მწერლობა. მგონი აღარც კითხულობენ, ძველი რა უნდა იყოსო, ფიქრობენ. არადა, კლასიკის გათვალისწინების გარეშე თანამედროვე ლიტერატურა არ არსებობს და თუ არსებობს, ის, ჩემი აზრით, ყალბია.

ქალბატონი ნანა ტონიას თარგმანებს თვალს ვადევნებ და უნდა გითხრათ, ძალიან მომწონს. მეტიც, თვალდახუჭული ვენდობი. რატომ? იმიტომ, რომ პროფესიონალია. არც გამოცდილება აკლია, არც ოსტატობა და არც ცოდნა. თარგმნის იმას, რაც იცის. აშკარად ეტყობა, რომ ძირისძირობამდე სწავლობს სათარგმნელ მასალას. კარგი ტრადიცია დაამკვიდრა ბაჩანა ბრეგვაძემ. ძველბერძნული ძეგლების მთარგმნელს მარტო ტექსტის გადმოქართულება კი არ ევალება, არამედ ახსნაც, განმარტებაც, გააზრებაც. ძველად, ძველქართულად, თარგმნა ხომ განმარტებასაც ნიშნავდა.

ტრადიცია გრძელდება. ამაზე კარგი რა უნდა იყოს.

გამოგიტყდებით, კითხვა ბოლოდან, შენიშვნებიდან დავიწყე. რატომ მოვიქეცი ასე, არ ვიცი, ალბათ იმიტომ, რომ ძალიან საინტერესოა. წინათქმას რაც შეეხება, ნამდვილი მეცნიერული ესეია.

ტექსტი? უნაკლო თარგმანია. ბერძნული არ ვიცი, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ეს უნდა იყოს ისეთი თარგმანი, როგორსაც კონგენიალურს უწოდებენ.

„შვიდი ბრძენკაცის ნადიმმა“, რა თქმა უნდა, გამახსენა „რჩეული ბიოგრაფიები“, მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკისა და თბილისის უნივერსიტეტის ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკის სერიებით გამოცემული თარგმანები აკაკი ურუშაძისა. ფილოლოგი ვარ და მახსოვს ის ტკბილი დროც, როცა ბატონი აკაკი ჩვენი დეკანი იყო. გარბის ეს წყეული დრო და ყველაფერი კარგი თან მიაქვს. თუმცა ხანდახან გამონათებებიც არის ხოლმე. ჩემთვის ერთ-ერთი ასეთი გამონათებაა ნანა ტონიას ეს შესანიშნავი თარგმანი, რომელიც წარსულსაც გვახსენებს და სამომავლოდაც გვაიმედებს.

მინდა, მადლობა გითხრათ იმისათვის, რომ არ ივიწყებთ კლასიკურ ლიტერატურას. იმედი მაქვს, არც მომავალში დაივიწყებთ.

**უშანგი კახაბრიშვილი**

*გურჯაანი*

თამარ ღონღაძე

# „მისვე ხმისა სიტკბოსაგან... “

*

## ნოდარ ანდღულაძის ვარსკვლავის გახსნა

ერთგვარი შეჯიბრება ეწყობოდა ხოლმე ჩვენს ბავშვობაში... როდესაც სოფლად ზაფხულის არდადეგებზე პაპა-ბებიების სახლ-კარი მონატრებული შვილიშვილებით დაიხუნძლებოდა და აჟივჟივდებოდა, ღამე სულგანაბულნი ცას შევცქეროდით — ვის გაუმართლებდა და ვინ დაინახავდა, როგორ მოწყდებოდა ვარსკვლავი. მოჭედილი ციდან „ვარსკვლავთა ცვენა“ იდუმალთან მიახლოების წამი იყო და სასწაულის თანამონაწილის ჩუმი სიხარულით გვავსებდა...

სინამდვილეში ხომ არცერთი ვარსკვლავი არ სწყდება არც ხილულ ცას, რომელიც უფალმა სამყაროს შექმნის მეორე დღესვე გადააკრა დედამიწას მოლურჯო გუმბათივით, და არც იმ უხილავ კაბადონს, რომელზეც ხელოვანთა სახელები ვარსკვლავებად ენთება და ჩვენს ცხოვრებას უშურველად ჩუქნის მარადიულ შუქს.



ერთი ასეთი ვარსკვლავი ანდღულაძეთა გვარის ხომლიდან ანათებს. მას დიდი მაესტროს, უფრო სწორად, მეტრის (მართებულად შენიშნა პროფესორმა **მიხეილ ქურდიანმა**) სახელი ჰქვია — **ნოდარ ანდღულაძე.**

ნოდარ ანდღულაძის ვარსკვლავის გახსნის საზეიმო საღამოზე ყველა დამუხტული და მოცული იყო იდუმალთან მიახლოების სწორედ იმ საოცარი განცდით, რომელიც სულს სადღაც ზევით, უსასრულობისა და უსაზღვროების სამყაროსკენ მიეზიდება. ზუსტად ის ხდებოდა, რის გამოც ერთხელ, წლების წინათ, ნოდარ ანდღულაძის სიმღერის მოსმენის შემდეგ პატარა ქეთუთამ მკითხა: „დე, ხმა სად წავიდა?..“ კისერი დაიგრძელა, მისი მზერა ლამის დარბაზის გუმბათსაც კი „ასცდა“ და, რომ ვერ „მისწვდა“ ხმის გზასა და სიმაღლეს, დარბაზში დაუფლებული ემოციისგან თავის ადგილს უნებურად მოწყვეტილს, ეს კითხვა ბუნებრივად გაუჩნდა.

ასე ხომ მხოლოდ დიდოსტატებს შეუძლიათ. ნოდარ ანდღულაძემ საკუთარი ხმის, გონებისა და სულის შეერთებით სიმღერის ურთულესი და უნატიფესი ბუნება შეიცნო, ახსნა და, არა მხოლოდ თვითონ გახდა ამ დიდი განძის მფლობელი, ლამის ნახევარი საუკუნეა, მრავალ მონაფეს უნაწილებს სულიერ სიმდიდრეს და გასცემს დაულეველი საფასიდან იმდენს, რამდენის ზიდვასაც თითოეული მათგანი შეძლებს.

იმ დიდებულ საღამოს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სცენიდან ისმოდა ნოდარ ანდღულაძის უკვე მრავალგზის აღიარებულ ნამოწაფართა თუ დღევანდელ მოწაფეთა (**სულხან გველესიანის, მიხეილ ქირიას, მარიამ თათარაშვილის, გოჩა და უჩა აბულაძეების, ალუდა თოდუას, ელენე პუტილოვას, არმაზ დარაშვილის, მარიამ ქობალიანის, თემურ გუგუშვილის, ელდარ გეწაძისა და ლიანა კალმახელიძის**) სიმღერა. მათთან ერთად ბატონ **რეზო ტაკიძის** დირიჟორობით ორკესტრმა თავისი კლასი და თავდადება წარმოაჩინა.

დროდადრო თვითონ ნოდარ ანდღულაძის ადრეულ ჩანაწერებში ჩასახლებული, ერთდროულად წმინდა და ძლიერი ხმა გაისმოდა. სხვადასხვა დროის ფოტოები და ვიდეოკადრები მართლაც რომ ვარსკვლავთცვენისა და ფეიერვერკის მსგავსად ინთებოდა ჩვენ თვალწინ.

წრფელი და გულითადი იყო თითოეული გამომსვლელი — რეჟისორი დავით საყვარელიძე, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორის მოადგილე **მანანა ანდრიაძე**, პროფესორი **მიხეილ ქურდიანი**, ენათმეცნიერი **მაია მანჯგალაძე**, ლოტბარი, ანსამბლ „რუსთავის“ ხელმძღვანელი **ანზორ ერქომაიშვილი**, მხატვარი **მურაზ მურვანიძე**, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის მსახიობი **რუსუდან ბოლქვაძე**, რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელი **ზაალ ჩიქობავა.** ბუნებრივად და ჰარმონიულად იყო ერთმანეთს შეზავებული სიტყვა თუ სიმღერა ისევე, როგორც ბატონი ნოდარ ანდღულაძის სიტყვა და საქმე. აღუნიშნავი არც მისი — როგორც ენათმეცნიერის — შრომა და გარჯა დავიწყებიათ, საბოლოოდ რომ მუსიკამ გადასძლია...

**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის** დალოცვა და **საქართველოს პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილის** მილოცვა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, რეჟისორმა **დავით საყვარელიძემ** წაიკითხა და ისინი ადრესატს გადასცა.

ასეთი ელვარე ზეიმი მოჰყვა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილებას, გახსნილიყო ნოდარ ანდღულაძის ვარსკვლავი. ყველაფერი ასე ლამაზად რომ გამოსულიყო, ძალ-ღონე არ დაიშურა დავით ანდღულაძის სახელობის ქართული ვოკალური კულტურის ფონდის ხელმძღვანელმა **გური ზაქარეიშვილმა.**

თავის ვარსკვლავთან კი დიდი მეტრი კონცერტის შემდეგ სიყვარულითა და მადლიერებით გულსავსე მონაფეებმა სცენიდანვე ხელში ატაცებული მიაბრძანეს.

დიდი ფსიქოლოგი დიმიტრი უზნაძე წერდა: „ლტოლვა მარადისობისკენ ყოველი ადამიანის არსშია“. ეს ლტოლვა სიმღერით გამოხატა ნოდარ ანდღულაძემ და თავისი დიდოსტატობით ისიც შეძლო, მარადისობის უსაზღვრო სამყაროს საკუთარი ჰანგებით შეხმიანებოდა...



ცნობილი პროზაიკოსის უეცარი გადასვლა პოეზიის ჟანრში. თუმც იქნებ უეცარი არც იყოს, რადგანაც ეს პოეტური ნიმუშები არ არის მარტოდენ შთაგონებით დაწერილი და მათ ეტყობათ კარგად გამომუშავებული სალექსო ტექნიკა, რაც თავისთავად არ ჩნდება, მითუმეტეს, ზურაბ ლავრელაშვილი მოვალე გახლდათ მკითხველისათვის შეექმნა ილუზია დროსა და სივრცეში თავისუფალი, ლაღი მოგზაურობისა, საამისოდ კი აუცილებელი იყო ღრმა ერუდიცია და იმ ზუსტი განწყობილებებისა და დეტალების მიგნება, ურომლისოდაც გაბედული ჩანაფიქრი შესაფერისად ვერ განხორციელდებოდა. როგორ გინდა მარჯვედ მიუსადაგო ერთმანეთს იმ პიროვნებათა პოეტური გაელვებანი, რომელთაც გარეგნულად თითქოს ნაკლები საერთო აქვთ... მაგრამ ეს ციკლი კიდევ ერთი დასტურია განუყოფელი სულიერი ურთიერთკავშირისა, რომელიც დასაბამიდან მოედინება და მოედინება...

მახვილგონივრული ლიტერატურული თამაშის პრინციპებზე აგებული მოგზაურობა დიდად სახალისოც იქნება მკითხველისათვის და სულის სარგოც. და არც სალიტერატურო კრიტიკას დარჩება უყურადღებოდ ამ არაორდინარული ქმნილების გამოჩენა. ძნელი სათქმელია, გააგრძელებს თუ არა ზურაბ ლავრელაშვილი პოეტურ გზასაც, მაგრამ შემთხვევითობა რომ არ არის ამ ციკლის — „ომოფონები“ — დაბადება მის შემოქმედებაში, ესეც ადვილი მისახვედრია.

ზურაბ ლავრელაშვილი

# ომოფონები

### შუმერი პოეტი მსხვერპლშეწირვის შესახებ (XII ს. ძვ. წ.ა.)

თეთრ ბატკანს ვწირავთ ჩვენს ღვთაებას ურ-ქარიგალზუს.
სამსხვერპლოს ვაგზნებთ კედრის ხისაგან,
რათა სურნელი აღსავლისა მისწვდეს ზეციერს
და მოგვხედოს წყალობის თვალით.

ოღონდაც მსხვერპლი რომელია, ეს აღარ ვიცით,
რადგან კაცის ძეს როდი ძალუძს ღმერთს გაუტოლდეს
და თუნდაც წუთით ხიფათისგან იხსნას სიცოცხლე.

### ბუდჰა-ზენაარი (V ს. ჩვ. წ.ა.)

კვლავ დედამიწის კლოაკაზე დაეშვა იგი,
ადამიანთა სიბრალულით გულშემუსვრილი, —
ზეციური სანახებიდან, სად მარადის ილხენდა სული,
ბრაჰმას ჭვრეტით განლაღებული.

ოღონდაც კაცად როდი იქცა — აქ მყოფობს იგი,
ფარულ ნივთთაგან ჰაეროვან არსად თხზეული
და კაცნი კვლავაც ადიდებენ ბომონებს მისას
ბრინჯაოსა თუ ხისგან თლილთა, საკმევლის წიაღ
გამომზირალთ ფუჭი ღიმილით.

### ბერძენი ისტორიკოსი ჰესპერიდასი თეზევსის მოგზაურობის შესახებ (ძვ. წ.ა. III ს.)

თეზევსმა მოკლა მინოტავრი თუ ურჩხულმა დაფლითა გმირი?
ვერასოდეს შევიტყობთ ამას,
რაკიღა გაწყდა შული ძაფის, არიადნას ხელით ნაქსოვის
და მხოლოდღა ნათოსი მისი, ლაბირინთში რომ დარჩენილა,
კვლავ იზიდავს ჩვენს გონებას მიწისქვეშეთში,
სად უცილო სიკვდილი გველის —
ვერმცნობელთა
ჩვენივ ბუნების.

### აცტეკთა ბელადი ადამიანებზე ნადირობისას (ჩვ.წ.ა. IX ს.)

პრერიებში ჩამოწვა ბინდი...
და ველარ ვხედავთ ტლასკანალენთ, ჩვენი შეჭმა რომ
უნდათ მუდამ,
მაგრამ ხელთ თუკი ჩაგვივარდნენ, მოვილხენთ ჩვენაც,
როდესაც გულ-ღვიძლს ამოვართმევთ სამსხვერპლო ქვაზე
და მათი სისხლით მოვითხუპნით შავგვრემან სახეს.

იგივეს იზამს მოტეკი თუ კანიბალთა ურიცხვი დასი,
ჩვენი ქალაქის ბჭეებთან რომ იმალვიან
ხშირ-ხშირ ბარდებში,
რათა ეულ მგზავრს თავს დაესხან, მყისვე მოცელონ
და მსუყე ხორცით ამოივსონ სტომაქი მწირი.

ზეცამ დაგვიდო ჩვენ ეს წესი, მას ვიცავთ მტკიცედ:
ადამიანი კაცისათვის ლეშია მხოლოდ!

### ქრისტიანი ბერი თებაიდის უდაბნოში (ჩვ.წ.ა. VII ს.)

წუხელ მეწვია მე სატანა ლომ-აფთრის სახით
და მთელი ღამე გაჰყმუოდა სენაკის ახლო...
ვითომ დავთმობდი მე ჩემს რწმენას ამგვარ ცდუნებით?!
სააქაო სატანჯველია.
მაგრამ მაშინებს ღმერთთან შეყრაც, რადგან ცოდვილთ
არ ულხინთ აროს
და კბილთა ღრჭენელთ მათ მოელით თვით გეჰენია.

### ქაბირი ბაღში (ჩვ.წ.ა. XVI ს.)

კორდზე მოსული იის თვალებით
რად შემომცქერი, უფალო, მითხარ?!
შენი ღვინით ვართ მუდამ მთვრალები
და აგრე მთვრალნი ვიქნებით დიდხანს,
სანამ მივხვდებით, რომ ხარ არარა,
არარას ძალით ჩენილი იად;
შენ ხარ მარადის,
ჩვენ ვცოცხლობთ მანამ,
სანამ თვალები გვეხილვის ღიად.

## აბსურდის თეორეტიკოსი ბიბლიოთეკაში (ჩვ.წ.ა. XX ს.)

სიცარიელე...
არარაში ვართ გატყორცნილნი, ვით ნამცეცნი უსაგნო ყოფის
და არსებობაც ჩრდილია ოდენ.
ველარას გვშველის ინტელექტი, ვერც რწმენის მუხტი,
თუ ცოდნის სურვილს არ ჩავიკლავთ ცინიზმის შხამით.
.............................................
თვითმკვლელობაც უაზრობაა.

## დელფოს ორაკულის პასუხი შემკითხველს (ძვ.წ.ა. III ს.)

ღმერთი როდი გვცდის.
ბედისწერა დასაზღვრულია
და მორჩილებენ მას თავადვე ცის ბინადარნიც.
მომავლის ახსნა ბნელში ხელის ცეცებით სვლაა...
ამ გამოცანას არ ერგება არც ერთი სიტყვა, —
სიტყვა, რომელიც ისე დახსნის ყოფის ცხრაკლიტულს,
როგორაც კლიტეს, მტკიცედ შეკრულს, მოქლონი სუსტი.

## პლატონი აკადემოსის ჭალაში მოძღვრავს შეგირდებს (ძვ.წ.ა. V ს.)

ოქსიმორონი.
სახება და არსი ცალ-ცალკე,
როგორც იდეა და იდეის ჩრდილი ფენილი.
სამყაროს გული თუკი ფეთქავს სადმე ძლიერად,
ჩვენამდე აღწევს მხოლოდ მისი არილი მცხრალი.

## აინშტაინი ლაბორატორიაში (ჩვ.წ.ა. XX ს.)

ალბათ...
ეს სიტყვა არ უნდა მეთქვა,
რაკილა ამით ყოფას ძირი გამოვუთხარე
და აღარ ვიცი — ვარსებობთ თუ ალბათ ვარსებობთ...
დანამდვილებით არაფრის თქმა არ შემიძლია.

## სინტოისტი მოხუცი ბერი მწუხრის ლოცვისას (ჩვ.წ.ა. VIII ს.)

მთვარე დაეშვა ტბის მჭვირვალი ტალღების ჩქერში.
ბინდი ივანებს, ჰქრება ნივთთა თუ საგანთა სახება მკრთალი,
ვით ჩვენ გავქრებით არარსობის უსიერ ბნელში.

## ეტრუსკი ქურუმი ფრინველის შიგნეულზე მკითხაობისას (ძვ.წ.ა. VIII ს.)

ჰარუსპიკი ვარ, შემცნობელი მომავალ ბედის.
ბატის გულ-ღვიძლი მიმანიშებს დიად საქმეებს,
რაკილა ქვეყნად ყოველივე ქარაგმულია:
ერთი მოვლენა გაცხადდება სხვა მოვლენის
მიზეზთა წვდომით,
ბრიყვს კი ჰგონია, რომ სიცოცხლე ჩვენია ოდენ...
ყოველი არსი ერთმანეთში გადახლართულა.

## ეგვიპტელი ფარაონი პირამიდის მშენებლობისას (ძვ.წ.ა. XII ს.)

მუმიადქცეულს აქ დაფლავენ ჩემ სხეულს, ვიცი,
სული კი, სული, ორბის ფრთებით ზე აფრინდება,
რათა მიერთოს ხომლს მნათობთა ორიონის ვარსკვლავედში,
საიდანაც აქ, მიწაზე, დაეშვა უწინ.

და ვმოგზაურობთ, ვეხეტებით სამყაროში კიდით-კიდემდე;
აქაც და იქაც არაოდეს მოგვესვენება...

## დაოსი ბერი განთიადზე (ძვ.წ.ა. V ს.)

მწვერვალზე ვდგავარ, ჩემ წინ ველია...
გზათა სიმრავლე ოთხივ კუთხივ განფენილია.
რომელი არის მათგან დაო — აი, მიზეზი
ჩემი ჭმუნვის და მწუხარების...
რადგან ეს ველი, ეს მწვერვალი — სულია ჩემი.

## სუფიზმის მიმდევარი პოეტი ტანჯვის შესახებ (ჩვ.წ.ა. XIII ს.)

ღვთის სიყვარულით ვითმენთ ტანჯვას.
სიავის წილ სიამე გველის — სამოთხეში ოდეს მოვხვდებით.
ეს მეშჩანთა თვალსაზრისია.
მისაგებელი სიყვარულის ჯუფთი როდია...
სანაცვლოს ითხოვ?! მაშ სიყვარულს ნულა ახსენებ,
რადგანაც იმას, ვისაც ტანჯვის სიმწარე ახსოვს,
ღმერთი არასდროს არ ჰყვარებია.

## ზულუს ტომის შამანი სნეულის შელოცვისას (ჩვ.წ.ა. XVIII ს.)

დაფდაფები გულია ჩვენი.
ნიანგის ღვიძლი, ქორის ფრთა და ქურციკის კანჭი
სნეულს იხსნის ავი სენისგან,
რადგან სულები გვიგზავნიან მუდამ სალმობათ
და თუ მოვულბობთ ჩვენ მათ გულებს ხვეწნა-მუდარით,
იქნებ დაგვეხსნან და გაბრუნდნენ ტყეთა ნიაღ
ან სავანაში, სადაც მანამდე ბაობაბის ზროში ცხოვრობდნენ.

## საომარ ეტლში მდგარი კრიშნა მოძღვრავს არჯუნას (ძვ.წ.ა. V ს.)

არც ვინმე კვდება —
მიმოიძვრის მხოლოდ სხეული.
სულ ერთია: ადამიანი, ხე, ქვა, მყარი თუ სიმრგვალე ცისა
ყოფიერების მრავალსახედ განფენილია
მონობის ფორმად,
რასაც უნდა ვუფრთხოდეთ მეტად,
თუკი გვწადის თავისუფლება...
განაგდე ეჭვი, შეიმოსე სინათლის ჩენით.
მიზეზ-შედეგის ღერძზე ტრიალს არ მოაქვს შვება —
ხსნას ვეწევით მხოლოდ მას შემდეგ,
როს დაგვცვივა მოკვდავებს ხორცნი.

### ჩარლზ დარვინი გემ „ბიგლით“ მოგზაურობისას (ჩვ.წ.ა. XIX ს.)

...და მე მაშინებს ეს აღმოჩენა:
ადამიანი ოდენ ჯაჭვის ერთი რგოლია.
ღვთიურ შესაქმეს შარავანდი შემოეცალა
და მე მივცურავ უცნობელი ნაპირისაკენ,
რათა უარვყო თვით თავი ჩემი, —
ძუძუმწოვარი პრიმატების შთენილი ნაშთი.

### კონ-ფუცის მიმდევარი იმპერატორის წინაშე (ძვ.წ.ა. IV ს.)

შენ მეკითხები, თუ რა არის ადამიანი?
სრულყოფილებას თუ აკლია ერთი მისხალიც,
ქვეყნად ის უდიდეს ბოროტებად გადაიქცევა.
სიავისაგან ჩვენ დაგვიცავს მხოლოდ ზორვა დღისით და ღამით
და ჩვენთა ზრახვათ განწმენდს მხოლოდ სამსხვერპლო კვამლი.

### კინიკოსი ფილოსოფოსი ათენის ქუჩებში (ძვ.წ.ა. IV ს.)

ლამპარი ჩაქრა,
როს ვეძებდი მე ადამიანს
და სანაცვლოდ ვიხილე მხეცი.
.............................................
ილუზიის მსხვერპლნი ვართ ყველა.

### იმპერატორი ავგუსტუსი სიკვდილის წინ (ჩვ.წ.ა. I ს.)

ფარსი დასრულდა.
ეს ცხოვრება ვიცი რაცაა...
ნუთუ იქაც ფარსი დამხვდება?!

### აპოკრიფული სახარების შემქმნელი სინაიზე (ჩვ.წ.ა. III ს.)

ყველა საგანი სიმბოლოა ღვთის შემეცნების.
ხატყოფით ვიგებთ ჩვენ უზენაეს ჭეშმარიტებას.
და ვით ვემსგავსოთ უფალს, თუკი
ადამიანის გარსში ხშირად მხეცი გამოხვეულა.

### პარმენიონი — ალექსანდრე მაკედონელის სარდალი შორეულ დაპყრობათა შესახებ (ძვ.წ.ა. III ს.)

ჩვენ მოვიარეთ ბაქტრია და აღმოსავლეთი...
სამყაროს მიჯნას ვეძიებდით, გვსურდა გვეხილა,
თუ სად თავდება დედამიწა — მშობელი ჩვენი,
და სად იწყება თულე ულტიმა, ნეტარი მხარე.
ამ ლაშქრობაში მხოლოდ ჭირნი ვაათასენით
და რაც გაგვაჩნდა, ისიც დავკარგეთ:
მეგობრები, სიყრმიდანვე ერთურთს შეზრდილნი.

### კოლხი იეროფანტი ოქროს საწმისის შესახებ (ძვ.წ.ა. XIV ს.)

უხსოვარ დროდან ეს კვირბები შემოგვრჩენია.
სხვა რაღად გვინდა ჩვენ სიცოცხლე, ანდა
ყოფა განლაღებული,
თუკი ამქვეყნად შუაგული დაგვეკარგება...
თავგზა გვერევა, აღარ ვიცით ვის მივეკედლოთ,
როგორ გავიგნოთ გზა ამ ხილულ წუთისოფელში,
თუ წინაპართა სიბრძნე ჩვენთვის სამუდამოდ განლეულია.

### მოსეს ერთ-ერთი მოლაშქრე იორდანეს ნაპირას (ძვ.წ.ა. XIV ს.)

ხვალ გადავლახავთ იორდანეს და ქვეყანას აღთქმულს
დავიპყრობთ.
უფალმა იგი განგვიწესა ჩვენდა სამკვიდროდ.
მონანი უწინ — აწ დავიპყრობთ ფილისტიმელებს
და მოვსპობთ მათ ტომს დიდად საძულველს.
წინ მიგვიძღვის თავად უფალი.

### ვერგილიუსი აფრთხილებს მეგობარს (ჩვ.წ.ა. I ს.)

უნდა ვუფრთხოდეთ პოეტები მეფეთ წყალობას.
საშიში არის, როს გვალაღებს ამაოება.
დაწერილ სიტყვას როდი ძალუძს გვაგრძნობინოს ყოფიერება
და ოქროს ხანაც შეგვეცვალა ურვა-ვაებით,
რადგან დავკარგეთ სისადავე — საუნჯე სულის.
.............................................
მხოლოდ სიზმრებში მყოფობს კაცი შეუშფოთებლად.

### ჩინეთის კედლის ამგები მუშა ღაღადებს (ძვ.წ.ა. III ს.)

ცინის ქვეყანას განსაცდელი უდგას უცები —
ბარბაროსები მოიწევენ დასავლეთიდან.
სურთ გადალეკონ ქალაქები და დაბები მშვიდობიანი.
საზარელია მათი ხილვა. შეგვრისხა ზეცამ.
იმედი ჩვენი კედელია, მტკიცედ ნაგები...
აი, ამისთვის ვშრომობთ მიწყივ დღისით და ღამით.

### განდევნილობისას (ძვ.წ.ა. XIII ს.)

ხვასტაგის სული განარისხა ხალხმა ცოდვილმა.
არ შეიწყნარეს წინამძღოლი ზეცით მოსული;
ვინაც მოძღვრავდა წვრილ ერსა და ამაყ მეფეებს,
აწ განდევნილი, ნადირივით ტყე-ღრეთ ეხლება.

### მეფე აშოკას მისიონერი ტიბერიადის ტბასთან (ძვ.წ.ა. III ს.)

ვისაც ვინ უნდა ემსახუროს ღმერთს ნებისაებრ.
ორჯერ შობილი ვერ დარჩება წუთისოფელში.

### ჟან-ჟაკ რუსოს თაყვანისმცემლის კომენტარი (ჩვ.წ.ა. XVIII ს.)

ადამზე მეტად ცოდვილი ხომ ის რეგვენია,
ვინაც პირველმა შემოღობა სახლის წინ ეზო
და საკუთრება დააკანონა.
შორს ბინძური ქალაქებისგან!
მივუბრუნდეთ მშობელ ბუნებას,
რადგან იგია მხსნელი ჩვენი ბოროტ წყლულთაგან...
ჟან-ჟაკ, გაგვიძეხ, შენთან ვართ ყველა!

### ზარათუშტრას მხლებელი განდევნილობისას (ძვ.წ.ა. XIII ს.)

ხვასტაგის სული განარისხა ხალხმა ცოდვილმა.
არ შეიწყნარეს წინამძღოლი ზეციდ მოსული;
ვინაც მოძღვრავდა წვრილ ერსა და ამაყ მეფეებს,
აწ განდევნილი, ნადირივით ტყე-ღრეთ ეხლება.

### მეზაჟე ეზაასეზა ლაო-ძის, ოდეს იგი ქვეყნიდან ილტვოდა თეთრ ხარზე ამხედრებული (ძვ.წ.ა. V ს.)

იქნებ ინებო, ფანჩატურში ჩამოხდე, ბრძენო!
ვერსად გაგიშვებ, საზღაური მინდა ისეთი,
რომ ჩვენთან დარჩე თუნდაც ცხრა მთას გადაკარგული.

### ენეასი იტალიის ნაპირთან (ძვ.წ.ა. XIV ს.)

ღმერთების ნებით გადავურჩით მრავალ განსაცდელს.
სამშობლო ჩვენი ცეცხლმა შთანთქა, დავრჩით ეულნი.
დამარცხების წილ ვიზეიმებთ კვლავ გამარჯვებას.
დიდება ჩვენი გადასწვდება მთელ დედამიწას.

### სოკრატეს ერთ-ერთი აპოლოგეტი მოძღვრის შესახებ (ძვ.წ.ა. V ს.)

მრავალნი მტრობდნენ, მაგრამ უმტრო საკუთარ თავს
ყველაზე მეტად...
ადამიანებს როდი უყვართ ფიქრი და განსჯა.
რა ხეირია, თუკი ვიცით სიმხეცე და სიბნელე ჩვენი?!
კაცთა სიქველე ყმაწვილური მონაჩმახია.

### მოხუცი რუდოლფ შტაინერი გოეთეანუმის დანგრევას გოდებს (ჩვ.წ.ა. XX ს.)

ზეციურ ძალებს აღარ ძალუძთ განაგონ არსნი.
საგანთა აღქმას თუ მოიკვეთ,
სულით შეიცნობ თავად მათში დაფარვულ იერს.
ღმერთი ლაღადებს ამ წიაღიდან!..
მე კი სხეულის — მინერალთა საუფლოდან
ამოსვლას ვლამობ.

### იაკობი ღმერთთან შებრძოლების შემდეგ (ძვ.წ.ა. XV ს.)

მან დამიბუშა ბარკალი და დამამცრო სულით,
რადგანაც მსურდა არა მტრობა, არამედ ლოცვა...
ქერუბიმებზე ამხედრებულ ღმერთს ვესავ, ვნატრობ,
და მწამს, მაჩვენებს თავის სახეს სიბნელის წიაღ!
კაცი და ღმერთი ერთურთს კვლავაც შეუვრდებიან.

### გალაკტიონი თავისი ერთი ლექსის შესახებ (ჩვ.წ.ა. XX ს.)

საათი მკითხეს და მივუგე: „ჟამია უკვე!“
ის როდი ვუწყი, რა მინდოდა ამით რომ მეთქვა.

### ტუნგუსიის მკვიდრის პასუხი ქრისტიან მისიონერს (ჩვ.წ.ა. XVI ს.)

თუკი სელაპი და ლომვეშაპი
იქ არ დამხვდება,
სამოთხე მაშინ არ ყოფილა
სანეტარო განცხრომის მხარე!..

### იუდა ისკარიოტელი იესოს შესახებ (ჩვ.წ.ა. I ს.)

ღვინო შევსვით და ვიხმიეთ პური.
მან კი მითხრა: „ეს სიკვდილია!“
ერთურთის ხორცს ვჭამთ და სისხლსა ვხვრეპთ
ურთიერთისას...
კაცის და ღმერთის სისხლხორცები ერთმანეთში ალუფხულია.

### ჰესიოდე პრომეთეს გმირობის შესახებ (ძვ.წ.ა. VII ს.)

უგუნურთ ცეცხლი მიუბოძა უგნურმა თავად.
როდი ეგების, რომ კაცის ძეს ეწეოდნენ მკვიდრნი ოლიმპის,
რადგან სიქველეს ბოროტებად მოაქცევს მყისვე
სვეუბედური მოდგმა იგი ბრმადშობილი ტიტანებისა.

### კაბალისტი დრო-ჟამის შესახებ (ჩვ.წ.ა. III ს.)

მეშვიდე დღე შაბათი იყო...
და სთქვა უფალმა:
„მოდი, შევქმნი დრო-ჟამს, რადგანაც
მარადისობა შესაგრძნობი იყოს ჩემთვისაც!“

### სიზიფე მთიდან ლოდს აგორებს (ძვ.წ.ა. XIX ს.)

დამარცხებული გამარჯვებას ვეწევი ამით,
როს ჩემი ნებით უარს ვამბობ მორჩილებაზე,
რაკი არ ძალუძთ უკვდავ ღმერთებს მიბრძანონ კვლავაც:
მე ჩემი ნებით დავაგორე ლოდი ბორცვიდან.

## აფორიზმი ჯუან-ძის კრებულიდან „მორალური საუბრები“ (ძვ.წ.ა. V ს.)

როგორც ინი და იანი
ერთია ადამიანი.

## ნიცშე სამოთხეში (ჩვ.წ.ა. XX ს.)

როგორ მინდოდა მყოლოდა ქალი...
არა ანიმა — იდეალი სიბრძნის თუ მადლის,
არამედ მდიდრი ნდობისმგვრელი, ფერ-ხორცით სავსე,
ვის დანახვისას ზარათუშტრაც კი ცდუნდებოდა.

## სპარსი პოეტი ომარ ხაიამი უჭვრეტს წისქვილს (ჩვ.წ.ა. XIII ს.)

დოლაბი ბრუნავს, ვით ცხოვრების ჩარხი წრიული...
ოდესმე ასე ჩამოგვფქვავენ, უწყოდეთ ყველამ!
გალივდება თუ ორ ქვას შუა მოხვდება მყისვე,
მარცვალი მაინც ბედისწერით დასაზღვრულია...

## ჯიბრალ ხალილ ჯიბრანი „იესო, ძე კაცისა“-ს წერისას (ჩვ.წ.ა. XX ს.)

მსხემი, ჩემივე სამშობლოში ბედითად კრული,
ამ წიგნს მოვინდომ წრფელ ზრახვათ და ოცნებებს ჩემსას.
ნუვინ ცთუნდება მკრეხელური სიმბოლურობით:
ადამიანი არის ღმერთი — ეს უდავოა!

## ნეტარი ავგუსტინე (იპონიის ეპისკოპოსი) მანიქეველთა შესახებ (ჩვ.წ.ა. III ს.)

სასაცილოა მათი რწმენა — მე ქრისტეს ვესავ.
დრო-ჟამი სივრცეს განწონის და იყოფის მთელად
მსგავსად სამების
როგორაც დისკო, ნათება და არილი მზისა
განუსხვაველნი ერთურთისგან
თვისი ბუნებით.

## ვაჟა-ფშაველას ეპიგონის მინაწერი „გველისმჭამელის“ არშიაზე (ჩვ.წ.ა. XX ს.)

აჰა, გახშირდა ბინდია
ველარას ჰხდები მინდიავ,
წისქვილის ქვებმა ჩამოჰფქვეს
იფქლი იყო თუ მინდია.
სუყველა დავიხოცებით,
სიცოცხლე უქმი წინდია.



დაიბადა 1972 წელს გორში. 1995 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. აქვე გაიარა ასპირანტურაც. 1998 წელს დაქორწინდა და საცხოვრებლად გადავიდა ქუთაისში. წლების განმავლობაში მუშაობდა ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის ენისა და ლიტერატურის კათედრაზე, ამჟამად ქალაქის 36-ე სკოლის მასწავლებელია. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი – ზაალ და იანო ებანოიძეები.

მაია ჯოლბორდი

## მოულოდნელი ხიფათი

ეს ჩემი დანგრეული ოჯახია
ერთ დღეს ყოფიერების ყოფითობა ჩავიცვი
პირჯვარი გადავიწერე და სხეულზე
ჩვეულებრიობა ამოვიქარგე
მას მერე აღარ მესიზმრებოდა ღმერთი
მსუბუქად და უშიშრად
ვაბიჯებდი თითოეულ ნატეხს
მიხაროდა საკუთარი აგებულება
სხვადასხვაგვარად არეკლილი
იქ სექსის ადგილი დაკარგული იყო
დროდადრო მედუზის ცივი შეხება მაკანკალებდა
სათითაოდ ვცხოვრობდი ვსვამდი და
დროც მრჩებოდა ჰაერზე ფიქრისთვის
ავტობუსში მოულოდნელად
შემოჭრილმა ხიფათმა
მოინდომა წამიერად მაინც გაეერთიანებინა ის,
რისი შიშიც ბავშვობიდან მქონდა გამქრალი
ხელი გაუგებრად გამიშეშდა
და მივხვდი
ისევ ისე ირონიულად გადავრჩი
ნატეხებში ცხოვრების გასაგრძელებლად.

## გაქცევა წყვდიადში

არ უთოვია
მაინც გაიყინა სული
რომელიც ბელურებმა წამოკენკვით გაინაწილეს
დალამებულზე ფილაქანზე ამიცდა ფეხი
კვირას წამოვედე
კიდევ ერთ კვირას
შემცივნულმა პალტოს კალთები ავიკეცე და
გავიქეცი წყვდიადში
შენ მეძებე დიდხანს მეძებე სხვისი თვალებით
სხვისი გულით
სხვისი ხელებით

მე კი ხის ჩრდილად გავეცი თავი
დავილამე და
უარი ვთქვი სინათლეზე
სადაც სიარული პრობლემად მექცა
სადაც თავისუფლება მარილნაკლულია
ფეხის ტერფები კი მაღალ ქუსლებს ითხოვენ
რატომ ნეტავ რატომ არ უთოვია გუშინ
ფანჯრის მინებზე
ხელისგულებით რომ გამეთბო შენი სახელი.

## მგლები ზამთარში

სიყვარულმა გამოცხობა დაამთავრა
შევჭამეთ და მოვინელეთ
ეს მისი უსახლო სხეულია
დნობაშეწყვეტილი
ეს საათის ისრებია
ციფერბლატი რომ ამოჭამეს
ხანდახან ისიც ლამაზია
წვიმიანი ცის ფონზე
როგორ მიატოვა ადამიანები
და როგორ გახდა არავისი არ ახსოვს
კუზიანი ქალის ბედი გაიზიარა
ხელის თითებზე ფრჩხილები დაიჭამა
და ფეხსაცმელებითაც ტალახში იარა
დასასვრელად
მერე გამოეკიდნენ მგლები ზამთარში
ცომიანი თოვლი აზილეს და
გუნდებად დაუშინეს სულს
სული უკვე კარგახნის გახიზნული ჰყავდა
დაკარგული
და უმარილო.

## გაჩერებული საათი

არსებობის შეწყვეტა დაფიქსირებას მოითხოვს
დუმილით
უმოქმედობით
ვერ გაქრები
მაინც დაკარგავ ცხოვრებასთან დამაკავშირებელ ცამეტ-
ნიშნა კოდს
ზუმერს გააუქმებ და
მთის წვერიდან დაეშვები
რათა დაეცე
მერამდენედ დაეცე
და გადაიყვლიფო მუხლისთავები
იქნებ გზაში დაკარგულ მგზავრებს გადაეყარო
ნისლში რომ დადიან
და საკუთარ საფლავებს შემოდგომის ყვითელ ფოთლებს
აფარებენ
სიკვდილის დამალვა სურთ
თავიანთი მლაშე სიკვდილის
შენ კი მხოლოდ ტალახიანი ბათინკები გრჩება
და გაჩერებული საათი
დაკარგული დროის აღქმა გიჭირს
შენი დრო არასოდეს ემთხვევა ნამდვილს
არც შენი სახე იმეორებს არსებულ ნაკვთებს
გადაახვიეთ ფირი
გაფუჭდება.

* * *

სულ ერთიდაიგივე ზამთარი მოდის
წელსაც შარშანდელი თოვლი მოვიდა
ეს ჩემი ნევროზია
საკუთარი მეხსიერებიდან უნდა გაიქცე
რაც შეიძლება მეტი ირბინო
სანამ სირბილის გამომწვევი მიზეზი უფერული არ გახდე-
ბა
სანამ ნებისყოფა ბურთის ფორმას არ მიიღებს
მერე ყელზე ზურგის პარალელურად ორ თითს ჩააცურებ
და გადაყლაპავ აწმყოს
რათა წარსულად არ იქცეს
თავი არ დაგამახსოვროს შობის ღამემ
კანკალმა
რომელიც არ იმეორებს შიშს
რომელსაც სახელი არა აქვს
რათა იგივე ზამთარი არ მოვიდეს
და სხვაგვარი ფიფქებით დაიფაროს მინდორი
ხვალინდელი დღის პროგნოზი კი თოვლია
შარშანდელი თოვლი.

## გაცვეთილი საათი

აქ სიჩუმეა
თაფლის ნამცხვარივით ტკბილი სიჩუმე
მას მანია ერქვა ხის ჯოხით დაატარებდა
მოკუზულ სხეულს
და მარტოობასთან საათის წიკწიკით
თამაშობდა
დროდადრო შემომივლიდა
მომამართვინებდა
ჩემს მარტოობას რძის სუნი ასდის
იქ ფურცლებია
და ხმაური
ვცდილობ თავზე ხელები მოვიჭირო
ფიქრებს ადგილი მოვუნაცვლო
ამ დროს მატულობს სინათლე და
მეშინია ღმერთის
არ გასკდეს
სახეზე შხეფებად შემოფრქვეულმა
იარებში არ დაიდოს ბინა
მერე ვილა შელებავს კარებს
ვინ გაანიავებს ოთახს
და ჭიანჭველებს სიყვარულის დღეს ვინ
მიულოცავს
აქ სიჩუმეა
მე თაფლის ნამცხვარს ვაგემოვნებ და მელიმება
მომართული საათი.

## ბატების მწყემსი

ფანჯრის მინებზე უძილობას ებრძვის სხეული
დროდადრო გზზარავს დეპრესიის ცივი შეხება
და დადიხარ იაპონური სიმშვიდით
ოთახიდან ოთახში
მწყურვალს წყალი რომ მიაწოდო
ეს შენი აფეთქებული სოფელია
თვალებს ჩამუხლული სიგიჟე ებრძვის
ნერვები კონებად შეკრულნი
თაროზე რეგულარულად მონაცვლეობენ
თითოეული თხუთმეტ თეთრად იყიდება
ბაზარში სახლში
აფეთქებული სოფელი ატმისფერი ხმებით
ივსება
შენც ნებაყოფლობით ხდები ბატების მწყემსი
დადიხარ ველიდან ველში
ღელიდან ღელეში
წყაროს ეძებ
რათა მოფრატუნე ფეხებმა იაპონური
სიმშვიდე შვან
და პეშვით დაინამონ გახამებული
სხეული
ფანჯრის მინებზე მიძინებულ უძილობას კი
წვიმა ასველებს.

## გუშინდელი სიზმარი

გაიქეცი
აქ ხომ მონისლული ცაა
და დღეებიც გუშინდელ სიზმრებს ნახულობენ
გაიქეცი
მერე მომიყვები როგორ კოცნიდნენ
ფოთლები ერთმანეთს უცხოეთში
როგორი არაფრისმთქმელად მსუბუქი იყო
ჰაერი და სუნთქვაც
ეს არ იქნება მიტოვება
შეგიძლია გადარჩე
მუხლისთავები შეიხვიო
და სხვაგვარი სიარული ისწავლო იქ
სიტკბოც
მე კი სარეცხის საპნის სუნი უთენია
გამომალვიძებს
ორი ვედრო წყალი და წვეთები
საფეთქლებთან რომ შევიზილო
არაფერი არ იწყება ხელახლა
უბრალოდ კოშმარები კუდს იცვლიან
მე კი ვტრიალებ ვბორგავ და ვმარცხდები.

## სილიანი ფეხისგულები

დაძაბული სული გაფრენის წინაალმდეგია
დახატულმა თვალებმა კივილი ისწავლეს
დიდხანს უსმინა სიჩუმის სუნთქვას
მერე თავდახრილი ითვლიდა საკუთარი
ნაბიჯების მტვერს
დროდადრო მიაშურებდა დღეთა
დამკრძალავ ბიუროს
რკინის ყუთში უსწორმასწოროდ ათავსებდა
გათენებასა და დაღამებას
საბნად ვარსკვლავების უხმო ნათელი
გადაიფარა
დაილამა საკუთარი სხეულის ჩრდილი
თავი შეაფარა ჩამოისვენა
რატომ კიოდნენ ცისფერი ხაზები შუბლზე
რატომ არ ჰქონდა შენობას ფანჯრები
ან რატომ ეწყო ფეხსაცმელები ბედისწერის
გასწვრივ
ამ დროს რიონი უპრობლემოდ აზმორებდა
თავის ბლანტ სხეულს
ირონიულ ღიმილს ნაცრისფერი კენჭები
უჩხვლეტდა
ეს ის იყო
თეთრი ხიდი სილიანი ფეხისგულებით.

## სიკვდილი

შენი ცივი ძვლები სხეულს ითხოვენ
საკუთარი უბედობით კმაყოფილი
ყმუი მზიანი დღის უსაფუძვლობას
იქნებ მოჭრილ კუნძზე ჩამოგესვენა
იქნებ ხეებს კვირტების გამოტანა
მოესწროთ
აფეთქებულიყვნენ
და ამის შემდეგ მტკივნეული აღარ
ყოფილიყო შეხება

## დაუმთავრებელი ანკეტები

**ბავშვი №**

არ ახსოვს როგორ დაიბადა.

მამის მრისხანე სახიდან იწყებდა ყოფიერების აღქმას. დედის მოკივარი მზერა

კუდამოძუებული ძაღლივით დაჰყვებოდა უკან. მერე ბავშვობა გაითამაშა. როცა მშობლები ჩხუბობდნენ, ყვავილების გულში იმალებოდა.

ასე გაუცისფრდა თვალები.

სამაგიეროდ ყვავილები ჭკნებოდნენ. ასე გახდა ეგოისტი.

**ბავშვი №**

როცა მამამ მანქანა იყიდა, ახსოვს.

ის წითელი იყო. ოთხი ბორბალი ჰქონდა და ოთხივე ერთდროულად ბრუნავდა.

მამა მთვრალი იყო.

დედა სველ ცხვირსახოცს აფარებდა სახეზე და ახსენებდა მარჯვნივ გადაეხვია, თუ მარცხნივ. პირდაპირ იშვიათად დადიოდნენ და ღიმილით უყვარდათ ერთმანეთი.

ასე გახდა მგრძნობიარე.

## პოეზია

**ბავშვი №**

ბუნდოვნად ახსოვს თავისი დაბადება. მკრთალი იყო მთვარე. არ ელოდნენ. მაინც მოვიდა. მერე თეთრი „სალამანდრები" ინატრა. ეძვირათ და არ უყიდეს. გული დასწყდა.

გულჩათხრობილი გახდა და ჩრდილების თვალიერება დაიწყო კედლებზე.

ბიბლიოთეკიდან მომავალს ხშირად აშინებდა თეთრი ნაგაზი, რომელსაც მარცხენა სარძევე ჭიანაჭამი კბილი სტკიოდა და უფრო მეტად ტკივილს უყეფდა, ვიდრე წიგნებიან ბავშვს. ის ჩერდებოდა და ასველებდა უკანასკნელი ფრაზის წერტილს. ასე გახდა მოფიქრალი.

**ბავშვი №**

ვერ მიხვდა, რატომ გააჩინეს. კითხვის ნიშნებზე აიდგა ფეხი. ახსოვდა დედის გაწეწილი თმები, მსუქანი მზერა და გაუთავებელი ჩხუბი მამაზე. ასე გაიცნო მამა. არასასურველი და შეუმდგარი. გადაწყვიტა დამეგობრებოდა. სანაგვეზე ნიჩაბი მოძებნა და ცდილობდა ამოეთხარა საყვედურებში ჩამხრჩვალი მშობელი.

ასე გახდა მაძებარი.

**ბავშვი №**

დაბადებამდე განებივრდა. ალოდინა და ლოდინის შემდეგ შეხედა ნათურას, რომელიც ნაცნობ ხვრელს უნათებდა.

მერე სისხლიანი თმებით იტირა. გარესამყარო ნაკლებსაინტერესო მოეჩვენა და ადამიანები შეიძულა. კედლის პირისპირ დგომას და კედლის ყურებას შეეჩვია.

ასე გახდა მდგრადი.

**ბავშვი №**

მას ახსოვს ასფალტი, შავი თითები და კუზი, ცხოვრებამ რომ უსახსოვრა. თავისი კუზის ჩრდილში უყვარს ჯდომა. ზის და კევების ფულს აგროვებს. წვიმის დროს ცელოფნის პარკის მეშვეობით ინარჩუნებს თმების სიმშრალეს. აქაქანებული ქალაქის მტვრით იკვებება. მარტოხელაა. დამბადებელი დაუნახავად გაუქრა. არ უყვარს წუხილი. უყვარს, როცა მზეს თვალებს უჭუტავს და ხურდას პოულობს.

ბუნებით შემგროვებელია.

**ბავშვი №**

ახსოვს ტკივილი, დაბადებისას რომ იგრძნო. შესაბამისად, დაბადებაც ტკივილად ექცა. ფეხი აიდგა თუ არა, განმარტოებით დაიწყო სიარული. უხილავი, უცნაური გრძნობა აეკიდა. ფილტვები აუვსო და სუნთქვაში შეუშალა ხელი. არ ჰყოფნის ჰაერი, რის გამოც პირს ხშირად აღებს.

ახსოვს ექიმთან პირველი ვიზიტი. ვარდისფერ კოფთაში გამოწყობილ დედას ხელებში ესვენა. თეთრი ხალათი მორიგეობით უმოწმებდა ხელისა და ფეხის თითებს. ყიფლიბანდი ედიდა ექიმს. ჭკვიანი იქნებაო – ახსოვს და მას მერე ცდილობს საკუთარ თავში ბრძენი აღმოაჩინოს.

**ბავშვი №**

ახსოვს მწვანე მინდორი და ჭადრების ხეივანი. ახსოვს დახატული თვალები და დასჯა. გაჩენისთანავე დაიწყო თამაში. ჭინჭრებში იჯდა და თავი ტომ სოიერი ეგონა.

ჭვავის ყანაშიც ხშირად დარბოდა ფეხშიშველი. მშობლები აგურებზე აწვენდნენ და კარებს უხურავდნენ. ის კი კედლებზე შიშის დასაძლევად ობობებს ხატავდა.

ახსოვს ბებოს დანთებული ღუმელი და ხბოს შეჭმული ყვავილი.

ბებოსაც ყვავილის ბედი ერგო. სიბნელეში გაუჩინარდა, დღის სინათლეზე დიდხანს ეძინა და მოკვდა.

ასე გახდა მოშიშარი.

ეს ჩანაწერები ჩემი უბნის ექიმის ხალათში აღმოვაჩინე. ბავშვს დიდი ყურადღებით სინჯავდა. მერე ჯიბეში ხელი ოსტატურად ჩაიცურა და წამლის გამოსაწერად ამოღებულ ქაღალდს შეუმჩნევლად ამოაყოლა გაკრული ხელით ნაწერი ფურცლები. წამოვკრიფე, სულმა წამძლია და უნებართვოდ ჩავკარი თვალი

ბავშვი ტიროდა. მამამისი ბოთლით ხელში მორბოდა და გზაში საკვებს სინჯავდა, ჩვილისთვის პირი რომ არ დაეწვა.

დედას მაგიდის ქვეშ ეძინა.

თოკზე შემშრალი სიზმრები ქანაობდნენ.

## პირველი შთაბეჭდილება

# დანომრილი ბავშვები

უპირველესი და სულისშემხუთველი განცდა, რაც მაია ჯოლბორდის ლექსების კითხვისას ჩნდება, არის გამოუვალი ეკზისტენციის, სულისა და სხეულის გათიშულობა. როცა მეხსიერებას ისიც კი ვერ შემოუნახავს, იყო თუ არა ოდესმე მთლიანი, სავსე, გახარებული.

ეს გათიშულობა ანგრევს და ამუქებს სამყაროს. ანაწევრებს და ამცრობს მიზანს. ამკაცრებს და ამიწებს შეფასებას: **„სიყვარულმა გამოცხობა დაამთავრა, შევჭამეთ და მოვინელეთ"**.

ეს ყოფიერების ამაო ფუსფუსზე მიჯაჭვული ადამიანის პროტესტის, სარტრისა არ იყოს, მისი სურვილის, მისი მოწოდების მატარებელი – მე კი არ ვეკუთვნოდე გარემოს, გარემო მეკუთვნოდეს მე.

გარემო, დრო და სივრცე რომ ეკუთვნოდეს, სამყარო რომ მოათვინიეროს შემოქმედმა, მარტო მოცალეობა არ კმარა, სრული მსხვერპლშეწირვაა საჭირო. ამას კი მზაობა სჭირდება, თავგანწირვა, მით უფრო, როცა ქალი ხარ და როცა შვილები გყავს. მით უფრო, როცა ასე კარგად იცნობ ბავშვის ბუნებას და იმ გარემოსაც ზუსტად აღიქვამ, რომელშიც ეს ბავშვი პიროვნებად ყალიბდება. მთელი სისრულით სწორედ ამ დანომრილი ბავშვების პორტრეტებში გამოჩნდა მაიას ნიჭიერება და იმედი იმისა, რომ იგი ამ ნიჭიერებას არ დათმობს.

**მაკა ჯოხაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაატა ჩხეიძე

# ჯონ ადამსის „ახირებული“ აზრები

ამერიკის მეორე პრეზიდენტი, ჯონ ადამსი, იმდენად დაბალი სოციალური წარმოშობისა იყო, რომ ჰარვარდის უნივერსიტეტში თავდაპირველად უარი უთხრეს აკადემიურ ხარისხზე, რაც ნამდვილად ეკუთვნოდა და ბოლოს მოიპოვა კიდეც.

მიუხედავად ამისა, არისტოკრატიაზე ფიქრი და განსჯა ჯონ ადამსის ცხოვრების მნიშვნელოვან ხანას მოიცავს და, თუმცა ერთგვარი სიჯიუტით აგრძელებს ამ თემაზე მსჯელობას თავის თხზულებებსა თუ პირად წერილებში, შიში და უხერხულობის განცდაც იგრძნობა სტრიქონებს შორის. მაინც რა აიძულებდა არისტოკრატიის საჭიროება ემტკიცებინა, გარდასული დროის ხიბლი თუ დემოკრატიის ნაკლოვანებათა წინაშე ძრწოლა? ის კი ცხადია, რომ უკმაყოფილი იყო, ვერც თვითონ ჩავწვდი საგნის არსს ბოლომდე და ვერც სხვებს შევასმინე ჩემი დარდიო.

ადამსი მართალი გახლდათ, ცოტას თუ ესმოდა მისი, რამდენიც უნდა აეხსნა და ემტკიცებინა. ზერელედ თუ შეხედავ, ირონიულად განეწყობი; კაცი, რომელმაც თავისი კარიერა ეკლესიისა და ფეოდალური კანონების მხილებითა და კრიტიკით დაიწყო, უეცრად არისტოკრატიისა და მონარქიის საჭიროებაზე იწყებს ფიქრსა და მსჯელობას.

ამ “ცოდვის” გამო პირველად მეგობარმა, ტომას ჯეფერსონმა, ამხილა. ადამსის “განსჯანი დავილას გამო” რომ წაიკითხა, ჯეფერსონმა პრეზიდენტ ვაშინგტონს მისწერა, ჩვენმა ახალინგლისელმა მეგობარმა რესპუბლიკურ იდეებს უღალატა და მონარქიასა და არისტოკრატიას ასხამს ხოტბასო.

ეს სიმართლე იყო და მოგვიანებით ჯონ ადამსიც აღიარებდა, მაგრამ იმასაც ამბობდა, ჩემთვის არისტოკრატიის მგზნებარე მომხრეობის დაბრალება გადაჭარბებულია; ვიცი, რომ ადამიანებში ისევე არის ჯიში, როგორც ცხენებში, და თუ მისაყვედურებენ მემკვიდრეობითი არისტოკრატიის ადვოკატობას, ვუპასუხებ, მსგავსი არაფერი მიფიქრიაო; ერის სამოქალაქო ცხოვრებაში უნდა იყოს დაგროვილი საკმარისი სიქველე იმისათვის, რომ მმართველები ამოირჩიოს; არჩევითი ხელისუფლება აუცილებელია ქვეყნისათვის, მაგრამ რადგანაც უცოდინრობა და ნაკლოვანებანი მაინც მძლავრობს, კაცობრიობის ისტორია გვკარნახობს, რომ მხოლოდ მემკვიდრეობითი ქველობა გამოესარჩლება, გადაარჩენს თავისუფლებასა და საკუთრებას მაშინ, როცა უვიცობა და უგუნურება ძალაუფლებას წაეპოტინებაო, წერდა ადამსი.

მოგვიანებით თვითონვე უთქვამს ჯეფერსონისათვის, თანახმა ვარ იმდენად შევზღუდოთ შთამომავლობითი უფლებები შეერთებულ შტატებში, რამდენადაც შესაძლებელია, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ კაცობრიობას ჯერ არ გამოუგონებია სხვა წამალი, რაც, ძალაუფლებისა და მოგების ხელში ჩაგდების სურვილით, არჩევნების გაყალბება-გადაგვარებას შეაჩერებს, გარდა მემკვიდრეობითი უფლებებისაო.

ადამსი ვალდებული იყო გარკვეული შესწორებანი შეეტანა თავის მოსაზრებებში. მისთვის სიტყვა „არისტოკრატია“ არ ნიშნავდა კეთილშობილებს, რომლებიც მემკვიდრეობით გადასცემდნენ თავის უფლებებს, და არც ლეგალური ინსტიტუტი იყო, რასაც კანონით გააუქმებდი. არისტოკრატიაში იგიც და ჯეფერსონიც უფრო ბუნებრივ მადლსა და სიქველეს გულისხმობდნენ, რაც არსებითი იყო ახალდშექმნილი რესპუბლიკის მთავრობის განვითარებისა და წარმატებისათვის.

ადამსიც და ჯეფერსონიც ათვალწუნებით უყურებდნენ ძველი დროის “გაპრანჭულ” არისტოკრატიას და მოხარულნი იყვნენ, რომ ამერიკაში მემკვიდრეობით კეთილშობილთა “დამღუპველი გავლენა” ოდნავ თუ იგრძნობოდა ან სულაც არ იყო. მიუხედავად ამისა, ადამსი ფიქრობდა, რომ არისტოკრატიის ადათებრივ წესრიგს რაღაც სარგებლობის მოტანა შეეძლო და ამ საკითხზე ფიქრისას გაორებული განცდები აღეძვროდა ხოლმე. ერთი მხრივ თუ ახარებდა, რომ პირმშოობის ინსტიტუტი და მასთან ერთად სხვა ხელოვნური წესები არ მოქმედებდა, მეორე მხრივ, ვარაუდობდა, სახელგანთქმული და მდიდარი ოჯახები დიდ როლს შეასრულებდნენ რადიკალური თანასწორობის შედეგად წარმოშობილი, უმრავლესობის დემოკრატიის დამღუპველი დესპოტიზმის დაოკებაშიო.

ჯეფერსონი ბუნებრივი არისტოკრატების გამოზრდას შერჩევისა და წვრთნის შედეგად ფიქრობდა; ადამსი კი მიიჩნევდა, რომ თავისთავად გაჩნდებოდნენ სახელმწიფოს განვითარების პროცესში, თუკი გასაქანი მიეცემოდათ და არ დაითრგუნებოდნენ ბრბოსა და არჩეული უმრავლესობის მიერ. და სწორედ არისტოკრატებს უნდა მისცემოდათ გადამწყვეტი ხმის უფლება სახელმწიფო მართვის პროცესში.

ჯეფერსონი ფიქრობდა, რომ ბუნებრივი არისტოკრატია ნიჭიერი და ქველი ხალხია; ადამსი ეთანხმებოდა, მაგრამ ეჭვობდა, ნიჭიერება სხვადასხვაგვარად ხომ არ გვესმისო. ადამსისათვის მთავარი ის კი არ იყო, ნიჭი კარგია, ცუდი თუ განუსაზღვრელი, არამედ ის, რომ მხოლოდ გამორჩეულებს ებოძებათ.

ნიჭი თანაბრად არ ნაწილდებაო, ამტკიცებდა ადამსი, ის მხოლოდ გამორჩეულებს ენიჭებათ და ეს გამორჩეულნი არიან ბუნებითი არისტოკრატია, რომელთა ყოფნა არსობრივად აუცილებელია მთავრობაშიო. და ამას რომ ამტკიცებდა, იმასაც სწუხდა, რომ ამ ადამიანებს სიკეთის მოტანაც შეეძლოთ და ბოროტებისაც სახელმწიფოსთვის:

“ადამიანთა ამ ჯგუფში თავს იყრის დიადი ნიჭი, სიქველე და შესაძლებლობანი თავისუფალი მთავრობისათვის, ეს გახლავთ ბრწყინვალება და სიდიადე ერისა და დალოცვილია საზოგადოება, სადაც ეს ყოველივე იურიდიულადაა აღბეჭდილი კონსტიტუციაში. მაგრამ თუ ასე არ მოხდა, დიდი უბედურებაა მოსალოდნელი, სახელმწიფო აუცილებლად დაემხობა.”

სწორედ ამიტომ ადამსი ფიქრობდა, არისტოკრატია ურჩხულია, რომელიც უნდა დააბა, მაგრამ ისე, რომ არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა





# 15 დეკემბერი
# ანა კალანდაძის დღე
## 85

ფერი დაუშავო, რადგან მეტად საჭირო მხეცია; უიმისოდ არაფერი აღსრულდება; დააბით არისტოკრატია ორმაგი საბელით, გამოკეტეთ გალიაში და მხოლოდ სიკეთის დასათესად გამოუშვით, შეცდომა არ ჩაადენინოთო. გალიაში ადამსი მთავრობას გულისხმობდა, სადაც არისტოკრატები უნდა ისხდნენ, რათა შეიზღუდოს ძალაუფლება და დაოკდეს მათი ვნებები; ეს არის თავისუფლების საიდუმლო! სანიმუშოდ კი რომისა და ბრიტანეთის კონსტიტუციები ესახებოდა.

ყველამ იცოდა, რომ ადამსი აღფრთოვანებული იყო ბრიტანეთის კონსტიტუციით და მის აღფრთოვანებას კონსტიტუციის შერეული ფორმა იწვევდა. სწორედ აქ იყო თავისუფლების წყარო, სწორედ აქ იყო სატყუარა ოქროს გალიაში გამოსამწყვდევი არისტოკრატიისათვის და ეს გახლდათ პარლამენტის ზედა პალატა. ძლიერი მთავრობა და ფხიზელი ქვედა პალატა მოსვენებას არ მისცემდა, რათა პატივმოყვარეობას არ ემძლავრა, ხოლო თვით ზედა პალატა თვალს არ მოაცილებდა არც ერთსა და არც მეორეს, რომ თავს არ გასვლოდათ ძალაუფლებით თავბრუდახვეულებს.

ბუნებრივად არსებულ უთანასწორობას ადამიანთა შორის ადამსიც აღიარებდა და ჯეფერსონიც, მაგრამ ჯეფერსონი უთანასწორობას სასარგებლოდ მიიჩნევდა რესპუბლიკისათვის, ადამსი კი უთანასწორობაში ჩაბუდებულ საფრთხეს ჭვრეტდა.


ჯონ ადამსი

და როცა განათლების საკითხს ყველაზე მაღლა აყენებდა და მასაჩუსეტსის შტატის კონსტიტუციაში, 1780 წელს, "სწავლის შესაგულიანებლად" უპრეცედენტო მუხლი შეატანინა, ადამსი უთანასწორობის მოსპობას კი არ ისახავდა მიზნად, მასში ჩაბუდებული საფრთხისაგან თავდაცვის გზებს ეძებდა. განათლების საკითხი ჯეფერსონის მოღვაწეობაშიც წარმმართველი იყო; ამიტომ ააშენა ვირჯინიის უნივერსიტეტი და ამიტომაც არაერთი – ხალხში განათლების შესატანად მნიშვნელოვანი – კანონის ინიციატორიც გახლდათ, მთელი კარიერისა და სიცოცხლის მანძილზე პოზიცია არ შეუცვლია და საყოველთაო განათლების მომხრედა და შემწედ დარჩა.

ადამსი კი მოგვიანებით ეჭვით განეწყო საყოველთაო განათლების მიმართ და ფიქრობდა, რომ მარგალიტები ყველასათვის თანაბრად არ უნდა გადაეყარათ, რადგან "მეცნიერება და ლიტერატურა შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც კანონიერების დასაცავად, ასევე უსამართლობისა და ტირანიის გასამეფებლად,

როგორც სიქველის დასანერგად, ისე გარყვნილების შემოსატანად".

"ვნებებისა და ინტერესების" დაოკება მისი მთავარი საზრუნავი იყო. "თავისუფალი მთავრობის არსი დაპირისპირებულთა ეფექტურ მორიგებაში მდგომარეობს ... ერი, რომელიც ძალუფლების განონასწორებას ვერ მოახერხებს, დესპოტიზმისათვისაა განწირული," წერდა იგი ("განსჯანი დავილას გამო").

გაორებული დამოკიდებულება საყოველთაო განათლების მიმართ ჯონ ადამსს ღრმა სიბერემდე გაჰყვა და პენსიაზე გასული, თავის ფერმაში განმარტოებული, ხან ხალხის ინფორმირებულობისა და სწავლის სიკეთეზე წერს და ხანაც შიშობს, რომ არამზადებისა და ბოროტგანმზრახველთა ხელში ინფორმაცია და განსწავლულობა საზოგადოების საზიანო იარაღად გადაიქცევა. ამგვარ განაზრებათა გულუბრყვილობაზე უთუოდ ბევრს იცინებს მკითხველი დღეს, გლობალური ინფორმირებულობის ეპოქაში, მაგრამ თუ შემწყნარებულად განეწყობა ორასი წლის წინათ მცხოვრები მოხუცი პოლიტიკოსისადმი და ამპარტავნებას ჩამოიშორებს — მან ხომ გაცილებით მეტი იცის და თვით ისიც იცის, თუ რას წერდა ჯონ ადამსი, ამ საწყალს კი ჩვენს მიღწევებზე წარმოდგენაც კი არა ჰქონდა — უნდა აღიაროს, რომ ადამსის საფიქრალ-საზრუნავი დღესაც აქტუალურია და წამალი ჯერაც ვერ მოგვიძებნია.

ჯეფერსონი მიიჩნევდა, რომ "ბრძენი" და "პატიოსანი" თითქმის სინონიმებია, ადამსი კი ამტკიცებდა, რომ ცოდნა უშუალოდ არ უკავშირდება სიქველეს, განათლება არ გულისხმობს ზნეობას; ზნეობისათვის არსებითია განხვავება კეთილსა და ბოროტს, კეთილდღეობასა და სილატაკეს, სიხარულსა და ტკივილს შორის, ზნეობისათვის არსებითია ძველთაგან შემორჩენილი ხმა სინდისისა.

ჯეფერსონი განასხვავებდა არისტოკრატიასა და ფსევდო არისტოკრატიას — მათ, ვინც ბუნებრივი ნიჭიერებითა და განათლებით გამოირჩევა, მათგან, ვინც შთამომავლობით იღებს სიმდიდრესა და ტიტულებს — ადამსი პასუხობდა ეგ განსხვავება არაფერსა ცვლის, მე ორივეს ვენდობოდი და ორივეს მივუჩენდი ადგილს მთავრობაშიო.

ჯეფერსონისეული განსხვავება მართლაც ვერ უძლებს კრიტიკას, რადგანაც დაწინაურებული ბუნებრივი არისტოკრატია გარკვეული, თუნდაც ხანგრძლივი დროის შემდეგ აუცილებლად გადაიქცევა ადათებრივ არისტოკრატიად და, თუნდაც დროთა განმავლობაში დავაქვეითოთ, მაინც წამოიწევს და აღიდგენს თავის ოდინდელ უფლებებსა და პრივილეგიებს. და თუ არ გაანადგურებ და არ ჩაანაცვლებ ახალი, ხარბი მაძიებლებით ძალუფლებისა, ადრე თუ გვიან მმართველ კასტად ჩამოყალიბდება. არა, ადამსი ნიშნისმოგებით არ სწერდა ყოველივე ამას ჯეფერსონს, რა ექნა, იცოდა, სხვა გამოსავალი არ იყო დემოკრატიული რესპუბლიკიზმისათვის.

ჯეფერსონმა იცოდა, რომ სიქველის მტერი თავკერძობა იყო, მაგრამ ოპტიმიზმს არ კარგავდა და შესაძლებ-

ლად მიაჩნდა თავკერძობისადმი მიდრეკილების დათრგუნვა, განათლებისა და წვრთნის შემწეობით, რაც სიქველის მეტოქეს დაამარცხებდა და უკუაგდებდა. ადამსი კი ფიქრობდა, ნაკლოვანებათა დაძლევა ასე ადვილი არ არის და დათრგუნვა სრულებითაც არ ნიშნავს უკუგდებასა და გაქრობასო.

ადამსის აზრით, თავკერძობის მოთვინიერება ძალზე რთული ამოცანაა და მხოლოდ კეთილი სურვილებით ვერ მიიღწევა. შეებრძოლები თავკერძობას და შემწედ რეპუტაციის მოპოვების სურვილი ამოგიდგება მხარში; ჰობსისა არ იყოს (ვინც ამ სურვილს ამაოებას უწოდებდა), ამ ვნებას ადამსიც ერთ-ერთ უმთავრეს წამქეზებლად მიიჩნევდა კაცისა. აქ იყრის თავს სიმდიდრისა და ძალაუფლების წყურვილი და უმაღლეს მიზნად კაცობრიობის საყოველთაო სიკეთის გამოცხადება. ცხადი ხდება, რომ პოლიტიკაში მთავარია არა აღზრდის მეშვეობით მიღწეული თანასწორობა, არამედ გამუდმებული ზნეობრივი სწრაფვა განსხვავებისა და გაწონასწორებისაკენ.

1800 წელს ჯონ ადამსი საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხდა ფედერალისტურ პარტიაში მომხდარი განხეთქილების გამო. პრეზიდენტი გახდა მისი მეგობარი და ვიცეპრეზიდენტი ტომას ჯეფერსონი. განაწყენებული და დათრგუნული ჯონ ადამსი საკუთარ, კვინსის ფერმაში განმარტოვდა; არც ინაუგურაციას დასწრებია ჯეფერსონისა და აღარც შეხმიანებია წლების მანძილზე. მხოლოდ 1812 წელს საერთო მეგობარმა ბენჯამინ რაშმა შეარიგა პენსიაზე გასული პრეზიდენტები. ადამსმა წერილი მისწერა, ჯეფერსონმა უპასუხა; ასე დაიწყო და თოთხმეტი წელი გაგრძელდა მათი მიწერ-მოწერა. ამერიკის მეორე და მესამე პრეზიდენტი მსჯელობდნენ ეროვნულ, სოციალურ, პოლიტიკურ საკითხებზე; მათ შორის ერთ-ერთი საგულისხმო საკითხთაგანია არისტოკრატიის მნიშვნელობა დემოკრატიის ნაკლოვანებათა და საშიშროებათა კონტექსტში. მოკლე მიმოხილვითაც კი ცხადი ხდება, რომ ამ საკითხზე მათ მეგობრული და კეთილგანწყობილი, მაგრამ პრინციპული პოლემიკა ჰქონდათ. მრავალი ამერიკელი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი აღნიშნავს ადამსის განაზრებათა სიღრმეს, სიმართლესა და წინასწარმეტყველურობას, მაგრამ ...

ჯონ ადამსი 1826 წლის 4 ივლისს გარდაიცვალა. მისი უკანასკნელი სიტყვები ყოფილა, "ჯეფერსონი გადარჩება"...

ტომას ჯეფერსონმა მასზე ორიოდე საათით ადრე დალია სული, იმავე დღეს, 1826 წლის 4 ივლისს.

რისი თქმა უნდოდა ადამსს, ვერავინ გაიგებს. სამაგიეროდ, ვიცით, რომ ჯეფერსონს გაცილებით მეტი პატივი მიაგეს ამერიკელებმა, ვიდრე ადამსს. ჯეფერსონისეული თანასწორობისა და დემოკრატიის სადიდებელი სიტყვები ისე აიტაცეს ახალი დროის დემაგოგებმა, რომ არც ჩაჰკვირვებიან, თუ რა იგულისხმებოდა მასში, და ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარებას შეუდგნენ.

ადამსის შიში გამართლდა. ამერიკა დღეს ის არ არის, რასაც დამფუძნებელმა მამებმა ჩაუყარეს საფუძველი და რაზეც ისინი ოცნებობდნენ

ამას მე კი არ ვამბობ, ამერიკელი ფილოსოფოსები ამტკიცებენ.



დოდონა კიზირია

## გარდაცვლილ პოეტს

*ვიქტორ გაბესკირიას*

რა საწყენია,
როგორ მედარდება,
რომ მე ვერ შევძლებ გავიყო შენი დარდი
ყანჩაზე, მგელზე,
მარტოხელა ფანარზე თუნდაც.
განაწილებულა დრო რარიგ ცუდად -
რომ რახანია უკვე წახვედი
და არ მომეცემა სიხარული
შენთან შეხვედრის.
მე ასე მგონია,
ბევრი გვექნებოდა მოსაგონარი
იმ წარსულ წლებზე,
პაპირუსებად რომ ჩაკეცილან
დროის კიდობანში;
გავიხსენებდით როგორ კეთილად
იმ ნავთის ბიდონებს,
ძვალტყავა ცხენი რომ დაათრევდა
მოკირწყლულ ქუჩებში
და გვაძლევდა ნუგეშს,
რომ ვიწრო ოთახში
მოკრძალებული სინათლე იბჟუტებდა
და ჩუმი ბუტბუტით
გაეგლისებოდა ღამე ფანჯრის მინებს,
მაგრამ სიბნელე არ შეგვაშინებდა.

ეხლა მაქვს მხოლოდ შენი ლექსები
როგორც სამახსოვრო საჩუქარი
და მათი კვალი
არასოდეს ამოიშლება
მოგონებების ღრმა შრეებიდან.
გითვლის მადლობას შენი მკითხველი
შენთან შეხვედრამდე.




დაწერილია ექსპრომტად
2009 წლის 26 ოქტომბერს
ვიქტორ გაბესკირიას
პოეტური კრებულის
(„100 ლექსი“)
პრეზენტაციაზე
გამომცემლობა
„ინტელექტის“
დარბაზში.

# საკუთარ თავში მოგზაურობა ყველაფერს მირჩევნია...

*

### თამარ შაიშმელაშვილს ესაუბრება ნინო ჩხიკვიშვილი

**— შენ მხატვრული შემოქმედებისა და კრიტიკის სპეციალობით დაამთავრე უნივერსიტეტი, რატომ აირჩიე ეს სპეციალობა?**

— ერთი მარტივი მიზეზით, იმიტომ რომ ვწერდი. შემდეგ, მართლაც, გამიმართლა და სპეცკურსს ისეთი დიდი მწერალი გვიკითხავდა, როგორიც ოთარ ჩხეიძე იყო. იმ დღეების მადლი და გამოცდილება დღემდე მომყვება. გული მწყდება ყმაწვილური დაუდევრობით რომ ვეკიდებოდი, უფლის ამ წყალობას...

ახლა, უკვე ასაკში, ვხვდები, თუ როგორი გასაფრთხილებელი იყო მისი ყოველი სიტყვა და დარიგება. 18-19 წლის ყმაწვილებს ბატონი ოთარი ისე გვექცეოდა, როგორც მის ღირსებას ეკადრებოდა, და ეს ჩვენშიც ღირსების გრძნობას ბადებდა.

ეჰ, სადღა არიან მისი დარი პიროვნებანი და მოღვაწენი?!

ძალიან მწყდება გული იმ წლებზე, ვნატრობ იმას, რომელიც ვიცი, არასოდეს ამისრულდება და მაინც ვნატრობ: ერთხელ, ერთადერთხელ მაინც ისევ აღმოვჩნდე იმ წარსულში, რომელმაც ასეთი კვალი დაამჩნია ჩემს ცხოვრებას...

**— ამას წინათ, ერთ ინტერვიუში მითხარი, მწერლობას თანდათან ვუუცხოვდები და გული მტკივაო. რატომ დაგეუფლა ეს გრძნობა?**

— ჰო, მახსოვს... თავის დროზე, როცა ჩვენი ჟურნალი „ომეგა“ და გაზეთი „ჩვენი მწერლობა“ დახურეს, იცი, აპათიაში ჩავარდი. მეგონა, კალამს აღარასდროს ავიღებდი...

**— რომელია შენი საყვარელი მწერალი?**

— არიან მწერლები, რომლებიც მუდამ თან მდევენ და არიან მწერლები, რომელთაც განწყობისამებრ ვიხსენებ...

**— მახსოვს, მითხარი, მიხეილ ჯავახიშვილის წიგნებს ვერასდროს ველევიო... ამას წინათ, „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე ზურა ლავრელაშვილმა საკმაოდ მწვავედ გააკრიტიკა „ჯაყოს ხიზნები“...**

— ვიცი, წავიკითხე, თავიდან გამიკვირდა კიდეც, ზურა ლავრელაშვილი ასე რომ მისდგა თავის მასწავლებელს. დიახ, მასწავლებელს, რადგან, თუ არ ვცდები, ზურა მწერლობაში საკუთარ მასწავლებლად მიხეილ ჯავახიშვილს მიიჩნევს. ეტყობა „მოსწავლე“ მასწავლებელს იმაზე გაუბრაზდა, ხეზე ასვლა რატომ არ მასწავლეო?!

ისე, ხუმრობა იქით იყოს და ცოტათი შემეშინდა კიდეც, 37-იანი წლები მომაგონა ზურას წერილის ინტონაციამ. მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებს“ სწორედ ასე ასწორებდნენ მიწასთან. ამისი ბევრი მაგალითი არსებობს, მათი გამეორება და გახსენება, დღეს აღარ მინდა და არცა ღირს!



**— ამბობენ, ლიტერატურული კრიტიკა არ არსებობსო. შენც ასე ფიქრობ?**

— ერთ რამეს გეტყვი და ვიცი ბევრი მიკერძოებულ თქმად ჩამითვლის, დაე, ჩამითვალონ, მაინც გავიმეორებ: მე კი არა, არც არავინ არ უნდა ფიქრობდეს ასე, მაშინ როცა არსებობს ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, სადაც კრიტიკული აზრს გამოხატვას არავინ გიშლის და არც არავინ გახვევს თავს საკუთარ მოსაზრებას. შემიძლია ჩამოვთვალო იმ კრიტიკოსთა გვარებიც, რომლებიც ამ ჟურნალში აქვეყნებენ წერილებს, მაგრამ ამჯერად არ მინდა რომელიმე მათგანის გამოყოფა, ვიცი, მერე ესეც დიდ ვნებათაღელვას გამოიწვევს...

თუმცა, ეტყობა, ეს კლანურობა ლიტერატურაში არ მოისპობა. და ამიტომაც ამკვიდრებენ ამ მოსაზრებას ხელმოცარული და მომწერლო ელემენტები... ეს ჭირი ოდითგანვე თან სდევდა ჩვენს ლიტერატურას, ჭეშმარიტი ლიტერატორები და კრიტიკოსები კი, თავის საქმეს აკეთებდნენ და კვლავაც გააგრძელებენ მოღვაწეობას...

**— ფილოლოგიის ფაკულტეტის პარალელურად, კინოსასცენარო განყოფილებაზე სწავლობდი. შემდეგ, მოგვიანებით, თეატრმცოდნეობის უმაღლესი კურსებიც გაიარე. რატომ? ქართული თეატრისა და კონის შესახებ წერა შენი მოწოდებაა?**

— მოწოდება? ამის თქმა გამიჭირდება, საერთოდ, საკუთარი მოწოდების პოვნა უფლის დიდი წყალობაა, ბედნიერია ის ადამიანი, ვინც თავის მოწოდებას მიაგნო!

კინოსა და თეატრისამდი ჩემს ინტერესს მოწოდებას ვერ დავარქმევ, ამას უფრო სიყვარული, გატაცება თუ ეთქმის.

ისე, რაც მართალია, მართალია — კინოსასცენაროზე შესანიშნავი პედაგოგები მყავდნენ: დათო აგიაშვილი, მერაბ კოკოჩაშვილი, ტატა თვალჭრელიძე, გოგი გვახარია, ირაკლი კვირიკაძე, ოთარ იოსელიანი, და რაც ყველაზე მთავარია, ჩვენი სახელოსნოს მაესტრო და უფროსი მეგობარი ერლომ ახვლედიანი იყო. როგორც ხედავ, პედაგოგებით, მართლაც, განებივრებული ვიყავი. ბატონ ერლომთან დღემდე ვმეგობრობ...

**— რომელია შენი საყვარელი ლიტერატურული გმირი?**

— ასე ამოჩემებული საყვარელი პერსონაჟები არა მყავანან. შინაგანი სულიერი განწყობისა და მდგომარეობის მიხედვით მოდიან ისინი ჩემთან, ასევე მტოვებენ...

**— ისტორიული პერსონაჟი?**

— ბერი თევდორე.

**— შენი საკანდიდატო დისერტაციის თემაა „კოლაუ ნადირაძის შემოქმედებითი გზა“. კოლაუ ნადირაძეს — ცისფერყანწელთა უკანასკნელ მოჰიკანს, პირადად იცნობდი, რა შეგძინა მასთან ურთიერთობამ?**

— შეიძლება ბევრს გაუკვირდეს თუ ვიტყვი, რომ კოლაუ ჩემი მეგობარი იყო... დაუსრულებლად შემიძლია ვისაუბრო მასზე, მაგრამ მოკლედ ვიტყვი: მან მისდაუნებურად, გადაწყვიტა ჩემი მომავალი ლიტერატურასა და ცხოვრებაშიც.

**— შენ ნოდარ მგალობლიშვილის მეუღლე ხარ, თეატრის სიყვარული ამანაც ხომ არ განაპირობა?**

— არა, პირიქით, თეატრის სიყვარულმა განაპირობა ჩვენი შეხვედრა.

**— ყველაზე ბედნიერი დღე შენს ცხოვრებაში.**

— 22 იანვარი, როცა ჩემი პირველი ვაჟი — დავითი დაიბადა, მეორე — 31 აგვისტო, ჯიმშერის დედა რომ გავხდი, დაბოლოს, 8 მაისი, როცა მე და ნოდარმა დავიწერეთ ჯვარი.

კიდევ, როგორც მართლმადიდებელს მქონდა რამდენიმე უბედნიერესი დღე, როცა მოწამეთაში მოღვაწე დიდი ბერი, მამა გიორგი გავიცანი, ასევე- მამა გაბრიელის სულიერი შვილი ბერი ნიკოლოზი და განდეგილი მეუფე ილარიონი, ამ სულიერ სიხარულს, სიტყვებით ვერ გადმოვცემ, ეს ყოველმა მართლმადიდებელმა თვითონ უნდა განიცადოს...

**— მშვენიერ მინიატურებს წერ, რატომ არ აგრძელებ ამ მხრივ მუშაობას, ვგულისხმობ წიგნის გამოცემას...**

— მინიატურებს? მათ მოწყენის ჟამს ვწერ, ისინი ჩემი სულის ანასხლეტია და ვფიქრობ, არანაირი ლიტერატურული ღირებულება არ აქვს.

**— ახლახან გამოიცა შენი ახალი წიგნი „სარკის რეალობა“, სადაც მოთავსებულია წერილები საბავშვო ლიტერატურაზე, რატომ გაგიტაცა ამ თემამ?**

— თავდაპირველად ეს იდეა, საყმაწვილო ლიტერატურაზე რომ დამეწერა, ბატონმა აკაკი მინდიაშვილმა მომაწოდა. მახსოვს, მითხრა სულ მიტოვებულია ჩვენი საბავშვო ლიტერატურა და რატომ არ გინდა ხელი მოჰკიდო მასზე მუშაობასო?!მაშინ ვერ წარმომედგინა ეს საქმე თუ გამომივიდოდა... მერე იყო და შენ და მარიამ წიკლაური შემიჩნდით, მარიამმა საპატრიარქოს რადიოში საავტორო გადაცემაში მიმიწვია, ჯერ ერთი, მწერალი მოვსინჯე, მერე ისე გამიტაცა ამ საქმიანობამ, რომ... ერთ დღეს აღმოჩნდა, იმდენი წერილი დამიგროვდა, რომ წიგნიც შეიკვრებოდა და აი, ამასობაში მარიამმა გამომცემლობა „პეგასის“ გამომცემელი, შესანიშნავი ქალბატონი მარინა ცხადაია გამაცნო და აქეთ ბატონმა როსტომმაც შემაგულიანა, კარგია, იქნება ერთ წიგნად შეიკრეს ეს წერილები და რედაქტორიც მე ვიქნებიო!... და ასე გამოიცა ეს წიგნი. საბავშვო ლიტერატურაზე მუშაობას კვლავაც ვაგრძელებ, ის ახლა უკვე ჩემი ცხოვრების თანამგზავრია!

**— საყვარელი სპექტაკლი და მსახიობი...**

— ნუ ჩამომართმევ გადაჭარბებად და... ასე მგონია, თემურ ჩხეიძის სპექტაკლების გარეშე ჩემს ცხოვრებას რაღაცა დიდი, ნათელი ფერი დააკლდებოდა.

ძალიან მიყვარს მიხეილ თუმანიშვილის გენიალური სპექტაკლი „ჩემი პატარა ქალაქი“.

მსახიობები? ქართველებიდან დავიწყებ: სერგო ზაქარიაძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, ზურა ყიფშიძე, თამარ სხირტლაძე, მიხეილ გომიაშვილი, რეზო ჩხიკვიშვილი, ნინელი ჭანკვეტაძე, ნატა მურვანიძე, ვიცი, ზოგიერთი შეიძლება გამომრჩეს და აღარ გავაგრძელებ...

ვიაჩესლავ ტიხონოვი მიყვარს კიდევ, გრეგორი პეკი, ენტონი ქუინი. სხვებიც, ყველა ოსტატი დიდია. ყველა მსახიობი, ვინც თავის ამპლუას მიაგნო, ბედნიერია და შეუძლებელია არ მოგწონდეს.

**— გაქვთ თუ არა თავისუფალი დრო და რას აკეთებთ ამ დროს?**

— თავისუფალი დრო, როგორც ასეთი, რატომღაც ჩემთვის აბსტრაქტული ცნებაა. ვერ გამიგია, რას ნიშნავს თავისუფალი, ანდა დაკავებული დრო? ჩვენ, ადამიანები ხომ მუდამ რაღაცას ვაკეთებთ, რაღაცაზე ვფიქრობთ, გვიყვარს, გვძულს, ვწუხვართ, გვიხარია, რაღაცას მივესწრაფვით... და ამიტომაც მგონია, რომ თავისუფალი დრო აღარც კი გვრჩება, ძილშიაც კი სიზმრებს ვხედავთ... და ყოველივე ამის შემდეგ, აბა, მითხარი, შეიძლება თქვა — თავისუფალ დროს ვკითხულობ ან შვილებთან, მეუღლესთან თუ მეგობრებთან ერთად ვატარებო? მაინც ხომ დაკავებული ხარ. ჰოდა, ამიტომაც, ვფიქრობ, ადამიანს თავისუფალი დრო არ გააჩნია... ადამიანი სულ მოლოდინში უნდა იყოს და ... ფიქრობდეს!

რაზე ფიქრობდეს? ყველაზე ხშირად მაინც სიკვდილზე! ოღონდ... ამქვეყნიურის მიტოვების შიშით კი არა, უფალთან წარდგომის შიშით უნდა ცხოვრობდეს. თუმცა, ისიც კარგად მესმის, ამის მიღწევა ძალზე ძნელია, რადგან ეს ადამიანის იდეალური მდგომარეობაა, ამის მიღწევა კი მხოლოდ წმინდანთ შეუძლიათ...

**— ერთხელ მითხარი, სამშობლოს სიყვარულს ვსწავლობო. რას გულისხმობდი?**

— ვსწავლობ იმას, რაც გენეტიკურად მოგყვება, მაგრამ მაინც, თურმე ამ გრძნობასაც გაღვივება და მოფრთხილება სჭირდება... ქართველებს ბევრი მოწამე მართლმადიდებელი მამულიშვილი გვყავს, მათი ცხოვრების მაგალითზე უნდა ვისწავლოთ სამშობლოსა და ქრისტეს სიყვარული და ერთგულება.

**— ადამიანის ცხოვრებას მართლა განაგებს თუ არა ბედისწერა?**

— არა! თუ ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ხარ, ისიც უნდა გახსოვდეს, რომ უფლის თვალი მუდამ თან დაგყურებს და უფალს უყვარხარ. მან თავისუფალი არჩევნის უფლება მოგანიჭა და არ განუსაზღვრავს შენთვის, გინდა თუ არა ესა და ეს გზა აირჩიეო!

ბედისწერა, ჩემი აზრით, ადამიანთა დაუდევრობის, უფლისგან გაქცევის, ურჯულოების შედეგად მონიჭებული სხვადასხვაგვარი სასჯელის გასამართლებლად, თანაც თავის დასამშვიდებლად, გამოგონებული რამ არის და მეტი არაფერი. ამ აზრამდე საკუთარ ცხოვრებაზე დაკვირვებით მივედი...

**— საიდან მოდის ქართული სული?**

— ერთხელ დავწერე, ბიბლიის უსასრულობიდან-მეთქი და ახლაც იმავეს გავიმეორებ!

**— მოგზაურობა თუ გიყვარს?**

— ახალგაზრდობაში ბევრს ვოცნებობდი მოგზაურობაზე, ძალიან მინდოდა ვენეციასა და პარიზში წასვლა. მინდოდა, მაგრამ მერე ისე წარიმართა ჩემი ცხოვრება, ვერ მოვახერხე მოგზაურობა.

ახლა უკვე საკუთარ თავში მოგზაურობა მირჩევნია ყველაფერს... ასე უფრო ახლოს ხარ უფალთან!

ლალი ავალიანი

# ვალერიან გაფრინდაშვილი — „პოეზიის მთრთოლვარე მონა“

1922 წლის 1 იანვარს ვალერიან გაფრინდაშვილმა გამოაქვეყნა ერთ-ერთი ყველაზე ეპატაჟური ლექსი ქართულ პოეზიაში:

**სამარცხვინოა პოეტისთვის სხვა კარიერა**
**გარდა თვითმკვლელობის.**
**არ მსურს ვიყო ვიკტორ ჰიუგო ან აკაკი,**
**მე მირჩევნია დავიღუპო, როგორც ბოჰემა.**
**...მე მეჯავრება პოეტისთვის რამე ხელობა.**
**მისთვის ვიწამე სამუდამოდ ეს კარიერა**
**სიგიჟე, ჭლექი, ალკოჰოლი და თვითმკვლელობა!**
**სიკვდილი იყოს ამ დუელში შავ ბარიერად!**

*(„ბოჰემის მონოლოგი“)*

ვალერიან გაფრინდაშვილის პიროვნებისა და ბიოგრაფიის გათვალისწინებით, „ბოჰემის მონოლოგის“ ლიტერატურულ პოზად მიჩნევა იოლია, თუმცა უდავოა მისი პროვიდენციული სულისკვეთებაც, მით უმეტეს, ცისფერყანწელებთან მიმართებით. ჭლექით აღესრულენ შალვა კარმელი და სანდრო ცირეკიძე, დარწმუნებით ვერ ვიტყვით, თავი მოიკლა გიონ საგანელმა თუ ოპიუმის გადამეტებულ დოზას შეეწირა. მოგვიანებით, 1937 წელს „თვითმკვლელ პოეტთა დინასტიას“ პაოლო იაშვილი შეუერთდა.

თავის მხრით, იმავე წლის იმავე თვეში, პაოლომ, სახალისო თუ „სარეკლამო“ ფუტუროლოგიურ მისტიფიკაციაში „ყანწელები 1942 წელში“ („ბარრიკადი“, 1922 წ., 22 იანვარი), მისდაუნებურად, იწინასწარმეტყველა ვალერიან გაფრინდაშვილის უდროო აღსასრული მხოლოდ ერთი წლის ცდომილებით:

„ვალერიან გაფრინდაშვილმა წარსულ წელს მცხეთის სასაფლაოზე ააშენა წნელის კარავი, როგორც მოგონება ძველი პატრიოტული რომანტიზმისა. ის აქ ხშირად იძინებდა და მისი ჭაღარა თმები ბრწყინავდენ როგორც წაქცეული თაფლის სანთლები. ჩვენ ვეწვიეთ მას ერთ ღამეს. ეს იყო 28 აპრილი.

მან სთქვა ჩუმად: ამ კარავში მიტომ ვარ, რომ ვერიდები თანამედროვეს და შეგნებულ სიგიჟეს. როდესაც გათენდა, ჩვენ გავიგეთ, რომ კარავში დადგმულ ტახტის ქვეშ უკვე გათხრილი იყო საფლავი პოეტის გასვენებისთვის.

ჩვენ ვერ აუკრძალეთ პოეტს სიკვდილისთვის მომზადება. მით უმეტეს, როდესაც დავინახეთ, რომ საფლავის იატაკი და კედლები მოფენილიყვნენ გაფრინდაშვილის წიგნებით და ლექსებით. ჩვენ გვიხაროდა, რომ გაფრინდაშვილს სურდა საკუთარ პოეზიასთან მოსვენება. ჩვენ გამოვეთხოვეთ და ხელზე ვაკოცეთ როგორც უსპეტაკესს.

გაფრინდაშვილის კარავი მომავალ პოეტებისთვის იქნება როგორც სიონი ქართველ ქრისტიანებისთვის“.

1922 წელს ვალერიან გაფრინდაშვილი ცისფერყანწელთა პირველ სამეულს მიეკუთვნებოდა (როგორც პოეტი, თეორეტიკოსი და „მეოცნებე ნიამორების“ რედაქტორი): პაოლო, ტიციანი, ვალერიანი. საკრალური სიმბოლოებისადმი ცისფერყანწელთა ფამილარული დამოკიდებულება ცნობილია: ჯგუფის საქმიანობას ისინი ათცამეტ ასურელ მამათა ღვაწლს ადარებენ, თავს მოციქულებად მიიჩნევენ, ხშირად მიმართავენ სამების სიმბოლიკასაც („ვერლენი! ბოდლერ, და მალარმე! ამ სამებაში მე ყველა მიყვარს...“ — პ. იაშვილი; „ჩემს წინ ბოდლერი, გადაშლილი ვით სახარება“... — ვ. გაფრინდაშვილი). ვალერიან გაფრინდაშვილი, ტიციანისა და პაოლოსაგან განსხვავებით, თბილისში მოგვიანებით დაეფუძნა; ამიტომაც „წმინდა სამებას“ ერთხანს ტიციანს, პაოლოსა და მათ განუყრელ ნიკოლო მიწიშვილს ეძახდნენ. ალბათ სასწაულს თუ მივაწერთ, რომ ზემოხსენებული ორი „სამებიდან“ მხოლოდ ვალერიანი არ შეიქნა 1937 წლის ზვარაკი.

1941 წლის 1 იანვრით დათარიღებულ ლექსში, ცალად დარჩენილმა ვალერიან გაფრინდაშვილმა ჯანის სიმრთელისა და ჭეშმარიტ მგოსნად დარჩენის სურვილი გაახმიანა:

**სხვას არაფერს გთხოვ, ჯერ უცნობო ახალო წელო,**
**მომეცი ჯანი, მასთან ერთად სიტყვა ფრთოსანი,**
**რომ მე ბოლომდე გავიტანო შაირის ლელო,**
**რომ სიკვდილამდე ჭეშმარიტი ვიყო მგოსანი...**

„სრული იმედით მე ვუცქერი ცასა და მყობადს!“ — ლექსის ეს ბოლო ტაეპი დღეს მწარე ირონიას უფრო ემსგავსება, თუ გავითვალისწინებთ, რომ 31 იანვარს ვალერიან გაფრინდაშვილი მოულოდნელად გარდაიცვალა. იქნებ ეს ფაქტი გახდა იმის საწინდარი, რომ ზოგ მკვლევარს პოეტის ბუნებრივ სიკვდილში ეჭვიც კი შეაქვს, — შინსახკომის „უკიდეგანო შესაძლებლობებიდან“ გამომდინარე. ის კი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ პაოლომ, ქვეშეცნეულად, მარტოობასა და ჭეშმარიტი პოეზიის მსახურებაში დანთქმული, სიკვდილის მომლოდინე, სულით ობოლი მეგობრის ტრაგიზმი წარმოაჩინა.

* * *

ვალერიან გაფრინდაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის შემფასებლები თუ დამფასებლები ერთხმად აღიარებენ მას ორთოდოქს-სიმბოლისტად. ამ მხრივ ის უთუოდ გამორჩეული იყო თვით „ცისფერ ორდენში“, რომელსაც მხოლოდ პირობითად თუ გავაიგივებთ „ქართულ სიმბოლიზმთან“. ამგვარი ორთოდოქსულობა, როგორც ჩანს, პოეტის გაცნობიერებული და შეგნებული არჩევანი იყო. ერთსულოვნებით გამოირჩევა ვალერიან გაფრინდაშვილის პიროვნული დახასიათებაც: მოკრძალებული, კრისტალური სულის პატრონი, შემწყნარებელი, იმავდროულად, — პრინციპული და უკომპრომისო; სადაც ყოფაში — გაწონასწორებული, ბოჰემურ თავშექცევასა თუ საჯარო

გამოსვლებისას, — ზომიერი, ჩრდილში ყოფნის მოსურნე (ამ თვისებამ თუ იხსნა 1937 წელს!).

შალვა აფხაიძე: „ვალერიან გაფრინდაშვილს არასდროს არ ღალატობდა გულწრფელობა. გულწრფელი იყო თავის გატაცებაში მაშინ გაბატონებული სიმბოლიზმით, რომლის ყველაზე ორთოდოქს მიმდევრად ითვლებოდა ის ჩვენში და იცავდა ამ ლიტერატურულ პოზიციებს როგორც თეორიული ხასიათის წერილებით, ისე თავისი ფანტასმაგორიული შემოქმედებით.

...ვალერიანი ენციკლოპედიური ცოდნით იყო აღჭურვილი... პოეზიაზე საუბრისას თავის სტიქიაში გრძნობდა თავს. ის იყო ლექსის თავდავიწყებული თაყვანისმცემელი, ფანატიკოსი, ამაყობდა კიდევაც ამით. ლექსით მდიდარს თვლიდა თავს, სხვა სიმდიდრე მას არ უძებნია“.

ვალერიან გაფრინდაშვილი დაიბადა 1889 წელს, 2 იანვარს, ქუთაისში. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა (1914 წლიდან). მოსკოვში ეზიარა ის ე.წ. ახალ პოეზიას, არა „მწიგნობრულად“, არამედ უშუალოდ, — საჯარო პოეტური საღამოების მეშვეობით. 1914-15 წლიდან მისი ლექსები ქართულ პრესაში გამოჩნდა; 1909 წლიდან რუსულადაც წერდა ლექსებს. 1919 წელს მისი პირველი პოეტური კრებული „დაისები“ ქუთაისში დაისტამბა. „ცისფერი ყანწების“ (1916 წ., 1,2) აქტიური მონაწილე იყო, პაოლოსა და ტიციანის თბილისში გადასახლების შემდეგაც დიდხანს ერთგულებდა ქუთაისს: სანდრო ცირეკიძე გამომცემლობა „კირჩხიბსა“ და ჟურნალ „შვილდოსანს“ მესვეურობდა, ვალერიან გაფრინდაშვილი — „მეოცნებე ნიამორებს“.

1924 წლიდან, როცა ცისფერყანწელთა ჯგუფმა ფაქტობრივად შეწყვიტა არსებობა (იურიდიულად გაუქმდა 1931 წელს) ვალერიან გაფრინდაშვილი იძულებული გახდა თვალი გაესწორებინა ქუფრი სინამდვილისათვის. 1924 წლის უსასტიკეს და ულმობელ რეპრესიებამდე ცისფერყანწელები, მათ შორის ვალერიან გაფრინდაშვილიც, ახალი რეჟიმის ბესტიურ მხარეს ჯეროვნად ვერ აღიქვამდნენ. თავდაპირველად ბოლშევიზმი მათ დროებითი მოვლენა ეგონათ. ამგვარი ილუზიით მაშინ ბევრი ქართველი ინტელიგენტი იყო შეპყრობილი.

„მეოცნებე ნიამორების“ გამოცემა შეწყდა: 1924 წელს დასტამბულ ბოლო ნომერს სახელწოდების შეცვლამ — „ნიამორები“ — ვერაფერი შესძინა, ის უკანასკნელი აღმოჩნდა. იგივე „მეტამორფოზა“ განიცადა პავლე ინგოროყვას „კავკასიონმა“, — ის სასწრაფოდ „ახალ კავკასიონად“ (1925 წ.) გადაინათლა; ეს მცდელობაც უშედეგო იყო.

პოეტი, თუნდაც „ოცნებაწართმეული“, მაგრამ ჭეშმარიტი ლიტერატურის ერთგული, მუდამ პოეტად ჩნდება. ეს ითქმის ვალერიან გაფრინდაშვილზეც, რომელიც მაშველი რგოლივით ჩაეჭიდა ლოზუნგს „დაბრუნება მიწასთან“ (თუმცა აქაც გულწრფელი იყო). 1922-23 წლებში „მიწასთან დაბრუნების“ საჭიროება გრიგოლ რობაქიძემაც („დაბრუნება მიწასთან, როგორც კერძო ბარათი“) და სერგო კლდიაშვილმაც გაახმიანეს (აქვე აღვნიშნავ გრიგოლ რობაქიძისა და ვალერიანის იშვიათ, უხინჯო თანამოაზრეობას).

1923 წელს ვალერიანმა რუსულად თარგმნა და ცალკე წიგნად გამოსცა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია, 1926 წელს საკუთარი ლექსების კრებული „ლექსები“. თბილისში უკვე საბოლოოდ დაფუძნებული, მწერალთა კავშირის მთარგმნელთა სექციას თავმჯდომარეობდა; შემდეგ გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგე იყო. მის ფართო თვალსაწიერსა და შრომისმოყვარეობაზე მეტყველებს მისი მთარგმნელობითი არეალი: პუშკინი (ყველაზე ხვავრიელად), გოეთე, ჰაინე, ჰიუგო, უაილდი, ბრიუსოვი, ბლოკი, მაიაკოვსკი, ესენინი, ანტოკოლსკი, ტიხონოვი... და, რა თქმა უნდა, ფრანგები: გოტიე, ბოდლერი, ვერჰარნი, ლაფორგი, ვერლენი, მალარმე, რემბო, კორბიერი და სხვ.

ის მუდამ იყო „ლექსით მდიდარი“, მაგრამ ლიტერატურათმცოდნეებს, რომელნიც 60-70-იანი წლებიდან ახლებურად წარმოგვიჩენდნენ ვალერიან გაფრინდაშვილის პოეზიას, მისი ადრინდელი პერიოდი უფრო იზიდავდა (მირიან აბულაძე, გია მარგველაშვილი, გრიგოლ ხერხეულიძე, გურამ ასათიანი, თამაზ ჩხენკელი, გურამ ბენაშვილი და სხვ.). დიდი ამაგი დასდო მის მემკვიდრეობას ტექსტოლოგმა მარინე ჭყონიამ, რომელმაც 1990 წელს გამოსცა პოეტის ყველაზე სრულყოფილი კრებული. სამწუხაროდ, უსახსრობისა თუ ტექნიკური მიზეზების გამო, შემდგენელ-რედაქტორმა წიგნს ვერ დაურთო სათანადო ბიბლიოგრაფიული შენიშვნები. „მოწითალო“ პროფესურა, ნებსით თუ უნებლიედ, 50-იან წლებიდან 80-იანი წლების დამდეგამდე, მრუდე სარკეში წარმოაჩენდა პოეტს. დღევანდელ მკითხველს უსათუოდ გააოცებს 1985 წლით დათარიღებული ერთი წიგნის ფრაგმენტები: „ვ. გაფრინდაშვილი. წარსულში ტიპური სიმბოლისტი, დეკადენტი პოეტი თანდათანობით თავისუფლდება სიმბოლისტური ბურუსისაგან და მოწინავე საბჭოთა პოეტი ხდება. ...საბჭოთა ეპოქამ, სოციალისტურმა მშენებლობამ თავისი გავლენა მოახდინა ისეთ უკიდურეს სიმბოლისტ პოეტზეც კი, როგორიც იყო ვ. გაფრინდაშვილი. ამ ფაქტში მთელი სისრულით გამომჟღავნდა სოციალისტური წყობილების ცხოველმყოფელობა — ძველი თაობის პოეტთა იდეური და მხატვრული გარდაქმნის საქმეში“. „იდეური და მხატვრული გარდაქმნა“, ღვთის მადლით, ვალერიან გაფრინდაშვილს არ განუცდია; კონიუნქტურული ლექსები და ოფიციალური (ძალდატანებითი) განცხადებები კი მაშინ, საუბედუროდ, ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ.

* * *

დღევანდელი გადასახედიდან, როცა ნაირგვარი ინტერტექსტუალიზაცია ლამის ნორმად არის ქცეული, ვერ გავიზიარებ მოსაზრებას, თითქოს ვალერიან გაფრინდაშვილის ადრინდელ ლექსთა აბსოლუტური უმრავლესობა „რუსული სოუსით“ შეზავებული ფრანგული სიმბოლიზმის ტყვეობას ვერ გასცდა.

მრავალსაუკუნოვანი მსოფლიო პოეზიის (ანტიკური ხანიდან ფუტურისტებამდე) უბადლო მცოდნე პოეტი ნებისმიერ „მწიგნობრულ“ ზღვაში ისე გრძნობდა თავს, როგორც თევზი წყალში. ამის დასტურია მთელი მისი პოეზია.

გულწრფელი და შეგნებული აქტი იყო ვალერიან გაფრინდაშვილის ერთგულება სიმბოლისტური მართლწერისადმი.

მირიან აბულაძის მართებული თქმით, პოეტის ლექსთა ციკლების სახელებიც კი („დაისები“, „ორეულები“, „ოფელიები“, „ამარსიფალი“) „რაღაც მხატვრული იდუმალებისა თუ ჯადოსნური პოეტური ალქიმიის ბეჭდით არიან დატვიფრულნი... .„დაისებში“ მოთავსებული თითქმის ყველა ლექსი წარმოადგენს ერთი თემის, ერთი პოეტური განწყო-

ბილების სხვადასხვა მხატვრულ ვარიაციას. ერთსა და იმავე ლექსში მეტ-ნაკლები ინტენსივობით ერთდროულად მოცემულია სხვადასხვა მხატვრული მოტივები (სატრფიალო, ურბანისტული, ბოჰემური არტისტიზმის, თვითმკვლელობის, დაღუპვის აუცილებლობის, სიმახინჯის მშვენიერებისა და სხვ.), რომლებიც დასახელებულ მხატვრულ ქმნილებას პოეტური ამალგამის, და არა მხატვრული გამის ელფერს აძლევენ..."

ვალერიან გაფრინდაშვილის პოეზია იმდენად ღრმა და ტევადია, — დაყურსული მრავალი სახე-სიმბოლოთი, რომ მკითხველის საგანგებო მზაობას მოითხოვს. თავის დროზე, სწორედ ასეთი მკითხველები იყვნენ ცისფერყანწელები, რომელნიც ეთაყვანებოდნენ ვალერიანს.

ვალერიან გაფრინდაშვილის პოეზიის სიღრმეთა წვდომა კიდევ უფრო დიდ მოლოდინს ბადებს: „ის მრავალთათვის ბუნდოვანი ლეგენდა იყო. როგორც აუცილებლობა ისიც თანდათანობით შეიკრებს თავის ბუნებრივ ჭეშმარიტ მასშტაბებს და მაშინ, თუ სამწუხაროდ დღესვე არა, ჩვენს წინაშე წარმოდგება განსაცვიფრებელი თავისთავადობით, საოცრად დახვეწილი და არისტოკრატული ელეგანტური ეროვნული სულით აღბეჭდილი პოეტი" (გურამ ბენაშვილი).

საკუთარ თხზულებათა კომენტირება-ინტერპრეტაციის თანამედროვე მანერა დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებასთან, რომლის ლექსები და უაღრესად ღირსსაცნობი ლიტერატურულ-ესთეტიკური ესეები თითქოს ავსებენ ერთურთს და მისი პოეზიის გასაღებსაც გვთავაზობენ.

ასეთი „პარალელიზმის" დასტურად მრავალი ნიმუშის მოტანა შეიძლება, თუმცა ამჯერად ორიოდე ვიკმაროთ:

„დაისი და შემოდგომა — აი, ორი მომენტი, რომელიც დიდხანს შეადგენდნენ მალარმეს იდეალს..." (წერილი „სტეფან მალარმე")

ვალერიან გაფრინდაშვილის ერთ-ერთი ყველაზე ხვავრიელი ციკლი „დაისებია": „დაისი", „დაისების სვინაქსარი", „ჯვარისწერა დაისში", „დაისი — აშორდია"... „დაისი" ირეალური სამყაროს ერთი თვალსაჩინო მეტაფორაა, მისტიკურ-მეტაფიზიკური ასოციაციური ჯაჭვის ერთი საკვანძო რგოლი:

**ზამთრის დაისი. უჩვეულო მისი თვისება —**
**როგორც ლიმონი ყვითელფერობს ძველი არშია.**
**ისევ სალამო აჩრდილებით მედაისება,**
**ისევ ოცნება აწყვეტილი მაღალ ქარშია.**
**...და მზე თანდათან წყლის უფსკრულში ჩაესვენება,**
**როგორც ხომალდი დატვირთული ბნელ ჰამლეტებით.**
**და კიდევ ერთხელ ოფელიას ნაზი ჩვენება**
**იხრჩობა წყალში — დანატირი შავი გედებით.**

*(„დაისების სვინაქსარი")*



*ვალერიან გაფრინდაშვილი*

„იქმნება ახალი მითოლოგია, რომლის გმირები არიან არა ღმერთები, არამედ პოეტები და მათგან შექმნილი მანეკენები.

...ახალი მითოლოგიის შექმნაში დიდი როლი ითამაშეს ყანწელებმა. სახელების პოეტიკა და ახალი მითოლოგიის პრინციპები შეგნებულად აღიარა და გამოაცხადა პირველად ამ სტრიქონების ავტორმა (წერილი: „სახელების მაგია" — „მეოცნებე ნიამორები" — წიგნი მეექვსე; ლექსები „ჯვარისწერები დაისში", „დაისი მესამე").

„ყანწელები ხშირად ახსენებენ ლექსებში ფრანგი პოეტების სახელებს, რადგანაც ქმნიან ახალ მითოლოგიას.

ამ ახალი მითოლოგიის მასკარადში ყანწელებს დიდი გაბედულობით შეჰყავთ ერთმანეთი... შეიძლება ეს პირველი მაგალითი იყოს მსოფლიო პოეზიაში, როდესაც პოეტებმა მოინდომეს პირადი მეგობრობის გაზლაპრება, როდესაც პოეტებმა გარდაქმნეს ინტიმობა პოეზიად და ინტიმურ გრძნობებს მისცეს უნივერსალური ლირიკის ხასიათი".

*„დეკლარაცია (ახალი მითოლოგია)".*

„ჯვარისწერები დაისში" მართლაც რომ პირადი მეგობრობის გაზლაპრების ნიმუშად წარმოგვიდგება: „მითოლოგიურ მასკარადში" თანაბრად მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ პოეტებს და „მანეკენებს" — ტიციან ტაბიძეს და ბლოკის ბალაგანგამოვლილ კოლომბინას (ნინო მაყაშვილს), რომელთა ჯვრისწერას ედგარ პო სონეტის კითხვით ადგამს გვირგვინს; ჯოკონდას ცნობილი მექალთანე და მოკრივე კოლაუ ნადირაძე („ავზნიანი ქალაქის" ავტორი), ავზნიანი მგოსანი მოხიბლავს; „ლექსის მთავრის" არტურ რემბოს მიერ ანდროგინთა (ორსქესიან არსებათა) შეუღლება, მათი მეჯვარეობა, უთუოდ რემბოსა და ვერლენის „არატრადიციულ" ურთიერთობას მიგვანიშნებს; აქვეა პაოლოც, რომლის პოეზიაში თანაარსებობს წარსული და მომავალი („თამარ იყო ჩემი დობილი"... „იქ ყავდეს ცოლად მეფე თამარი" — პაოლო იაშვილი; მისივე „ფარშავანგები ქალაქში" — საკულტო ლექსი) — ფარშავანგები და თამარის მანეკენი:

**...სდგანან ტალღებზე ტიციანი და კოლომბინა.**
**იმათ ჯვარსაწერს წაუკითხავს სონეტს ედგარი,**
**და ისევ ცეცხლში იკარგება სატრფოთა ბინა.**
**ქარს ჯიოკონდას შლეიფები ხარბად მიჰქონდა**
**ეანგელოზა მას კოლაუ ცხვირგატეხილი;**
**ავზნიან მგოსანს გაუღიმებს თვით ჯიოკონდა,**
**ავზნიან მგოსანს შლეიფების დასწვავს გრეხილი.**
**იქ ანდროგინებს შეაუღლებს ლექსის მთავარი —**
**მათ არტურ რემბო დაამშვენებს ამაყ შაფერად.**
**იწვის დაისი, ვით ფრინველი, ვით ფრთაჯავარი**
**და იკაზმება სიკვდილის წინ რაგინდაფერად.**
**მოდის პაოლო ფრთადაქანცულ ფარშავანგებით,**
**ძვირფას თამარის მანეკენი მას ჩაბარდება...**

დაბოლოს, კიდევ ერთი პარალელი: თვით მალარმეც ხომ ცარიელ სივრცეში არ აღმოცენებულა! „ვის შეუძლია დაიტრაბახოს და სთქვას, რომ არ ჰყოლია ორეული და პირველად მოევლინა კაცობრიობას? თვით უკიდურეს ფუტურისტს კრუჩიონიხს ჰყავს წინაპარი — გოგოლის პეტრუშკა და ხლესტაკოვი (ავტორი გულისხმობს პეტრუშკას კითხვის „პროცესს“ და ხლესტაკოვის ფრაზას — „Я, признаюсь, сам люблю иногда заумствоваться“; იხ. „მკვდარი სულები“ და „რევიზორი“ — შდრ. ფუტურისტების „ზაუმს“ — ლ.ა.). მთელი ტერმინოლოგია და პოეზია კრუჩიონიხს ნასესხები აქვს დასახელებულ გმირებიდან“ (ვ. გაფრინდაშვილი, „დავით გურამიშვილი“). ამიტომაც მისაღებია მალარმეს „ოთახის ესთეტიკის“ ქართულ ვარიაციათა შექმნა: „სარკე ხომ უდიდესი სიმბოლოა ჩვენი ყოფნისა. არაფერი ისე მისტიურად არ გამოხატავს ჩვენი ყოფნის ლანდურობას, ჩვენს ორობას, ჩვენს კავშირს წარსულთან და მომავალთან, როგორც სარკე“ (სტეფან მალარმე“).

ვალერიან გაფრინდაშვილის „მე — სარკეში“, „Інტერიეურ— პირველი“, „ცეცხლიან სარკეებში“, „ჩვენი ლანდები“, „ორეულებთან შეხვედრა ხიდზე“, „ორეული — ანდროგინი“ და სხვანი, რომელთაც ბიძგი სწორედ სარკის სიმბოლიკამ და რეალური ცხოვრების „ლანდურობამ“ მისცა, — ავტორის დიდი ნიჭის წყალობით, ძალდაუტანებლად და ბუნებრივად „მოერგო“ ქართულ პოეზიას.

პირადად მე, ვალერიან გაფრინდაშვილის პოეზიაში ახლაც მეჩოთირება „სიმახინჯის ესთეტიკის“ კანონიზაციის სურვილით შეპყრობილი ზოგიერთი ლექსი; თუმც ავტორი ზედმიწევნით იყო დაუფლებული ვერსიფიკაციულ ხერხებს და არც შთაგონება დაუშურებია, ლექსები „დღეს კლავიშები დაუფარავს მთრთოლვარე ტილებს“, „ძონძებში“ ან „ქალს ჩაჟენილ თვალით“ (ზოგიერთი სხვაც), ქართული პოეზიის მიღწევად არ აღიქმება.

ყველა ზემოხსენებული ნიმუში პოეტის ადრინდელ პერიოდს განეკუთვნება და „ცისფერი ორდენის“ პერიოდიკაშია გაბნეული (1916-1924 წწ.). იგივე ითქმის ბოჰემის კულტის დამამკვიდრებელ მის ლექსებზე — „ვერლენი კაფეში“, „გრიშა აბაშიძე და ჟერალ დე ნერვალი“, „მამია გურიელი“ და სხვ. მის ინტერესთა სფეროში ექცევა არა მხოლოდ ე.წ. „დაწყევლილი“ პოეტები, არამედ მისტიფიკატორები, ან, უბრალოდ, სახელოვანი თუ უსახელო თაღლითები (თომას ჩატერტონიდან კალიოსტრო-აშორდიამდე).

ნებისმიერი პერიოდიზაცია, შემოქმედის ევოლუციის მკაცრ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოქცევა მეტად უმადური საქმეა, მით უმეტეს, თუ ეს კონიუნქტურული მოსაზრებით ხდება. მკვეთრ და მყისიერ გარდაქმნას ხელოვანი იშვიათად განიცდის.

შეიძლება ითქვას, რომ ვალერიან გაფრინდაშვილის მოწოდება „დაბრუნება მიწასთან“ (ჯერ „ლაშარში“ დაისტამბა, განმეორებით, — „კავკასიონში“, 1924 წელს) ისეთივე ნრფელი იყო, როგორც მისი ამავე პერიოდში (1922-26 წწ.) შექმნილი ფანტასმაგორიული ლირიკა.

ცნობილი ე.წ. საპროგრამო ლექსების („Інტერიეურ-პირველი“), „დაისი მესამე“, „დუელი ორეულთან“, „ატა-ორგანა“, „ბოჰემის მონოლოგი“, „ტომას ჩატერტონ“, 1917-1924 წწ. და სხვ.) პარალელურად, ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებაში, ამ მოწოდების გახმიანებამდეც იყო წარმოჩენილი ბრწყინვალე ტრადიციული ლირიკა („შემოდგომის ქანდაკება“, „ღამის ფოთლები“, „სანტიმენტალური ტრიოლეტი“, „შემოდგომა“, „ლოცვა“, „ზღვა“, 1916-1922 წწ. და სხვ.).

პოეტმა, მეგობარი ცისფერყანწელები „შეუცდომელს“ რომ უწოდებდნენ, თავისი ადრინდელი შემოქმედების ერთ-ერთ მიღწევად და სანიმუშო ლექსად მიიჩნია „ზღვა“ (1922 წ.), — თვითმყოფი, რეალისტური ლირიკული შედევრი (იხ. „შენიშვნები ლირიკაზე“, 1924 წ.). ლექსი ქუდბედიანი აღმოჩნდა: პასტერნაკის მშვენიერი თარგმანით ის რუსულენოვანმა სამყარომაც გაიცნო. XX საუკუნის 70-იან წლებში მწერალმა და ცნობილმა დისიდენტმა ეფიმ ეტკინდმა, თარგმანის ხელოვნებისადმი მიძღვნილ ფუნდამენტურ წიგნში, პასტერნაკისეული თარგმანის გამოწვლილვითი ანალიზის საფუძველზე, ის კონგენიალურობის ჩინებულ მაგალითად აღიარა.

* * *

ვალერიან გაფრინდაშვილის მთელი პოეზია უხვადაა გაჯერებული ისტორიულ თუ ბიბლიურ პიროვნებათა, მსოფლიო ხელოვანებისა და მათი პერსონაჟების სახელებით; ლიტერატურული რემინისცენციებით, ალუზიებით, პერიფრაზებით, რთული „ნასესხები“ სახე-სიმბოლოებით.

ამ „მაგიურ სახელთა“ უზარმაზარი ამპლიტუდა ავტორის ფართო განსწავლულობაზეც მიგვითითებს, თუმცა, 20-იან წლებში „პროლეტკულტელ“ მოპაექრეებს სწორედ ეს აღიზიანებდათ: კალიგულა, ჰანიბალი, ამარსიფალი, საფო, ოფელია, ჰამლეტი, კოლომბინა, მეფე ლირი და კორდელია, ედგარ პო, რემბო, ლოტრეამონი, ლაფორგი, ჟერარ დე ნერვალი, კორბიერი, ლენორა, მის ლეა ლე, ნიკიში, პაგანინი და ა.შ. რომ აღარაფერი ვთქვათ ქართველებზე; — ყველანი, პოეტის განგებით, ერთიან მისტიკურ ფერხულში არიან ჩაბმულნი.

1924 წელს დასტამბულ ლექსში „ტომას ჩატერტონ“, ვალერიან გაფრინდაშვილმა, მისთვის უჩვეულო (პაოლოსა და ტიციანისაგან განსხვავებით) თვითირონიით, თავი მოიხსენია „სახელების მარადიორად და პირანეზად“:

**დარჩა მხოლოდ პოეტების კაზინო,**
**რომლის საპატიო თავმჯდომარეა**
**ტომას ჩატერტონ და მის აჩრდილს**
**წელიწადში ერთხელ ურიგებენ კარტს.**
**და ვალერიან გაფრინდაშვილი —**
**სახელების მარადიორი და პირანები**
**„პოეტის კარიერაში“ სვამს**
**ჩატერტონის სადღეგრძელოს.**

ამ თვითირონიითა თუ „თვითკრიტიკით“, ვალერიან გაფრინდაშვილი („გვამების მძარცველი“ და „მეკობრე!“) თითქოსდა ეთხოვება „ცისფერ“ წარსულს; დაბეჯითებით ამის თქმა შეუძლებელია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ „ტომას ჩატერტონის“ შემდეგ, პოეტი, მისივე სიტყვებით, — „მეტი სიხარულით და მადლობით ესალმება რეალურ ქვეყანას“. ქრონოლოგიურად, „ტომას ჩატერტონ“ (1924 წ.) მართლაც ასრულებს „დიონისურ“ ციკლს.

თომას ჩატერტონს (1752-1770 წწ.), ინგლისელ პოეტბავშვს, რომელმაც სახელი გაითქვა ლიტერატურული მისტიფიკაციით — „XV საუკუნის პოეტის თომას როულეის“ თხზულებებით, დიდი იმედგაცრუება ელოდა. ორიგინალურმა შემოქმედებამ მას დიდება ველარ მოუტანა; ფრუს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრაციამ და უკიდურესმა სიღარიბემ 18 წლის ბიჭი თვითმკვლელობამდე მიიყვანა (დააფასეს სიკვდილის შემდეგ):

**კიდევ არ არის სიმფონია „ჩატერტონი“,**
**მაგრამ იქნება:**
**მოხდება აჯანყება ორკესტრის,**
**რომელიც გამოაცხადებს დირიჟორათ**
**დაღუპულ მგოსანს.**
**და საკრავები, გადაქცეული ქიმერებად,**
**დაერევიან მოკაზმულ ფილისტერებს.**
**ხომ შეიძლება დასწვა ლონდონი,**
**რადგან იქ თავი მოიწამლა სიმშილისგან**
**ჩატერტონმა?**
**ეს იქნებოდა დიდებული შურისძიება!**

მრავლისმეტყველია ისიც, რომ „ტომას ჩატერტონ“ დაისტამბა ყოფილი „მეოცნებე ნიამორების“ უკანასკნელ, მე-11 ნომერში („ნიამორები“, 1924 წ.).

* * *

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „მეოცნებე ნიამორები“ (1919-1924 წწ.), რომელსაც 2009 წლისაგან 90 წელი აშორებს, თავისი დროის საუკეთესო ჟურნალი იყო, ხოლო ვალერიან გაფრინდაშვილი — საუკეთესო რედაქტორი.

2009 წელი ვალერიან გაფრინდაშვილის საიუბილეოა: დაბადებიდან 120 წლისთავი; საიუბილეოა ის „მეოცნებე ნიამორებისთვისაც“, — დაარსებიდან 80 წლისთავი.

დიდი ხანია, „მეოცნებე ნიამორები“ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა: 30-იანი წლების დიდი რეპრესიების შემდეგ „არასაბჭოთა“ პერიოდის, განსაკუთრებით, ცისფერყანწელთა ჟურნალ-გაზეთები ამოიღეს ბიბლიოთეკებიდან, ნაწილი ალბათ მოსპეს კიდეც. სამწუხაროდ, ახლაც ძნელია სრულ კომპლექტთა მოპოვება. დღევანდელი პოლიგრაფიული დონის გათვალისწინებით, ადვილი, ამასთან საშური და, მე თუ მკითხავთ, საშვილიშვილო საქმეა თითქმის მოუხელთებელი ჟურნალების („ცისფერი ყანწები“, „მეოცნებე ნიამორები“, „შვილდოსანი“ და სხვ.) მაღალი დონის ასლების გამოცემა. წინაპართა ნოვაციები სწორედ ახალი თაობის პოეტებისათვის უნდა გახდეს ხელმისაწვდომი. „მეოცნებე ნიამორების“ რეპუბლიკაციით პატივს მივაგებდით ბრწყინვალე პოეტს, ესეისტს, რედაქტორს, ლექსთმცოდნესა და მთარგმნელს ვალერიან გაფრინდაშვილსაც. მაგრამ ვშიშობ, რომ ოცნების საუფლოში გადავიჭერი, რადგან დღესდღეობით პოეტის არც აკადემიური კრებული მოგვეპოვება და არც ცხოვრებისა და შემოქმედების სრულად ამსახველი მონოგრაფია (სასიამოვნო გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს „ინტელექტის“ გამოცემული „100 ლექსი“).

* * *

ახალგაზრდა პაოლო და ტიციანი ცხოვრებაშიც და პოეზიაშიც ხშირად „თამაშობდნენ“, შეგნებულად ახელებდნენ ფილისტერებს, არც სკანდალურ მისტიფიკაციებს თუ ბოჰემურ დებოშებს ერიდებოდნენ, აშკარად მიდრეკილნი იყვნენ ფუტურიზმისა და დადაიზმისკენ... ვალერიანი, რომელიც მხოლოდ რამდენიმე წლით იყო მათზე უფროსი, პიროვნული თვისებებით თუ პოეტური ტემპერამენტით მათი ანტიპოდი იყო. იგი დინჯად, თანმიმდევრულად, მიზანსწრაფულად, უჩუმრად და თითქოს „პედანტურად“ მიდიოდა თავისი გზით, რომლის საბოლოო მიზანი ქართული პოეზიის „მსოფლიოს რადიუსით გამართვა“ იყო.

დღეს ვალერიან გაფრინდაშვილის პოეზია თითქოს განუყოფელია: თანაბრად მიმზიდველია მისი ნოვატორულ-„ორთოდოქსული“ თუ ტრადიციული ლექსები („ტრიოლეტები“, „ზღვა“, „შემოდგომა“, „ლოცვა“, „ბოლნისის სიონი“, „პირველი თოვლი“, „პოეზია“ და სხვ.); მიუხედავად ზემოთქმულისა, მისი მემკვიდრეობა აღიქმება, როგორც ლიტერატურული „ფატა-მორგანა“.

ჩემი აზრით, სწორედ ამით აიხსნება ვალერიან გაფრინდაშვილის ღრმად ინტელექტუალური, ვერსიფიკაციის თვალსაზრისით მრავალფეროვანი (სონეტები, ტრიოლეტები, თავისუფალი ლექსი), მეოცნებე, ემოციური, „მთრთოლვარე“ პოეზიის ხიბლი: „ვარ პოეზიის მთრთოლვარე მონა“ — დაწერა პოეტმა და ასეც იცხოვრა და ილვანა.

30-იანი წლების სიბნელემ და სისასტიკემ, გაუსაძლისმა მორალურმა ტერორმა თითქოს ხაფანგში მოაქცია ჭეშმარიტი პოეტები; მათ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს და სცადეს კიდეც „სოციალისტური აღმშენებლობის“ გალექსილი ხოტბა, თუმცა არ გამოუვიდათ. მათ რიცხვს მიეკუთვნებოდა ვალერიან გაფრინდაშვილიც, რომელსაც „სიცოცხლის ფასად უჯდებოდა „ცისფერი ყვავილების“ გაუნელებელი სიყვარულის დაოკება“ (გურამ ბენაშვილი).

პოეტი იძულებულია შემოიფარგლოს თავისი არეალი: ეს „დაბალი ხმით“ (1928 წლით დათარიღებული ლექსის სათაური) სიმღერაა, თუმც სიწრფელე აქაც ჩანს:

**აბრიალდება წითლად ბუხარი,**
**როგორც დაისის აჩრდილი მცირე.**
**ცეცხლი ძალუმი, ცეცხლი მქუხარე**
**გამოაქროლებს ხოხობს და ირემს.**

**წინად მხიბლავდა უსაზღვროება,**
**დღეს ოცნებისთვის კმარა შუამთა,**
**მე გაზაფხულის მრწამს სათნოება**
**და არ ვემდური ბრწყინვალე ზამთარს...**

დაისების ნაცვლად, — „მცირე აჩრდილი“, ოცნების ნაცვლად, — ბუხრის ცეცხლის ზმანებები, „უსაზღვროების“ ნაცვლად, — „მცირედით კმაყოფილება“...

ვალერიან გაფრინდაშვილი სიცოცხლეში მესამე პოეტურ კრებულსაც მოესწრო; ბედის ირონიით, ეს 1937 წელს მოხდა. წინასიტყვაობიდან: „ჩემთვის, როგორც პოეტისათვის, უდიდესი როლი ითამაშა ოქტომბრის რევოლუციამ, რომელმაც გააჯანსაღა ჩემი შეხედულება და ჩემი მუშაობა. ჩვენმა გმირულმა ეპოქამ, ჩვენმა გენიალურმა ბელადმა ლენინმა და სტალინმა მოახდინეს ჩემზე უდიდესი გავლენა და მე შეძლებისდაგვარად გამოვეხმაურე ჩვენი დღეების თემატიკას. სიმბოლიზმი უკვე განვლილი ეტაპია ჩემთვის და მე ვცდილობ ახლანდელ ჩემს ლექსებში სრულიად თავისუფალი ვიყო ჩემი წარსული მეთოდებისგან“ — ძნელია გულისტკივილისა და თანაგრძნობის გარეშე ამ სტრიქონების კითხვა, ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ სიტყვებმა შეუნარჩუნეს პოეტს სიცოცხლე.

ვალერიან გაფრინდაშვილის სიცოცხლის მიმწუხრს მისი ერთი უთარიღო და დაუმუშავებელი ლექსი უფრო მიესადაგება:

## დაუვიწყარი სახელები

**დღეს ოცდა ოთხი თებერვალია.**
**ვწერ სანთელთან,**
**რომელიც მომიტანა**
**სერგო კლდიაშვილმა.**
**ჩქარა დაბნელდება —**
**თავდება სანთელი**
**და ჩემი ლანდი —**
**პაგანინი ავადმყოფ ხელით**
**კიდევ ჭირვეულობს,**
**ჯამბაზობს,**
**როგორც ქიმერიონი.**
**ღმერთო, მაპატიე**
**ჩემი მარტოობა,**
**ჩემი ცოდვები.**
**დღეს ვარ ცარიელი —**
**რომელსაც...**
**თავდება სანთელი,**
**ვთავდები მე.**
**სერგო?**
**პაოლო!**
**გემშვიდობებით,**
**დილამდი!**
**ო, ღმერთო ჩემო**
**ო, ქუთაისო.**

## ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ

**რაინერ მარია რილკე**

# ლომის გალია

ძუ ლომი წინ და უკან დაიარება, ვითარცა გუშაგი ციხესიმაგრის გალავნის კიდესთან, სადაც სხვა არაფერია. და როგორც გუშაგში, მასშიც ილვიძებს მონატრების გრძნობა – ნაკუწებად დაფლეთილი, მწვავე დარდი.

როგორც ზღვის სიღრმეებში ალბათ დაძირული სარკეებია, სარკეები ჩაძირული გემების კაიუტებიდან; სარკის ნამსხვრევები, რა თქმა უნდა, აღარაფერს რომ არ აირეკლავენ: არც მგზავრთა სახეებს, არც მათ ჟესტებსა თუ გამომეტყველებას; არც სარკის წინ ტრიალის მანერას, ასე იშვიათად, უნიათოდ რომ ჩანს ზურგიდან; არც კედელს; საძინებელ კუთხეს, და ყველაზე ნაკლებად იმას – რაც შეიძლება, გარედან შემოსულ, მოციაგე სხივებზე აღბეჭდილიყო. არა, არაფერს.

მაგრამ, როგორც სარკის ნამსხვრევში გაკრთება ალბათ ზღვის რომელიმე მცენარე, ჩაღვრილი სითხე, თევზის მოულოდნელი გამოსახულება და, სხვა თუ არაფერი, თავად წყალი. მუდამ მოძრავი, ნაკადებად გაშლილი და ისევ ერთ დინებად ქცეული წყალი.

ყველაფერი ეს ორეულებად ისახება სარკეებში – შორეულ, დამახინჯებულ, ყალბ, წუთით გამოჩენილ და ისევ გამქრალ ორეულებად იმისა, რაც უკვე ოდესღაც იყო: ასე ჩაძირულა მოგონებები, დაქუცმაცებული მოგონებები, სიბნელეში, მისი სისხლის ფსკერზე.

ძუ ბოლთას სცემს მის გარშემო, ხვადისა, რომელიც ავადაა. ავადმყოფობა არ აღიზიანებს და არც ამცირებს ლომს, იგი საკუთარ თავში კეტავს მას. როდესაც ის წევს: ყოველგვარი განზრახვის გარეშე, რბილად მოხრილი ბრჭყალებით, მედიდურად გვერდზე გადაგდებულ თავზე უწესრიგოდ აზიდული ფაფარით და ჩამქრალი თვალებით; საკუთარ თავში ჩაღრმავებული, სევდით იხსენებს, თუ როგორ შეცდა ერთ მშვენიერ დღეს (მუდამ საკუთარი თავის გადამლახავი) თავისი ძალის შეფასებაში.

და მაინც, ალაგ-ალაგ შეტოკდება რომელიმე ნაკვთი, რომელიღაც კუნთი დაიჭიმება და აქა-იქ, ერთმანეთისაგან შორს, გაიელვებს მრისხანების ნაპერწკალი. გულიდან მტანჯველი ბიძგებით, ფრთხილად, ნაცად კალაპოტში მოფეთქავს სისხლი და გაბედული მოულოდნელობით იცვლის მიმართულებას, როდესაც ტვინში ილვრება.



*მხატვარი კარლო ფაჩულია*

მაგრამ ხვადი ამას ხელს არ უშლის, არც ცდილობს რაიმე მოიმოქმედოს, რადგან ეს ჯერ კიდევ არაა დასასრული და მხოლოდ კუდის ფაფუკი წვერით, რომელიც შეძლებისდაგვარად მოშორებით აღუმართავს, გამოსახავს ჰაერში ნახევარწრეს, სავსეს აუწერელი ზიზღით. გამოსახავს ისე შთამბეჭდავად, რომ ძუ შემოტრიალდება და უცქერს: შეცბუნებული, აღელვებული, მომლოდინე.

შემდეგ კი ისევ აგრძელებს სვლას. განწირულ, ღიმილისმომგვრელ სვლას გუშაგისას, მუდამ საკუთარ ნაკვალევს რომ დააბიჯებს. ძუ აქეთ-იქით მიმოდის და ზოგჯერ მის სახეზე ჩნდება გაფანტულობის ნიღაბი – სავსე და მომრგვალებული, გალიის გისოსებით დასერილი ნიღაბი.

იგი მიდის, როგორც საათის ისრები მიდიან და მის სახეზე ისე, ვით ღამეში განათებულ ციფერბლატზე, აღიბეჭდება ჯერაც ამოუცნობი, მაგრამ საოცრად ზუსტად ნაწინასწარმეტყველები, საზარელი ჟამი. ჟამი, როდესაც ვილაც კვდება.

**გერმანულიდან თარგმნა**
**გიორგი ჯამბურიამ**

ეროვნული ბიბლიოთეკა



რიტა ბაინდურაშვილი

# განგაშით აღვსილი წიგნი

„როცა ხალხს არაფრის ეშინია, სწორედ მაშინ გამოჩნდება. ჯერ გაილანდება — მოგრძო, ფრთიანი, ჩამრგვალებული. მერე იელვებს — სანახევროდ შავი, სანახევროდ ვერცხლისფერი. თავისი გრძელი ნომრებით, უცხო ნიშნებითა და ასოებით. ზედ თავზე — ტელეთვალით, ანუ სქელშუშა სათვალით, რომლის წყალობითაც თავისი ჭკვიანი მზერით აკვირდება ყოველივეს.

და მაშინ შიშით კანკალს იწყებენ დაწყობილ-დალაგებული ქალაქები, თავიანთი TV-თამაშებით, TV-ვიქტორინებით, TV-გამოკითხვებით.

და საგნებს ეკარგებათ ფერი და ფორმა, კერძებს — გემო, ადამიანებს — აზრი.

და ეს ნიშნავს, რომ საბოლოოდ დადგა მისი დრო...”

... დრო ავბედითი, შემზარავი, ყველაფრის მსახვრალი და გამყინავი. დრო სიკვდილისა, დაცემისა, დამარცხებისა, შეურაცხმყოფელად ნაგებული ომისა... დრო, როდესაც ყველაფერს ეკარგება ფერი და გემო...

ეს რომ შეიგრძნო, აუცილებლად უნდა მოხვდე იმ დროსა და სივრცეში.



*გურამ ოდიშარია*

ისე ვერ გაიგებ, ვერ დაიჯერებ მოჭრილი კიდურების სასაფლაოს ამბავს, ვერც ავტომატ-გადაკიდებული ძროხისას, ვერც ჩანთაში დამალული შვილის ცხედრისას, ვერც მტრისთვის მიბარებული ავტომატისას ან შეტევებს შორის ერთმანეთის მოკითხვისას, როცა ის მტერიც... შენიანია...

“სიფათი და იერი ერთნაირი, სამხედრო ფორმაც, ავტომატიც,” ერთმანეთისგან აქცენტით განვსხვავდებით მხოლოდ...

ამ დროს და სივრცეს აფხაზეთი ჰქვია, მოუშუშებელი, მოურჩენელი, მუდამ ჭრილობაგადახსნილი აფხაზეთი. თუ ამ ჭრილობას პოლიტიკოსები ვერ აშუშებენ, იქნებ მართალმა და ტკივილიანმა სიტყვამ მოაშუშოს...

გურამ ოდიშარიას „სათვალიანი ბომბიც“ ამისთვის შეიქმნა. ომგამოვლილი, ჭუბერგამოვლილი და მრავალსიკვდილნანახი მწერალი ტელეოპერატორის თვალით აღწერს და გვიამბობს ყველაფერს — პირუთვნელად, შეულამაზებლად. ომის სისასტიკე ისეთი ცხადია, ისე გამაოგნებელი და დამთრგუნველი, რომ გინდა, მთელ სამყაროს უთხრა: რა სიგიჟეა, რა აბსურდია ომი... მით უფრო ძმათა...

„კავკასიურ სახლში“ გამართულ წიგნის პრეზენტაციას ლიტერატურული მოღვაწენი, მწერლები, კრიტიკოსები ესწრებოდნენ. მათ, გურამ ოდიშარიას პოეტური და პროზაული შემოქმედების გარდა, წართმეულ აფხაზეთზე ფიქრიც აერთიანებდათ და ეს ტკივილი თითოეული მათგანის გამოსვლაში გამოსჭვიოდა.

პრეზენტაციას მწერალი და მეცნიერი, რომანის რედაქტორი **როსტომ ჩხეიძე** უძღვებოდა:

— აქ არის მსჯელობა იმაზე, რაც ნამდვილია, მართალია, რაც ღირებულია არა მარტო დღევანდელი დღისთვის... ეს წიგნი სწორედ შემდგომისთვის, მომავლისთვის არის გათვლილი და მასში ჩვენი დღევანდელი ტკივილი ხელშეუხებლად არის გამოხატული... თავად ვარ შემსწრე, როგორ გადაინაცვლა გურამ ოდიშარიამ პოეზიიდან პროზაში. ეს გახლავთ დოკუმენტური პროზა, რომლის ნიმუშებიც მან ისე წარმატებით დაალაგა და წარმოგვიდგინა, როგორც შეეფერება ჭეშმარიტად გულმართალ მწერალს. რომანის სათაურიდან გამომდინარე იფიქრებ, რომ რაღაც ფანტასმაგორიასთან გექნება შეხება, თუმცა სინამდვილეში რეალისტური, ნატურალისტური ნაწარმოებია, იმ ყოფიდან ამოსული, რომელიც გადავიტანეთ. მისი მთავარი გმირი ტელეოპერატორია, მოვლენების შუაგულში მყოფი ადამიანი, რომლის თვალით დანახული რეალობა რომანშიც ტელესიუჟეტებივით ებმება ერთმანეთს, ამიტომ თხრობის რიტმი აჩქარებულია, პრინციპი — მოზაიკური. სწორედ გურამის ნიჭი, გემოვნება და ხელოვანება სჭირდებოდა ამ ყველაფერს. შედეგად მივიღეთ განგაშით აღვსილი წიგნი, რომელშიც მძაფრად არის გამოხატული ომის საშინელება, დამარცხების ტკივილი და შურისძიების დაუოკებელი წყურვილი. თუმცა რომანის ფინალში ეს წყურვილი ისეთ უმაღლეს კაცთმოყვარებასა და ჰუმანიზმში გადაიზრდება, რომ მკითხველს კიდევ ერთხელ დააფიქრებს მარადიულ ადამიანურ, მორალურ ღირებულებებზე. ეს გახლავთ ნამდვილი ლიტერატურა, ფორმითაც და შინაარსითაც საგულისხმო რომანი, რომლის წაკითხვაც ძალიან წაადგებოდათ ჩვენს პოლიტიკოსებს, რათა სხვა თვალით შეეხედათ აფხაზეთის საკითხისათვის. გურამი მართალი კაცია და როგორ მწარედაც უნდა წერდეს, ყველა ერთნაირად ხედავს და აღიქვამს ამ სიმართლეს, აფხაზებიც და ქართველებიც. სწორედ ეს არის მისი, როგორც მწერლის, უპირველესი ღირსება და სწორედ ასეთ ადამიანებს შეუძლიათ სასიკეთოდ შეატრიალონ თუნდაც ყველაზე რთული და გამოუვალი მოვლენების ბედი, რაშიც, ალბათ, თქვენც დამეთანხმებით...

**გივი ალხაზიშვილი** ***(პოეტი):***

— მე და გურამი ძველი მეგობრები ვართ, სოხუმი რომ სოხუმობდა, იმდროინდელი მეგობრები... სოხუმის დაცემის შემდეგ, ჭუბერი რომ გადმოიარა და თბილისში ჩამოვიდა, ვთხოვე, ყველაფერი აღეწერა და დოკუმენტური პროზის სახით წარმოედგინა, რადგან ეს ჩვენი რეალობაა, ისტორიაა, რომელიც კიდევ დიდხანს იქნება საზოგადოების ფიქრისა და განსჯის საგანი. ასე გადმოინაცვლა მან პოეზიიდან პროზაში... მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ჩვენ დაგვცადა

თავისუფლებამ, ცუდად გავიგეთ. უფრო სწორედ, ვერ გავიგეთ, რას ნიშნავს დამოუკიდებლობა, მისი მორგება რატომღაც ყველას სათავისოდ უნდა და ამ დანაშაულებრივი წარმოდგენებით, დამოკიდებულებით ჩვენ შეგვრჩა დამახინჯებული და დასახიჩრებული ქვეყანა... ვფიქრობ, მხოლოდ სიმართლე, რაოდენ მწარეც უნდა იყოს ის და მისი აღიარება შეგვაძლებინებს დაკარგულის დაბრუნებას, დამახინჯებულის გამოსწორებას... სწორედ ამას ემსახურება მწერლის დოკუმენტური პროზაც, რეალური, თავს გადახდენილი ფაქტების და მათი შედეგების წარმოჩინება, რათა მსგავსი მოვლენები აღარასოდეს განმეორდეს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. წარმატებებს ვუსურვებ ჩემს გურამს, დარწმუნებული ვარ, მისი რომანი სათქმელს ღირსეულად ეტყვის ყველას, ვისაც ეგების...

**ზაზა აბზიანიძე** *(მწერალი, კრიტიკოსი):*

— გურამ ოდიშარიას ახალი დოკუმენტური რომანი ისეთი წიგნია, რომელსაც თუ დაიწყებ, ველარ მოსწყდები და დაგამახსოვრდება, როგორც ერთი გათენებული ღამე... ძალიან დრამატული, ნიშანდობლივი და არაჩვეულებრივად ღირებულია ამგვარი ღამე იმიტომაც, რომ ის ბევრ პასუხს გაძლევს იმ დილაზეც და იმ სინამდვილეზეც, რომელსაც სახლიდან გამოსული უცქერ და რომელზეც დაწერილია ეს რომანი. ვიზუალურად და ემოციურად ზუსტი მიგნებები, პოსტმოდერნისტულ პოეტიკაში გადაწყვეტილი მიზანსცენები ისე ორიგინალურადაა წარმოჩენილი, რომ აბსურდის თეატრის შეგრძნება გეუფლება. ამ მხრივ შეიძლება პარალელი გავავლოთ ოთარ ჩხეიძის რომანთან "არტისტული გადატრიალება", სადაც ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბლის კიდევ ერთი ტრაგიკული სპირალია დანახული და გადმოცემული. "სათვალიანი ბომბის" წამკითხველს ისეთი შემზარავი გეჩვენება ქვეყანა, გგონია აქ ველარც იცხოვრებ, მაგრამ შემდეგ, ისევ თავად წიგნი გაძლევს იმედს და ძალას იმისთვის, რომ კათარზისის, სულიერი განწმენდის გრძელი გზა გაიარო და მოიპოვო ყოველი ჩვენგანისათვის ასე სანუკვარი თავისუფლება. ეს წიგნი გახლავთ პასუხი იმ ზნეობრივ ღირებულებებზე, რომლის წინაშეც ჩვენი დღევანდელი საზოგადოება დგას.

**დიმა ჯაიანი** *(მსახიობი):*

— სიმართლე გითხრათ, შემძრა ამ წიგნმა. შეიძლება ითქვას, რომ გურამ ოდიშარიამ საკუთარი ფენომენი შექმნა აფხაზებთან მიმართებაში, ბევრ რამეზე სხვაგვარად, მათი თვალთახედვითაც დაგვაფიქრა... ამას წინათ ერთმა ჟურნალისტმა მკითხა, ამ გადასახედიდან რას შეცვლიდით აფხაზებთან დამოკიდებულებაშიო? ვუპასუხე, მათ მიმართ ასეთი მკაცრი არ ვიქნებოდიმეთქი... მართალი თქვა ჩვენმა გურამმა: ჩვენ აფხაზეთის ტერიტორია კი არ უნდა დავიბრუნოთ, არამედ თითოეული აფხაზი, მათი ტკივილი გავიგოთ და გავითავისოთ, მათი ნდობა და სიყვარული თავიდან მოვიპოვოთ. ეს წიგნი ნამდვილად შეასრულებს ჩვენს შორის საუკეთესო დესპანის როლს, ისევე როგორც შეასრულა სპექტაკლმა "ზღვა, რომელიც შორია". ამასწინათ ეს სპექტაკლი სოჭში ჩავიტანეთ. ჩვენების წინ პატარა შესავალი გავაკეთეთ ჩვენს ისტორიულ ერთობაზე, დღევანდელ ტკივილზე. დამსწრეთა შორის იყო ქალაქის მერიც, რუსი გენერალი, საშინლად აგრესიული კაცი. სიტყვით გამოვიდა, გაგვაკრიტიკა, ყველაფერი ქართველებს გადმოგვაბრალა. ჩვენების შემდეგ კი იგივე გენერალი თვალცრემლიანი ამოვიდა სცენაზე, ტიროდა და ემოციებს ვერ მალავდა... ასეთივე ემოციით და განცდებით გაივსო მთელი დარბაზიც და ამ ტკივილს ყველა ერთნაირად განიცდიდა — ქართველიც, აფხაზიც და რუსიც... აი, ეს ძალა აქვს ხელოვნებას და იქნებ, მართლაც, ის, რაც წლების მანძილზე ვერ გააკეთეს პოლიტიკოსებმა, სწორედ შემოქმედებმა და ხელოვანებმა შეძლონ...

**მერაბ თავაძე** *(მსახიობი):*

— განცდა, რომელიც სპექტაკლზე მუშაობისას და შემდეგ დამეუფლა, დღესაც არ გამნელებია. თუ ადამიანი ნაღდი ხარ და თუ რაღაც გაგაჩნია გულსა და სულში, შეუძლებელია გულგრილად უყურო ამ სპექტაკლს ან გულგრილად მოისმინო თუნდაც სოჭის მერის ამბავი... აფხაზეთის ტრაგედია უზარმაზარი თემაა და ვფიქრობ, მასზე აუცილებლად უნდა გადავიღოთ კინო. გურამი ყველაფრის მოწმეა, რაც სინამდვილეში მოხდა აფხაზეთში, იცის, რაში ვართ ჩვენ დამნაშავენი და რომ ვართ, ეს ფაქტია... რა ვერ გავუგეთ ან რა ვერ გავაგებინეთ მათ. მხოლოდ მართალი სიტყვა მიგვიყვანს ჭეშმარიტებამდე, მისი დადგენის და აღიარების გარეშე კი აფხაზეთს ვერასოდეს დავიბრუნებთ. მადლობა ღმერთს, რომ ეს ადამიანი არსებობს, იღვწის, მუშაობს და ცდილობს ჩვენს შორის ჩატეხილი ხიდი აღადგინოს, თავისი მართალი სიტყვით ტკივილები მოაშუშოს. ღმერთმა ბევრი დააწერინოს კვლავაც...

**ზურაბ კანდელაკი** *(რეჟისორი, გურამ ოდიშარიას რომანის „პრეზიდენტის კატა" რადიოვერსიის დამდგმელი):*

— კითხულობ წიგნს და კიდევ ერთხელ ხვდები, თუ რა საშინელებაა ომი, როგორ ამხეცებს, ანადგურებს იგი ადამიანის ფსიქიკას, ბუნებას. იმდენად გზარავს და გაშფოთებს იგი, რომ შენდაუნებურად პაციფისტი ხდები... დიახ, მე მინდა ვიყო პაციფისტი, იმიტომ, რომ არ მინდა ომი. ომი საშინელებაა, დანაშაულია, მისი გამართლება არ შეიძლება... ამ ომის გამო ჩვენ სინდისის ქენჯნას ვგრძნობთ და გინდა იყვირო: რას შვრებით ხალხო?! სამწუხაროდ, მაშინ არავინ აღმოჩნდა ამის მთქმელი, ვერავინ გაბედა დინების წინააღმდეგ წასვლა, კურდღლებად ვიქეცით, ცრუ პატრიოტებად და მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. ჩვენ უნდა ვაღიაროთ და გავაცნობიეროთ ჩვენი დანაშაული და მისი შედეგები, მხოლოდ ამ შემთხვევაში აღარ გავიმეორებთ იგივეს. ჩვენ უნდა გავიგოთ იმ ხალხის ტკივილი, ვინც სოხუმი დატოვა. მხოლოდ ეს გზა დაგვაბრუნებს აფხაზეთში, რომელიც დღესაც გვესიზმრება...

**დევი ფუტკარაძე** *(ჟურნალისტი):*

— ამას წინათ გურამთან ერთად ვიყავი სოხუმში და უნდა ვაღიარო, რომ გაოცებული დავრჩი პოპულარობით, რომლითაც იგი სარგებლობს დღევანდელ აფხაზეთში. იქ ხალხი კარგად იცნობს მის შემოქმედებას, პოეზიას, პროზას. მოვიდა ახალგაზრდა აფხაზი ოფიცერი და გვითხრა, რომ წაკითხული აქვს მისი რომანი "სიზმარი", ძალიან მოსწონს და დიდხანს გვიზიარებდა შთაბეჭდილებებს... გვთხოვდნენ წიგნებს, უზომო სითბოს და სიყვარულს გამოხატავდნენ... თამამად შეიძლება ითქვას, რომ აფხაზურმა პუბლიკამ კარგად მიიღო მისი ნაწარმოებები, სპექტაკლები. კარგი იქნებოდა, თუ "სათვალიანი ბომბიც" ითარგმნებოდა და მასაც წაიკითხავდნენ აფხაზეთში. ჩემთვის განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი სოხუმელი ინტელიგენტი ქალბატონის ლუდმილა თურნავას ჩანაწერები, სადაც ომის ყოველი დღეა აღწერილი. ისეთი შემზარავი, გასაოგნებელი — და დაუჯერებელიც კი — ფაქტებია მასში გადმოცემული, რომ არა გურამ ოდიშარია, რომელიც ასევე ცოცხალი მოწმეა იმ ყველაფრისა და ადასტურებს მათ, ვერც კი დაიჯერებდი ამ ფაქტების სინამდვილეს. სწორედ გურამის რეკომენდაციით და თანადგომით გადავწყვიტეთ, რომ ეს ჩანაწერები — "აფხაზეთის დღიურები. XX საუკუნე"— ჩვენშიც გამოვცეთ, რათა მათი სათქმელიც მოვიტანოთ ჩვენამდე. ვფიქრობ, ასეთი ურთიერთობები ბევრად გააუმჯობესებს ნდობას და დამოკიდებულებას ჩვენს შორის და შესაძლებელს გახდის, ერთმანეთის წუხილი გავიზიაროთ.

**ოთარ ჭითანავა *(მწერალი)*:**

— სამწუხაროდ, მართლაც ბევრია ისეთი ფაქტი, რომელზე საუბარიც იქნებ აღარც კი იყოს მიზანშეწონილი, თუკი ჩვენ ამ ურთიერთობების დათბობა და მოგვარება გვინდა. პირიქით, სჯობს დავივიწყოთ ყველა წყენა და გამოვნახოთ ჩვენში ძალები, რომ ერთმანეთისაკენ ნაბიჯი გადავდგათ. მადლობა გურამს და ყველა მას, ვინც ბოლო წუთამდე არ დატოვა სოხუმი და ვინც დღესაც იღვწის, რათა უკან დასაბრუნებელი გზები გაკვალოს აფხაზებთან. მადლობა მას, როგორც შემოქმედს და როგორც კაცს, პატრიოტს...

**მიხეილ ბეროშვილი *(კავკასიური სახლის დირექტორის მოადგილე)*:**

— მე ხშირად მინახავს ბატონი გურამი არა მარტო აფხაზებთან, არამედ ოსებთან, კავკასიელებთან შეხვედრების, მათთან საუბრების მონაწილე, როდესაც ჩვენს სახლში იმართება ხოლმე ასეთი ღონისძიებები. მინდა აღვნიშნო, რომ იგი ყოველთვის გამოირჩევა თავისი ობიექტური, სამართლიანი და ჰუმანური დამოკიდებულებით პრობლემებისადმი. მის სიტყვას ენდობიან, ანგარიშს უწევენ. მას განსაკუთრებულ პატივს სცემენ, როგორც პიროვნებას და როგორც შემოქმედს, რომელიც ყოველთვის ამბობს სიმართლეს და მხოლოდ სიმართლეს. ასეთი ადამიანების როლი ეთნოკონფლიქტების მოგვარების საქმეში განუზომელია და განსაკუთრებულად დასაფასებელი.

**მანანა დუმბაძე *(მთარგმნელი)*:**

— გურამთან მაკავშირებს არა მამაჩემის, არამედ პირადად ჩემი და ჩემი მეუღლის ჯემალ თოფურიძის მეგობრობა. მას იმ დროიდან ვიცნობ, როდესაც არაჩვეულებრივი პოემა „დიდი ექსპერიმენტი" დაწერა. მაშინ ის ახალგაზრდა პოეტი იყო, სოხუმის ქუჩებში მეგობრებთან ერთად დავდიოდით და პოეზიაზე, ხელოვნებაზე ვსაუბრობდით. იქიდან დაბრუნებულმა დაწერა „დიოსკურია — ზღვაში ჩაძირული ქალაქია", რომელიც ასე წინასწარმეტყველებასავით აუხდა ჩვენს ქვეყანას... აღფრთოვანებული ვარ გზით, რომლითაც გურამი ბრუნდება სოხუმში, ეს არის გზა სიყვარულისა, მეგობრობისა, ჰუმანური გზა... ჩვენ მხოლოდ ამ გზით შევძლებთ აფხაზეთში დაბრუნებას, რომლიდანაც, ვგონებ, არც არასოდეს გამოვსულვართ, უბრალოდ, ასე მოხდა.. მჯერა ქართველებსაც და აფხაზებსაც კვლავაც გვეყოფა ჩვეული სიბრძნე და გონიერება და ეს დროებითი განსაცდელი მალე დასრულდება.

**გიგლა გობეჩია *(ჟურნალისტი)*:**

— მე კი ვფიქრობ, რომ გურამი უკვე დაბრუნებულია სოხუმში, რადგან მას თავისი მართალი სიტყვით დღესვე ჩაესვლება და მიესვლება თვით ყველაზე გამწარებული აფხაზის ოჯახშიც კი. სწორედ ასეთი ადამიანები გაკვალავენ გზას და აღადგენენ იმ სულიერ და რეალურ ერთობას, რომელიც საუკუნეებია ერთმანეთთან გვაკავშირებს. მასთან ერთად მინდა, მადლობა გადავუხადო წიგნის გამომცემელსაც ბატონ სერგო აბაშიძეს, რომლის ფინანსური თანადგომითაც შესაძლებელი გახდა, სულ ახლახან დაწერილი წიგნი დღის სინათლეზე გამოსულიყო. როგორც წესი, ასე იშვიათად ხდება ხოლმე... ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდს დაგეგმილი აქვს აფხაზეთის თემაზე მომუშავე შემოქმედები "ოქროს ფრთის" ნომინაციაზე წარადგინოს, მათ შორის მოღვაწენიც აფხაზეთიდან...

**ჯონი ჯანაშია*(ექიმი)*:**

— წიგნის ღირსებებიდან განსაკუთრებით ერთი მინდა გამოვყო — მას ერთნაირი ინტერესით კითხულობს როგორც უფროსი, ისე ახალგაზრდა თაობა. მართალია, დღეს ჩვენს შვილებს წიგნებზე მეტად სხვა ინფორმაციული წყაროები უფრო იზიდავთ, მაგრამ ჩემმა 19 წლის ბიჭმა ისეთი გამორჩეული ინტერესით წაიკითხა რომანი (და სხვებსაც ურჩია), რომ ახლა გურამის ავტოგრაფით დამშვენებული წიგნი მის მეგობრებში ხელიდან ხელში გადადის... რამდენი ხანია წაიღეს და ჯერაც არ დაუბრუნებიათ. „დავემუქრე", სანამ წიგნს არ დამიბრუნებთ, არ შემოგიშვებთ-მეთქი, მაგრამ ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა... მიხარია, რომ აფხაზეთის მიმართ ახალგაზრდა თაობა ისეთივე ტკივილს განიცდის, როგორსაც ჩვენ. არ უნდა დავუშვათ, რომ მოვიდეს თაობა, რომელიც დაკარგულ აფხაზეთზე აღარ იდარდებს. ამიტომაც უნდა იქმნებოდეს ასეთი ლიტერატურა... როდესაც რადიოში "სათვალიანი ბომბის" განხილვა მოვაწყეთ, ვერ წარმოიდგენთ, როგორი გამოხმაურება მოჰყვა მას აფხაზეთიდან, ლტოლვილი მოსახლეობის მხრიდან... ეს გაათბობს ჩვენს გულებს და შეგვაძლებინებს ერთი შეხედვით, დაუძლეველი პრობლემის მოგვარებას.

პრეზენტაციის დასასრულს **გურამ ოდიშარიამ** ბრძანა:

— საინტერესო, ტრაგიკული და სასტიკია ჩვენი დრო და თუ მე შევძლებ, ამ დროში მცირეოდენი როლი მაინც შევასრულო და სასიკეთოდ შევცვალო რაღაც აფხაზებთან მიმართებაში, უბედნიერესი კაცი ვიქნები. გამიხარდა დიმა ჯაიანის ნათქვამი, რაც მან ტელევიზიითაც გაახმოვანა, აფხაზების მიმართ ასეთი მკაცრი არ ვიქნებოდიო... სწორედ ასეთი შემწყნარებლური და სიყვარულით აღსავსე დამოკიდებულება გვჭირდება ჩვენ დღეს, თუ გვინდა, რომ ტკივილი მოშუშდეს... მადლობა ყველას, ვინც წიგნის გამოცემაში მონაწილეობდა და უშურველად გაიღო თავისი ძალისხმევა. განსაკუთრებული მადლობა ბატონ სერგო ბარამიძეს, რომელიც სხვა დროსაც ბევრჯერ დამხმარებია და ახლაც უყოყმანოდ დამიდგა გვერდში.

დაბოლოს, როსტომ ჩხეიძემ პირობა ჩამოართვა მწერალს, რომ აფხაზეთში ბოლოდროინდელი ვიზიტის შესახებ საინტერესო ჩანაწერებს არ დაახანებს და ახალი დოკუმენტური პროზის სახით კიდევ ერთხელ დაასაჩუქრებს იქაურობას მონატრებულ ქართველ მკითხველს.

დოდო ჭუმბურიძე

# გაორებული საქართველოს ტრაგედია

*

## ბიოგრაფიული რომანი იასე ფალავანდიშვილზე

როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანში „იასე იანუსი“ გაორებული საქართველოს ტრაგედია იანუსის სახით არის წარმოდგენილი. ჩვენში, სამწუხაროდ, ეს სახე ძალზე პოპულარულია. გამოჩენილ თუ გამოუჩენელ ადამიანთა დიდი ნაწილი ატარებდა და ატარებს ამ სახეს. ეს იმთავითვე გახდება საცნაური, თუკი „ღვთაებრივი ნათლის შუქზე“ მოვიხილავთ მათ ნამოქმედარს. „მხოლოდ მაშინ შეიტყობთ, რომ ამაღლებულიცა და დაცემულიც ერთი და იგივე ადამიანია და გაჩხერილია თავისი მიწიერი ჯუჯა არსის ღამესა და ღვთაებრივი არსის დღეს შორის“. — წიგნისთვის ეპიგრაფად წამძღვარებული ჯიბრან ხალილ ჯიბრანის ეს სიტყვები, და კიდევ ის, რომ ტაძრის თავსაკიდური ლოდი არაფრით აღემატება ბალავრის ყველაზე ქვედა ლოდს, უფრო მეტად მორწმუნე ადამიანის მიმტევებლურ გრძნობებს გამოხატავს, ვიდრე ქართველი კაცის აღშფოთებას სამშობლოს მოღალატეთა მიმართ. ის ამჯერად ვერც იასე ფალავანდიშვილზე დაწერილი წიგნის ავტორის — როსტომ ჩხეიძის დამოკიდებულებას ასახავს მისი მხატვრულ-ისტორიული თხზულების მთავარი გმირისადმი. მასაც ისევე არ უყვარს და არ შეუძლია გაუგოს ამ კაცს, როგორც ეს არ შეეძლო ალექსანდრე ორბელიანს, ელიზბარ ერისთავს და ყველა ქართველს, ვისაც სამშობლო სიცოცხლეზე მეტად უყვარდა და უყვარს, ღალატი კი ისევე გაუგებარია და მიუღებელი ასეთი ადამიანებისთვის, როგორც მოღალატეთათვის ერთგულება.

ბიოგრაფიულ რომანთა ქართულ მაგალითებს თავს დავანებებ, ეს მაინც მხატვრული შემოქმედების თავისუფალი სფეროა, სადაც მწერალს შეუძლია თავისებურად შეცვალოს ისტორიული სინამდვილე და თავისი ხედვა შემოგვთავაზოს, ახალი რეალობა შექმნას, რაც შეეხება ისტორიულ-დოკუმენტურ ბიოგრაფიებს, რომელთაც ხშირად მხატვრულობასაც არ აკლებენ ქართველი ავტორები, ისინი მხოლოდ მთავარი გმირის ერთ სახეს გვაჩვენებენ, სწორხაზოვნად დადებითს, ან უარყოფითს. ეს იწვევს არა მარტო ისტორიაში გარკვეული მკითხველის დაუკმაყოფილებლობას, არამედ უკმაყოფილებას. არც დაუსრულებელი ხოტბა-დიდება და არც რაღაც მიზეზებით გამართლება რომელიღაც გამოჩენილი ქართველის, — ვთქვათ, გიორგი სააკაძის, ან ნოე ჟორდანიას მიერ ჩადენილ ბოროტებათა, — მკითხველს ვერ დაამშვიდებს და, პირიქით, საწინააღმდეგო სურვილით განაწყობს. მერე იწერება საპირისპირო შეფასებებით სავსე წიგნები ადრე გაღმერთებულ გმირებზე და ასე ხშირად ახალგაზრდები სვამენ კითხვებს: მაინც ვინ არიან ისინი, გმირები თუ მოღალატეები? პასუხი ითხოვს ცოდნასაც, გამოცდილებასაც და პატიოსნებასაც. „ან რომ ავი არ ვაძაგო, კარგი როგორ უნდა ვაქო, ავს თუ ავი არ უწოდო, კარგს სახელად რა დავარქო?..“, ანდა: „ვინც არა ჰგავს კახაბერსა მე ვერ ვიტყვი კახაბერად“... ხშირად, ვაი რომ, იტყვიან....

იასე ფალავანდიშვილზე მახსოვს სკოლის სახელმძღვანელოდან ჩვეულებრივად მშვიდი წინადადება: 1832 წლის შეთქმულება გასცაო. გასცაო და მეტი არაფერი. მერე დააპატიმრეს, მოკლეს, დაატერორეს ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები, აქამდე შეუპოვარი, აჯანყებული სულით მოსილები, შეაშინეს, მჩვრად აქციეს, ცოტა თუ გადაურჩა ამას, მკვლელი იმპერატორისთვის ხოტბა-დითირამბები აწერინეს ქართველ პოეტებს: თამარ მეფის საქართველო აღგვიდგინეო, — ათქმევინეს ნიკოლოზ I-ზე, ეს იასეც მიივიწყეს, შეთქმულება გასცაო... მასწავლებელს ვკითხე, კი არ ვკითხე, საკითხავი რა იყო, გამცემი და მოღალატე ყოველთვის ვიცოდი, ვინც იყო, და რომ უნდა ძულებოდა ყველას, ვთქვი: ასეთი მოღალატეები გვღუპავდნენ-მეთქი. მასწავლებელი გამიბრაზდა, ეს ღალატი კი არა, დახმარება იყო იმათი, რომლებიც ტყუილად უნდა დასჯილიყვნენ, რუსეთმა მაშინ ჩვენ ფიზიკურ განადგურებას გადაგვარჩინა და ამ ქართველებს ეს არ ესმოდათ, სამართლიანად დასჯიდნენ, ამას მიხვდა იასე ფალავანდიშვილი და ქალაქის თავს — საკუთარ ძმას გაანდო შეთქმულების შესახებო... ქართველების ფიზიკურ გადარჩენას იმეორებდა სულ ჩვენი ისტორიაც. ამას წინათ რუსეთის პრეზიდენტმაც ჩვეულებრივი რიხით განაცხადა, XIX საუკუნეში ყველაფერი გააკეთა რუსეთმა ქართული სახელმწიფოს გადასარჩენადო. ამ ტყუილებსა და სიმართლეში გარკვევა, ღვთის მადლით, ადრევე მოვახერხე ჩვენი დიდი წინაპრების ნააზრევისა და საკუთარი დასკვნების გამოტანის წყალობით. მერე და მერე კი მარტო ვლიზიანდები მათზე, ვინც შავზე ამბობს, თეთრიაო, და, პირიქით, ისტორიულ ფაქტთა შეფასებისას „სცბის“.

ამ დიდი შესავლიდან მიხვდებოდით, რომ იასე ფალავანდიშვილზე დაწერილი წიგნი დამაინტერესებდა, და თუკი მასში პიროვნებათა და მოვლენათა ჩემეული შეფასების მოდელსაც აღმოვაჩენდი, აღვფრთოვანდებოდი კიდეც, და ასეც მოხდა. ამ წერილის დაწერაც ამ გრძნობამ სტიქიურად მიკარნახა. აზრებსაც სტიქიურად ვუყრი თავს, რასაც ვფიქრობ, რა გრძნობაც მომდის, პირდაპირ ვწერ.

პირველ რიგში ის გამიხარდა და ლამის გადავირიე, რომ წიგნის ავტორი ჩემნაირი ყოფილა ისტორიის მიმართ, სულ კითხულობს თურმე ლაშა-გიორგისა და ულუ დავითის ამბავს, გარნისის ბრძოლაში მწარე მარცხის მიზეზს და პროფესიონალისაგან მიღებული პასუხი: ჩვენს მატიანეში თუ უცხოელთა ქრონიკებში ამაზე არაფერი წერიაო, ჟამთააღმწერელი ამაზე არაფერს გვამცნობსო, — არ აკმაყოფილებს, სულ ნერვიულობს. მეც ასე ვარ, მგონია, რომ ისტორია ბევრ რამეს მალავს, არადა, რამ-

დენ ადამიანს გაჰყვა ალბათ იმედი, ისტორია ყველაფერს იტყვის და გამოაჩენსო. არ დატოვეს, ბატონო, ფაქტები, მაგრამ ზოგჯერ მოვლენები ხომ თავად ლაპარაკობენ... მეცნიერი თუ ხარ, გამოიტანე დასკვნა და თქვი. აბა, რაც წერია, ის ისედაც წერია, შენს გარეშე. ამგვარი დამოკიდებულების გამო კრიტიკის ქარცეცხლშიც მოვხვედრილვარ. ერთმა მეცნიერმა, რომელსაც დიდი გამოკვლევა აქვს ვახტანგ VI-ზე, მისაყვედურა, პოეზიის ადგილი ისტორიაში არ არის, აქ მოცემულ ფაქტებზე უნდა იმსჯელო და არა იმაზე, რა ჰქონდა ვინმეს გულში და რას აპირებდაო. ეს საყვედური ერთ საერთაშორისო კონფერენციაზე მოხდა და ლანძღვას უფრო ჰგავდა, ვიდრე სამეცნიერო პაექრობას. მე თავიც არ გამიმართლებია, რადგან ეს ძნელ საქმედ ჩავთვალე ისეთ ადამიანთან, რომელმაც, მართალია, სერიოზული წიგნი დაწერა ამ თემაზე, მაგრამ რამდენიმე მუხლად ჩამოყალიბებულ დასკვნებში ერთი სიტყვაც არ თქვა პეტრეს ღალატსა და ვახტანგ მეფისადმი გულგრილობაზე, იმპერიულ მიზნებზე, რომელიც რუსეთს ამოძრავებდა დარუბანდის სამხედრო კამპანიის დროს, იმ შედეგებზე, საქართველოსთვის თემურ-ლენგის შემოსევებს რომ უტოლდებოდა და რაც ამ მოვლენებს მოჰყვა. ჩემი მკვეთრი დასკვნები მთლად ორიგინალურიც არ იყო, რადგან ამ მოვლენებს ასე საბჭოთა პერიოდამდე აფასებდა ივანე ჯავახიშვილი, მე ცოტა კიდევ წავუმატე და გავიმეორე მისი რადიკალური გამონათქვამები, ეს ყველაფერი მტკიცედ ვინამე იმ მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ლიტერატურისა და დოკუმენტების ხელახალი წაკითხვისა და გააზრების შემდეგ, რაც ყველასთვის არის მისაწვდომი, ვთქვი, რომ პეტრემ მოატყუა მეფე, რომელსაც უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა არა მარტო მთელ საქართველოში, არამედ მთლიანად კავკასიაში, გადაამტერა მეზობლები, კასპიისპირეთის დაპყრობაში მისი საჭიროება რომ ველარ დაინახა, მიატოვა, თუ კასპიის ქალაქებსა და ციხეებში ჩააყენებდა ჯარს, ვითომ რატომ არა თბილისში, სადაც განსაზღვრული იყო შედგენილი გეგმით რუსთა ჩამოსვლა, ან რას ნიშნავდა 1724 წელს ოსმალეთთან დადებული ზავის I მუხლი — აღმოსავლეთ საქართველოს ოსმალთა გავლენის ქვეშ გადაცემა, თუ არა იმის გაცემას, რაც რუსეთის არ იყო და რასაც ის თავისად მიიჩნევდა, ანუ ამ ტერიტორიის სამხედრო ანექსიის შესაძლებლობას, პეტრეს რომ დასცლოდა...

დოკუმენტებში დავინახე ქრისტიანი მეფის ტყუილით გაკვირვებული ქართველი მეფე, მას ვერ წარმოედგინა ტყუილი, ისიც ისეთი კაცის, რომელთანაც თავისი დის (ასე ეძახდა დარეჯან არჩილის ასულს ვახტანგი) და უახლოეს ნათესავთა საშუალებით ჰქონდა ძაფები გაბმული... არ გამკვირვებია, არც ის, რომ მოატყუეს, არც ის, რომ მოტყუვდა. ტყუილები მერე მეტი ითქვა, ეს, ეპიდემია გაჩნდა ჯარშიო, ეს, თავად ქართლის მეფე იყო უნიჭო დიპლომატიო, პეტრე რომ არ მომკვდარიყო, საქართველოს იხსნიდა ირან-ოსმალთაგანო. იტალიელი მკვლევარი ლუიჯი მაგაროტო მიხვდა, რომ პეტრეს მაშინ უნდოდა სამხედრო პროტექტორატის დამყარება საქართველოზე და ჩვენ გვეეჭვება ეს?.. ერთი განა, რამდენიმემ მომაყვირა, რუსეთის ბრმა სიძულვილი გალაპარაკებსო, მაშინ პეტრეს როგორ ექნებოდა გულში ანექსიის მაგვარი რამო, გვიკვირს, ამას როგორ ამბობო, არა, მე არ მიკვირს, რომ ამგვარი განზრახვა ჰქონოდა იმ საქმეების ჩამდენ რუსთხელმწიფეს, რაც მეც ვიცი და ყველამ, ვისაც ამის ცოდნა უნდა, მე მარტო ის მიკვირს, ვიღაცას რომ უკვირს ეს აზრი საქართველოში, ისიც, ამ ამბის მერე რაღატომ მოტყუვდნენ გეორგიევსკის ტრაქტატის დამდები ქართველები, ანდა, გარნისის ბრძოლაში რომ ივანე ათაბაგმა უღალატა სამშობლოს (თუ თვლიდა სამშობლოდ ამ ქვეყანას!), რა დოკუმენტები სჭირდება ამას... ამდენი მიმანიშნებელი საბუთი რომ ჰქონდეთ ჩვენს მეზობლებს, ახლა, უდოკუმენტებოდ, რას წერენ და მაშინ რაღას დაწერდნენ!..




სწორედ გარნისის შესახებ, ისტორიკოსზე, — „ნეტა მე რაღას მიმალავსო“, — იტყვის როსტომ ჩხეიძე და გააღიმებს მკითხველს. გაიხარე, ჩემო ძვირფასო, შენ ვინ მოგატყუებს, ან ვინ რას დაგიმალავს, ნეტავ შენნაირად ბევრი ქართველი კითხულობდეს ისტორიის ცარიელ, ან სტრიქონთა შუა მიმალულ, ზოგჯერ განგებ გადამალულ სიმართლეს. ეს რომ ძალიან გვჭირდება, შენც იცი და ილიას ანდერძითაც გვევალება ვიცოდეთ: საით უნდა წავიდეთ და საით არა, ვის დავემსგავსოთ და ვის არა.

დიახ, ვერც ვერავის დაუჯერებს ასე ადვილად ჩვენი ავტორი. მერე რა, რომ მისი საყვარელი ადამიანები ფიქრობენ სხვანაირად, მაგალითად ასე: 1832 წლის შეთქმულების ხელმძღვანელთა სამეულს — ელიზბარ ერისთავს, ალექსანდრე ორბელიანსა და სოლომონ დოდაშვილს — მესამეც შეიძლება დაემატოს, — იასე ფალავანდიშვილიო, სამეული ოთხეულად იქცესო, დაუჯერებს კი არა, თავს მოიკლავს და წიგნსაც დაწერს, სადაც დაწვრილებით და ოსტატის ყველა იარაღით, მხატვრულ-დოკუმენტურით, მეტაფორულ-ალეგორიულით, ირონია-სარკაზმით, სენტიმენტალიზმითა თუ რომანტიკული პათოსით, რით აღარ ცდილობს იმ სიმართლის დამტკიცებას, რომელიც ამ ოთხეულს ნამდვილად არ მოიაზრებს ქართველთა ერთი გაბედული გამოსვლის მეთაურად იმ გველეშაპის წინააღმდეგ, რომლის შვილებმა ის მეოთხე თავიანთ სულიერ წინამძღვრად და „წმინდანად“ აღიარეს. ის მეოთხე — იასე ფალავანდიშვილია და მისი წმინდანობის ამბავიც რუსი მწერლისა და მოგზაურის — სერგეი მაქსიმოვის შეთხზულია XIX საუკუნეში. იმ წიგნში გულისამაჩუყებელი ამბავია ქართველი თავადისა, რომელიც შორეულ რუსულ გუბერნიაში — პეჩორაში — მისიონერად და წმინდანად მოევლინა იქაურებს. იმ წიგნის წაკითხვის შემდეგ ზოგს გული მოუბრუნდება ამ, ჩვენთვის მოღალატე წინაპარზე, ხომ უბრუნდებათ თუ უვარდებათ გული ზოგ-

ზოგს დღესაც სტალინზე, ვისაც, სხვათაშორის, იასესავით წმინდანად მიიჩნევენ რუსეთში არცთუ მცირედნი... როსტომ ჩხეიძისთანა კაცს ასე ადვილად მოღალატეზე გულს ვერავინ და ვერაფერი მოუბრუნებს.

მან კარგად იცის, რომ იასე ფალავანდიშვილი მართლაც იყო შეთქმულების სათავეში, ლამის მთავარსარდლადაც აირჩიეს, მაგრამ მისთვის მაინც საეჭვოა და გამცემი ეს ადამიანი, მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელში“ გამოთქმულ დიდი მწერლის ეჭვსაც იშველიებს, საიდან გაჩნდა აჯანყების სათავეში, არავინ იცოდაო, ვარაუდობს, შეგზავნილი ხომ არ იყოო, მერედა ამის ვარაუდს ხელს რა შეუშლის. ვინც იცის, როგორ დევნიდნენ აქამდე რუსეთის კავკასიური ხელისუფალნი თავისუფლებისა და ტახტის კანონიერად აღდგენისათვის თავგანწირულად მებრძოლ ალექსანდრე ბატონიშვილს, ვის არ უგზავნიდნენ მკვლელებად, როგორ ცდილობდნენ ქართველ თავადთა გადაბირებას მის წინააღმდეგ, რაღა გასაკვირია 1832 წლის ამბებში თავიანთი აგენტი ჩაერთოთ და ეს აგენტი იასე ფალავანდიშვილი ყოფილიყო. არადა, ეს კარგი ადამიანი თუ მართლა ერისა და მისი ბედისთვის იყო გულდამწვარი, რუსები თუ არ ეძულებოდა ალექსანდრე ორბელიანივით, ისე მაინც არ უნდა შეყვარებოდა, რომ სულიერ მოძღვრად და წმინდანად მოვლენოდა მათ.

რაც აქ გააკეთა, საქართველოში, ეს ცნობილი იყო ყველასთვის და იასე ფალავანდიშვილმა ქართველებში გამცემის სახელი იმთავითვე დაიმკვიდრა, მიხეილ ჯავახიშვილმაც კარგად იცოდა მისი ისტორია და „ღვაწლი“, თავის ბელეტრისტიკაში გადაიტანა კიდეც და ბუნებრივი იყო მისი რეაქცია. ეს იანუსის ერთი სახე, მეორე რუს ავტორს — სერგეი მაქსიმოვს ეკუთვნის: სრულიად სხვა, წმინდანისა და უფლისგან რჩეულის... ჰოდა, ახლა როსტომ ჩხეიძე არკვევს, რომელია აქედან ნამდვილი, იქნებ არც გაერკვია, მისთვის პატივსაცემ ადამიანებს რომ არ გასჩენოდათ ეჭვი,—მართლა გმირი და რჩეული ხომ არ არის, იქნებ შეთქმულების ისეთივე მეთაურია, როგორც ის თავგანწირული სამი ქართველიო.

ამ ძიების პირველივე თავს „ღვთის რჩეული“ ჰქვია და გვაცნობს იმ ლიტერატურულ-სამეცნიერო წყაროს, საიდანაც შემორჩა ისტორია ქართველი ხალხისათვის ასე მტკივნეულად დამახსოვრებული გვარ-სახელისა. მასში იასე ფალავანდიშვილის რუსული ცხოვრების დეტალებია გადმოცემული, XIX საუკუნის რუსეთში საკმაოდ პოპულარული ეთნოგრაფისა და მწერლის — სერგეი მაქსიმოვის შემონახული. ამ მაქსიმოვის ნაწერებით მოხიბლულნი ყოფილან ლევ ტოლსტოი, ნიკალაი ნეკრასოვი, მიხაილ სალტიკოვ-შჩედრინი, ალექსანდრ ოსტროვსკი, ივან ტურგენევი... ის კი არადა, ანტონ ჩეხოვს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად წარუდგენია და გამხდარა კიდეც ეს სწავლული, მწერალი-ეთნოგრაფი და მოგზაური აკადემიკოსი. გასაკვირი ამ პოპულარობაში არაფერია, სლავიანოფილური რუსული ინტელიგენცია საკუთარ სულს ეძიებდა ცენტრიდან მოშორებულ გუბერნიებში, ციმბირის კატორღებში, ამ სულის მონახვაში მას ეხმარებოდა იმგვარ მოგზაურთა ცოცხალი ნაწერები, როგორიც მაქსიმოვი იყო. აქვე ვიტყვი, რომ მაქსიმოვის თხზულება პირველად თამაზ ჯოლოგუამ თარგმნა, კომენტარები დაურთო და როსტომ ჩხეიძის „ჩვენ მწერლობაში“ დაბეჭდა. თამაზ ჯოლოგუას, რომელიც დახვეწილი და გემოვნებიანი მკვლევარია, ბუნებრივად მოუხდა ღრმად შეხება ფალავანდიშვილის პიროვნებასთან და სრულიად ახალი კუთხითაც წარმოუდგა იგი. მოღალატის კნინი პროფილი რუსი ავტორის გაიდეალებული პერსონაჟის გავლენით ერთგვარად გაიწმინდა და ამაღლდა. ამაში არაფერია საკვირველი. ამ თხზულების წამკითხველს, მეც ასე დამემართა, თუმცა იქვე ავტორის პიროვნებამ დამაეჭვა, რადგან ბევრი მაგალითი ვიცი ასეთ რუს მოგზაურთა, ისტორიკოს-გეოგრაფთა, ეთნოგრაფთა და მწერალთა საეჭვო მიზნებისა და იმპერიული მისიონერობის შესახებ. მერე და მერე სხვაც ბევრი გამიჩნდა საეჭვო. ამაში ახლა სრულიად დამარწმუნა როსტომ ჩხეიძის ამ წიგნმა...

მაქსიმოვის მოგზაურობა არხანგელსკის გუბერნიის პეჩორის მხარეში, კერძოდ, სოფელ უსტ-ცილმაში — სულაც იმ ინტერესს გამოუწვევია, რაც მწერალმა ლეგენდის სახით მოისმინა ჩრდილოეთში. ლეგენდა ეხებოდა წმინდანად მიჩნეულ, ადგილობრივ მოსახლეობაში სასწაულებით განთქმულ უფლის რჩეულს, კაცს, ვისაც ყველა აღმერთებდა და სულიერ წინამძღვრად მიიჩნევდა. მაქსიმოვისთვის ეს კაცი იყო ქართველი თავადი, ანტისამთავრობო შეთქმულებაში მონაწილეობის გამო საქართველოდან გადასახლებული, აქაურებისათვის კი უფლის მოციქული — იასე ფალავანდიშვილი.ასეთია ამ პატიოსანი მოგზაურ-მკვლევრის ვითომ-ინტერესი, რომლის მიღმა, თუ მართლაც ახლოით განვჩხრიკავთ ამ კაცს, რუს ავტორს, შესაძლოა სხვა ჩანაფიქრიც ამოგვეკითხა. თუ ამოსაკითხია, ეს ნამდვილად არ დაემალება როსტომ ჩხეიძის, ამ გამომძიებელ, ნათელმხილველის ნიჭით დამუხტული მკითხველის თვალს. ჰოდა, მეც სიამოვნებით მივყვები ბოლო ფურცლამდე წიგნში გაშლილ მის მსჯელობას.

პეჩორის ამ სოფელს არაფერი აკავშირებდა თითქოს იმპერიასთან, აქ არ მოქმედებდა სახელმწიფო კანონები, მაგრამ თუ მთავარ ძარღვს ჩასჭიდებდა ხელს, აქაურთა სათაყვანებელ კაცს თავადაც მიეთაყვანებოდა, მაშინ მაქსიმოვს შეეძლებოდა ამ საზოგადოების სულში შეღწევა. უამისოდ მისი აქამდე შექმნილი ავტორიტეტი აქ არ გამოდგებოდა. თანაც გააფრთხილეს: იქ იმ ერთი კაცის სიტყვას აქვს კანონის ძალაო. მიეთაყვანა კიდეც, ინფორმაციაც საჭირო მიიღო და საჭიროებისამებრ წარმოადგინა თავის წიგნსა თუ გამოკვლევაში: ზოგი რამ დააკლო, ზოგი შეალამაზა და ქოთანს ყურები ისე მოაბა, როგორც ეს ხელს აძლევდა მის მშობელ, საქართველოს დამპყრობელ იმპერიას, მაგრამ არა ისე, როგორც ეს ხელს აძლევს იუდასგან გაცემულ და სულჩაკლულ ქვეყანას. „იუდა“ როსტომ ჩხეიძის წიგნის მეორე თავის სათაურია და ამ იუდაზე რაღაცატომ ამეკვიატა სელმა ლაგერლოფის ბიბლიური ნოველა — „ნაზარეთში“, სადაც პატარა იუდასა და იესოზეა საუბარი. იესოც და იუდაც თიხისაგან აკეთებენ ჩიტებს, იესო მეთუნისგან ნაჩუქარით, იუდა მოპარულით, იესო მზის სხივებში ავლებს ლამის ცოცხალივით გამოძერწილებს, რის გამოც შურიანი წითური ბიჭი ამსხვრევს თავის უშნო ნაძერწებს, მერე იესოს ჩიტებსაც თიხის კოშტებად აქცევს, იესო მარტო სამი ჩიტის გადარჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნას შეძლებს, უბრძანებს — გაფრინდითო, ამის შემხედვარე იუდა, რომელსაც ერთდროულად უყვარდა, შურდა და სძულდა მეგობარი, მის წინაშე ხოხვას იწყებს და პატიებას ევედრება. მარიამი წამოაყენებს და მიეფერება. ვერც მიტევება და ვერც ეს ალერსი უწმინდესი დედისა ვერ იხსნის, რადგან ის იუდაა და ბოლომდე უნდა შეასრულოს თავის სატანური მისია. ვერც იასე ფალავანდიშვილი გახდებოდა წმინდანი, მითუმეტეს მისი სამშობლოს მკვლელ რუსეთში. ყველაფერი ეს პოზაა ველიკოდერჟავი მწერლისა და ქართველი იუდასი. ეს წინასწარ იცის როსტომ ჩხეიძემ, მეც ვიცი, მაგრამ წიგნს მივყვები, მაინტერესებს, როგორ ამიხსნის ამ ამბავს ეს წიგნი. წიგნი კი ამ საქმეს, იუდასა და მისგან განწირულთა ისტორიას მართლაც რომ სულისშემძვრელად გადმოგვცემს.

ამ იუდამ გაამრუდა საქართველოს ბედი, მისი ქმედების გამო ყაზარმობაში აღესრულა ბერი ფილადელფოს კიკნაძე, გადასახლებაში ჩარჩა სოლომონ რაზმაძე, ვიატკაში ტრაგიკულად აღესრულა სოლომონ დოდაშვილი, უამრავი ადამიანი გატყდა სულიერად, დაიღუპა ქართული სულის გადარჩენის იდეა, შემდგომში ერისთვის ღმერთს რომ ილია ჭავჭავაძე არ მოევლინა, ეს იდეა ველარაფრით აღორძინდებოდა და საქართველოს აღსასრულიც გარდუვალი იქნებოდა. იმ იუდას „დამსახურებაა“ ის ლაჩრული ტონი, შიში და ძრწოლა, ქვეშევრდომული ხოხვა დამპყრობლის ფეხებთან, რაც ასე ამაზრზენად გამოსჭვივის შეთქმულთა დაკითხვის ოქმებში. საინტერესოა, 1832 წლის 9 დეკემბერს, აჯანყებამდე 11 დღით ადრე, კავკასიის ჯარების სარდლის, გენერალ ვოლხოვსკის კაბინეტში იასე ფალავანდიშვილი რამ მიიყვანა და დაბეზღების ტექსტზე რამ მოაწერინა ხელი: უფროსი ძმის ძალდატანებამ, რომლის მოკვლასაც კი ითხოვდა ეს იუდა იმის საბაბით, ხელს შეგვიშლისო, თუ წინასწარ იყო განსაზღვრული მოღალატის ნაბიჯი, შეგზავნილი იყო შეთქმულთა ბანაკში.

როსტომ ჩხეიძე ამასაც აზუსტებს და იმასაც, რატომ დაგვიანდა რუსი მწერლის წიგნის იმ ნაწილის გამოქვეყნება, სადაც იასე ფალავანდიშვილთან შეხვედრა და მისი ნაამბობია გადმოცემული. ის სვამს კიდეც კითხვას: „რატომ უნდა დაგვიანებოდა და თანაც ასე ძალიან — სამი ათეული წლით — თავადის პორტრეტის აღდგენა, პეჩორული ძიებანი და შთაბეჭდილებანი ხომ მაშინვე გამოსცა, დაბრუნებისთანავე, და ეს თავი რატომ უნდა გამოეტოვებინა, მითუმეტეს, დღიურში მაშინვე შესდგომია თავადის ნაამბობთა ჩანიშვნას, როგორც კი უსტ-ცილმა დაუტოვებია და გაუგრძელებია გზა პეჩორის ჩრდილოეთისაკენ...“ მაქსიმოვთან საუბრისას იასე იგონებდა ალექსანდრ ბესტუჟევ-მარლინსკის, ალექსანდრ პუშკინისა და გრიბოედოვის ვოიაჟებს საქართველოში, ზოგ რამეს რომ ვერ იხსენებდა, ბოდიშობდა: როგორც ქართველსა და ტფილისის მკვიდრს, მაშინ თვალთახედვაც შეზღუდული მქონდაო. ვინაიდან თვალთახედვა გახსნია რუსეთის ამ მივარდნილ მხარეში, ფალავანდოვი მოღალატიდან წმინდანად ქცეულა, თუმცა ეს „წმინდანი“ აქაც არ იშლის სამშობლოს ღალატს, — გალიზიანებული და კრიტიკული ტონით საუბრობს ქართველ თავადებზე: მათ სიმდიდრე და ბრწყინვალე ცხოვრება იზიდავდათ, ქედმაღლები და მედიდურები იყვნენო, გვაროვნული წარმოშობით ყოყოჩობდნენო. რუს მწერალთან, მაშინდელ რუსეთში პოპულარულ ადამიანთან ასე ჭრიდა თავს მის სისხლსა და ხორცს. ვითომდა პატარ-პატარა კენჭებს ესვრის სამშობლოს სახელს. სელმა ლაგერლოფის ზემოთ დასახელებულ ნოველაში იუდა ასევე ჩუმად ესროდა კენჭებს კეთილი მეთუნის ჭურჭელს და ამსხვრევდა. როსტომ ჩხეიძის მიზანი ამ კაცი-იუდას ნამდვილი სახის ჩვენებაა და ახლა თითქოს ჩვენ გვეკითხება და პასუხს ითხოვს: რუსულ სალიტერატურო მიმოქცევაში ქართველი კაცის სახელით რატომ უნდა დატრიალებულიყო ქართველი თავადაზნაურობის — ტრაგიკული და თავისუფლებისმაძიებელი ადამიანების — ღირსების შემბღალავი სტრიქონებიო. ეს კი არა, ფალავანდოვმა რუსეთი გამოიყვანა მშვიდობის მტრედად და საქართველოს გადამრჩენ ანგელოზად. მის მტკიცებას: რუსეთი სულში იძვრენდა საქართველოს უკანასკნელი მეფის შვილებსო, როსტომ ჩხეიძე ტკივილიანი იუმორით ხვდება: ნეტა იასე სად შეესწრო მათ ამ „სულში ჩაძვრენასო“...

მაქსიმოვის წიგნის მიხედვით ისტორიული სიმართლე რომ იჩქმალება, ეს გასაკვირი არაა, რუსეთი ახლაც ასე აფასებს საქართველოს ანექსიას 1801 წელს, რუსული პოლიტიკის პარამეტრებს, ვერცერთ საერთაშორისო ცივილიზებულ ჩარჩოში რომ ვერ ჯდება. რუსოფილური პათოსით სავსე, რუსულად დაწერილი ბლიევის ვრცელი მონოგრაფია ოსეთზე (ნამდვილზე და არა გამოგონილ, ე. წ. „სამხრეთ ოსეთზე“), ამტკიცებს, რომ რუსეთმა უამრავი რამ გაუკეთა, პრივილეგიები მისცა საქართველოს, ციციანოვს დიდი საქართველოს აღდგენა უნდოდა, რომ არ მოეკლათო. რამდენჯერ მომისმენია და მიკამათია ინტელიგენციის გარეგნულად რჩეულ წარმომადგენლებთან: რუსეთმა შემოგვიერთა აჭარა-ახალციხე, გაგვიყვანა რკინიგზები, დაგვიარსა ფოსტა-ტელეგრაფი, გაგვიხსნა სკოლები და ასე შემდეგო, ამ ხალხისთვის პასუხის გაცემას რა უნდა, მაგრამ ისინი არ გისმენენ, არც გიჯერებენ, როსტომ ჩხეიძის პასუხი მათ მიმართაცაა თითქოს და როცა მივადექი ამ სიტყვებს, სამართლიანად აღვფრთოვანდი: „განაპირა რუსულ ოლქად უნდა გადაექცია ის მიწა-წყალი, სადაც ერთ დროს სახელმწიფო არსებობდა და გზებიც, ფოსტაც, სტამბაც (მე დავუმატებდი ჩემი ოპონენტების ყბადაღებულ რკინიგზასაც) იმ ოლქს დასჭირდებოდა...ესეც არ იყოს, არასოდეს გამოუსყიდია გზებსა და საფოსტო კავშირებს აურაცხელი სისხლი და ცრემლი.“ დიახ, ასეა ჩემო ძვირფასო ქართველებო!.. რუსულ „შეწყალებებს“, თუ ამდაგვარ შემთხვევებს გავიხსენებთ, ნუ გავაზვიადებთ, ამ დროს იმ დიდი ქართველის სტრიქონები მახსენდება ხოლმე, რომელიც ეპოქალურ რომანში — „ბორიაყი“ — წერდა, რომ ამბოხებულთა ნაწილის შეწყალება რუსული ჰუმანიზმით კი არა, იმ უბრალო მიზეზით ხდებოდა, ყველას თუ გაჟულეტდნენ და გადაასახლებდნენ, მერე ვილაზე გაბატონდებოდნენ. აქვე, ოთარ ჩხეიძის რომანისა და სიტყვების გახსენებისას იმასაც ვიტყვი, რომ ისტორიისა და აზროვნების გრძელ მანძილზე ზედწოდება—„დიდი“ იმათ მიემართებოდათ, რომელთაც ავისგან კარგი განარჩიეს, ბოროტებისგან სიმართლე და ადამიანებს თვალთ სინათლე მისცეს და სიკეთის, ანუ ღმერთის გზით სიარული ასწავლეს.

ნუ დავმალავთ და, ქართველ თავადაზნაურთა ერთი ნაწილი რუსული დაპყრობისთანავე გახდნენ კონფორმისტები, და თუ პატიოსნად მოაზროვნე ქართველებთან ერთად, ჩვენს გულშემატკივარ უცხოელებსაც დავუჯერებთ (მაგაროტო და სხვები), ისინი შემდგომ დაუფიქრებლად იქცნენ რუსეთის მეხუთე კოლონად საკუთარ ქვეყანაში. როსტომი ფალავანდიშვილებს იმ კატეგორიას აკუთვნებს, რომელნიც რუსეთს ყოველნაირად დაეხმარენ საქართველოს დაპყრობაში, დიდ ჯილდოებსა და პატივს ელოდნენ ამ დამსახურებისთვის, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ, უკმაყოფილონი და შეურაცხყოფილნი დარჩნენ. ესეც იყო უეჭველად, მაგრამ მისი ძმა ხომ საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი იყო, რაც არცთუ პატარა კარიერას წარმოადგენდა იმ დროში, იქნებ „ძმამ ძმას მოუღერა ყისტი", აკი შეთქმულებს თავიდან მის მოკვლას ურჩევდა. მთავარი და უმთავრესიც ალბათ ის ფენომენი იყო, რაც იდო სტალინსა და ორჯონიკიძეში, უამრავ ადამიანში, რომელთაც, განდიდების მანიით შეპყრობილებს, საკუთარი სამშობლოს, შვილების და თანამოძმეების გაწირვა დაუფიქრებლად შეეძლოთ. იასეც ხომ ამ გზით მოხვდა „წმინდანის" საკარცხულში. ეს წმინდანი 1832 წლის შეთქმულებას, დიდი ილია რომ ეროვნული მოძრაობის დასაბამად მიიჩნევდა, რუსულ ლიტერატურაში იმ კვალიფიკაციით ამკვიდრებდა, არასოდეს რომ აღარ შეცვლიდა რუსი: უეჭველი დაღუპვისაგან გადამრჩენის მიმართ მადლიერება კი არ ჩაიდვეს გულში, არამედ სიძულვილი და ეს დანაშაულში გადაზარდესო.

რუსი მწერალი არ აქცევს ყურადღებას უტყუარ ცნობებს, თუნდაც თავად რუსების მიერ შედგენილ არქეოგრაფიული კომისიის აქტებს და გულდასმით ცდილობს ჩამორეცხოს მოღალატის დამღა ამ საქართველოს დამაქცეველ და რუსებისთვის წმინდანად მოვლენილ კაცს, რომელ ნემსის ყუნწში არ ძვრება და საწადელს აღწევს: რუს მკითხველს ეჭვი აღარ დარჩება, რომ ეს „პეჩორელი თავადი" მართლა ღვთისგან მოვლენილი წმინდანია ცოდვილ ადამიანთა გადასარჩენად. არადა საეჭვო რაა: წყაროებში შავით თეთრზე წერია, რომ მან გასცა შეთქმულნი, მერე ყველა დაისაჯა, ის კი არც სასამართლოსთვის გადაუციათ და არც თავადობა ჩამოურთმევიათ, ფინეთის ბატალიონში რომ გაამწესეს, იქაური უსასტიკესი პირობების კვალიც არ დამჩნევია, ალბათ იმდენად იყო პრივილეგირებული ჯაშუშური დამსახურებისათვის, რომ არც გაუგია, რა ხდებოდა იმ ბატალიონში, თორემ ერთს მაინც დაიჩივლებდა რუს მწერალთან, თუნდაც იმიტომ, რომ წმინდანებს ამგვარი ბიოგრაფია უხდებათ. როსტომ ჩხეიძე ვერ მალავს ირონიულ ღიმილს, როდესაც მის სხვა ნაამბობს იხსენებს მაქსიმოვთან — მკვლელისა და გამცემისათვის უჩვეულო ლირიზმით დანახულ ჩრდილოურ პეიზაჟს, ყვავილებსა და ბალახებს, რომელიც საქართველოს აგონებდა. მაგრამ სამშობლო რომ მარტო ყვავილები და ბალახები არაა? სავსებით სწორია აღქმა, რომ ასეთი პოეტურობა ყველა შეთქმულსა და გადასახლებულს შეეძლო გამოეხატა, მას კი არა. „თავისთავად შესანიშნავი კინოკადრია—ბალახებში მთელი არსებით ჩაყვინთული ყოფილი შეთქმული და სამუდამო გამცემი, გამქრალ სამშობლოს რომ დაეძებს".

წიგნი — „იასე იანუსი", უამრავ ინფორმაციასთან ერთად, საშუალებას გვაძლევს — ჩავწვდეთ შეთქმულების დროინდელი მოვლენების სიღრმეს, შევაფასოთ ცალკეულ ადამიანთა ქმედებანი, შევადაროთ ფაქტები და გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები. ის უფრო თვალსაჩინოს ხდის საქართველოს ერთი დიდი მოღალატის პორტრეტს, უკეთესად გვაცნობს მას და გვარწმუნებს მის მიმართ თითქმის ორსაუკუნოვან უნდობლობას ქართველი ხალხისას, გამცემისადმი მისი განწყობილების სამართლიანობას. თურმე ადრეული ასაკიდან უჯობდა რუსეთში სილატაკეში ცხოვრება — საქართველოში სიმდიდრეს, სულერთი იყო დიდი რუსეთის რომელ კუთხეში მოხვდებოდა, მოსკოვში, პეტერბურგსა თუ უსტ-ცილმაში. კოსმოპოლიტს ყველა მისიანად მიაჩნდა, გარდა თვისტომთა, ყველაზე უფრო მაინც რუსობა ეძვირფასებოდაო. სახელის მოხვეჭაზე ოცნებობდა, საქართველოში ეეჭვებოდა ამ ოცნების აღსრულება, ამიტომ დაყაბულდა გამცემის მისიას, მთავრობის გულს მოიგებდა და დიდებისკენ გზასაც სხვებს ადვილად მოუჭრიდა. შეთქმულებში წინასწარ რომ შეუგზავნიათ საგანგებო დავალებით, ამას ბარონ როზენის გამორჩეული აღშფოთებაც უდასტურებს მწერალ-გამომძიებელს, შეგზავნილი ისე გართულა როლით, თავი ველარ დაუღწევია და ლამის გმირის სამოსი მოურგია. თუმცა ბოლოს გამოფხიზლებულა და საქმე, როზენისგან მიცემულ-დაკისრებული, იმგვარად მოუსრულებია, რომ რუსული ხიშტის წვერს კიდევ დიდხანს ეტრიალა თამამად ქართულ სივრცეში, დაშინებულ—გაჭყლეტილი ქვეყანა ხმაგაკმენდილი ყოფილიყო, ვიდრე ლამის დუმილში ჩაძირულ კვნესას ილიას თაობა არ მიეფერებოდა და არ ანუგეშებდა.

დამსმენმა გულდაგულ აკეთა „დღიური ზაპისკები", რასაც თან დაურთო პირველი ღამის განკარგულების ტექსტი, თავად მის მიერ გადათეთრებული და წაკითხული შეთქმულთა წრეში. ალექსანდრე ორბელიანს, ამ ტექსტის გაცნობისას, შეძრწუნებულს აღმოხდა თურმე: ყოველი ჩვენი საქმე დღიურ ზაპისკებად უკეთებიაო. კაცმა, რომელმაც ელიზბარ ერისთავთან ერთად ვარშავის გამოსვლის შემდეგ, როდესაც ყველა შედრკა, არ დაიხია უკან და აჯანყების გეგმას ბოლომდე მიჰყვა, უეცრად გასცა შეთქმულები და თანაც ისე ოსტატურად, რომ დასმენილებს ჩამოხრჩობა არ უნდა ასცდენოდათ: ალექსანდრე ორბელიანი თავის თავს პესტელად აცხადებდა, ელიზბარ ერისთავს კი რილეევს უწოდებდაო — მოახსენებდა ჩვენების მიცემისას რუს გენერალს (ვოლხოვსკის). პესტელი და რილეევი თუ ჩამოახრჩვეს, აბა, ქართველი ორბელიანი და ერისთავი რატომ უნდა დაენდოთ!.. ამ ჩვენებას მიაწერს, და სამართლიანადაც, როსტომ ჩხეიძე, შემდეგში 1832 წლის შეთქმულების დაკავშირებას დეკაბრისტების გამოსვლასთან. სამართლიანადაც შენიშნავს: როგორც შოვინიზმი და პატრიოტიზმი ვერ გაიგივდება, ისე ორბელიან-ერისთავი არ ჰგვანან პესტელ-რილეევსო. ქართველები სამშობლოს დასახსნელად იღვწოდნენ, რუსი მეამბოხენი კი იმპერიულ ამბიციებზე აგებდნენ თავიანთ სამოქმედო პროგრამას. მათ არარუსი ერები არ აინტერესებდათ და მათ გასახლებასაც კი გეგმავდნენ კავკასიიდან, ქართველებისასაც, მათ შორის.

იასე ფალავანდიშვილს არაჩვეულებრივი მეხსიერება ჰქონდა, ვისგან რა მოესმინა, ყველაფერი ბოლომდე ახსოვდა. შეთქმულთა უბრალოდ ნათქვამიც არ გამორჩენია, შემდეგში პეჩორის მხარეში ყველა მისი ნათლული ყოფილა და ყველას სახელი ახსოვდა თურმე. ეს კი არადა, ხელნაწერის ისე გაყალბებაც შეძლებია, რომ ორიგინალიდან თვით ადრესატი ვერ გაარჩევდაო. ამის მაგალითიც მოაქვს როსტომს: ლევან დადიანის მიბაძვით შეუთხზავს რაღაც დოკუმენტი, რითაც ამტკიცებდა დადიანის კავშირს თურქეთში ლტოლვილ ვახტანგ ბატონიშვილთან, რომელიც იმერეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის დასაჯეს რუსებმა. ლევან დადიანი პატრიოტი და სამშობლოს ახლანდელი მდგომარეობით სულშეძრული ადამიანი იყო და ასეთებს ებრძოდნენ რუსებიც და მისი იასესნაირი ჯაშუშებიც, სამშობლოსთვის თავდადებულები სძულდათ და აღიზიანებდათ. ამიტომ მოუნდომებია იასე მიმბაძველს ლევან დადიანის დაღუპვა. ეს კი უფრო ადრე მომხდარა, ვიდრე ეს იყო 32-იანელთა მიმართ ჩადენილი დიდი გაცემა თუ დაცემა. ერთხელ იასე აყვირებია კიდეც დაპირისპირებისა და დაკითხვისას ალექსანდრე ორბელიანს: „მე მთავრობისაგან შემოჩენილი შპიონი ვიყავი თქვენში, რაც თქვენი განზრახვა იყო, უნდა შემეტყო და გამამეცხადებინა. მე თქვენში რასაც ვლაპარაკობდი და ვსაქმობდი, სულ ცბიერება იყო, რომ თქვენი განზრახვა ყველა წვრილათ შემეტყო. და ვიტყვი და წვრილათაც მომიხსენებია...“ სწორედ ეს ორბელიანი იხსენებდა შემდეგში: სულ მელასავით დაგვდევდაო... გამცემის სახელს არც გაამხელდნენ ალბათ რუსი ბიუროკრატები, მაგრამ დაბეზღების ხელნაწერი გენერალმა ვოლხოვსკიმ დაუფიქრებლად აჩვენა ალექსანდრე ორბელიანს, მან კი მაშინვე ამოიცნო იასეს ხელწერა. იასეს ბუნება და ფსიქოლოგია ბევრჯერ გაიაზრეს შემდეგში, მაგრამ ბოლომდე ვერ ჩაწვდნენ, თუმცა მის ღალატში ყველა დარწმუნდა. მის ბიოგრაფიაში არსებული ის დასმენაც გაიხსენეს, რისთვისაც ერთი წელი იყო დაპატიმრებული. ალბათ ძმამ უშველაო,— ვარაუდობს წიგნის ავტორი და წერს: „ამ სახელო ეპიზოდებით დამშვენებული ბიოგრაფიის კაცი ორიოდ წელიწადში ამ შეთქმულებას როგორ უნდა დაახლოებოდა, ანდა სულაც იმ ფარული მოძრაობის ერთ-ერთი თავკაცი როგორ უნდა გამხდარიყო?“ მითუმეტეს, თავად ტრაბახობდა ამ ამბავით, კი არ მალავდა სამარცხვინოდ ჩადენილს. შეთქმულებს ეუბნებოდა, მაშინ ცილი დავწამე ბატონიშვილს და ლამის ერთი თავადიც წავაკალი ზედო. როგორ არ გააძევეს მაშინვე თავიანთი წრიდან. იქნებ მეტად შეშინდნენ — არ გაგვცესო. რა დროიდან ჰქონია ღალატისკენ მიდრეკილებები? ბუნებით და დაბადებით ჰგავს კლასიკური აფიორების ოსტატს. ბავშვობიდან ხომ რუსეთში ცხოვრებას ნატრობდა, ახალგაზრდობაში თითქმის ბერულად ირჯებოდა. ოჯახიც არასოდეს გაუჩენია. ესეც თუ გამორჩეულობისთვის ჭირდებოდა, თორემ ნამდვილად ბერული და წმინდანური არაფერი უნდა ჰქონოდა ამ მოღალატური ბუნების კაცს. აკი საამისო ეჭვებს მხატვრულად და ასე დამაჯერებლად გვაჩვენებს როსტომ ჩხეიძე იასეზე დაწერილ წიგნში. იქნებ არც ღირდა ამ უჯიშო ადამიანის გამო მწერლის მოცდენა, მერედა რამდენი ისტორიული მასალა შეუსწავლია და გაუანალიზებია, რათა მსტოვრისა და იუდას ნამდვილი პორტრეტი დაეხატა. მაგრამ, როდესაც ამ მასალებს ეცნობი და მათ ანალიზში თანამონაწილეობ, უთუოდ გეუფლება გამარჯვების სურვილი, ბოროტების მხილებას რომ ახლავს, გიპყრობს კმაყოფილების გრძნობა, გინდა ყველას წინაშე იზეიმო და ყველა დააჯერო, რომ „ისტორია არაფერს დამალავს, ყველა სიმართლეს გაამჟღავნებს“, იგი „არა სცბის“, არც მლიქვნელობს, არც ვინმეს დაკრულზე ცეკვავს...

იასეს ღალატით შეძრწუნებული ადამიანები XIX საუკუნეშივე შეუდგნენ მისი ბიოგრაფიის ჩხრეკას, დაადგინეს კიდეც, რომ გვარიც ყალბი ჰქონია ამ კაცს, მისი წინაპრები ყორჩიშვილები ყოფილან. მერე მიქაძეები, ბოლოს ერთ-ერთ მიქაძეს ფალავანდიშვილის ქალი შეურთავს და მიქაძე-ფალავანდიშვილი გამხდარა, ეს ორი გვარი იასე იანუსის ძმას — რუსული ბიუროკრატიის ყურმოჭრილ მონას — ნიკოლოზს მოუშორებია, იასესაც შეუფერებია არისტოკრატიული გვარი, სული კი ველარ შეუთავსებია გვაროვნულ კეთილშობილებასთან და ასე წამხდარ-დაცემული დარჩენია.

შეთქმულების დროს 30 წლისა იყო, მაქსიმოვთან შეხვედრისას უსტ-ცილმაში 53-ის. „პეჩორელი თავადი“ აქ ქართული ახალუხით დადიოდა. „თბილად ჩაეკრა გულში პეჩორას იასე ფალავანდიშვილი“. მასაც საოცრებად ეჩვენებოდა ეს უფერული მხარე, ხიბლავდა მისი ლარიქს სიბირიკა, შემდეგში დიდი გალაკტიონისგან გაიდეალებული, მაგრამ ლირიკამდე ამაღლება იანუსს მაინც არ შეეძლო. თუმცა რუსი მწერალი, თავად მოკლებული რომანტიკას, ამ ჩვენ ქართველ გამცემს ისე აიდეალებს, რომ პოეტურ ხედვასა და მისი პეჩორული ცხოვრების წესსაც მთავარი სათქმელისთვის იყენებს: შეხედეთ, ასეთი წმინდა და პოეტური არსება განა მოღალატე შეიძლება იყოსო? ის, რაც საქართველოში ასე სჯეროდათ, მაინც რატომ არ უნდა დაეჯერებინა რუს სწავლულს? მათთვის თავგანწირული ჯაშუშები, რა თქმა უნდა, წმინდანები პეჩორელი გლეხების არჩევის გარეშეც იყვნენ რუსული იდეოლოგიის მსახურთათვის, სხვა სიმართლე, რაც არ უნდა ყოფილიყო, მათთვის არ არსებობდა, სერგეი მაქსიმოვსაც რუსული „სიმართლისა“ და იდეის მტკიცება ჰქონდა მიზნად. იასე ფალავანდიშვილის მხატვრული სახე ამისთვის ჭირდებოდა.

რუსული „პოვესტის“ გმირის ქართული „საქმენი საგმირონია“ კარგად ჩანს როსტომ ჩხეიძის წიგნის თავებში — „რა აცინებდა ელიზბარ ერისთავს?..“ „მინდია“ „საგამოძიებო კომისიის ეჭვი“, „სოლომონ დოდაშვილის წყენინება“ და სხვაგან. თუ ვინმეს ოდესმე ეპარებოდა ან შეეპარება პატარა ეჭვიც კი ამ გამცემის ორპირობაზე, ა, ბატონო, საგამოძიებო აქტებთან ერთად ეს წიგნიც წაიკითხეთ და მერე აღარ დაგრჩებათ ერთი ბეწო სურვილი, ოდესმე ახსენოთ უხსენებელი. პეჩორული ოდისეაც, მერწმუნეთ, ძალზე დაგაინტერესებთ როსტომ ჩხეიძისეული ინტერპრეტაციით, რადგან ეს ამბავი ჩვენში ჯერ კიდევ არ არის საყოველთაოდ გახმაურებული. მაქსიმოვის წიგნზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ამ წიგნის ამ თავის — „პეჩორელი თავადი“ — თამაზ ჯოლოგუასეული თარგმანიც ბევრისთვის მიუწვდომელი დარჩა.

## დაუწერელი წიგნის კონტურული რუკა

ინტერნეტში წავაწყდი უცნობი ავტორის ერთ საყურადღებო აბზაცს, დამაინტერესა, მერე მოვძებნე ავტორი და გულდასმით წავიკითხე ნანა ტრაპაიძის დაუწერელი წიგნი, ჩემი თხოვნის შემდეგ ელექტრონული ფოსტით რომ გადმომიგზავნა.. პირველი შთაბეჭდილების გაზიარება გარკვეული დისტანცირების, ტექსტიდან დაშორების მერე გადავწყვიტე. სახელწოდება — „ფრაგმენტები დაუწერელი წიგნიდან“ — სრულ თავისუფლებას ანიჭებს ავტორს, ფიქრთა დინება რომ წარმოაჩინოს და დღიურის ფურცლებად შეკრული ფრაგმენტების ჯამი წაგვაკითხოს, ჩაფიქრებისა და ჩაღმავების სასიამოვნო პაუზების თანხლებით, თუმცა ამგვარი პაუზები ავტორის ნააზრევის ინტერპრეტაცია და გაგრძელებაა, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა საინტერესო წიგნის კითხვისას.

დაუწერელი წიგნის დღიურული ფორმატი ბევრს არაფერს გვეუბნება მის ჟანრზე და თვითონ უნდა განვსაზღვროთ კითხვისას. ჩემი აზრით, ეს არის ახალგაზრდა კულტუროლოგის უაღრესად საინტერესო ჩანაწერები, თოთხმეტწლიანი თანმიმდევრული და პერმანენტული განსჯის შედეგი ამა თუ იმ საკითხზე, სადაც მრავალი თემა და პრობლემა ხელშესახები და აქტუალურია. ნანა ტრაპაიძისთვის უმთავრესი სააზროვნო სივრცეა ადამიანური ეგზისტენცია, თავის ნაცნობი და უცნობი მხარეებით, მარადშეუცნობელის ახალი კუთხით ამოცნობის ხელახალი სურვილი, ხედვის წერტილის ძიება და ჩაკვირვება, რისი თანამონაწილეც ხდება მკითხველი ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, რადგან ტექსტი/სიტყვიერი ქსოვილი/ დიდი ინტერესით იკითხება.

ჩემთვის მოულოდნელი აღმოჩენაა "ფრაგმენტები დაუწერელი წიგნიდან" და, ცხადია, მისი საინტერესოდ მოაზროვნე ავტორი, რადგან მან შეძლო დღიურულ ფორმატში გამოეჩინა თავი, როგორც უაღრესად ნიჭიერ ადამიანს და პირველივე გვერდიდან გაებათილებინა დებიუტანტის, როგორც უცნობი ავტორის მიმართ გაჩენილი ერთგვარი უნდობლობა და ეჭვი. სასიამოვნოა, რომ ავტორი ბათუმელია და იქაურ უნივერსიტეტში ასწავლის.

ნებისმიერი შემოქმედისთვის უაღრესად საინტერესოა ამ ტექსტის დინამიკისთვის თვალის მიდევნება, სადაც იკვეთება ინდივიდუალური ხედვა, ზოგჯერ სადავო, გაბედული ან მხოლოდ ვიწრო წრისთვის ცნობილი, რაც კარგად არის დაწერილი და ისე იზიდავს მკითხველს, როგორც დაუწერელი წიგნის კონტურული რუკა, როგორც მინიშნება წიგნზე, მკითხველის თანამონაწილეობითაც რომ უნდა შეიქმნას.

ვიმედოვნებ, არცთუ დიდი ხნის შემდეგ იგი მოგვევლინება, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი და ამ სფეროშიც მოსინჯავს ძალებს. ახლა კი მკითხველს ვთხოვ თვალი მიადევნოს ნანა ტრაპაიძის ნააზრევს.

**გივი ალხაზიშვილი**

ნანა ტრაპაიძე

# ფრაგმენტები დაუწერელი წიგნიდან



*ვუძღვნი ჩემს შვილს, გუგა ტულუშს*

*ყველაზე ზუსტი აზრები*
*მხოლოდ წამით არიან ზუსტნი*
*პოლ ვალერი*

წონასწორობა ძნელი. — აღმოჩენილი, შეცნობილი, დაუფლებული წონასწორობა; მან კი არ უნდა გიგუოს, არამედ თავად უნდა დაიუფლო და იგუო იგი.

ადამიანის სულიერი მოძრაობის შედეგს ის წარმოადგენს, თუ ახერხებს და როგორ ახერხებს ამ წონასწორობას.

***მინაწერი:***

...მატყუარაა და მსახიობი ადამიანი. იგი გამუდმებით ტყუის ხან სხვის, ხანაც საკუთარი თავის მიმართ, რადგან ტყუილია მისი ბედისწერა, ხოლო მსახიობობა ერთადერთი ამქვეყნიური ბუნებრივი როლი (და იქნებ ამაში თვით მას არცთუ ბრალი მიუძღოდეს...)

„მაგრამ ისეთი ტყუილი არ უნდა თქვა კაცმა, ერთ საათს მაინც თუ არ გჯერა მისი";

არც ისეთი როლის თამაში უნდა იკისრო, ერთ საათს მაინც თუ ვერ შეასრულებ ოსტატურად.

***მინაწერი:***

ადამიანის ღირსებებიც ოდითგანვე იმით განისაზღვრებოდა, რაც მეტ ნიჭსა და ოსტატობას მოითხოვს საკუთარი როლი, ხოლო ტყუილი — ხანგრძლივობასა და მუდმივობას.

მაგრამ „სიმართლის" ადგილი სადღაა?

*ეტყობა, სიმართლეა ყველაზე უფრო „ჩემი" და ყველაზე ხანგრძლივი ტყუილი ადამიანისა...*

და საკუთარი ტყუილ-მართლისათვის გამოვლენილმა ძალამ, რომელიც შენეული (თუ შენებური) წონასწორობითაა შეფუთული (და „შელამაზებული,"რათა უნილბო სინამდვილე გამაღიზიანებელი და უცნაური არ ჩანდეს და არცთუ თავად შეგიძლია მაინდამაინც აშკარა პირდაპირობა, რადგან თავადვე უფრთხი თავს, გეეჭვება მისი, რის გამოც თანაბრად გაურბიხარ როგორც სხვას, ისე საკუთარ თავს და იგუებ რაღაც ადგილს, რაღაც ვითარებას წონასწორობის ცენტრად) იქნებ ალმართი ვერ მოხნას, მაგრამ „დაღმართში" დაქანებისთვის მაინც არა ხარ განწირული.

ეს კი საკმაოდ „დიდი" შეღავათია მწვერვალებისა და ღმერთისაკენ მზირალი (მეოცნებე) სულისათვის..

***5 აგვისტო, 1995 წელი***

ადამიანების ურთიერთობებში ყველაზე მაღალი და დამახასიათებელი კატეგორია საჭიროებაა; მაღალი — სიყვარულის დონეზე სიყვარულისავე საფუძვლით, ხოლო დამახასიათებელი — წმინდა ყოფითი თვალსაზრისით.

***25 ივნისი, 1996 წელი***

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველგვარ შემოქმედებით ტვირთზიდვაში არის რაღაც დამსჯელიც, მესიანურიც, ადამიანურიცა და ღვთაებრივიც, უაღრესად მორჩილიცა და უაღრესად მეამბოხურიც, სასტიკად შეზღუდულიც (შესაძლოა მონურიც) და განუსაზღვრელად თავისუფალიც...

*და ყოველი ამგვარი ტვირთზიდული სიამოვნებით აიცდენდა ამ ტვირთზიდვის ტკივილთა მწარე სამსალას, მაგრამ „არა ისე, როგორც ეს თავად სურს, არამედ ისე, როგორც ეს შემოქმედს სურს"...*

***27 ივლისი, 1996 წელი***

ყოველი წინათგრძნობა მისი აღსრულების მოლოდინს გულისხმობს და, ამდენად, კიდევ უფრო მტანჯველია. ეს მოლოდინი, პირველ რიგში, გამოფიტვის სიმსუბუქით დაგამძიმებს.

ამგვარი მდგომარეობა მით უფრო შემაძრწუნებელია (თუნდაც იგი კეთილი წინათგრძნობა იყოს), რომ შენს ზღუდეშემოკრულ სამყაროში საიდანღაც ხანგამოშვებით ეჭვი მაინც შემოგიჭვრეტს ხოლმე და იმ გამანადგურებელი ღიმილით შემოგცინებს, რომელიც სიამოვნების გრძნობით შეზავებულ, კეთილი წინათგრძნობის შვებას ძირს გამოუთხრის, რაც ერთადერთი სასიამოვნო ნუგეშიღა შეიძლება იყოს მარტოობის უსასრულობაში...

***18 აგვისტო, 1996 წელი***

ის, რასაც კანონზომიერებას ვეძახით, შესაძლოა უნებლიე ლაფსუსი იყოს შემოქმედისა, ანდა ლაფსუსად განსაზღვრული ლოგიკური ოინი და მეტი არაფერი...

***14 თებერვალი, 1997 წელი***

მარცხის შემდეგ სისულელედ გვეჩვენება, რასაც მანამ სერიოზულად ვეკიდებოდით და რაც განსაკუთრებულად მნიშვნელობდა ჩვენთვის...

სამყაროში არ არსებობს სისულელე! და თუ არსებობს, მაშინ ყველაფერი სისულელეა...

***30 მარტი, 1997წელი***

როცა რამე წარმოუდგენლად გესახება, თვით ფაქტებიც არაფერია მაშინ...

***23 აპრილი,1997წელი***

თესვა-მკის აუცილებელ მიზეზ-შედეგობას ზოგჯერ ავი ტაროსი აფერხებს და უშლის ხელს; და ამაში არც თუ მთესველსა და მის გულმონადინებას დაედება ბრალი და არც ნათესის ნაყოფიერებას.

***3 ივლისი,1997 წელი***

ვისაც საკუთარ თავზე მორევა შეუძლია, მას არც არასოდეს ჰქონია თავი!

***12 ივლისი,1997 წელი***

მოულოდნელობებს ცხოვრება უკეთ ახერხებს, ხოლო „მოსალოდნელობებს" — გონება.

(და რად უნდა ვუსაყვედუროთ ადამიანს უმადურობა, თუ მისი ცხოვრება ესოდენ მწირია მოულოდნელობებით?)

***მინაწერი:***

...საფიქრებელი ხომ არაა, რომ ადამიანის ფანტაზია, მით უფრო შემოქმედებითი ფანტაზია, შეურაცხყოფდეს სამყაროს რეალობებს?

***3 იანვარი, 1998 წელი***

სუსტი უფრო ადვილად ერევა თავის თავს, ვიდრე ძლიერი.

მაგრამ ჯერ ხომ არავის დაუდგენია ზღვარი სიძლიერისა და სისუსტეს შორის?

ბორკილები ასუსტებს ადამიანს; სუსტს კი ისლა შეუძლია იქამდე იაროს, სანამ ბორკილი გასწვდება.

ბედის ირონიაც ის არის, რომ ზოგის ბორკილი მოკლეა, ზოგისა — საკმაოდ გრძელი და ისიც სწორედ მაშინ გამოგედება ფეხზე და შეგახსენებს თავს, როცა შენს საბედისწერო წირს მიაწყდები და გათავისუფლებული გგონია თავი.

...ხოლო უმეტესნი ადგილზე არიან მიჯაჭვულნი და მათაც თავს ზემოთ ძალა არა აქვთ.

*...და მთელს ამ ფატალურ სურათში, ღმერთს ალბათ ყველაზე უფრო გაბღენძილი ტუსაღის ამაო ფართხალი ართობს...*

***25 მარტი,1999 წელი***

ჩვენი შეცდომები ყველაზე ცხადად მეტყველებენ ჩვენზე და ყველაზე ნიშანდობლივადაც გვახასიათებენ...

***24 იანვარი, 2000 წელი***

ადამიანთა ურთიერთობებს უმთავრესად შემდეგი ეთიკური მიდგომები განსაზღვრავს.

ერთნი ფიქრობენ: ხელსაყრელ სიტუაციაში ყოველთვის შეიძლება ისეთი დროის მოხელთება, სასურველ, უფრო სწორად, არასასურველ ადამიანს ფეხი რომ დაუდო ნასაქცევად; მთავარია არ იჩქარო, დრო და გარემო სწორად შეარჩიო და, რაც მთავარია, წაქცეულს „დახმარებისათვის" ყველაზე პირველი დაადგეთ თავზე ხელგაწვდილი; — მხოლოდ ხელი გაინვდინეთ — ეს თქვენი კეთილშობილებისა და სულგრძელობის სრულიად საკმარისი და საკმაოდ დამაჯერებელი პოზაა სხვათა თვალში, — ცბიერი აღშფოთებით უთანაგრძნეთ მარცხი და უმალ ზურგი აქციეთ... ამის შემდეგ შეგიძლიათ სრულიად მშვიდად იგრძნოთ თავი — თქვენი მოწინააღმდეგე მთლიანად განიარაღებულია თქვენთვის საშიში ამბიციისაგან: მისი თავმოყვარეობა საბოლოოდ შელახულია, პატივმოყვარეობა კი — დათრგუნული...

მეორენი ასე სჯიან: წაქცეულს არ სცემენ, მაგრამ თანასწორ პირობებში რატომ უნდა დავინდო სხვა?...

უმცირესნი თვლიან: თუ მარჯვენაში გაგარტყან, მარცხენა მიუშვირე და დაივიწყე, რომ ხელები გაქვს.

***25 იანვარი, 2000 წელი***

კარგი მკითხველის იშვიათობა კარგი წიგნების იშვიათობის ტოლია...

***29 იანვარი, 2000 წელი***

პერსონაჟებს ერთი უმთავრესი „ფუფუნება" აქვთ თავიანთ ავტორებთან შედარებით: ავტორები ერთხელ ჩნდებიან და ერთხელ კვდებიან ამქვეყნად, პერსონაჟები კი საუკუნეთა განმავლობაში ყოველი მკითხველის ხელში ხელახლა იბადებიან და ხელახლა იმეორებენ თავიანთ ცხოვრებას.

ეს არის დიდი წიგნების ჭეშმარიტი უკვდავება და ავტორთა ამქვეყნიური სასუფეველი...

***29 იანვარი, 2000 წელი***

და საბოლოოდ, ალბათ, ადამიანებს შორის ურთიერთგანსხვავება დამოკიდებულებათა და ღირებულებათა სფეროში იმაზე შეიძლება დავიყვანოთ, თუ რა ახსოვთ, ან არ ახსოვთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაზე ნათლად ან ყველაზე ნაკლებ ერთსა და იმავე სიტუაციიდან, ფაქტიდან და ა.შ.

*29 თებერვალი, 2000 წელი*

ღირებულებანი, რომლებიც ღირებულებით ტრადიციებს არ იცნობს, ყველაფერია, გარდა ღირებულებისა!

არსებითად, თანამედროვეობის სიმახინჯეცა და სამომავლო საფრთხეც ეს უიდეალო, ფუტურო ეგოიზმია და სხვა არაფერი.

*17 აგვისტო, 2000 წელი*

ფუჭი მცდელობა არ არსებობს; „ფუჭი" თავად შეიძლება აღმოჩნდე მცდელობაში.

*23 აგვისტო, 2000 წელი*

დამნაშავის ფსიქოლოგია ასეთია: სხვა დანაშაული ჩაიდინოს, რათა პირველი დამალოს; ეს პარადოქსული ქენჯნა სინდისისა საბოლოოდ აკანონებს თვითონ დანაშაულს, ხოლო „კანონიერი' ქმედებების მიმართ ადამიანს სინდისის ქენჯნა უკვე აღარა აქვს.

*11 თებერვალი, 2001 წელი*

ვინც დროის ფასი იცის, ე.ი. იცის საკუთარი თავის, სხვისი და იმ ღირებულებების ფასი, რომლებიც მასში სამყაროს ღირებულებით მსოფლხატს ქმნის.

ვინც ამ ცოდნის მატარებელია და გამტარებელი თავის ყოველდღიურობაში, ყოველ ნაბიჯზე უახლოვდება საკუთარ თავთან და სამყაროსთან სულიერი მთლიანობის ბედნიერებას და ადრე თუ გვიან იპოვის ამ ზიარების კონკრეტულ სიხარულს.

***მინაწერი:***

დროის განცდისა და მოხმარების კულტურა საკმაოდ მაღალი სულიერი კულტურაა.

ამ კულტურის ფლობა ნიშნავს ბედნიერების მრავალგზის პოვნის სიხარულს სიცოცხლის განცდის პერმანენტულ დინამიკაში...

*1 აპრილი, 2001 წელი*

შიში ყოველთვის შედეგია.

*25 აპრილი, 2001 წელი*

არის ისეთი შიში, რომელიც საჭიროა იმის დასტურად, რომ გწამს, გიყვარს.

ეს შიში მანძილია ჩემსა და სხვას, ჩემსა და საკუთარ თავს, ჩემსა და ღმერთს შორის. მაგრამ ერთი პარადოქსია აქ: რაც დიდია შიშის მანძილი, მით უფრო ახლო ხარ ღმერთთანაც, სხვასთანაც და საკუთარ თავთანაც, ხოლო რაც მცირე — მით უფრო შორს.

თუმცა ამ მანძილსაც აქვს დაახლოება-დაშორების თავისი მნიშვნელობითი ამპლიტუდა.

შიში ზენობრივ-სულიერი დონეა; მაგრამ:

გაუბედაობა-სიმხდალე;

სიმხდალე –სიმდაბლე.

*5 მაისი, 2001 წელი*

ურთიერთობასაც აქვს თავისი ტემპერატურა. საღი და ნორმალური ურთიერთობები ნორმალურ ტემპერატურაზეა შესაძლებელი მხოლოდ.

ხშირად მიაჩნიათ მაღალი ტემპერატურა ძლიერი გრძნობების ნიშანიაო.

არა, ბატონო! — მაღალი ტემპერატურა საერთოდ და ყოველთვის ავადმყოფობის ნიშანია;

ავადმყოფს კი სწორი დიაგნოზი და კარგი მკურნალობა სჭირდება.

*29 მაისი, 2001 წელი*

თუ გული მიგინვდება, ხელიც მიგინვდება!..

*17 ივნისი, 2001 წელი*

მჯერა: გულსა და გონებასაც აქვს თავისი გზაშესაყარი და ადამიანის ცხოვრების საზრისიც ამ კვეთილობის მიგნება უნდა იყოს, მგონია.

*30 ივნისი, 2001 წელი*

ადამიანი რომ სიმაღლეებზე (სულიერ სიმაღლეებზე) აიყვანო, ჯერ თვითონ უნდა იდგე მწვერვალზე ან შეუმცდარი გზა მაინც უნდა იცოდე იქეთკენ; გზა კი, ცხადია, იმან იცის, ვისაც ერთხელ მაინც გაუვლია იგი ბოლომდე.

***მინაწერი:***

ყველაფერი გზაზე იწყება და გზაზე გადაწყდება...

და იქნებ გზების ცოდნა იყოს ყველაზე დიდი ცოდნა ამ ქვეყანაზე.

...ხოლო ადამიანური ყოფა გზააბნეულთა და ცრუ მეგზურთა ცოდვის ტრიალია ოდითგანვე და სხვა არაფერი.

*15 აგვისტო, 2001 წელი*

სიკეთე სიბრძნეა.

თუმცა სოციალური თვალსაზრისით ეს გაგება ყოველთვის ბუნდოვანი და გაუგებარი იყო: ბრძენი უხსოვარი დროიდან იწოდა გიჟად, ხოლო სიბრძნე — სიგიჟედ.

მაგრამ იქ, სადაც ამაოების უფლებამოსილი მნიშვნელობა არაფრისმთქმელია, თვით ამასოფლის „ჭკვიანებსაც" უწევთ თავის „მოგიჟიანება" იმ ღირებულებათა წინაშე, რომლისაც სინამდვილეში არა გაეგებათ რა და მათი შინაგანი დისკომფორტისა და კომპლექსთა წყაროს წარმოადგენს სულის სიღრმეში.

მეტიც, ზოგი იმდენად ღრმად შედის „როლში", რომ ერთდროულად ორ კურდღელს იჭერს: თავსაც აჯერებს და სხვასაც (ზოგი წარმატებულადაც), რომ ამის გარეშე ცხოვრება, უბრალოდ, არ შეუძლია.

მოკლედ, სიკეთით (და საერთოდ, ყველაფრით) სპეკულაცია დივიდენდებს მხოლოდ ამოების ბაზარზე იძლევა.

მაგრამ პარადოქსია: ღირებულებათა ვაკუუმისა და კომფორტის ეპოქაში, რომელშიც სპეკულაცია ხელოვნებად ითვლება (თვით ხელოვნებაშიც კი...), რატომ არის „გიჟის" როლი ყველაზე საპატიო როლი და ეს ცრუ-ქველმოქმედება სასპეკულაციო საგანი სხვასა და საკუთარ თავს შორის? განა სპეკულაციის ამ მასობრივ ფერხულში ამ სანახაობას მაყურებელი შემორჩა?..

ისიც პარადოქსია, რომ თუ ერთი მხრივ, ამგვარი სპეკულაციები სულიერი დაცემულობისა და ტოტალური ბლეფის სავალალო ნიმუშებია, მეორე მხრივ, გადარჩენილი ღირებულებების და სულიერ ვალდებულებათა, ყოველ შემთხვევაში, რაღაც სულიერ მისწრაფებათა და კეთილი სურვილების სამაგალითოდაც გამოდგებიან.

გაუბრალოება, ალბათ, არცერთ დროში არ ყოფილა ისე ორაზროვანი, როგორც დღეს.

საშუალოება, რომელსაც ახლა ყველაფერში წამყვანი სიტყვა ეძლევა სამ რამეს ყოველ დროში იყო მოკლებული: ჭეშმარიტების სიმაღლეს, გულწრფელ აღტაცებას და აღშფოთების სიღრმეში დამარხულ გულშემატკივრობასა და პატიოსნებას.

ამ თვისებათა უქონლობა გაუბრალოებათა და გაუფასურებების წყარო იყო ყოველთვის. სხვაობა მხოლოდ ერთია: ეს წყარო დღეს განსაკუთრებულად წყალუხვია ყოველი რენეგატის ეგოისტური წყურვილის მოსაკლავად.

მთელი ჩვენი ყოფიერებაც პარადოქსია და ორაზროვანი. არაორაზროვანი პარადოქსი კი ჯერ არ მოუფიქრებია ბუნებას.

მაგრამ ერთი საერთო შეღავათი კი აქვს ამ ორაზროვნებას და თანამედროვე ადამიანს:

მზერის პოზიციის არჩევა ჩვენი დროის თავისუფლების აზრია, ამასთან პირადი პასუხისმგებლობაცა და მთელი ჩვენი ყოფიერების უთავბოლო შინაარსიც.

*5 სექტემბერი, 2001 წელი*

ბედი ის კი არ არის, რაც შეიძლება ცხოვრებაში ერთხელ დიდი ბედნიერების ან უბედურების სახით დაგემართოს, არამედ ის, რასაც ყოველდღიურობა გთავაზობს ერთფეროვნებისა და სიახლეების, სიხარულისა და მწუხარების ყოველდღიურ შინაარსში.

ამ გაგებით ადამიანებს ერთნაირი ბედი აქვთ; მხოლოდ სხვადასხვანაირად მორჩილებენ მას.

*13 ნოემბერი, 2001 წელი*

კაცი გაღმა თესავდა და გამოღმაც მოსავალს ელოდა: აქაოდა, თუ ერთგან ვთესავ, ყველგან მოვიმკიო.

ანდაზად თქმულა: რასაც დათესავ, იმას მოიმკიო;

ასევე: სადაც დათესავ, იქვე მოიმკი, სხვაგან ნურც მოითხოვ და ნურც ელიო.

*21 დეკემბერი, 2001 წელი*

სიმართლე ადვილია და ნათელი,

ტყუილი — რთული და ბნელი.

ცხოვრებაც, ალბათ, იმიტომ არის ასე რთული და ბუნდოვანი, რომ სიმართლეა ძალიან ცოტა.

*8 აპრილი, 2002 წელი*

უსინდისო ყოველთვის სხვისი სინდისიდან ანგარიშობს.

*20 ნოემბერი, 2002 წელი*

შეცდომის გამოსწორება არ ხდება. რაც მოხდა, მოხდა, და მას ვერაფერი შეცვლის. შეიძლება მხოლოდ მეორედ აღარ გაიმეორო უკვე ჩადენილი. თუმცა ეს ალბათ გულუბრყვილოთა ოპტიმიზმია, რადგან რაც ერთხელ ხდება, მეორედაც აუცილებლად მოხდება. ადამიანები ისევე არ იცვლებიან, როგორ ადამიანთა შორის სიტუაციები.

*20 ნოემბერი, 2002 წელი*

სულის ჭრილობებსაც ისეთივე თვისება აქვს, როგორც ახეულისას. ისიც ერთხანს მიყუჩდება, თითქოს შეხებაც კი გსიამოვნებს, როგორც ქავილი ნატკენისა, მერე საერთოდაც მიყუჩდება; მაგრამ ერთხელაც გაათკეცებული სიმძაფრით კვლავ შეგახსენებს თავს.

*20 ნოემბერი, 2002 წელი*

ჩვენს დროში ფულმა საარსებოს ნაცვლად სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა.

დღეს ფული ადამიანის კისერზე გამობმული ყულფია, რომელიც ფინანსური კრიზისის პირდაპირპროპორციულად ვიწროვდება: ასე რომ, კრიტიკულ ზღვარზე ჩამოხრჩობა გარდაუვალია.

*24 იანვარი, 2003 წელი*

არაფერი ისე არ ამძაფრებს (და იქნებ წარმოშობს კიდეც) გამარჯვების ენთუზიაზმს, როგორც დამარცხება.

ამიტომ დამარცხება გამარჯვების ყველაზე დიდი მეგობარია.

*15 ივლისი, 2003 წელი*

ერთადერთი, რაც სხვას არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დაუთმო, მორალური გამარჯვებაა.

*27 ნოემბერი, 2003 წელი*

ჩვენს იდეებს ცხოვრება მკაცრ გამოცდებს უწყობს:

იდეალისტები ამთავრებენ იმით, რითაც მატერიალისტები იწყებენ, და პირიქით...

*10 ნოემბერი, 2004 წელი*

ცხოვრება გვიჩვენებს, რომ იმარჯვებს არა ის, ვინც უფრო ძლიერია, უფრო ჭკვიანია, უფრო ღირსეულია და ა.შ., არამედ, ვისაც პოზიციები უჭირავს სწორად.

ე.ი. თუ ვინმე ჭკვიანი, ღირსეული ან ძლიერი იმარჯვებს, არა თავისთავად ამ თვისებების, არამედ პოზიციათა დროულად, სწორად და სათანადოდ შერჩევის გამო.

*25 ნოემბერი, 2004 წელი*

ბრმისთვის მზე არ ანათებს!...

*7 თებერვალი, 2005 წელი*

ცხოვრება მთელ თავის დრამატიზმს მაშინ ავლენს, როცა ადამიანის შინაგანი და გარეგანი სივრცეები ერთმანეთს არ ემთხვევა.

თუ შინაგანი სივრცე ჭარბობს გარეგანს, აქ დრამას შეიძლება ტრაგედიის პერსპექტივა ჰქონდეს.

თუ გარეგანი — შინაგანს, ეს ხშირად კომედიის საუკეთესო იმპულსია.

ცხოვრებაც ერთი დიდი ტრაგიკომიკური სანახაობაა, რომელშიც „შემოქმედებითი თავისუფლება" დრამატული კატალიზატორია წინასწარ განსაზღვრულ რეჟისურაში. იქ, სადაც ეს მომენტი არ არის, ყველაფერი მოსაწყენი და უმარილოა. ეს ერთადერთია, რის გამოც ღირდა თვალმიდევნება ამ მოსაწყენი მოქმედებისათვის.

...და ღმერთი არის ყველაზე დიდი მისტიკოს-დრამატურგი, ხოლო ქვეყნიერება დაუსაბამო და უსასრულო მისტიკური დრამატურგია...

*23 აგვისტო, 2005 წელი*

ადამიანი მოვალეა იზრუნოს როგორც ფიზიკური, ისე სულიერი, როგორც შინაგანი, ისე გარეგანი ჰიგიენისათვის.

თუმცა მეტისმეტი სტერილიზაცია იმუნიტეტს აქვეითებს.

*25 აგვისტო, 2005 წელი*

ადამიანთა ურთიერთობებში ასეთი პოზიციები შეიმჩნევა:

პირველთ მოსწონთ და შეუძლიათ სხვის წინ დგომა.

მეორეთ მოსწონთ და შეუძლიათ სხვის უკან დგომა.

მესამეთ მოსწონთ და შეუძლიათ სხვის გვერდით დგომა (უმცირესთ, რა თქმა უნდა...) და უმრავლესთ, მოსწონთ და შეუძლიათ სხვის თავზე ჯდომა

(ალბათ ამათ „სიმაღლეთა დაპყრობა" იტაცებთ და მუდმივად „ზევითკენ" მიტომაც მიისწრაფიან).

*დეკემბერი, 2006 წელი*

ადამიანები ამბობენ:

— ჩემი ოჯახი

— ჩემი მეგობარი

— ჩემი სამშობლო და ა.შ.

ამათში ორი კატეგორიაა:

ერთნი, რომლებიც ამ ორი სიტყვიდან პირველზე, მსაზღვრელზე, სიყვარულის სუბიექტზე აქცენტირებენ. და მეორენი, რომლებიც მეორეს — საზღვრულს, სიყვარულის ობიექტს უსვამენ ხაზს.

მხოლოდ პირველი ცარიელი ეგოიზმია, მხოლოდ მეორე — ცარიელი აბსტრაქცია.

ეს სიტყვები მხოლოდ ემოციურ-აზრობრივი ერთიანობის, - „ჩემში" „შენის" აღმოჩენის სულიერი მიგნებისას იძენს მნიშვნელობას და სულიერ საზრისს.

*იანვარი, 2006 წელი*

ოჯახი წმინდა ადგილია. აქ ტალახი არავის არ უნდა შემოატანინო; თუმცა მისი კარი ყველასთვის უნდა იყოს ღია.

შიგ შესულს ამ სიწმინდის ყველა საიდუმლოება და სიმაღლე უნდა გაუხსნა, თუ მოეწონა და ითვისა, ხომ კარგი მეგობარი შეგიძენია, თუ არადა, თვითონვე გაგეცლება და თავის მისამართს იპოვის სადმე.

*იანვარი, 2006 წელი*

ბევრი რამ არის ორაზროვანი ქართულ კულტურაში. მათ შორის ქართული სუფრა.

ერთი მხრივ, ეს არის წესრიგის, თავისუფლებისა და სიამოვნების საოცარი რიტუალი, თვითშთაგონების, განცდისა და განსჯის, - სიტყვის მისტერია, მეორე მხრივ კი, არშემდგარი იდილიის ინსცენირება, სიკეთის ფარსი, ლიტონი სიტყვა, სიცრუე და ბაქიობა...

თუმცა ყოფილა დრო, როცა ჩვენი წინაპრებისათვის სიტყვა საქმე იყო, ფიქრი გონებრივი აქტი, რომელიც ყოველთვის აღემატებოდა ფიზიკურ აქტს.

ე.ი. როცა მტერი გვესხმოდა, ვიბრძოდით, როცა არა — ვფიქრობდით(?!)

?! — სოციალური საზრუნავი მთლიანად გვერდავლილია. „რთულ ცხოვრების" უარმყოფელი ქართველი „მცირედითაც კმაყოფილია."

მგონი ქართული საბედისწერო ისტორიული დრამა მაშინ გათამაშდა, როცა ჩვენ მაგიერ სხვამ დაიწყო ფიქრი ჩვენი მშვიდობისა და „კარგადყოფნისათვის".

...და რა შეგვრჩა? — მხოლოდ ლიტონი სიტყვები და ცარიელი სადღეგრძელო!

*ანი იქნებ შევძლოთ ჩვენი საქმე ჩვენვე ჩავიბაროთ, მაგრამ სიტყვასა და საქმეს შორის ჯაჭვი ისე საბედისწეროდ ჩაწყდა, ვეჭვობ, იგი რამემ გაამრთელოს. ახლანდელ და აწინდელ „საქმეთა საგმიროთა" აღარა აქვთ ის ბალავარი, რასაც სიტყვა ერქვა, რაც მენტალური და საქმის ძალა იყო და არა უბრალოდ კომუნიკაციური საშუალება.*

*იქ, სადაც სიტყვა ასეთ მენტალურ ძალას არ ატარებს, არც სუფრაა და არც კულტურა, ესაა გაყალბებული ტრადიცია და დეგრადირებული კულტურის ინერცია, რომელშიც ნამდვილი ესთეტიკური ელემენტი და სიტყვისა და საქმის მთლიანობის ჭეშმარიტება გამოცლილია და დაკარგული!*

*თებერვალი, 2006 წელი*

შრომა ქმნის კულტურას, როგორც ეროვნულსა და საკაცობრიოს, ისე პიროვნულს.

კაცობრიობის ისტორია შრომისა და ბრძოლის ისტორიაა.

სანამ ადამიანისა და ბუნების ურთიერთობა ტექნიკურ-ინდუსტრიული ნოვაციებით გაშუალდებოდა, ბრძოლა შრომის ერთგვარი ფორმა იყო.

დღეს პირიქით, შრომა იქცა ბრძოლის სახედ. აი, თანამედროვე მსოფლიო რეალობა: პოლიტიკას მართავს ეკონომიკა, ე.ი. ბრძოლას იგებს შრომა.

ყველა კულტურულმა ქვეყანამ, რომელმაც თანამედროვე სამყაროში განვითარებულის სტატუსი შეიძინა, შინაგანად გაავლო მიჯნა თავის ისტორიაში ბრძოლისა და შრომის ეპოქათა შორის.

დღევანდელი გადასახედიდან საქართველოში ეს მიჯნა, ანუ ბრძოლის ეპოქის დასასრული, მე-18 საუკუნეში გაივლო. ჩვენი მარადიული ბრძოლის ისტორიული მიზეზი — თავისუფლება მშვიდობაზე გაიცვალა, დაიკარგა ისტორიული მოტივაცია ბრძოლისა, თუმცა დაგვრჩა არსებობა, რომელიც გადარჩენას მოითხოვდა. სამწუხაროდ, ახალი ცხოვრების წესის შექმნის საჭიროების გაცნობიერება ვერ მოხერხდა, რისი მიზეზიც იყო ის, რომ ტერიტორიათა გამუდმებული მითვისებისა და აგრესიის პირობებში ქართველები საბრძოლო ეგზალტაციიდან ვერ გამოვედით. მეტიც, ეს ასეა დღესაც. სახელმწიფოებრიობის მოშლის თითქმის ორსაუკუნოვანმა ისტორიამ კი თითქმის შთანთქა შრომის ეროვნული და საკაცობრიო როლის შეგნება.

ისტორიულად ჩამოყალიბებული ჩვენი ბრძოლის ყაიდაზე მოწყობილი ეროვნული ფიზიონომია მოიშალა და მოირღვა, შინაგანად გაიხრწნა და გადაგვარდა, სამწუხაროდ, ილიას „სხვა ვარსკვლავის", იგივე შრომის იდეის გათავისება დღესაც ჭირს.

შრომა შედეგია ფიქრისა და ნებისყოფისა, ორთავე კი მხოლოდ მაშინ აქტიურდება, როცა პიროვნებას (და მათ ერთობლიობაში ერს) აქვს მიზანი.

— რა არის ჩემი მიზანი? საით ვმოძრაობ? — აი, კითხვა, რომლის ირგვლივაც არის მხოლოდ შესაძლებელი პიროვნებისა და ქვეყნის კულტურული ფორმირება.

*20 ივლისი, 2006 წელი*

როდის მერე აღარ არის ადამიანი პირველყოფილი? ალბათ მას შემდეგ, რაც საკუთარ თავთან დიალოგი დაიწყო (ანუ დაკარგა პირველყოფილი იდილია სამყაროსთან). ამ გაგებით ადამიანთა დიდი ნაწილი ჯერაც არ გამოსულა ქვის ხანიდან.

ეს დიალოგი მოკლებულია ყოველგვარ სიამტკბილობით შინაარსს. მეტიც, იგი საწყისშივე წინააღმდეგობრივ, დაპირისპირებით მომენტს შეიცავს. ეს არის ერთგვარი კომუნიკაციური სისტემა „მე – მე", რომელშიც, ხშირ შემთხვევაში, ერთი მეორის მიმართ (თუ პირიქით) დიამეტრალურია, ვექტორული, ზოგჯერ წინააღმდეგობრივიც. ამგვარი დაპირისპირება იქცა ცივილიზაციის რაციონალურ და სულიერ იმპულსად. თვითონ შრომაც, რამაც შექმნა ცივილიზაცია, სწო-

რედ ამ იდილიის დასასრულსა და დიალოგის დასაწყისის (ბიბლიურად, სამოთხიდან გამოძევების) რეზულტატს მოასწავებს: ადამიანს სხვა გზა აღარ დარჩა, თუ არა დაკარგული იდილიის ნოსტალგიური რეფლექსია.

ამ დიალოგის დასასრული ეთიკური გაგებით ბედნიერების მიგნებაშია. ბედნიერი ადამიანი კი არ ფიქრობს, განიცდის. სამყაროსთან იდილიაც განცდების სფეროა და არა გან-სჯებისა.

*დიალოგი მოძრაობაა ბედნიერებისკენ.*

და ასეთ დროს დიალოგის სკეპტიკოსი ელემენტი ასრულებს თავის როლს და ტოვებს ასპარეზს ახალი როლის, ახალი საჭიროების გარდაუვალი მოლოდინით ამ ცვალებად სამყაროში.

*ცხოვრება დიალოგია, ბედნიერება კი დახანება ამ დიალოგებს შორის.*

*12 ივნისი, 2006 წელი*

მას შემდეგ, რაც სამყარომ ადამიანის თვალში იდუმალება დაკარგა (და ერთი ინტერნეტქსელის რეკლამის არ იყოს, დედამიწა ხელისგულზე დაიდო), გამოხატვის ტროპული იდუმალება იმპლიციტურით შეიცვალა; რაც იმას ნიშნავს, რომ ტექსტი (სამყარო) ღიაა ინტერპრეტაციისათვის.

ეს ეთიკურ-ესთეტიკური გადატრიალება, ცხადია, ადამიანთა ურთიერთობის სივრცეშიც შევიდა. მაგალითად:

*„მე შენ მიყვარხარ" დღეს თავის იმპლიციტურ საზრისში ნიშნავს „მე მძულს მარტოობა".*

და მე მგონია, რომ ამ ფრაზის (მე შენ მიყვარხარ) სიხშირესა და აქტუალობას თანამედროვე დასავლურ სიტყვათხმარებაში თავისთავად სიყვარული კი არა, მარტოობის შიში და სიძულვილი განსაზღვრავს.

უცნაურია, დღესაც და უწინაც, როცა „მე შენ მიყვარხარ" ნიშნავს იმას, რასაც უნდა ნიშნავდეს (ანუ გამოხატავს ექსპლიციტურად), მას, უბრალოდ, არ (ვერ, თუ ძნელად) ამბობენ ხოლმე...

*19 ნოემბერი, 2006 წელი*

თუ გინდა გადარჩე და თან დარჩე, უნდა შეძლო გენერირება, ანუ შინაგან ენერგიად გარდაქმნა ყველაფერი, რაც ირგვლივ ხდება.

ესაა ალბათ გადარჩენაცა და თვითდაბადებაც.

*18 მარტი, 2007 წელი*

ღმერთი იმდენად კეთილია, რომ სასწაულებს ჩვენივე ხელით ახდენს.

*18 ნოემბერი, 2007 წელი*

ე.წ. პროვინცია უკეთ აზროვნებს, რადგან „კულტურული გამოტვინება" ჯერ კიდევ წინა აქვს!

*10 ნოემბერი, 2007 წელი*

საბოლოო ანგარიშით, ადამიანები ერთმანეთისაგან მხოლოდ ერთი ნიშნით შეიძლება განვასხვავოთ: შრომისმოყვარეობითა და არაშრომისმოყვარეობით. ყველა სხვა თვისებით ადამიანები უფრო გვანან ერთმანეთს, ვიდრე განსხვავდებიან.

*10 ივნისი, 2007 წელი*

შესაძლებლობათა ზღვარი რომ დაადგინო, ამ ზღვარს უნდა გადახვიდე.

*28 აგვისტო, 2007 წელი*

ამ უკიდურესად ცვალებად და არასტაბილურ ყოველდღიურობაში ბედნიერია ის, ვისაც შეცდომებისა და დასვენების უფლება აქვს.

შეცდომის უფლება მხოლოდ ბავშვებსა აქვთ, დასვენების — მხოლოდ მკვდრებს.

იმათ იკითხონ, ვინც არც ერთია და არც მეორე!

*27 აგვისტო, 2007 წელი*

ასეა თუ ისე, ცხოვრება გვიჩვენებს, რომ საბოლოო ანგარიშით, ყოველი ადამიანი არის ის, რასაც აკეთებს, რასაც უქვემდებარებს თავის შინაგან არსებას.

*20 იანვარი, 2008 წელი*

თანამედროვე ინდივიდის პრობლემები გემოვნების, ესთეტიკის, საერთოდ, სულიერების სფეროში, საბოლოოდ თავს იყრის ყოველდღიურ ყოფაში ბუნებრივსა და ხელოვნურს შორის არჩევანის გაკეთებისას:

*ბუნებრივი თუ ხელოვნური კვება;*
*ბუნებრივი თუ ხელოვნური სილამაზე;*
*ბუნებრივი თუ ხელოვნური სიამოვნება...*

ამ მიმართებებში თითქოს უცხადესია, საითკენ შეიძლება იყოს გაკეთებული არჩევანი, ცხადია — ბუნებრივისაკენ, მაგრამ თანამედროვე პოსტინდუსტრიულ სამყაროში, რომელშიც ამ არჩევანის სისწორესა და კეთილშობილებას ყოველთვის ფული ვერ უზრუნველყოფს (როგორც ეს შეიძლება კვების საკითხში მოხდეს), ვეჭვობ, იმ გრძნობათა ატროფირება მოხდა, რომელიც ბუნებრივსა და ხელოვნურს შორის არსებულ სხვაობაზე რეაგირებს.

თან ისე მაღალტექნიკურად ხდება იმიტირება ყოველგვარი ბუნებრიობისა, რომ მხოლოდ თვალით მოაზროვნე ადამიანისათვის სრულიად გაუგებარია ამ დაპირისპირების შინაარსი.

შევთანხმდით, რომ მოთხოვნა ამართლებს ამა თუ იმ მოვლენის არსებობას. (ჩვენ ხომ საბაზრო ურთიერთობათა ეპოქაში ვცხოვრობთ!), მაგრამ როცა ბუნებრივ სიამოვნებათა, ანუ ფსიქო-ბიოლოგიური აღქმის დეგრადირება საყოველთაო რეზულტატი გახდა, მგონი, დაფიქრება ღირს.

ნარკომანიაც სწორედ ამ რეზულტატს წარმოადგენს: ეს არის ადამიანის მიერ ღმერთისაგან და ბუნებისაგან დაშორების სავალალო შედეგი — გაუცხოებული და მარტოსული ადამიანის იმიტაცია ადამიანისათვის დამახასიათებელი ყველა იმ თვისებისა, რომელსაც ის ბუნებრივად უნდა ატარებდეს, ყველაფერი „ვითომ" და არაფერი „მართლა", ილუზია არსებობისა და თვით სიამოვნებისაც კი, და არა რეალური არსებობა.

*25 იანვარი, 2008 წელი*

რომ იპოვო, უნდა დაკარგო;
და კარგავს ის, ვისაც აქვს.

დაკარგვის შემდეგ ყველა მოძრაობა, — თვით ყველაზე ჩვეულებრივიც, — არის მოძრაობა პოვნისაკენ.

*26 იანვარი, 2008 წელი*

**დასასრული შემდეგ ნომერში**

ანდრე ვიურმსერი

# ალალმართალი

ამობურცულ ეკრანზე გრძელთმიანი ვაჟი, რომელიც ძალიან ჰგავდა მოკლეთმიან მომღერალ ქალს, ძლივსგასაგონად, მონოტონურად მღეროდა. ბიჭი ელოდა და ძალიან ღელავდა. როგორ უნდოდა, მისთვის ამ არაჩვეულებრივ დღეს ყველასგან მეტი ყურადღება ეგრძნო. დედა კი დროდადრო გამოსძახებდა სამზარეულოდან: „რაო, ჯერ არ მოვიდა შენი ჯერი?“ ისიც — „არა, დე“. ლამაზმა ქალმა ეკრანიდან თვალებში ჩახედა, გულთბილად გაუღიმა და დაიწყო: „დღესაც, როგორც ყოველ სამშაბათს, ნახავთ სამ ეპიზოდს გადაცემისას „ჭეშმარიტების მღალადებელი ბაგენი“. ეს გახლავთ ექსპერიმენტი, რომელიც მოამზადეს“...

— დე, მოდი!

დედა სამზარეულოდან გამოვიდა. თან გზადაგზა წინსაფარზე იწმენდდა ხელებს. მათი მეზობელი ალბერიც შემოვიდა, — ტელევიზორი არ გააჩნდა, — და დედას სკამთან რაც შეიძლება ახლოს დადგა თავისი სკამი.

ცოტა არ იყოს, ერცხვინებოდა ბიჭს, იმ სიცრუეში რომ მონაწილეობდა, ახლა რომ უნდა ენახათ. ამათ ხომ არაფერი იციან არც იმ ჯანდაბურ აპარატებზე, არც მოფუსფუსე ხალხზე. კედელს მიყრდნობილი იდგა. ირგვლივ კი ურჩხულები ეხვია, ისეთივეები, როგორიც ფლამბოსთან ენახა გოლიათებზე დაწერილი წიგნის ყდაზე. ასეთ ურჩხულს ალბათ აღმოაჩენენ ოდესმე სხვა პლანეტებზეც — სამ გადახლართულ ფეხზე მდგომს, რაღაც ნაწლავებგამობმული ერთადერთი თვალი რომ უელავს. ურჩხულის უკან უამრავი ტელევიზორია, როგორც მაღაზიაში. როცა ბიჭი ჩაფიქრდებოდა და ენას ტუჩებზე მოისვამდა ან გაიცინებდა, მისი ენა და კბილები ყველა ეკრანზე ერთდროულად გამოჩნდებოდა ხოლმე. იცოდა, რომ ამ საღამოს ყველა დაინახავდა; იმ სოფელშიც, სადაც ფლამბოსთან გაიზარდა, კანტალში, ავსტრალიაშიც, ამერიკაშიც, პოლონეთშიც კი, სადაც ევა ცხოვრობს.

მაგრამ ვერცერთმა ეკრანმა ვერ დაინახა ის ტკბილხმიანი ეშმაკუნა, რომელიც თითქოსდა ცალთვალა ციკლოპებს უკან ჩასაფრებული ეჩურჩულებოდა: „ყურადღებით! ფრთხილად იყავი!“

„ეს ამ ჟანრის დიდი წარმატებაა“... გადაცემამდე, ან, უფრო ზუსტად, გამოკითხვამდე, დიქტორი უამბობდა მაყურებელს, რა პირობებში ჩამოყალიბდნენ ეს ნორჩი არსებები, რაც იმ პიესებს აგონებდა, შესავალში ავტორი რომ წერს: „სცენა წარმოადგენს“...

...შევჩერდეთ პირველზე. თქვენ ხედავთ ხარაჩოებს. სწორედ ასეთიდან გადმოაგდო მამამისი ბედისწერამ. აი, ის სოფელიც, სადაც დაობლებული ბიჭის ბავშვობამ გაიარა. სკოლა, სადაც პაპამისი მასწავლებლობდა, ლუი XIII-ს სტილის ციხე-კოშკი, 1973 წელს აშენებული, თანამედროვე ფერმები და პარიზი, სადაც ახლა ცხოვრობს დედასთან, ლითონის ნაკეთობათა სახელოსნოს მუშასთან ერთად. აი, მათი ოროთახიანი ბინაც, სამზარეულო. ყველაფერი უბრალოა, სადა, საპატიო ადგილზე — ტელევიზორი.

ახლა ეკრანზე მსხვილი პლანით ჩანს ბიჭი, სერიოზული, ცოტა შეცბუნებული, რომელიც გაღიმებას ცდილობს, — უკვე აღარც ბავშვი და ჯერ არც ყმაწვილი. იმ ხნისა, ჩვენი ბებიები რომ იტყოდნენ, „ფერს იცვლის, გაუშნოების ასაკიაო“.

— რა გქვია? რამდენი წლისა ხარ? — ეკითხება უხილავი წამყვანი. ბიჭის პასუხი არც თამამია და არც დარცხვენილი. თვალმოუშორებლად უყურებს წერტილს, რომელიც გადაღების დაწყებამდე აჩვენეს. მაყურებელს კი ეჩვენება, თვალებში შემომცქერისო.

— მამაშენი ხომ არასოდეს გინახავს, როდისმე ფიქრობ ხოლმე მასზე? ოღონდ მართალი მითხარი.

— მამაჩემი ხარაჩოებიდან ჩამოვარდა. გამიგონია, რომ ღონიერი იყო და არაფრისა ეშინოდა. მაშინ პატარა ვიყავი და არ მახსოვს. მარტო სურათზე მინახავს. — საგარეოდ გამოწყობილი მუშის ფიგურა ფარავს მთელ ეკრანს. ბავშვი კი განაგრძობს, მაყურებელს გული ეკუმშება. — ამიტომაც არ მაგონდება. აი, რომ მახსოვდეს...

— დიდი ხანია ცხოვრობ პარიზში? სად უფრო მოგწონს, სოფელში თუ პარიზში?

— პარიზში, — უყოყმანოდ პასუხობს ბიჭი.

— რატომ?

ბიჭს გაეცინა. ეს ხომ თავისთავად ცხადია.

— რატომ და იმიტომ, რომ აქ ბევრი ხალხია, ახლა მეტი ძმაკაცი, უკაცრავად, მეგობარი მყავს. შემიძლია წავიდე კინოში, თეატრში ან მუზეუმში. სოფელში ხომ ეს ყველაფერი არ არის?!

— გვიამბე, როგორ სწავლობ?! სკოლა გიყვარს თუ არა?

— დიახ, ძალიან მიყვარს. — ერთი წამით დაფიქრდა, გამშრალი ტუჩები მოილოკა, — განსაკუთრებით ფრანგული და ისტორია.

— შენი ყველაზე სასიამოვნო მოგონება? არ იჩქარო, დაფიქრდი. რომელი იყო ყველაზე ბედნიერი დღე შენს ცხოვრებაში? — უნდა იფიქროს. პასუხს არ ჩქარობს. მოთმინებით ელის პირობით ნიშანს. მაგრამ, როგორც ჩანს, ამაო სიფრთხილეა. საჭირო მომენტში ბიჭს სახე უნათდება და — მაყურებელსაც.

— როცა გავიგე, რომ ტელევიზორში გამოვჩნდებოდი.

— ახლა, — წამყვანი ძალიან სერიოზული ხდება, — მითხარი, დარდი თუ გქონია რაიმე? უბედურად თუ გიგრძვნია თავი?

ბიჭმა წამწამები დახარა და ჩვენ ყველა უხერხულად ვგრძნობ თავს, ასე დაუკითხავად რომ იჭრებიან ბავშვის სულში. მაგრამ, აი, ჩვენდა სასიხარულოდ, ბავშვს ისევ ფართოდა აქვს გახელილი თვალები, პირდაპირ გვიყურებს, ხმა ცოტა უთრთის, თითქოს ეშინია, რომ სწორად ვერ გაუგებენ, ან გაკიცხავენ, თითქოს მოგონება გულს სტკენს.

— როცა მითხრეს, პაპა გარდაიცვალაო. პაპამ მასწავლა კითხვა, ანგარიში, საათის ცნობა. მთელი დღე ფეხბურთს ვთამაშობდი და არ მიფიქრია, რომ ველარ ვნახავდი, თორემ... მაგრამ, როცა დედამ ყველაფერი მითხრა...

— შენ რა, იტირე?

ბიჭი ნაღვლიანად იქნევს თავს და თვალს გვარიდებს. შეუძლებელია გული არ აგიჩუყოს ამ გულწრფელობამ.

— მითხარი, ძალიან გიყვარს დედა?

— დიახ, ძალიან.

— როდის უფრო ხშირად ფიქრობ დედაზე, როცა წვები? რომელ კაბაში უფრო მოგწონს? დედაშენზე ლამაზს თუ იცნობ ვინმეს?

— რა თქმა უნდა, არა.

ამ სიტყვებში ბავშვის სული და გული იგრძნობა. — დედაჩემი, — ამბობს ბიჭი და თვალები უციმციმებს, — ყველაზე ლამაზია, როცა ცისფერყვავილებიანი კაბა აცვია.

შემდეგი კითხვა სრულიად გაუგებარია მისთვის:

— თუ გქონია როდისმე ვინმეს მოკვლის სურვილი?

ბავშვს მომხიბვლელი დაბნეულობა აღებეჭდა სახეზე. ბუტბუტებს შეძრწუნებული, რომ ამისთანა კითხვაზე უხდება პასუხის გაცემა.

— ოჰ, არა, ბატონო, კატასაც კი ვერ მოვკლავ!

— ვინ გინდა იყო, როცა გაიზრდები?

ბავშვმა ნერწყვი გადაყლაპა. ნელ-ნელა დამშვიდდა.

— მეც სახლებს ავაშენებ.

— სახლებს სხვადასხვა ხალხი აშენებს, შენ ვინ გინდა გახდე, არქიტექტორი? კალატოზი?

ბიჭს მტკიცე გადაწყვეტილება აწერია სახეზე, გამომწვევად იყურება:

— კალატოზი ვიქნები მამაჩემივით.

დიქტორს უფრო შემპარავი უხდება ხმა:

— როგორ სიზმრებს ხედავ, კარგს თუ საშიშს?

ბიჭი დუმს. ეს აკრძალული ზონაა.

— სიზმრებს არ ვხედავ.

მაგრამ ჩვეული გულწრფელობა იმარჯვებს და დამნაშავესავით იღიმება:

— მხოლოდ ხანდახან, ღამე, როგორც ყველა.



მხატვარი ნინო ჩაბაშვილი

სასაცილოა, მაგრამ მისი თანამოსაუბრე სერიოზულობას ინარჩუნებს.

— რომელიმე სასაცილო სიზმარი მიამბე, რა ნახე ბოლოს?

— აი...

კამერა უკან მიგორავს. ცარიელ სივრცეში დაკარგულივით დარჩენილი ბავშვი ჩანს, რომლის კონტურებიც და ფერებიც ბუნდოვანი ხდება. მერე კამერა ელვისებურად უახლოვდება ბიჭს და დიდად ვხედავთ მას. უკან კი თითქოს სიზმრის ზღაპრული სამყარო ლივლივებს.

— რომელიღაც აგურის ციხე-კოშკიდან გამოვედი, კუთხეები ჰქონდა მხოლოდ ქვისა. კოშკის უკან შუშის სახურავი იყო, წინ კი დუმფარებიანი ტბორი, როგორც კინოში. ორი გედი პაწაწინა იალქნიანი გემივით დასრიალებდა ტიუილრის ბაღის აუზში. უცებ ზანზალაკების წკრიალი მომესმა...

— შენი ქორწილი ხომ არ იყო?

ბიჭმა გადაიკისკისა.

— რას ბრძანებთ, მე ჯერ პატარა ვარ.

— სიზმარში?

ბიჭი, ცოტა არ იყოს, შეცბუნდა.

— არ ვიცი, ისტორიის წიგნში რომ ხატია, იმ მარკიზივით მეცვა...

ბიჭი ჩუმდება. ტელევიზიაში ბგერა არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე გამოსახულება. დუმილი აქ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ცხოვრებაში.

— მერე? — აღარ ეშვება ხმა.

— მერე მორჩა, ბატონო...

* * *

— რა გქვია? რამდენი წლისა ხარ?

„თითქოს საკონტროლოს წერ... ადგილების სახელწოდებებს გეკითხებიან, წლებს, უნდა უპასუხო, რაც ისწავლა, ისე უნდა უპასუხო, როგორც ელიან. მაშინ იტყვიან, დამჯერია, პირველი მოწაფეაო, და ჯილდო, ან იქნებ მედალიც კი მომცენ. მასწავლებელი, დედა, ჩემი პარიზელი ძმაკაცები, ევა თავის პოლონეთში, ამერიკელები და ავსტრიელები, ყველანი შემაფასებენ.

— ხომ არასოდეს გინახავს მამაშენი? ფიქრობ როდისმე მასზე? ოღონდ მართალი თქვი.

„მამაჩემი მოკვდა და ახლა ის მხოლოდ ჩემია. ვერავინ ვერ წამართმევს. ისე მელაპარაკება, როგორც მინდა, რომ ყველანი მელაპარაკებოდნენ. თურმე ძალიან ვგავარ. ახლა, როცა ფლამბოც მოკვდა, აღარავის აგონდება. ხარაჩოები იმიტომ ჩამოიქცა, რომ მეპატრონე ძალიან ძუნწი იყო. ფლამბო ამბობდა ხოლმე, ეს ბოროტმოქმედებააო, მაგრამ თვალებში შიში უკრთოდა. დედას შეიძლება უსიამოვნება შეხვდეს. ისინი ხომ ჩვენზე ძლიერები არიან. შეიძლება პენსია მოუხსნან და ჩემი ბრალი იქნება. ტელევიზორი დადუმდება. ჩემს თავსაც ველარ დავინახავ. ველარც მასწავლებელი დამინახავს, ვერც დედა და ვერც ძმაკაცები“...

— მამაჩემი ხარაჩოებიდან ჩამოვარდა, გამიგონია, რომ ღონიერი იყო და არაფრის ეშინოდა. მაშინ პატარა ვიყავი და არ მახსოვს. მარტო სურათზე მინახავს...

— შენ დიდხანს ცხოვრობდი სოფელში. სად უფრო მოგწონს, სოფელში თუ პარიზში?

— პარიზში.

— რატომ?

„სხვა რა გზა მქონდა, ვიეშმაკე — პარიზში-მეთქი, იმიტომ, რომ პარიზი საფრანგეთის დედაქალაქია, სოფელი კი ათასია და ყველამ იცის, რომ სოფლიდან პარიზში მორბიან. პარიზიდან სოფელში კი არავინ მიდის საცხოვრებლად“.

— რატომ და იმიტომ...

„აგვიხსენით, რატომ გირჩევნიათ პარიზი...“

როგორც საკონტროლოში, აქაც არშეიძლება რაიმე შეგეშალოს. ცუდი სიტყვა არ უნდა წამოგცდეს და ისე უნდა თქვა, როგორც მასწავლებელს უნდა.

— ...აქ ბევრი ხალხია. ახლა მეტი ძმაკაცი, უკაცრავად, მეგობარი მყავს. შემიძლია წავიდე კინოში, თეატრში ან მუზეუმში. სოფელში ხომ ეს ყველაფერი არ არის. „წავიდე თეატრში“ — ფეხიც არ დამიდგამს არასოდეს. მუზეუმშიც ერთხელ ვიყავი, ლუვრში, როცა ფლამბო ჩამოვიდა პარიზში“.

— გვიამბე, როგორ სწავლობ, სკოლა გიყვარს თუ არა?

— დიახ, ძალიან მიყვარს.

„კაი ბიჭი ხარ და თქვი, არ მიყვარსო. აი, მაშინ მოგხვდებოდა შინაც და სკოლაშიც. ნეტავ რისთვის გვეკითხებიან, რაც ისედაც ყველამ იცის? სკოლა მიყვარს — არაფერს ნიშნავს. გააჩნია, რას გავიხსენებ, რომელ საგანს, რომელ კლასს, რომელ მასწავლებელს“...

— ყველაზე მეტად ფრანგული და ისტორია.

— შენი ყველაზე სასიამოვნო მოგონება? არ იჩქარო, დაფიქრდი.

„მაგას რა მოფიქრება უნდა? მე და ფლამბო მივდივართ. მე მისი კოჟრებიანი, ბებერი ხის ფესვივით ხელი მიჭირავს. ევასთან მივდივართ. ციხე-კოშკში, სადაც მამამისი მებაღედ მუშაობს. ციხე-დარბაზი ახალი აშენებულია, სულ არა ჰგავს სენიორებისდროინდელ სასახლეს. მის პატრონს ფლამბო ფულიან ბობოლას ეძახდა. ეს გვარი კი არ იყო მისი! ეგენი ყველანი ბობოლები არიანო, უყვარდა ხოლმე თქმა ფლამბოს. ზამთრობით სასახლეში საბავშვო მეჯლისს აწყობდნენ, სპექტაკლს დგამდნენ. იმ წელს ყველა მსახიობს მარკიზივით ეცვა. მე და ევა დავიმალეთ. თოვლი მოდიოდა, პარკში გავცვივდით. იქ ერთმანეთისთვის არაფერი გვითქვამს, ოლონდ ხელიხელჩაკიდებულები დავბრუნდით. ახალდაჭერილი თევზივით ჰქონდა ხელი, მაგრად უნდა დაგეჭირა.

მერე კიდევ დავრჩით მე და ევა მარტო, ფლამბოს ფეხი რომ ამოუვარდა. ერთად დავდიოდით სასახლიდან სკოლაში. დიდხანს ვიწვალე, ვიდრე ვეტყოდი, „მეც ძალიან მიყვარხარ“, წაიჩურჩულა თვალებდახრილმა. სიხარულისგან თავგზა ამებნა. ჯოხით თავთავებს თავები დავაყრევინე. მერე ბაბუაწვერა მივაწოდე: „აჰა, შეუბერე, — გახსოვს ლექსიკონის ყდაზე?“* შეუბერა, მაგრამ ისე მაგრად, რომ ხელში ღეროლა შემრჩა. დაგვეწანა ყვავილი. ხელი ჩავკიდეთ და წავედით. ხმა არ ამოგვიღია. არც კი შეგვიხედავს ერთმანეთისთვის. სკოლასთან რომ მივედით, მაშინლა შევხედე. ახლა თუ ვეტყოდით ერთმანეთს რამეს. გამიღიმა. მინდოდა მეყვირა, მადლობა გადამეხადა, მაგრამ მომაგონდა, მამაკაცი რომ ვიყავი, შემრცხვა და მარტო გავუღიმე“.

— რომელი იყო ყველაზე ბედნიერი დღე შენს ცხოვრებაში?

„რომელი ვუთხრა? იქ, პოლონეთში, ევაც მიყურებს. იქნებ ეს ერთადერთი შემთხვევაა ცხოვრებაში, ვუთხრა, რაც მინდა, მაგრამ ამაზე ლაპარაკი ყველას გასაგონად როგორ შემიძლია? ხომ ამერიკელები და ავსტრალიელებიც გაიგებენ და დამცინებენ? ჰო, ასე ვიტყვი, „როცა გავიგე, რომ ტელევიზორში გამოვჩნდები-მეთქი“, ეს ყველას მოეწონება და კმაყოფილი დარჩება.“

— ახლა გვითხარი, დარდი თუ გქონია რაიმე? უბედურად თუ გიგრძვნია თავი?

„თვალები სად დავმალო, აღარ ვიცი, ნეტავი არ მიხვდნენ!.. ამაზე ლაპარაკი როგორ შეიძლება! ლაფონტენსაც არაფერი უწერია ამაზე იგავებში და არც სხვა წიგნებში წამიკითხავს. მაშინ ჩემი ბრალი სულაც არ იყო. მუცელი ხშირად მიბუყბუყებდა, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდი. უჩუმრად, ათასჯერ გამიფუჭებია ჰაერი. იმ დღეს კი მკვახე ვაშლით გავსკდი. მაშინვე მივხვდი, რომ ყველა გაიგებდა, რაც მომიხდა, გაკვეთილების ბოლომდე კი ორი საათი იყო კიდევ. პირველმა ლიუსიენმა იგრძნო და აჩურჩულდა: „ვინ იყო!..“ ყურები ამიწითლდა და ამეწვა. ვაი, სირცხვილო! ჩემი ხნისას!.. შინ გამიშვეს. ვცდილობდი ახლოს არავისთან გამევლო, მეგონა, ყველანი გრძნობდნენ სუნს. იმ დღეს ძალიან მინდოდა მოვმკვდარიყავი. მაგრამ, რალაც ხომ უნდა ვუპასუხო? ამას ხომ ვერ ვეტყვი?!“

— როცა მითხრეს, პაპა გარდაიცვალაო.

„როგორ არ სცხვენიათ, ტყუილებს რომ მალაპარაკებენ? ალბათ მიხვდნენ. პაპა მისთვის არასოდეს დამიძახია. თვითონ უნდოდა, ფლამბო დამეძახა. იტყოდა ხოლმე: „ფლამბო როცა აღარ იქნება“... და, აი, აკი აღარც არის. დედამ წერილი ხუთშაბათს დილით მიიღო. მესმოდა, ალბერს, მეზობელს რომ უამბობდა, მაგრამ მეკარედ ვიდექი და თავი მოვიკატუნე, ვითომ არაფერი გამიგია. მატჩის დროს ფლამბოზე არც მიფიქრია. არც თამაშის მერე მომგონებია. ვლაპარაკობდი, ვიცინოდი, როგორც ყველა. მე ხომ ვიცოდი, რომ წუთითაც არ დამვიწყნია ის საშინელება, რაც უკვე ვიცოდი“.

— პაპამ მასწავლა კითხვა: ხარი, ბელურა, ბატი, კოდალა. ოთხივე არითმეტიკული მოქმედება მასწავლა...

„მთელი დღე ფეხბურთს ვთამაშობდი და არ მიფიქრია, რომ ველარასოდეს ვნახავდი პაპას, თორემ...“

— ...მაგრამ როცა დედამ ყველაფერი მითხრა...

— ძალიან ტიროდი?

„თავს ვიქნევ, თვალს ვარიდებ. მაპატიე, ფლამბო, ვიტირე. მართლა. და ხშირადაც მაგონდები, მაგრამ ამაზე არავის ველაპარაკები და არც თუ ძალიან ხშირად ვფიქრობ“.

— მითხარი, ძალიან გიყვარს დედა?

— დიახ, ძალიან!

„ეგლა მაკლია, „არა“ ვუთხრა. ან კი, რატომ უნდა ვუთხრა „არა“?

— როდის უფრო ხშირად ფიქრობ დედაზე? როცა წვები? რომელ კაბაში უფრო მოგწონს? დედაშენზე ლამაზს თუ იცნობ ვინმეს?

„რა თქმა უნდა, ყველაზე ლამაზი არ არის. აი, ლუსიენის დედა ლამაზია, ძალიან ლამაზი. იოს დედა ელამია და ცოტა კოჭლიც. დედაჩემი არც ლამაზია და არც მახინჯი. უბრალოდ, დედაა. როცა დავინახე, რომ უხაროდა ახალი, ცისფერყვავილებიანი თეთრი კაბა, როგორ ათვალიერებდა თავის ანარეკლს კარადის სარკეში, მაშინვე მივხვდი, რომ მე ტვირთად ვაწექი და გავიფიქრე, ჩემი თავი ჯანდაბას, ოლონდ ალბერს, ჩვენს მეზობელს მოეწონოს-მეთქი. ახლა ხომ ვერ ვიტყვი ამას, ორივე გაიგებს...“

— დედა ყველაზე ლამაზია, როცა ცისფერყვავილებიანი თეთრი კაბა აცვია.

როგორც უნდოდა, ისე გამოვიდა. ბიჭს ესმოდა, როგორ კისკისებდა დედამისი, თითქოს ვილაცამ დაუღუტუნაო.

— უსმინეთ, უსმინეთ, — აკრიახდა. ალბერს მიმართავდა, გვერდით რომ მისკუპებოდა, შვილს თუ იქნებ საკუთარ თავსაც. — უსმინეთ, რეებს ლაპარაკობს...

— თუ გქონია როდისმე ვინმეს მოკვლის სურვილი?

„განა ვინმეს შეუძლია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა? ეგ ხომ ეშმაკის საქმეა. იქნებ ახლაც კია ჩასაფრებული იმ ურ-

*** ლარუსის ლექსიკონები, იგულისხმება — გოგონა ბაბუაწვერათი.**

ჩხულის უკან, პირდაპირ რომ უნდა ვუყურო. რაც უნდა იყოს, გავიცინებ".

— ო, არა, ბატონო, კატასაც კი ვერ მოვკლავ.

„ახლა ვამბობ ასე, თორემ, როცა დავინახე, ალბერმა კინალამ რომ დაახრჩო, ისე გადაეხვია, რაც ძალი და ღონე ჰქონდა! იმ წუთში დანა რომ მქონოდა... უჰ! დედას სუნთქვა შეეკრა, თითქოს დიდხანს მორბოდაო. „ჩუმად იყავი, კარი"... პირველად მაშინ გავიგე, „შენობით" რომ მიმართა".

— ვინ გინდა იყო, როცა გაიზრდები?

„ეშმაკმა დალახვროს, ხომ უკვე ვიცი, რომ ვიმუშავებ. ყოველდღე ამას ჩამჩიჩინებენ. მე კი მინდა, მდიდარი ვიყო. ძალიან მდიდარი. სპორტული მანქანაც მეყოლება მაშინ და საკუთარი თვითმფრინავიც. დედა პოლონეთიდან გამოიწერდა მებაღეს, და, თუ მოუნდებოდა, ალბერს მაჟორდომადაც დანიშნავდა. რა კარგი იქნებოდა... ლივრეა ეცმეოდა... ტბაც მექნებოდა, ყვავილებით მოფენილი. ყვავილები ყოველთვის გაშლილი იქნებოდა და გედებიც ისრიალებდნენ. ზამთარში ციგურებით ვიქროლებდი, ზაფხულში კი იახტით. მზის გულზე გავშავდებოდი. ევა ჩემი ცოლი გახდებოდა, ან, რაკი მდიდარი ვიქნებოდი, სხვა ვინმე, ჩემზე უფრო მდიდარი. ჩემი ქორწილის დღისთვის ეკლესიას ავაშენებდი. ფლამბოს მღვდლები არ უყვარდა, მაგრამ მდიდარი კაცი ისე ხომ ვერ დაქორწინდება, მარტო მერიაში. ოღონდ ეს ყველაფერი რომ შესრულდეს, ქურდი უნდა გავხდე. ეჰ, ამათ ხომ ვერ ავუხსნი ყველაფერს".

— მეც სახლებს ავაშენებ.

— სახლებს სხვადასხვა ხალხი აშენებს. ვინ გინდა გახდე, არქიტექტორი? კალატოზი?

„აი, რეგვენი! კალატოზის შვილი ბევრი უნახავს არქიტექტორი?"

— კალატოზი ვიქნები, მამაჩემივით.

— როგორ სიზმრებს ხედავ, კარგს თუ საშიშს?

„კიდევ კარგი, არც ისე იოლია ჩემი გაბრიყვება! რომ დავაღო პირი და ვუამბო ყველას, ავსტრალიელებსაც და ამერიკელებსაც, რა კუნძულები აღმომიჩენია და სახელებიც მევე დამირქმევია; ბრძოლებზე, რომლებიც მომიგია, პრინცესებზე, ცოლად რომ შემირთავს, რამდენჯერ გმირულად დავცემულვარ ბრძოლის ველზე პოლონეთისთვის, ევას გულისთვის, — საგიჟეთში ჩამსვამდნენ".

— სიზმრებს არ ვხედავ.

„თუ არ სჯერათ, დამიმტკიცონ, რომ ასე არაა. მართალია, ღამე დედა მეკითხება-ხოლმე, „ძილში ვის ელაპარაკები?" თავზე ზეწარწაფარებულს რამდენჯერ მიტირია ჩემი სიზმრების გამო. მაგრამ ეს ხომ არავინ იცის! ამათ კი ასე ვეტყვი:

— მხოლოდ ხანდახან, ღამე, როგორც ყველა.

მაინც გავები.

— რომელიმე სიზმარი მიამბე.

„ღამის სიზმარს არა უშავს, არც ისე საშიშია".

— რომელიღაც აგურის ციხე-კოშკიდან გამოვედი, კედლები ჰქონდა მხოლოდ ქვისა. კოშკის უკან შუშის სახურავი იყო, წინ კი დუმფარებიანი ტბორი... „ნეტავ ზედმეტი არაფერი წამოვროშო!" როგორც კინოში. ორი გედი ისე დასრიალებდა, როგორც პაწაწინა იალქნიანი გემები ტიუილრის ბაღის აუზში. უცებ ზანზალაკების წკრიალი მომესმა...

— შენი ქორწილი ხომ არ იყო?

„ახლა ხომ ხვდები, უნდა გაიცინო, ჩქარა!"

— რას ბრძანებთ, მე ჯერ პატარა ვარ.

— სიზმარში?

„ფრთხილად, ჭკუით იყავი!"

— არ ვიცი, ისტორიის წიგნში რომ ხატია, იმ მარკიზივით მეცვა...

„ახლა უნდა გავჩუმდე, ასე სჯობს. გავჩუმდე, თორემ ყველაფერს მიხვდებიან".

— მერე?

— მერე მორჩა, ბატონო.

„ესეც ასე. ახლა სხვისი ჯერია. მეორე უფრო დიდხანს ლაპარაკობს და ყველა ხვდება, რომ არაფერს მალავს. ამბობს სიმართლეს, მხოლოდ სიმართლეს, არაფერს სიმართლის გარდა — გეფიცებით".

**ფრანგულიდან თარგმნა**
**ლია დარაშვილმა**

## ჩვენი ფოსტა

ბატონო როსტომ,

ახლახან თქვენს ჟურნალში (24) ამოვიკითხე: არაბული ენის მოვლა-პატრონობის „სათავეში ძირითადად დგანან კაიროს, დამასკოს, ბაღდადის არაბული ენის აკადემიები, ბეირუთის ამერიკული უნივერსიტეტი, სადაც აქტიურად მიმდინარეობს სათანადო ტერმინოლოგიის შერჩევა-დადგენის მეთოდოლოგიურ და მეცნიერულ პრინციპთა შემუშავება... ქალაქ რაბატში 1964 წლიდან გამოდის ჟურნალი „არაბული ენა", რომელიც არაბიზაციის საკითხებზე არაბულ სახელმწიფოთა ლიგასთან არსებული მუდმივი საკოორდინაციო ბიუროს ორგანოს წარმოადგენს"...

ათიოდე წლის წინათ შევიტყვე, რომ ინგლისში არსებობს ინგლისურად მოლაპარაკეთა კავშირი, რომელსაც ფილიალი 60-ზე მეტ ქვეყანაში აქვს და ეს კავშირი თვალყურს ადევნებს ინგლისური ენის სწავლებას მსოფლიოში... და კიდევ: კავშირის თავმჯდომარე არის ინგლისის დედოფალი, მოადგილე — ერთ-ერთი ლორდიო...

ესეც გამახსენდა: ესპანეთის სამეფო აკადემია პატრონობს ესპანურ ენას ესპანურენოვან სამყაროშიო...

მოვედით სათქმელთან: როცა დიდი ენების პატრონი ერები ასე ზრუნავენ თაიანთ ენაზე, ჩვენ, მცირერიცხოვან ქართველობას, მეტი ფიქრი და ზრუნვა გვმართებს ჩვენს დედაენაზე. საფრთხე „ენის წახდენისა" და, შესაბამისად, „ერის დაცემისა" ჩვენნაირ ქვეყნებში უფრო დიდია...

ბატონო რედაქტორო, ჩვენ დიდი ტრადიციები გვქონდა დედაენაზე ზრუნვისა. თუნდაც XIX საუკუნის მეორე ნახევარი გავიხსენოთ — ილია, იაკობი, აკაკი, ვაჟა... XX საუკუნის დასაწყისი — მ. ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია...

იქნებ დადგა დრო, დაკარგული ტრადიციების გახსენებისა...

მოგეხსენებათ, ქართული მწერლობა იყო უპირველესი პატრონი და ბატონი ქართული ენისა. დღევანდელ დღეს ჩვენს სალიტერატურო ცხოვრებაში, გულწრფელად მოგახსენებთ, „ჩვენი მწერლობის" როლი ამ საქმეში გამორჩეულად მესახება. იქნებ ეთავა თქვენს ჟურნალს (ჩვენს ჟურნალს!), ჩადგომოდა სათავეში დედაენაზე ფიქრსა და ზრუნვას... რუბრიკის სათაურსაც შემოგთავაზებთ — „სასწორმეტყველო". გახსოვთ ალბათ, აკაკი წერეთლის წამოწყება „კვალში"... და კიდევ, რუბრიკის დევიზიც მინდა შემოგთავაზოთ: „არარაი მოყვარება სიბრძნისა იქმნების თვინიერ მართლუბნობისა და წესიერწერისა", — ეს ანტონ ბაგრატიონმა ბრძანა...

შეძლებისდაგვარად მიგულეთ თქვენს გვერდით.

**გიორგი გოგოლაშვილი**

რევაზ კვერენჩხილაძე

# ქალები, როგორც პოლიტიკური პატიმრები

საზოგადოება „**მემორიალმა**“ მოაწყო ფოტოგამოფენა „**საბჭოური პერიოდის პოლიტპატიმარი ქალები**“.

ჩვენს დროში გამოფენებით ხალხს ვერ გააკვირვებ, მაგრამ ამ გამოფენის მზადების პროცესი მართლა გასაკვირია — იგი რუსთაველის გამზირზე, კარვების ქალაქში, კერძოდ, სამხატვრო გალერეის წინ განლაგებულ მე-20 საკანში, ორი თვის განმავლობაში მზადდებოდა, უფრო ზუსტად, გახსნილიც იყო — კარვის კალთებზე ეკიდა პოლიტპატიმართა ჯგუფური, უმთავრესად „სოლოვკების“ ტუსაღთა სურათები, თან მიმდინარეობდა ახალი ფოტოსურათების მოძიება.

„მემორიალის“ თავმჯდომარეს **გურამ სოსელიას** აქ აკითხავდნენ რეპრესირებულთა ოჯახის წევრები, ახლობლები...



თვითონვე განსაჯეთ, რა ძნელი იქნებოდა 1921-24 წლებში დახვრეტილ-გადასახლებულთა ფოტოსურათებისა და ცნობების მოპოვება. არც 1937-38 საშინელი წლების მსხვერპლთა შვილებისა და შვილიშვილების მიგნება გამოდგა იოლი მთელ საქართველოში, რამდენი მისამართი აღმოჩნდა შეცვლილი!..

ამიტომ გასაკვირი არაა, დაახლოებით 2500 რეპრესირებული ქალის სიიდან ჯერჯერობით ასოცი ფოტოსურათის მოძიება რომ გახდა შესაძლებელი.

ამასობაში კარვები მოიშალა, სხვა ადგილსამყოფელიდან კი „მემორიალი“ კარგა ხანია გამოძევებული იყო.

და მაინც, ამ საზოგადოებამ, რომელიც შვიდიათას წევრს — რეპრესირებულთა ოჯახის წევრებს — აერთიანებს და რომელსაც მოპოვებული აქვს მრავალი, მათ შორის, პატიმრის ნომრებიანი ფოტოსურათი, გადასახლებიდან მალულად (ვაგონიდან გადმოგდებული...) თუ სამ თვეში ერთხელ გამოგზავნილი ნებადართული წერილი, იქ ნაკეთები ნივთები... „მემორიალმა“ — რომელსაც ოთხშაბათობით გამართული აქვს 100-ზე მეტი ხსოვნის საღამო, რომლის მონაწილე სპეციალისტებიც უანგარო იურიდიულ თუ სამედიცინო კონსულტაციებს უტარებდნენ ამ საზოგადოების წევრებს — მაინც შეძლო გამოფენის მოწყობა.

მოგეხსენებათ, გამოფენისთვის საჭიროა დარბაზი. მადლობა „**კავკასიურ სახლს**“ — მისმა დირექტორმა, ქალბატონმა **ნაირა გელაშვილმა** დარბაზი ერთი კვირით უსასყიდლოდ დაგვითმო.

მადლობით უნდა მოვიხსენიოთ ფონდის „**ღია საზოგადოება — საქართველო**“ და **შსს საარქივო სამმართველოს** ხელმძღვანელები, რომელთა დაუხმარებლადაც თითქმის შეუძლებელი იქნებოდა ამ გამოფენის გახსნა.

უნდა გენახათ, რა გულითადად ცდილობდნენ რეპრესირებული ქალბატონთა ფოტოსურათებისა და ნივთების განლაგებას მათი ბედის თანაზიარი ანუ რეპრესიაგამოვლილი მამაკაცები: **ტარიელ ღვინიაშვილი** და **ავთანდილ იმნაძე**, აგრეთვე ბატონი **ანზორ აბჟანდაძე**.

აი ასე, 13 ნოემბერს, 16 საათზე, დიდი გარჯისა და ნერვიულობის შემდეგ, მემორიალის თავმჯდომარემ **გურამ სოსელიამ**, ბევრ გამოფენის მომწყობს რომ შეეხარბებოდა, ისეთ მრავალრიცხოვან და დიდებულ საზოგადოებას აუწყა გამოფენის გახსნა.

მართლაც, ვის არ ნახავდით აქ — პირველ რიგში ბევრი ქალბატონი მოვიდა, მათ შორის, მომღერალი **ცისანა ტატიშვილი** და რეჟისორი **ნანა მჭედლიძე**;

აქ მობრძანებულან მეცნიერები: **ვანო კილურაძე, ოთარ ბაქანიძე, ბონდო არველაძე;**

აგერ ჩანან ჩვენი პოლიტიკოსები: **ლევან ბერძენიშვილი, გურამ ბერიშვილი, ვახტანგ ძაბირაძე, დავით ზურაბიშვილი;**

მწერლები: **ნაირა გელაშვილი, მზია ხეთაგური, გივი შაჰნაზარი, ნათან ბააზოვი, ავთანდილ ხარაიშვილი, ზაალ ბოტკოველი.**

რა თქმა უნდა, აქ არიან (აქ ხომ მათი ფოტოსურათებიცაა გამოფენილი!) ჩვენი ყოფილი პატიმარი დისიდენტები: **ლუიზა შაკიაშვილი, ავთანდილ იმნაძე** და **ტარიელ ღვინიაშვილი.**

პირველ სიტყვას წარმოთქვამს „მემორიალის“ საპატიო თავმჯდომარე, აკადემიკოსი **მინდია სალუქვაძე**. ამბობს, მაგრამ ვხედავთ, მას (და არა მარტო მას) ყელში რაღაც აწვება, ხმაც წაერთვა, ცრემლიც მოერია — აკი ოთხი წლისას დედაც დაუხვრიტეს და მამაც!..

გამოსვლის მსურველთა სიმრავლეც მოწმობს — ყველას გულთან ახლოს მიაქვს რეპრესირებულ ქალთა ბედი...

სიტყვებით გამოვიდნენ: **ილამაზ მიწიშვილი, ნანა მჭედლიძე, გიორგი გობეჩია, პოლონეთის ელჩი ურშულა დოროშევსკა, გარი აუგუსტი, ლევან ბერძენიშვილი, გუბაზ მეგრელიძე, პირიმზე ბელთაძე, ლუიზა შაკიაშვილი, ევგენია ღარიბიანი, თქვენი მონა-მორჩილი.**

გვიანობამდე ეძებდნენ თავისიანებისა და ახლობლების სურათებს, ჩასცქეროდნენ დახვრეტილ ქალთა ფოტოებს. მატარებლიდან გადმოგდებულ წერილებს, გრძელ-გრძელ სიებშიც უნდოდათ მიეგნოთ ახლობლისა თუ ნაცნობის გვარ-სახელი...

## დიდხანს გაჰყვება ვალი

ინდოეთში დაბადებული და გაზრდილი კიპლინგი ვერ იტანდა ინგლისის კლიმატს. ხშირად ავადმყოფობდა და ნისლიან ლონდონში ენატრებოდა ინდოეთის მწველი მზე. აღმოსავლეთში დარჩენილი სატრფო შორიდან უხმობს „მანდალეის“ ლირიკულ გმირს: დაგვიბრუნდი ბრიტანელო ჯარისკაცო, დაუბრუნდი მანდალეის! „ინდური ნოსტალგიით“ შეპყრობილი ჯარისკაცი კი ბუზღუნებს: გული მერევა, ფეხსაცმლის ლანჩებს ქვაფენილზე რომ ვცვეთ და წყეული ინგლისური ჟინჟღლი ძვლებსა მტეხს, მაგრამ ლონდონიდან მანდალეიში ომნიბუსები არ დადიანო. რამ გაჰყო ერთიმეორისგან „მანდალეის“ ბრიტანელი ჯარისკაცი და თავად კიპლინგი, რომელსაც 1889 წლის შემდეგ თვალით აღარ უნახავს ინდოეთი.

თბილისში დროებით ჩამოსულ ვაჟა-ფშაველას ენატრება თავისი უდაბური, ნადირმგლიანი მიწა-წყალი, სადაც გვიან დგება ზაფხული და ხანმოკლეა შემოდგომა, მაგრამ უმზეო მხარე ყველაზე მზიანად ეჩვენება და იქით რჩება თვალი. „დაწუხებულმა, არაგვო, რო გნახე, გავიხარეო, სრულიად გამოვიცვალე, წელშიაც ავიხარეო“, — ამბობს პოეტი, ღვიძლი შვილი მთისა, და ცხენსაც გადასდებია პატრონის განწყობილება: „ლურჯავ, შენც გრძნობა გქონია, როგორც კაცს, ადამიანსა. შენც გული გიგებს, ტიალო, მივალთ სამშობლოს მთიანსა“. და მთებიც დაჟინებით შეახსენებენ თავის საამაყო მკვიდრს: „ცხოვრება ჭირიანია, ჭირით არ ერთით, ორითა, შენაც მოგაცხობს ბევრს რასმე, არ გაშმორროს შმორითა, ჩვენ დაგვიძახე მკურნალად, წამალს მოგაწვდით შორითა“.

ინდოეთმა აჩუქა კიპლინგს ფასდაუდებელი მასალა, მწერლად ჩამოაყალიბა. ინდოეთი გახდა მისი მუზა, შთაგონების წყარო მთელი სიცოცხლის მანძილზე. ინდოეთმა გულში ჩაუნერგა სიყვარული და სულში — სიბრძნე.

იგივე სამსახური გაუწია ვაჟას ფშავ-ხევსურეთმა და იქაურმა ფოლკლორმა, მარგალიტებით რომ არის მოფენილი.

ინგლისელი მწერლები და კრიტიკოსები ალმაცერად უმზერდნენ კიპლინგს. თბილისელ სნობებსაც თავიდანვე ეუცხოებოდათ ვაჟა-ფშაველა.

კიპლინგს ჩხვლეტდნენ და კბენდნენ მასზე არანაკლებ ღირსეული ფიგურები ინგლისური ლიტერატურისა, მაგრამ ქართული პოეზიის დევკაცს ძალიანაც გაუთამამდნენ თავდაჯერებული ვაჟბატონები. მათი გავლენის ქვეშ მოქცეული ზოგიერთი მკითხველი ანონიმურ წერილებს გზავნიდა გაზეთ „ივერიის“ რედაქციაში. ვაჟას „მოკვეთას“ მოითხოვდნენ, თუ არადა გაზეთს აღარ გამოვიწერთო.



რადიარდ კიპლინგი

„შვლის ნუკრის ნაამბობი“ ვაჟა-ფშაველას დაუწერია 1883 წლის დამდეგს და „მოხუცის ნათქვამი“ — იმავე წლის დამლევს. ორივე ერთად წარუდგინა ჟურნალ „ნობათის“ რედაქტორს ბ-ნ ანდღულაძეს. „შვლის ნუკრის“ ნახევარი დაუბეჭდავთ 1885 წელს, „მოხუცის ნათქვამი“ კი უკან გადმოუგდიათ ავტორისათვის.

ანდღულაძეზე ნაკლები ანდღულაძე მგელმა შეჭამოსო, ასე დაასკვნა ბ-ნმა „მეველემ“ (ანუ დათა მიქელაძემ) და ათიოდე წლის შემდეგ, სრულიად სხვა საკითხზე დავაში, ვაჟას შემოქმედებასაც გადასწვდა — მისი პოეზია „მთის ხალხში გაბნეული ლექსების მკრთალი მიბაძვა“ არისო. არც მეტი, არც ნაკლები! ეს იწერება 1894 წელს, როდესაც ვაჟა-ფშაველას უკვე შეუქმნია „ალუდა ქეთელაური“, „ბახტრიონი“ და „სტუმარ-მასპინძელი“. და ამ პოემების ავტორს „მეველე“ აბუჩად იგდებს. ათიოდე წლით ადრე, ეს პოემები ჯერაც რომ არ იყო დაწერილი, ილია ჭავჭავაძე წინასწარმეტყველივით ამბობდა: მე და აკაკიმ კალამი ძირს უნდა დავდოთ, გზა ვაჟას დავუთმოთო.

ისევ ეს ცხონებული „მეველე“ დავიმოწმოთ: ვაჟას ლექსი მიუტანია „ივერიის“ რედაქციაში. იქ შემთხვევით იმყოფებოდა „ერთი ქართველი პოეტი“. იმას და „მეველეს“ ხუთჯერ თუ ექვსჯერ გადაუკითხავთ ვაჟას ლექსი, „მაგრამ არათუ პოეზია იმ ლექსისა ვერ შევიგნეთ, არამედ ვერც იმას მივხვდით, რის თქმა უნდოდა ავტორს“.

ეგებ ამ ლექსს „ჩემი ვედრება“ ერქვა, სადაც ავტორი ნატრობდა: ბალახი ვიყო სათიბი, არა მწადიან ცელობაო.

კიპლინგის დაწუნება მის ჯიბეს, ალბათ, ვერაფერს დააკლებდა, ხოლო ვაჟას სიდუხჭირეს ყველაზე ბედოვლათი ინგლისელი კლერკიც კი ვერ აიტანდა.

ჩივილის მეტი რაღა დარჩენოდა: „სიღარიბის გამო შვილებიც ვერ მიმიცია სასწავლებელში“ (1894 წ.); „ფიზიკურმა შრომამ გამტეხა წელში, თანაც ვბერდები. ერთი დღე რომ ვიმუშაო, ერთი კვირა უნდა ვიწვე“ (1909 წ.); „ტანფეხშიშველი დავდივარ, ცოლს არ მიცვია კაბაო“ (1913 წ.).

პეტერბურგის „სტუდენტთა კასა“ ოცი წლის წინათ აღებული ხუთი თუმნის ვალს ედავება ვაჟა-ფშაველას და ბ-ნი „მეველე“ ბანს აძლევს „განათლებულ ქართველ ახალგაზრდობას“.

ის ვალი არ ჩაჰყოლია საფლავში.

სამაგიეროდ მშობელ ქვეყანას დიდხანს გაჰყვება ვალი თავისი სახელოვანი შვილისა.

დღემდე გაურკვეველია, სახელდობრ რომელ მანდილოსანს მიმართავდა ორმოცდათოთხმეტი წლის პოეტი სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე: „მე შენის ტრფობით ვერ გავძელ, შენ — ჩემის სიძულვილითა“.

## მოზაიკა

### მძიმედ სნეული ვარო

ნოსტალგია ეძალებოდა, მაგრამ მონოლილ გრძნობას ჟინიანად ებრძოდა. მძიმე გაჭირვებაში ჩავარდნილი, ყველაფერზე გულაცრუებული, ირონიულად მოიხსენიებდა ე.წ. „სამშობლოს სევდას“ და გულიდან აღმოხდებოდა გულსაკლავი სტრიქონები: ჩემთვის სულერთია, მარტოობა სად მომიწევსო; ჩემთვის სულერთია, რომელ ენაზე ვერ გამიგებენო; ყოველი სახლი ჩემთვის უცხოა და ყოველი ტაძარი — ცარიელიო. მაგრამ უეცრად, ხეტიალისას გზად შეეყრება ცირცელის ბუჩქი, სამშობლოს ყველაზე მარტივი განსახიერება რუსი პოეტისათვის, მყისვე ეჭვქვეშ რომ აყენებს მთელი ლექსის პათოსს. სამშობლო მარტოოდენ ჰიმნი და დროშა როდია. მშობლიური ცირცელის ბუჩქი მოულოდნელად ფასს უკარგავს მარინა ცვეტაევას თავგამოდებულ ღაღადისს თითქოსდა სამუზეუმო ექსპონატად განწირული ნოსტალგიის თაობაზე.

თავის ერთ კერძო ბარათში წერდა: „თქვენ ვერ წარმოიდგენთ იმ სილატაკეს, რაშიც ჩავვარდი. გარდა წერისა მე ხომ ცხოვრების არავითარი სახსარი არ გამაჩნია. ქმარი ავადაა და მუშაობა არ ძალუძს. ქალიშვილი ქუდებსა ქსოვს და დღეში შოულობს ხუთ ფრანკს, რითაც ჩვენ ოთხნი (მე რვა წლის ვაჟიც მყავს, სახელად გიორგი) ვცხოვრობთ, ე.ი. ნელ-ნელა სული გვძვრება შიმშილით“.

მართლაც რომ უბედურ ვარსკვლავზე იყო გაჩენილი მოსკოველი პროფესორის ასული. ემიგრაციაში წავიდა თავისი ქმრის, თეთრგვარდიელი ოფიცრის სერგეი ეფრონის ხათრით. იმან კი, პარიზში დამკვიდრებულმა, თეთრი ფერი გაცვალა წითელში ანუ აქტიურად ჩაება „სამშობლოში დაბრუნების კავშირის“ საქმიანობაში. ამ პროსაბჭოთა ორგანიზაციის საქმენი კი ყოველთვის როდი ისახავდა ნათელ მიზნებს. როდესაც იაგოდას დამხობის შემდეგ „ენკავედეს“ აპარატის წმენდას შეუდგნენ, ანგარიშის გასასწორებლად ევროპაში მიმოფანტული მზვერავებიც იხმეს მოსკოვში.

„ენკავედეს“ რეზიდენტმა იგნაცი რაისმა 1937 წლის 18 ივლისს პარიზიდან გაუგზავნა წერილი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. პროტესტს აცხადებდა და სამშობლოსთან კავშირს წყვეტდა. ამასთან ერთად, წითელი დროშის ორდენს უბრუნებდა საბჭოთა ხელისუფლებას. იმავე წლის 4 სექტემბერს შვეიცარიაში, ქ. ლოზანის მახლობლად, იპოვეს ტყვიებით დაცხრილული რაისის გვამი. მიაკვლიეს მკვლელებსაც, მაგრამ მთავარი ორგანიზატორი სერგეი ეფრონი, მეუღლე ცვეტაევასი, ოპერატიულად გადაისროლეს საბჭოთა კავშირში.

საქმე გახმაურდა და ემიგრაციის წრეებში მარინა ცვეტაევას, როგორც კეთროვანს, ერიდებოდნენ.

ილია ერენბურგი თავის მემუარებში წერს: „ჩემს ცხოვრებაში მრავალი პოეტი შემხვედრია. ვიცი, რაოდენ ძვირად უჯდებათ მსახურება ხელოვნებისა, მაგრამ არა მგონია, რომ ჩემს მოგონებებში მოიპოვებოდეს უფრო ტრაგიკული სახე, ვიდრე მარინასი. მის ბიოგრაფიაში ყველაფერი მერყევია, ილუზორული; პოლიტიკური იდეებიც, კრიტიკული შეხედულებანიც და პირადი დრამებიც — ყველაფერი, გარდა პოეზიისა“.

1939 წელს მარინა ცვეტაევა დაბრუნდა საბჭოთა კავშირში.

თავს თარგმანით ირჩენდა და დაპატიმრებულ ქმარშვილთან ამანათები დაჰქონდა.

ცვეტაევას ახალგაზრდა ნაცნობის ჩანაწერიდან: „და როგორც ყოველთვის, მარინასთან შეხვედრისას ნაღვლიანად გვეკუმშებოდა გული და მარადისობის ყინულოვანი სუსხი ქროდა მისი სიმაღლეებიდან. მასთან შეხვედრა სულს აღიზიანებდა, ზანტად მთვლემარე გონებას აფორიაქებდა და გვაიძულებდა გვეფიქრა იმაზე, რაზედაც მაინცდამაინც არ გვსურდა ფიქრი... უმნიფრობისა თუ აზროვნების უმწეობისგან ანდა ჩამოცმული თვალსაფრის წყალობით, ჯერ კიდევ სკოლაში რომ გვიწყალობეს, ძალიან გვსურდა დაგვეჯერებინა და, რაც მთავარია, გვჯეროდა კიდეც, რომ ჩვენ სრულიად სხვანაირები ვართ, რომ ჩვენ ერთადერთნი ვართ მთელ მსოფლიოში და ვაშენებთ სრულყოფილ სამყაროს. ჩვენ ვაშენებთ და ავაშენებთ ამ სამყაროს და აღვზრდით ყველაზე სრულყოფილ ადამიანს ამ ყველაზე სრულყოფილ მიწაწყალზე. და ყველაფერი სულ სხვაგვარი იქნება! ხოლო თუკი თვალში არ მოგდის რამე, რას იზამ, ჯერ კიდევ სკოლაში გვასწავლეს: ტყეს რომ ჩეხავენ, ნაფოტები ცვივაო. და ნებაყოფლობით, ჩვენ თვითონ გადავიქეცით ნაფოტებად“.

1941 წლის 22 ივნისს მარინა ცვეტაევა იჯდა და თარგმნიდა გარსია ლორკას ლექსებს. ორიოდე დღის შემდეგ შეწყვიტა. ჟურნალ-გაზეთებს თარგმანებისთვის აღარ სცხელოდათ.

შემდგომში — ევაკუაცია, უფულობა, შიმშილი, მიუსაფრობა.

ყველაფერი მომწიფდა სუიციდისათვის.

მძიმედ სნეული ვარ, ეს მე აღარა ვარო, — სწერდა თავის ვაჟს უკანასკნელ ბარათში.

## ქრონიკა

25 ნოემბერს საპატრიარქოს სამების საკათედრო ტაძართან არსებულ „ახალგაზრდული სულიერი და კულტურული აღორძინების ცენრტის“ დარბაზში, ამ ცენტრისა და მწერალთა კავშირის ინიციატივით გაიმართა პოეტის, პროზაიკოსისა და ესეისტის ქეთევან შენგელიას პოეზიის საღამო და ამავდროულად მისი ახალი კრებულის — „მზე და ღრუბელი“ — პრეზენტაცია. საღამოს უძღვებოდა პოეტი ბალათერ არაბული. მან ისაუბრა არა მარტო ქეთევან შენგელიას პოეზიის, არამედ საერთოდ მისი ლიტერატურული საქმიანობის შესახებაც.

სიტყვით გამოვიდნენ მწერლები: დავით შემოქმედელი, ემზარ კვიტაიშვილი, ინგა მილორავა, ქეთი დოლიძე; პროფესორები: ციალა სვანიძე, ივანე ჯაფარიძე, მანანა ჭირაქაძე, რომელთაც მაღალი შეფასება მისცეს მის მრავალფეროვანსა და თვითმყოფად შემოქმედებას, ახალი პოეტური კრებული კი მიიჩნიეს ჩვენი სამწერლო პროცესის საყურადღებო მოვლენად.

იმდენად ხელოვნურად შეშლილია დღევანდელი სამყარო, რომ ძალიან რთულია წერდე კონვენციურობებს და დარჩე ბუნებრივი. რაც მთავარია, ეს ბუნებრიობა და სისადავე დაგიჯეროს მკითხველმა. ქეთი შენგელიასი ყოველთვის გჯერა, რადგან მისი ლირიკა თვით მისი ცხოვრებაა — მყუდრო, როგორც გაუხმაურებელი სიკეთე, გამჭვირვალე, როგორც მთის წყარო, მშფოთვარე და დრამატული, როგორც მისი სამშობლოს წარსული და აწმყო. ეს ლირიკა მისი მდიდარი სულიერი სამყაროს უტყუარი სარკეა. შემთხვევით არ ჰქვია ამ ბოლო წიგნს „მზე და ღრუბელი“, რაც თავისთავად სხვა არაფერია, თუ არა ცხოვრება.

ლექსებს კითხულობდა მსახიობი თინათინ ელბაქიძე. ხალხმრავალ დარბაზს და პოეზიის საღამოს ამშვენებდა ხალხური სიმღერა და ანსამბლი „დიდგორი“.

ქეთევან შენგელიამ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისათვის და გამომსვლელებს მაღალი შეფასებისთვის; აგრეთვე აღნიშნა, რომ მისთვის მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი — წიგნის პრეზენტაცია ამ დიდებულ ადგილას რომ შედგა.

# სამუდამო ნათელი დაიმკვიდრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მურმან ჩაჩუას გახსენება**

გამოსათხოვარი წერილი კი ვუძღვენი მურმან ჩაჩუას ხსოვნას, მაგრამ ზოგი რამ, რაც უფრო ნათლად წარმოაჩენდა განსვენებულის პიროვნებას, უთქმელი დამრჩა. ამ მცირე მოგონების გამოსაქვეყნებლად ყველაზე შესაფერისი უნდა იყოს ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, რომლის ფურცლებიც არაერთხელ დაუმშვენებია ნიჭიერი ფოტოხელოვანის ნამუშევრებს.

ბევრი ვინმეა მისგან უანგაროდ პატივნაცემი და დავალებული. იმ სამგლოვიარო დღეებში ფრიდონ ხალვაშმა სინანულით დამირეკა აჭარიდან – მოზრდილი ალბომი მაქვს მურმან ჩაჩუას გადაღებული საუცხო სურათებისა და, ვწუხვარ, წამოსვლა რომ არ მიხერხდება და მის ოჯახს თანაგრძნობას ვერ ვუცხადებო.

სხვადასხვა დროს ჩემთვისაც მრავლად გადაუღია სურათები – ცალკე და მეგობრების ჯგუფთან ერთად; განსაკუთრებით, მწერლებისთვის კარგად ცნობილ „ლურჯ აივანზე“, რომელიც ამჟამად უკაცრიელი და გაპარტახებულია.

ორიოდე წლის წინათ ერთ დიდ, ხალხმრავალ პრეზენტაციაზე ანუ წარდგინებაზე ვუთხარი – პუბლიკაციების დროს სურათებს ითხოვენ, შენი ფოტოები დამიძველდა, სხვასთან ნუ გამიშვებ-მეთქი. გაეღიმა (მასავით ცოტა ვინმეს თუ უხდებოდა მართლაც რომ სხივიანი ღიმილი): მაგაზე არ დამიღონდე, მაგრამ ამ არეულობაში, თანაც შენობაში, ვერ გამოვა შენი მოსაწონი, ბუნების წიაღი აჯობებს, საამისო შემთხვევა მალე მოგვეცემაო.

მართლაც, შარშან, 14 სექტემბერს, ილიას ხსოვნის დღეს, ინსტიტუტის რამდენიმე თანამშრომელთან, ახლობლებთან ერთად (როსტომ ჩხეიძემ წაგვიყვანა) საგურამოში ავედი. საუკეთესო გარემო იყო. ანდრო ბედუკაძე გვმასპინძლობდა. მურმან ჩაჩუაც იქვე ტრიალებდა, ძველებურად შუბლგახსნილი და ხალისიანი. ავადობისა არაფერი ეტყობოდა. დამინახა თუ არა, ჩემკენ წამოვიდა, გვერდზე გამიყვანა, ამაზე უკეთეს ადგილს ვერსად ვნახავთ, დანაპირები უნდა შეგისრულოო.

თვითონვე ამორჩია ვეებერთელა, ტანდაშაშრული ხე და ზედიზედ სამჯერ დაიჩხრიალა მისმა შავად მბზინავმა, ახალთახალმა აპარატმა. ორი კვირაც არ გასულა, ლამაზ კონვერტში ჩადებული, დიდი ფორმატის სამი ფოტო გადმომცა. თავდახრილი, მოწყენილი და ბებრულად დაღვრემილი ვარ იმ ფოტოებზე, თუმცა გასახარელიც რა მქონდა, რომ გამეღიმა – გათავხედებული, ველური ძალისგან, აფხაზეთთან ერთად, შიდა ქართლი ახალი გადაჯირგალებული, მიწასთან გასწორებული და უნამუსოდ მიტაცებული იყო. შარშანდელი ზაფხულიდან კარგი და სანუგეშო არაფერი გვაგონდება, მაგრამ მურმანის ბოლო სახსოვარს სათუთად ვინახავ.

ეს ამბავი შედარებით ადრინდელია. 1996 წლის სექტემბერი იდგა. მწერალთა ერთ, როგორც იტყვიან, საკმაოდ წარმომადგენლობით ჯგუფთან ერთად ბათუმში გავემგზავრე. სამი თუ ოთხი დღე მოგვიხდა იქ ყოფნა და ძალზე კმაყოფილებიც დავრჩით. ნაშუადღევს სასტუმრო „ინტურისტის“ მახლობლად ვისხედით ჭაბუა ამირეჯიბი და მე. ხმა მისუსტებული კი ჰქონდა, მაგრამ ლაპარაკი შეეძლო (ახლა პატარა გრიფელის დაფა უდევს მუხლებზე, იმაზე წერს და ისე გამცნობს თავის ნაფიქრს, საწუხარს, ნერვების დასამშვიდებლად, დაბალ მაგიდაზე პასიანსი აქვს გაშლილი). ეტყობა მაშინ რაღაც სასაცილო ჩამჩურჩულა ყურში, რადგან მურმან ჩაჩუას მიერ მოულოდნელად გადაღებულ სურათზე გულიანად ვიცინი.



მურმან ჩაჩუას ფოტოეტიუდი

ბათუმი, 1996 წელი, სექტემბერი

ვინ მოსთვლის, რამდენი ასეთი, სხვებისგან შეუმჩნეველი მომენტი აღუბეჭდავს მის მახვილ თვალს და მერე დაურიგებია ფოტოები.

ვიცოდი, ასეთი ალალი პიროვნების დღეები დათვლილი იყო და მოსანახულებლად ვერ წავედი, რადგან მომაკვდავის ნუგეშისცემა მიჭირს. ერთადერთი, გივი გეგეჭკორი იყო, ვისთანაც საავადმყოფოს პალატაში თითქმის ყოველდღიურად დავდიოდი და ისიც იმიტომ, მისი სიკვდილი ვერაფრით წარმომედგინა. მხოლოდ მაშინ დავკარგე იმედი (აზოტი კატასტროფულად ჰქონდა აწეული, ველარ სუნთქავდა, იხუთებოდა), როცა სასომიხდილი შემევედრა – მითხარი რა ვქნა, რამე მირჩიეო. მალე გონებაც გადაეკეტა და ცოცხალი აღარც მინახავს. ღვიძლი ძმის სიკვდილზე არანაკლებ მწარედ განვიცადე მისი დაკარგვა და ეს უბედურება დღემდე ვერ მომინელებია.

სამწუხაროდ, უცვლელი რჩება ძველისძველი ჭეშმარიტება, რომ ადამიანის ნამდვილ ფასს, მის ღირსებას, მთელი სისრულითა და სიგრძე-სიგანით, ყველაფერზე მეტად მისი სიკვდილი მიგახვედრებს. ეს განცდა რომ უტყუარია, მურმან ჩაჩუას დაღუპვამ კიდევ ერთხელ შეგვახსენა.

ჩუმად, მოკრძალებულად იცხოვრა, არავინ შეუწუხებია. სიტყვაც არასოდეს გაუტეხია. ყურადღებას არავის აკლებდა. ზედმეტია თქმა იმისა, რომ მურმანი ოჯახზე, ცოლ-შვილზე გადაყოლილი კაცი იყო და, კარგად გვახსოვს, როგორ ყველანაირად უწყობდა ხელს თავისი საყვარელი ქალიშვილის, დიდად ნიჭიერი ჩოგბურთელის, ანას წარმატებებს. ვაჟიც საამაყო დარჩა, ლადო, და ყველას გვჯერა, იგი უნაკლოდ შეადგენს და გამოსცემს მამის საუკეთესო ფოტოების ალბომს, რაც განსვენებულის ოცნება იყო და ეს სანუკვარი ნატვრა სამარეში ჩაიტანა.

ძალიან ვნანობ, ჩემი შეჭირვებული მდგომარეობის გამო, უკანასკნელი პატივი რომ ვერ მივაგე ქართველი მწერლების ერთგულ ადამიანს, ესოდენ დახვეწილ პროფესიონალს, სამაგალითო მამულიშვილს, მურმან ჩაჩუას, როცა ახლახან, თავსხმა, გადაუღებელ წვიმაში, მეგობრების მცირე ჯგუფმა თბილისიდან გააცილა მისი ცხედარი, რათა მშობლიური ვანის ულამაზეს, სოფელ ამაღლების მყუდრო, ამქვეყნიური ხმაურისა და ამაოებისგან განრიდებულ სასაფლაოზე დაეკრძალათ.

გულღია, კეთილი, ნათელი კაცი იყო და გვჯერა – მისი სულიც ღვთიურ ნათელში დაიმკვიდრებს სამუდამო სასუფეველს.

**ემზარ კვიტაიშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ისინდი

ჯუმბერ ჯიქია

ISSN 1987-7